

## პატიმართა უფლებაბის დარღვევა საქართველოში

წინასიტყვაობა.....	1
ზოგადი ინფორმაცია .....	7
საქართველოს პენიტენციური სისტემა .....	7
ორგანიზებული დანაშაული საქართველოში.....	10
ორგანიზებული დანაშაული საქართველოს პენიტენციურ სისტემაში.....	11
ხელისუფლების ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან.....	13
მეთოდოლოგია.....	15
საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები.....	17
ციხეებში არსებული პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა.....	22
პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა.....	22
ხელისუფლების მიერ საპატიმროების გადატვირთვის ახსნა.....	23
გადატვირთულობის პირობები.....	26
სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ფიზიკური პირობები .....	28
პირობები თბილისის მე-5 საპყრობილები .....	29
პირობები თბილისის მე-7 საპყრობილები .....	30
პირობები ახალ საპყრობილებში .....	31
პირობები საკარანტინო საკნებსა და კარცერებში.....	32
პიგიენა.....	34
კვება .....	36
პატიმრების სამედიცინო მომსახურება.....	39
ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო .....	40
საპყრობილის სამედიცინო პუნქტები .....	42
ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიული მკურნალობა .....	46
გასერნების შესაძლებლობა .....	48
ოჯახის წევრებთან შეზვედრისა და მათთან მიმოწერის შეზღუდვები .....	50
ადვოკატებთან ურთიერთობის უფლება .....	54
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა .....	57
შინაარსიანი საქმიანობის უკმარისობა .....	58
საჩივრის შეტანის მექანიზმები .....	61
საპატიმროთა მონიტორინგი .....	63
ხელისუფლების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ძალის გამოყენება. 66	
27 მარტის არეულობა მე-5 საპყრობილები .....	66

საგარაულო მეამბოხეების დაკავება და არეულობა ციხის რესპუბლიკურ	
საავადმყოფოში.....	68
არეულობა მე-5 და 1-ლ საპყრობილებს მოედო.....	70
სპეცოპერაცია არეულობის ჩასახშობად.....	72
ძალის გამოყენება სპეცოპერაციის დროს.....	74
გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხი .....	77
ძალის გამოყენების მიზეზების ახსნა ხელისუფლების მიერ .....	79
დაჭრილთა მკურნალობა.....	81
შეუსაბამობა მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობებში.....	84
სპეცოპერაციის დაგეგმვა.....	85
თბილისის მე-5 საპყრობილები 27 მარტს მომხდარი ინციდენტის გამოძიება	87
სასჯელაღსრულების სისტემაში ძალის გამოყენების სხვა ინციდენტები .....	92
ძალის გამოყენება პატიმრების მიმართ ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში.....	92
პატიმრების წინააღმდეგ ძალის გამოყენება თბილისის მე-7 საპყრობილები ...	96
ციხის თანამშრომლებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების წევრთა	
დაუსჯელობა პატიმართა უფლებების დარღვევისთვის.....	98
<b>რეკომენდაციები .....</b>	<b>102</b>
საქართველოს ხელისუფლებას.....	102
გენერალურ პროკურატურას .....	104
იუსტიციის სამინისტროს .....	104
იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.....	105
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და	
სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.....	108
ევროკავშირს .....	109
ევროპის საბჭოს.....	111
გაერთიანებული ერების ორგანიზაციას .....	111
ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას .....	112
ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.....	112
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს .....	112
<b>მადლობები .....</b>	<b>113</b>

## წინასიტყვაობა

2004 წლის დასაწყისში ქვეყნის სათავეში მოსკლის შემდეგ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება საზოგადოებას საჯაროდ დაპირდა, რომ ხელს შეუწყობდა ადამიანის უფლებათა დაცვის დამკიდრებას და ამის ერთ-ერთ საშუალებად საქართველოს საპატიმროების რეფორმს დაასახელა. მაგრამ, მიუხედავად ამ პირობისა, როგორც წინამდებარე მოხსენება ცხადყოფს, საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის უფლებათა ხელყოფა. დაკავების პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა შემაძრწუნებელია, ხოლო ზოგ პენიტენციურ დაწესებულებებში ღირსების შემლახველ მოპყრობას უწოდება. საპატიმროთა უმრავლესობა უკიდურესად გადატვირთულია, ცუდად ნიავდება და იქ ანტისანიტარია სუფეს. პატიმრები არაადეკვატურად იკვებებიან და დებულობებს სამდიცნო მომსახურებას, რომელიც არ შესაბამება სტანდარტებს (თუკი საერთოდ დებულობები). ხმირად მათ საკნებიდან პაერზე გასვლის არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ. საკანონმდებლო ცვლილებებმა და ცვლილებებმა პოლიტიკაში, რომლებიც 2005 წლის დეკემბერში დაწყებული რეფორმების პროგრამის ნაწილის სახით იყო ჩავიწრიბული, შეზღუდუს პატიმართა უფლებები – მათ შედეგად შემცირდა ოჯახთან პაქტების რაოდენობა, ხოლო ზოგ საპატიმროში დაირღვა პატიმართა უფლება საკუთარ აღვოკატოან კონფიდენციალური შეხვედრისა.

მას შემდეგ, რაც 2005 წლის დეკემბერში ხელისუფლებამ წამოიწყო დანაშაულთან, განსაკუთრებით, ორგანიზებულ დანაშაულთან (მათ შორის პენიტენციური სისტემის შიგნით ორგანიზებული დანაშაულის თავგაცების ძალაუფლებასთან) ბრძოლის მცდელობა, ბევრი პატიმრის მიმართ იყო გამოყენებული ცემა და ცუდად მოპყრობა, რაც ზოგჯერ წამებას უტოლდება. გარდა ამისა, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში ხელისუფლების ბოლოდროინდელმა ძალისხმევამ გამოიწვია პატიმართა რაოდენობის გაზრდა და მთავრობის მხრიდან სასტიკი ფიზიკური ძალის, მათ შორის, ლეტალური ძალის გამოყენების დაშვება საპატიმროებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით. თბილისის მე-5 საპყრობილები 2006 წლის 27 მარტს მომხდარი არეულობის დროს სულ მცირე შვიდი პატიმარი იქნა მოკლელი და მინიმუმ 17 სერიოზულად დაჭრილი სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის სპეციალური დანიშნულების ძალების, წარმომადგენელთა მხრიდან ძალის გამოყენების შედეგად. ხელისუფლებას არ ჩაუტარებია 27 მარტის ინციდენტის და პატიმართა უფლებების დარღვევის შესახებ სხვა მტკიცებათა ეფექტური გამოძიება.

ხელისუფლების ბოლოდროინდელმა მცდელობებმა, გაეუმჯობესებინა საპატიმროებში არსებული პირობები, რაც ახალი საპატიმროების აშენებასაც გულისხმობდა, ვერ მოახერხა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ინსტიტუციური პრობლემების მოგვარება. საქართველოს დაახლოებით 13 000 პატიმარს, რომელთაგან დაახლოებით 63 პროცენტი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, უწევს უკიდურესად გადატვირთულ, ცუდად განათებულ და ცუდად ვენტილირებულ საკნებში რაიმე ელემენტარული ჰიგიენის გარეშე ცხოვრება. ერთ-ერთ დაწესებულებაში განსაკუთრებით დაბინძურებული საკნები სარდაფში, რომლებიც დაიხურა მას შემდეგ, რაც 2001 წელს ევროპის საბჭოს

ექსპერტებმა მიუღებლად მიიჩნიეს, დღეს კვლავ გამოიყენება, როგორც ჩანს, საპატიმაროთა გადატვირთულობის გამო. პატიმართა ჭარბი რაოდენობა უპირველეს ყოვლისა შედეგია აღმტვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების დამკვიდრებული პრაქტიკისა, იმ დამნაშავეების მიმართაც კი, ვის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის დაკავშირებული ძალადობასთან.

საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს, უზრუნველყოს სათანადო პირობები იმ ეჭვმიტანილთა მიმართ, ვისზეც უდანაშაულობის პრეზუმუცია ვრცელდება:

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები განსაკუთრებულ იზოლაციაში არიან, ოჯახის წევრთან პაემნის უფლებას მათ მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის ნებართვით აძლევენ; აუცილებელი ნებართვის არსებობის პირობებშიც კი ოჯახთან პაემნები შეიძლება თვითნებურად აიკრძალოს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს არა აქვთ საშუალება, აწარმოონ მიმოწერა ნათესავებთან და თითქმის ან სულ არ მიუწვდებათ ხელი გაზრდებზე, რადიოზე ან ინფორმაციის რაიმე სხვა წყაროზე. დაკავებული პირები წინასწარ პატიმრობაში შეიძლება ოთხი თვიდან ერთ წელიწადზე მეტი ხნის ვადით იმყოფებოდნენ.

როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები, ისე მსჯავრდებული პატიმრები ღებულობები არასაკმარის საკვებს და სტანდარტებთან შეუსაბამო სამედიცინო მომსახურებას, თუკი საერთოდ ღებულობებს მას. ასეთ პირობებში სავსებით რეალურია ტუბერკოლიზითა და სხვა დაავადებებით ავად გახდომის საფრთხე. პატიმართა უმრავლესობას არა აქვს, აგრეთვე, ყოველდღიურად გასეირნების საშუალება და ხშირად მათ არ შეუძლიათ საკუთარი გადატვირთული საკნებიდან გამოსვლა კვირების და ზოგჯერ თვეების განმავლობაშიც კი. ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც “Human Rights Watch”-მა მოინახულა, დაკავებულ პირებს ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ აძლევდნენ პატრზე გასვლის ნებართვას. პატიმართა უძრავლესობას არა აქვს შესაძლებლობა, რეგულარულად მიიღოს შხაპი, მათთვის არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო, განათლება ან სხვა რამე აზრიანი საქმიანობა. დაკავების პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა არღვევს როგორც თავად საქართველოს კანონს პატიმრობის შესახებ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. ფართოდ არის გავრცელებული და მუდმივად შეინიშნება განსხვავება კანონით გათვალისწინებულ და პრაქტიკულად განხორციელებულ ქმედებებს შორის.

პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობა გახშირდა 2005 წლის დეკემბრის შემდეგ. ზოგიერთი პატიმრის გადმოცემით, მათ რეგულარულად და სასტიკად სცემდნენ ან მათ მიმართ იყენებდნენ სხვა სახის ცუდად მოპყრობას და არაადამიანურ დასჯას. ზოგ შემთხვევაში ცემა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობა წამებას უტოლდებოდა. ფართოდ არის გავრცელებული დაუსჯელობა ამგვარი მოპყრობისათვის. პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ ჩივილის ეფექტურ მექანიზმებს, ხოლო ზოგიერთი საპატიმროში შეზღუდული აქვთ საკუთარ ადვოკატებთან კონფიდენციალურად შეხვედრის შესაძლებლობა. პატიმართა უფლებების დარღვევის შემთხვევების გამომძიება იშვიათია, ხოლო ამის ჩამდენი პირები ხშირად არ აგებენ პასუხს კანონის წინაშე.

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება გასაუბრებას 110 პატიმართან სასჯელადსრულების ექვს დაწესებულებაში ვიზიტების დროს, გარდა ამისა, ინტერვიუებს მათ ადვოკატებთან, საპატიმროების ექსპერტებთან ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებიდან, აგრეთვე, ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

2004 წელს პრეზიდენტად არჩევისას სააკაშვილი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ აღვეთდა წარსულში ფართოდ გაგრცელებულ სამართალდარღვევებს, ქვეყნაში კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან დაპირისპირების გზით და კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის დამკიდრებით. 2005 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ და ხელისუფლებამ დაიწყო პრაქტიკული და საკონიმდებლო ზომების გატარება კრიმინალური თავკაცების (რომლებსაც, მათ მიერ კრიმინალური წესების ანუ კანონების შეაცრი კოდექსის ერთგულების გამო, საქართველოში „კანონიერ ქურდებს“ უწოდებენ) (რუსულად «Воры в законе») წინააღმდეგ საბრძოლველად.

გამომძალველობის, კოოპტაციისა და მუქარების მეშვეობით კანონიერმა ქურდებმა მოახერხეს მთელი საქართველოს საპატიმროებზე კონტროლის დამყარება და სხვა პატიმრებისათვის მთუწვდომელი პრივილეგიებით სარგებლობა. უფრო მეტიც, საკუთარი საქნებიდან მათ შეეძლოთ დაეგეგმათ და კორდინაცია გაეწიათ კრიმინალური საქმიანობისთვის, რომელსაც ციხის გარეთ მყოფი მათი თანამშრახელები ახორციელებდნენ. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ბოლოს მოულებდა ამ გახრწინვლ სისტემას, რაც პენიტენციურ დაწესებულებათა ეფექტური რეფორმის არსებით კომპონენტად იყო ჩაფიქრებული. 2005 წლის დეკემბრის შემდეგ ხელისუფლებამ ყველა კანონიერი ქურდი თბილისის მე-7 საპყრობილები მოათვასა და, მათივე მტკიცებით, ჩამოართვა ყველა პრივილეგია, რომელიც მათ ციხეებში ჰქონდათ.

მართალია, „Human Rights Watch“-ი აღიარებს, რომ ხელისუფლების ბრძოლა უკანონობასთან ციხეების სისტემაში ლეგიტიმური და უცილებელია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები ყოველთვის გამართლებული არ არის. 2006 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ხელისუფლების ძალოვანმა სტრუქტურებმა განახორციელეს მრავალი ოქრაცია, რათა რამდენიმე ციხეში ჩაეხშო არუსელობა, რომელთაც მთავრობა ახასიათებს, როგორც კანონიერი ქურდების ავტორიტეტთან ბრძოლისკენ მიმართული მისი ახალი პოლიტიკის საპროტესტოდ ორგანიზებულ ამბოხებებს. ყველაზე სერიოზული ამ ინციდენტებიდან მოხდა 2006 წლის 27 მარტს თბილისის მე-5 საპყრობილებში, როდესაც სპეციალური დანიშნულების რაზმები შევიდნენ საპყრობილებში სავარაუდო ამბოხების ჩასახშობად. არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ ზუსტად რა მოხდა იმ დღეს, ვრცელდება ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია, თვით სამთავრობო უწყებებშიც კი.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამბოხება საგულდაგულოდ იქნა მოფიქრებული და დაგეგმილი რამდენიმე კანონიერი ქურდის მიერ. სხვა ჩვენების თანახმად, არუსელობა უფრო სპონტანურად წარმოიშვა და მოჰყვა ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში რამდენიმე კრიმინალური ავტორიტეტის ცემას, შემდეგ კი გავრცელდა იქვე ახლოს მდებარე თბილისის მე-5 საპყრობილებში. მე-5 საპყრობილებში პატიმრები ყვიროდნენ, ჯამებს პირაზუნებოდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ ზეწრებს და ფანჯრებიდან ყრიდნენ. რამდენიმე პატიმარმა მაინც მოახერხა საკნებიდან გამოისვლა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ზოგ პატიმარს ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი („Human Rights Watch“-მა ვერ დაადასტურა ეს განცხადება, მისთვის არ მიუწოდებიათ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები). როდესაც ხელისუფლების რაზმები შევიდნენ დაწესებულებაში არუსელობის აღსაკვეთად, მათ თვერაცია დაიწყებს ცეცხლის გახსნით და იყნებდნენ როგორც რეზინის ტყვიებს, ისე ჩვეულებრივ ავტომატურ იარაღს. მათ არც უცდიათ კონტროლის დამყარების არაძალადობრივი საშუალებების გამოყენება. ძალის ნაკლებად ექსტრემალური გამოყენების მცდელობასაც არ ჰქონია ადგილი. არსებობს ინფორმაცია, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები ბევრ პატიმარს სცემდნენ კიდევ.

ძალის გამოყენების შედეგად სულ მცირე შვიდი პატიმარი დაიღუპა. ხელისუფლების მტკაცებით, ძალის გამოყენება გამართლებული იყო, თუმცა მან ვერ მოახერხა, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება, რათა შეეფასებინა, იყო თუ არა გამოყენებული ძალა არსებული საშიშროების პროპორციული. მიუხედავად იმისა, რომ “Human Rights Watch”-სთვის შეუძლებელი იყო ოპერაციის სრულყოფილი ანალიზისა და შეფასების გაკეთება და იმის დადგენა, შეესაბამებოდა თუ არა ზოგადად ამ ოპერაციის დროს გამოყენებული ძალა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს, “Human Rights Watch”-მა მოიპოვა დოკუმენტური დადასტურება რამდენიმე კონკრეტული შემთხვევისა, როდესაც ჩანს, რომ 27 მარტს სპეციალური დანიშნულების რაზმებმა გამოიყენეს გადამეტებული და უკანონო ძალა პატიმრების წინააღმდეგ.

მიუხედავად მოწოდებისა, დაუყოვნებლივ მომხდრიყო 27 მარტის ინციდენტის დამოუკიდებელი შესწავლა, ხელისუფლებამ მხოლოდ სამი თვის დაგვანებით დაიწყო გამოძიება, ჰქონდა თუ არა სპეციალური დანიშნულების რაზმების მიერ უფლებამოსილების გადამეტებას აღვილი. პირველი ორი თვის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრო ატარებდა შიდა მოკვლევას საგარაუდო ამბოხების შეთქმულებისა, რომელიც თავად არეულობაზე ორი დღით ადრე იქნა გახსნილი. არ ჩატარებულა შვიდი პატიმრის სიკვდილის ცალკე გამოძიება.

გარდა 27 მარტის ინციდენტისა, “Human Rights Watch”-მა დააფიქსირა პატიმრების მიმართ ცუდად მოპყრობის რამდენიმე სხვა შემთხვევაც. პატიმართა გადმოცემით, სხვა ამბოხების ან ამოხებათა შცდელობების განმავლობაში და მათი დასრულების შემდეგ, სასჯელის სახით, მათ სასტიკად სცემდნენ. გარდა ამისა, პატიმრები ყვებიან, რომ მათ ცუდად ეპყრობოდნენ ერთი საპატიმროდან მეორეში ბადრაგირების დროს ან ახალ საპატიმროში მიყვანისას, როგორც ჩანს, დაშინების მიზნით. ერთ-ერთ დაწესებულებაში, თბილისის მკაცრი რეჟიმის მე-7 საპყრობილები, სადაც ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან ბრალდებული ან მსჯავრდებული კანონიერი ქურდები, 2006 წლის დასაწყისში ბევრი კვირისა და თვის განმავლობაში პატიმრებს ხშირად სცემდნენ, გაშიშვლებით ჩხრეჭდნენ და მათ მიმართ იყნებოდნენ ღირსების შემლახველ სხვა მოპყრობას. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული მოპყრობა, პატიმრობის საშინელ პირობებთან ერთად, წამებას უტოლდებოდა. არ მომხდარა პატიმართა უფლებების დარღვევის ამ მტკიცებათა გამოძიება ან საქმის აღმერა.

საქართველოს, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პატტის, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენციის (წამების საწინააღმდეგო კონვენციის) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოს, აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს, რომ მისი სისხლის სამართლისა და პენიტენციური სისტემის შეესაბამებოდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რომ პატიმრებს მათი ღირსებისადმი სათანადო პატივისცემითა და მათი უფლებების სრულად დაცვით ეპყრობოდნენ და, რაც ყველაზე მთავარია, მოახდინოს წამების, სასტიკი, არაადამანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ყველა ფორმის აღკვეთა. ეს უკანასკნელი ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მოვალეობას, ჩატაროს ცუდად მოპყრობის თაობაზე ნებისმიერი განცხადების ეფექტური გამოძიება. თავიანთ მოხსენებებში საქართველოს თაობაზე წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასაბლებამ, გაერო-ს საგანგებო მომხსენებელმა წამების საკითხებზე და გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და ინსტიტუციური ნაკლოვანებები პენიტენციურ სისტემაში და შესთავაზეს

ქვეყნას დეტალური რეკომენდაციები სიტუაციის გამოსასწორებლად. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია ამ რეკომენდაციათა უმრავლესობა.

რამდენიმე წელია, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს თავის განზრახვას, გაატაროს პენიტენციური სისტემის რეფორმა და ბოლო მოუღოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ გახსნა ორი ახალი პენიტენციური დაწესებულება ძალზე გაუმჯობესებული პირობებით. ერთ-ერთი მათგანი საერთაშორისო დონორების დახმარებით გაიხსნა. რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ხელისუფლებას კონტაქტი აქვს რამდენიმე საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან. 2006 წლის ივნისში მთავრობამ გამოაქვეყნა „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმირების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ და დაგეგმილი აქვს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის, პატიმრობის შესახებ ახალი კანონის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება. ოუმცა, ამავე დროს, მან აღნიშნული კანონების არსებულ ვერსიებში შეიტანა შესწორებები, რომლებიც ეწინააღმდეგებია ადამიანის უფლებების სტანდარტებს და კიდევ უფრო ამძიმებს პატიმართა ისედაც ცუდ პირობებს. მაგალითად, შემცირდა მსჯავრდებულ პატიმრების ოჯახებთან პატენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა. ეს რეგრესიული ზომა მიღებული იქნა რაიმე დასაბუთების გარეშე და მისი შედეგია, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს, უზრუნველყოს პატიმართა რეგულარული კონტაქტი ოჯახებთან და ხელი შეუწყოს მათ რეაბილიტაციას, რაც საერთაშორისო სამართლის მოთხოვნას წარმოადგენს.

თუმცა “Human Rights Watch”-ს ესმის, რომ ზოგიერთი რეფორმის განხორციელებას დრო სჭირდება, იგი რეკომენდაციას უწევს რამდენიმე დაუყოვნებელი ზომის მიღებას, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი საკანონმდებლო და პოლიტიკური კურსის ცვლილებების წამოწყებისგან, რომელიც უარყოფით ხემოქმედებას ახდენს პატიმართა უფლებებზე. მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ პატიმართა შეურაცხოფა და მათ მიმართ ცუდად მოპყრობა, უნდა გამოიძიოს ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ კველა მტკიცება და გამოაცხადოს, ხელისუფლების უმაღლეს დონეზე, სრული შეურიგებლობის პოლიტიკა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ასეთი სახის დანაშაულის ჩადენის მიმართ. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაუშვას დამოუკიდებელი კომისიის დაარსება 27 მარტის მოვლენების გამოსაძიებლად. გარდა ამისა, “Human Rights Watch”-ი მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს და საჯელადსრულების დეპარტამენტს, დაუყოვნებლივ და გამონაკლისების გარეშე უზრუნველყონ პატიმრის მიერ საკუთარ ადვოკატთან კონფიდენციალური შეხვედრის უფლება, ოჯახის წევრებთან რეგულარული პატენტის უფლება და დღეში ერთი საათი მაინც ვარჯიშის საშუალება. გენერალურმა პროგურატურამ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს წინასწარი პატიმრობის აღტერნატიული აღკვეთის ღონისძიებანი, რათა შემცირდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების რაოდენობა.

ევროპავშირმა უნდა გამოიყენოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რათა საქართველოს მოსთხოვოს კონკრეტული პროგრესი პენიტენციური და სისხლის სამართლის სისტემების რეფორმათა

განხორციელებაში. გარდა ამისა, ევროკავშირმა უნდა მიმართოს თავის სახელმძღვანელო პრინციპებს წამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან ან დასჯასთან დაკავშირებით მესამე ქვეყნების მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის სფეროში (წამებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები), რათა უზრუნველყოს, საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან. ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა შეუწყონ საქართველოს პენიტენციური და სისხლის სამართლის სისტემების რეფორმათა განხორციელებაში და ყურადღება გააძლიერონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქმედებების უფექტური გამოძიების მნიშვნელობაზე, შეახსენონ რა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამდაგვარ გამოძიებათა ჩაუტარებლობა ძირს უთხრის საზოგადოების რწმენას ხელისუფლების მიერ კანონის უზენაესობის დამყარების ურყევ კურსში.

## ზოგადი ინფორმაცია

### საქართველოს პენიტენციური სისტემა

ეკროპის საბჭოს მოთხოვნების თანახმად,<sup>1</sup> საქართველოს პენიტენციური სისტემა იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურად 2000 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გადაეცა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალურად ციხეები 9 026 პატიმარს იტევს.<sup>2</sup> თუმცა, 2006 წლის ივნისის მდგომარეობით, ციხეებში 12 992 დაკავებული იყო. ამ დაკავებულთა თითქმის 63% წინასწარ პატიმრობაშია და გასამართლებას ელოდება.<sup>3</sup> ბოლო წლებში პატიმართა რაოდენობა სწრაფად – გასულ წელს 51%-ით, ხოლო ბოლო ორ წელიწადში 85.6%-ით – გაიზარდა.<sup>4</sup>

პენიტენციური სისტემა 16 მოქმედი დაწესებულებისგან შედგება, ციხის რესპუბლიკური და ქანის კოლონიის ფტიზიატრიული საავადმყოფოების ჩათვლით. პატიმარ ქალთა ქრთადერთი კოლონია თბილისში არსებობს. თბილისის გარეუბანში, ავჭალაში, არასრულწლოვანთა გამოსასწორებელი კოლონია, რომელშიც 18 წლამდე ასაკის პატიმრებს ათავსებენ. პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ქალები, არასრულწლოვანები, პირველად მსჯავრდებულები, უვადო თავისუფლებააღკვეთილები და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები ცალკე დაწესებულებებში უნდა იყვნენ მოთავსებულები. შიდს-ით და სხვა არამართვადი ინფექციური სენით დაავადებული პატიმრები კი ცალკე.

<sup>1</sup> საქართველო ეკროპის საბჭოს წერის 1999 წლის 27 აპრილი გახდა. ვერისაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში თავის №209 (1999) დასკანაში, რომელიც საქართველოს წევრობის განაცხადს ხებოდა, საქართველოს მისტერია, „გაწევრიანებითა სამი თვეს განმავლობაში პენიტენციალური სისტემაზე ზედამხედველობის, შინაგან საქმია სამინისტროდან იუსტიციისა სამინისტროში გაფასვლის შესახებ განონის მიღება და მდგრადი ექსი თვეს განმავლობაში, ამ ქანონის ეფექტურ ამოქმედების უზრუნველყოფა.“ „საქართველოს განაცხად ვერაპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ“, დასკან №209 (1999),

<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta99/eopi209.htm> (მოძიებულია 2006 წლის 27 ივნისს)

<sup>2</sup> იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ადგილთა რაოდენობა გამოთვლილა ციხის ოფიციალური ფართის, 373 209 კვადრატული მეტრის, საფუძველზე, მაგრამ სამინისტროს არ მოუწოდება ინფორმაცია ამ გაზიმვის მფორდის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკა, რომელიც „Human Rights Watch“-ს ხელთ აქვს.

<sup>3</sup> იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკა, რომელიც „Human Rights Watch“-ს ხელთ აქვს.

<sup>4</sup> იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც პენიტენციური სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრს წარედგინა, 2005 წლის ივნისში 8 600 დაკავებული აღირიცხა, რომელთაგან 50,6% წინასწარ პატიმრობაში იყო. პენიტენციური სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, „მსოფლიო პენიტენციური სისტემის მიმოხლევა საქართველოსთვის“,

[http://www.kcl.ac.uk/depsta/rel/cips/worldbrief/continental\\_asia\\_records.php?code=122](http://www.kcl.ac.uk/depsta/rel/cips/worldbrief/continental_asia_records.php?code=122) (მოძიებულია 2006 წლის 27 ივნისს). წამებისა და არადამიანური ან ღირსების შემთხვევით მოპერატორის ან დასჯის საწინააღმდეგო ეკროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) ინფორმაცით, 2004 წლის მისმი ვიზიტის დროს საქართველოში სულ 7 000 დაკავებული იყო, მასგან 40% - წინასწარ პატიმრობაში. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მასკონიასთვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისმდე წმებისა და არადამიანური ან ღირსების შემთხვევით მოპრობისა თუ დასჯის ეკროპული კომიტეტის ვიზიტის შესახებ“,

[http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.htmno\\_Toc78860819](http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.htmno_Toc78860819) (მოძიებულია 2006 წლის 6 მაისს).

სასჯელაღსრულების დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში,  
განცალკევებით არიან განთავსებულები.<sup>5</sup>

პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მსჯავრდებული  
პატიმრები სასჯელს სამიდან ერთ-ერთი ტიპის სასჯელაღსრულების  
დაწესებულებაში იხდიან; ესენია საერთო რეჟიმის დაწესებულება, მკაცრი  
რეჟიმის დაწესებულება და საპყრობილება. სასჯელაღსრულების  
დაწესებულებებში შეიძლება ერთი ან რამდენიმე რეჟიმი მოქმედებდეს. კანონში  
შეტანილი, 2006 წლის 1 ივნისს ამოქმედებული ცვლილების თანახმად,  
პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელი წყვეტს, თუ რა რეჟიმის მიხედვით  
მოიხდის პატიმარი სასჯელს. ამ ცვლილებამდე გადაწყვეტილებას სასჯელის  
ხანგრძლივობაზეც და სასჯელის მოხდის რეჟიმზეც მოსამართლე იღებდა.<sup>6</sup>  
მიუხედავად იმისა, რომ კანონი პატიმრობის შესახებ განსაზღვრავს თითოეული  
რეჟიმის პირობებსა და უფლებებს, "Human Rights Watch"-ის კვლევები  
კანონის ამ დებულებებსა და ციხეებში არსებულ რეალობას შორის  
მნიშვნელოვან შეუსაბამობაზე მიუთითებს (როგორც ეს ქვემოთ არის  
აღწერილი). კანონის თანახმად, პირველად ნასამართლევ პატიმრებს,  
რომელიც სასჯელს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ან გულგრილობის ან  
გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო იხდიან, აგრეთვე, პატიმარი  
ქალები, სასჯელს საერთო რეჟიმის მიხედვით იხდიან. ეს რეჟიმი  
ითვალისწინებს პატიმრების ისეთ საერთო სივრცეში მოთავსებას, როგორიც  
ბარაკი ან საერთო საცხოვრებელია, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის  
დადგენილი; ასევე, ითვალისწინებს პატიმრის თავისუფალ გადაადგილებას  
დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით, და  
ყოველთვიურად არა უმეტეს ორი პაემნის უფლებას.<sup>7</sup>

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის პირველად მსჯავრდებული პატიმრები  
დანაშაულის რეციდივის და საშიში რეციდივის დროს მკაცრი რეჟიმის  
მიხედვით იხდიან სასჯელს. კანონის თანახმად, მკაცრი რეჟიმის პატიმრებიც  
საერთო საცხოვრებელ სივრცეში უნდა იყვნენ მოთავსებულები, თუ შიდა  
შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი; ასეთ პატიმრებს  
დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად მოძრაობის უფლება აქვთ; ასევე,  
ახლობლებს მათი მონახულება თვეში ერთხელ შეუძლიათ; გამონაკლისია  
რეციდივისტები, რომლებსაც პაემნის უფლება მხოლოდ ორ თვეში ერთხელ  
ეძლევათ.<sup>8</sup>

<sup>5</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისს შესწორებით, 22-ე მუხლის 1-2 პუნქტები. საქართველოს სტანდარტები გმბჰ შიდა-თ ინფიცირებული პატიმრების იზოლირების პრაქტიკას. მაგალითთავ,  
„წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საზოგადო აღნიშვნას, რომ პატიმართ მხოლოდ შიდა-თ ინფიცირებულობის  
მოტივით სეგვერეციას სამედიცინო თვალსაზრისით გამართლება არა აქვს.“ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი,  
„წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი ანგარიშების  
ძირითადი ნაწილები,“ CPT/Inf/E (2002) 1-Rev. 2004, <http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards-prnr.pdf> (მოძიებულია 2006 წლის 6 მაისს), გვ. 26, 31-ე პუნქტი.

<sup>6</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისს შესწორებით, მე-19 მუხლის 1-ლი  
პუნქტი.

<sup>7</sup> იქვე, 73-ე მუხლის 1-3 პუნქტები. როგორც ქვემოთ არის აღწერილი, პატიმრობის შესახებ კანონის 2006  
წლის 1 ივნისს ცვლილებით მკაცრიდა შემცირდა პატიმრების მიერ პაემნების რაოდნობა ყველა ტიპის  
რეჟიმისთვის. იხილეთ ქვემოთ „პაემნებისა და კორესპონდენციის სისტემი.“

<sup>8</sup> იგვე, 74-ე მუხლის 1-4 პუნქტები.

ყველაზე მკაცრი რეჟიმი საპყრობილის რეჟიმია და იგი იმ ტუსაღებზე ვრცელდება, რომელიც მსჯავრდებული არაან უვადო თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს და იმ პირებზე, რომლებმაც დანაშაული პატიმრობის დროს ჩაიდინეს.<sup>9</sup> თავად საპყრობილის რეჟიმი თრ სახედ იყოფა: საერთო და მკაცრ რეჟიმებად. საპყრობილის საერთო რეჟიმის მიხედვით პირველად მსჯავრდებულ პატიმრებს ან იმ ტუსაღებს, რომლებიც ციხის მკაცრი რეჟიმიდან გადმოიყვანეს, მაქსიმუმ, ოთხადგილიან საკნებში ათავსებენ. კანონის მიხედვით, საკნებზე ვიზუალური დაკვირვება ხორციელდება.<sup>10</sup> პატიმრებს დღეში ორსათიანი გასეირნების და ახლობლებთან წელიწადში მაქსიმუმ სამი პაემნის უფლება აქვთ.<sup>11</sup> ყველაზე საშიში დამნაშავები, მათ შორის რეციდივისტები ან პატიმრობის დროს დანაშაულის ჩამდენები, სასჯელს საპყრობილის მკაცრი რეჟიმით იხდიან. საკანში, რომელშიც ერთი ან ორი მსჯავრდებულია, ასევე ხორციელდება თვალთვალი. პატიმრები, რომლებიც ამ რეჟიმით იხდიან სასჯელს, მხოლოდ ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რომელიც არ საჭიროებს საკიდან გამოსვლას. მათ დღეში ერთსათიანი გასეირნების და ციხის აღმინისტრაციის მეთვალყურეობით წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი პაემნის უფლება აქვთ.<sup>12</sup>

კანონის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები ცალკე დაწესებულებაში უნდა იყვნენ მოთავსებულები. სინამდვილეში ყოველთვის ასე არ ხდება. ეჭვმიტანილებს და მსჯავრდებულ პატიმრებს ზოგჯერ ერთსა და იმავე დაწესებულებაში, ერთსა და იმავე საკანშიც კი ათავსებენ.<sup>13</sup> კანონით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები ჩაეტილ საკნებში უნდა მოთავსდნენ და, 2006 წლის 1 ივნისს ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, მათ სპეციალური ტანსაცმელი უნდა მიეცეთ. კანონი არ განსაზღვრავს იმ უფლებების ტიპსა და მოცულობას, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ეძლევათ.<sup>14</sup>

<sup>9</sup> იქვე, 75-ე მუხლის 1 პუნქტი. სამუდამო პატიმრებზე სპეციალური წესები ვრცელდება: ისინი დახურულ, ინდივიდუალურ საქნებში არიან მოთავსებულები, რომელზეც მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებაა შესაძლებელი; მათთვის წელიწადში თხოვა გაზიტია დაშვებული; მათ ერთადებათ იმ პატიმრებთან ურთიერთობა, რომლებსაც არა აქვთ სამუდამი პატიმრობა მისჯილი; მათ ერთ კოცელები დისკიდონების სასევლი, მათ მრის საყვალეური, კირუსპონდენციის მიღება-გაზარდის აქრძალვა და სპეციალური უფლებების საკაში მოთავსება. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, შესწორებული 2006 წლის 1 ივნის, 77-ე მუხლი.

<sup>10</sup> პრიციპი, პატიმრის საკანზე 24-სათიანი თვალთვალი პირადი ცხოვრების პატივისცმის უფლების დარღვევა, ანუ იმ უფლების დარღვევა, რომელიც ადამიანის უფლებათა ერთობული სასამართლოს დასკნით, პატიმარის მაშინაც კი უნარზედება. როდესაც მასზე გარკვეული შეზღუდვები ვრცელდება (იხ. მგაღითად, სილვრი და სხვგა ვარიანტებული სამუშაოს წინადაღება, 1983 წლის 25 მარტის გავაწყებულება, სრია ა № 61; და ფრ. კი. კა კი. იმით გაურთანხმული სამუშაოს წინადაღება, № 44787/9, 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება). როდესაც ასეთი თვალთვალი მუდმივად ან სანგრძლივად პერიოდის განმავლობაში ხორციელდება, და ამისთვის არ ასებობს კონკრეტული არგუმენტი, რომ ეს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისგან ტუსაღის დაცვის მიზნით ექიდება, თვალთვალი შეიძლება, არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელმუხებლივის უფლების გაუმართებელ დაზღვევად, არამედ დირსების შეძლახელ მოპროტოლაცი ჩაითვალოს. "Human Rights Watch"-მა დაავიქტარა მირალური ტანკევა და ფიზიკური ამღიღლება იმ რამდენიმე პატიმარში, რომლებიც საკანზე 24-სათიანი მეთვალყურეობის ქვეშ იყნენ. "Human Rights Watch"-ის იტერვაუბი პატიმრებთან (სახელები და დეტალური ინფორმაცია განვითარება).

<sup>11</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისს შესწორებებით, 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 79-ე მუხლის 1-4 პუნქტები.

<sup>12</sup> იქვე, 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-80 მუხლის 1-4 პუნქტები.

<sup>13</sup> იქვე, 85-ე მუხლი.

<sup>14</sup> იქვე, 86-ე და 92-ე მუხლები.

დღიდ ხანა, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შემუშავებას გამოთქვამენ საქართველოს ციხეებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით და მიუთითებენ მთავრობის უუნარობაზე, მოაგვაროს პრობლემები. მაგალითად, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემდანართები მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის დელეგაციამ, რომელიც საქართველოს ჯერ 2001 წლის მაისში, ხოლო შემდეგ 2003 წლის ნოემბერსა და 2004 წლის მაისში ესტუმრა, თავის პირველ ანგარიშში განაცხადა: „... მე-5 საპყრობილის პატიმართა უმრავლესობა ისეთი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებას განიცდიდა – გადატვირთული საკები, გაუსაძლისი ფიზიკური პირობები და ჰიგიენის სავალალო დონე, სამედიცინო მომსახურების დიდი ნაკლებობა, აქტივობის პროგრამების არარსებობა – რომელთა ერთობლივი შედეგი ადვილად შეიძლება დახასიათდეს არაადამიანურ და ღირსების შემდანართ მოპყრობად“<sup>15</sup> ამ კომიტეტმა 2004 წლის ანგარიშში აღნიშნა: „სამწუხაოდ, ფაქტები, რომლებიც მეორე პერიოდული ვიზიტის დროს ვიზილეთ, იმაზე მიუთითობს, რომ იმ რეკომენდაციათა უმეტესობა, რომლებიც 2001 წლის ვიზიტის შემდეგ ხელისუფლებას შევთავაზეთ, არ შესრულებულა, ზოგ ასაქეტში კი მდგომარეობა უფრო გაუარესდა კიდეც“<sup>16</sup>

საქართველოში 2005 წლის თებერვალში ვიზიტის შემდეგ გაერო-ს საგანგებო მომხსენებელმა წამების საკითხებზე, მანფრიდ ნოვაკმა, ასევე აღნიშნა დაკავებულთა მძიმე პირობები და მთავრობას სიტუაციის გასაუმჯობესებლად რამდენიმე რეპონდენტია შესთავაზა.<sup>17</sup>

ორგანიზებული დანაშაული საქართველოში

საქართველოში ორგანიზებული დანაშაული სერიოზულად არ არის შესწავლილი. არსებულთაგან ყველაზე სრულყოფილი კვლევა ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის საქართველოს ოფისმა 2004 წელს გამოიწვია.<sup>18</sup> ამ ცენტრის მკაფიოებელი არის საქართველოს მთავრობის მეცნიერებებისა და კულტურის მინისტრი.

<sup>15</sup> წატების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წატების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში“ საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრისდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წატებისა და არადამატანური ან დარსხების შემდლაცველი მოპყრიბისა თუ დასხვის ეროვნული კომიტეტის ვიზიტის შესახებ, (სტრასბურგი, 2002 წლის 25 ველისი),

[http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.htmno\\_.Toc78860819](http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.htmno_.Toc78860819) (მოძიებულია 2006 წლის 6 მარტს).

<sup>16</sup> წამებით საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამებით საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წამებისა და არააღმაშიანური ან ღირსხის შემდლაზე დოკუმენტის ურთისეული კომიტეტის ვაზიზე მეცნიერებას შესახებ“.

<sup>17</sup> „სამოქალაქო და პროლიტიკური უფლებები, მათ შორის: წამებისა და დაკავების საკითხები, საგანგებო მიმსმენებლის, მანჯურებ ნიკავის ანგარიში წამების და სხვა სასტიკი, არააღმაშიანური ან ღირსხის შემდლაზე დოკუმენტის ან დასვენების შესახებ, საქართველოში განხილული მისა:“ გვერო-3 ეკონომიკური და სოციალური საბჭო, E/CN.4/2006/6/Add.3, 2005 წლის 23 სეტემბერი, აღმარისის უფლებათა კომისიის 62-ე მუხლები.

<http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/G05/160/45/PDF/G0516045.pdf?OpenElement> (მოძიებულია 2006 წლის 5 მაისი)

<sup>18</sup> გ. ღლონტი და გ. ღლონტინიძე, „პროექტისონალური დანაშაული საქართველოში: განზიერი ქურდები“, (რუსულ ენაზე), აქტივული უნივერსიტეტის ტრანსკონფინანსური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის საქართველოს ოფიციალური მიზანი, თბილისი, 2004, <http://www.tracc.cdn.ge/publications/index.html> (მოძიებულია 2006 წლის 2 მაისს). ტრანსკონფინანსური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის საქართველოს ოფიციალური მიზანი არასამაგრობრივი კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც ასოცირებულია ამერიკული უნივერსიტეტების ტრანსკონფინანსური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრისათვის გაშენებული მდგრადი, კოლეგიანის ლექტ.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ფესვებს მე-16 საუკუნეში მიაგნეს. ორგანიზებული დანაშაული საკმაოდ მასშტაბური იყო რუსეთის იმპერიაშიც, რომლის ნაწილიც საქართველოც იყო, ხოლო საბჭოთა პერიოდის აღრეულ წლებში საქართველოში ბევრმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა მოიყარა თავი.<sup>19</sup> მთელ საბჭოთა კავშირში მიმობნეულ სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებას შერის რამდენიმეწლიანი დია დაპირისპირების შემდეგ კრიმინალთა ერთი კატეგორია, ე.წ. „კანონიერი ქურდები“, კრიმინალური იერარქიის სათავეში მოექცნენ, საგარაულოდ 1930-იან წლებში.<sup>20</sup> ისინი გამოირჩეოდნენ საბჭოთა პოლიტიკურ რეჟიმთან იდეოლოგიური დაპირისპირებით და იცავდნენ მკაცრ, დაუწერელ კანონებს.<sup>21</sup> სტალინის მმართველობის პერიოდში მათი რაოდენობა და გავლენა შემცირდა, მაგრამ პოსტ-სტალინურ დათბობის პერიოდში მათ გავლენის გაძლიერება დაიწყეს, რაც 1970-80-იან წლებშიც გრძელდებოდა,<sup>22</sup> განსაკუთრებით საქართველოში.<sup>23</sup> ისარგებლეს რა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსით, კანონიერი ქურდები გავლენიან ძალად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, მათ კიდევ უფრო მეტი სოციალური და ეკონომიკური ძალაუფლება მოიპოვეს.<sup>24</sup> ერთ-ერთ აკადემიურ კვლევაში აღნიშნულია, რომ 2003 წლისთვის საქართველოში 364 კანონიერი ქურდი იყო.<sup>25</sup> ისინი ასოციალებიან სხვადასხვა დანაშაულთან, მათ შორის ტრეფიკინგთან, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბადასთან, ადამიანთა გატაცებასთან, საქონლის კონტრაბადასთან, რეკეტისა და შავ ბაზარზე საქმიანობასთან.<sup>26</sup>

### **ორგანიზებული დანაშაული საქართველოს პენიტენციურ სისტემაში**

საუკუნეზე მეტი წელის განმავლობაში – რუსეთის იმპერიის წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის პერიოდში და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში – ორგანიზებული დანაშაული გაბატონებული იყო პენიტენციურ სისტემაში. მე-20 საუკუნის ადრეულ პერიოდში კრიმინალური ავტორიტეტები აკონტროლებდნენ რუსეთის იმპერიულ პენიტენციურ სისტემას და მას „კრიმინალურ აკადემიად“, ანუ კრიმინალური წესების გავრცელებისა და

რომელიც ასწავლის, იკვლევს, ატარებს ტრენინგებს და ამუშავებს სტრატეგიულ რჩევებს ტრანსაციონალური დანაშაულის, კორუფციისა და ტერორიზმის კვლევის საკითხებთან დაკავშირებით.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 13-20.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 22-24.

<sup>21</sup> ერთ-ერთი კვლევის მიზანით, ფუნდამენტური კანონებია: 1. კანონიერი ქურდების დეფის ერთგულება და შარდაფერა; 2. სამრთალოდმცვა ორგანოებთნ კონტაქტების არარესტი; 3. სხვა კანონიერ ქურდების და კრიმინალურ აგტიორიტეტებთან პატიოსანი ურთიერთობის; 4. კალიბრებულება, ქურდების წრეში შემოიფარის ასალი, განსაკუთრებით ახლავაზრდა წევრები; 5. პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა; 6. პანიტენციურ სისტემაში წესიგის გაკონტროლება და იქ კანონიერი ქურდების ძალაუფლების დამტკრება; 7. ანგის თამაშის სავალდებულო ცოდნა. იქვე, გვ. 61-62.

<sup>22</sup> კალერი აბრამკინი და ვალენტინა ჩესნოკოვა. „ციხის კანონი“, პენიტენციური რეფორმის მოსკოვის ცენტრი. <http://www.prison.org/nravy/zakon/next.htm> (მოძებულია 2006 წლის 27 ივნისს).

<sup>23</sup> ღლონტი და ღობეანიძე, „პროფესიონალური დანაშაული საქართველოში“, გვ. 30.

<sup>24</sup> იქვე გვ. 41.

<sup>25</sup> იქვე გვ. 117.

<sup>26</sup> „ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პროცესი“, ტრანსაციონალური დანაშაულისა და კორფუციის ცენტრი, <http://www.tracc.ge/publications/publication2.html> (მოძებულია 2006 წლის 5 მაისს).

ახალი წევრების მოსაზიდად იყენებდნენ. ციხის ცხოვრება მკაცრი იერარქიისა და კრიმინალური სამყაროს კანონებისა და წესების მიხედვით იმართებოდა.<sup>27</sup> ამ სისტემაში ფუნქციონირება საბჭოთა პერიოდშიც განაგრძო და კანონიერი ქურდები, რომლებმაც თავიანთი ძალაუფლება გააძლიერეს, საბჭოთა პენიტენციური სისტემის – გულაგის – სათავეშიც მოუქცნეს. 1940-1950-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მცდელობას, შებრძოლებოდა კანონიერ ქურდებს, შედეგად მოჰყვა ერთის მხრივ, მრავალი კანონიერი ქურდის დახვრეტა და, მეორეს მხრივ, ციხეებში კანონიერი ქურდების მზარდი კონცენტრაცია.

დაშინების, იძულებისა და კოოპტაციის მეშვეობით კანონიერი ქურდები უსაზღვრო გავლენას ინარჩუნებდნენ პატიმრებსა და ციხის აღმინისტრაციაზე. საქართველოს ომბუდსმენის ინფორმაციით, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომლის წინაშეც 2004-2005 წლებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იდგა, იყო ის, რომ კანონიერი ქურდები „სრულად აკონტროლებდნენ პროცესებს ციხეებში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ციხეებიდან აკონტროლებდნენ გარეთ მიმდინარე პროცესებსაც“.<sup>28</sup> კანონიერი ქურდები, გადმოცემით, მრავალი პრივალეგიით სარგებლიობდნენ, მათ უკეთესი ოთახები, ავეჯი, საკვები, მობილური ტელეფონები, ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკები ჰქონდათ, თავისუფლად დადიოდნენ როგორც ციხის შიგნით, ასევე ციხიდან ციხეში და ზოგჯერ მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად საჯაროდაც კი ჩნდებოდნენ.<sup>29</sup> კანონიერი ქურდები, აგრეთვე, ფულს სძალავდნენ პატიმრებს<sup>30</sup> და შეეძლოთ ციხეში მკველობები და სხვა დანაშაული ჩაედინათ იმათ დასასჯელად, ვინც მათ ძალაუფლებას არ ემორჩილებოდა.<sup>31</sup> ციხეებში ამ “წესრიგს” კანონიერი ქურდები მათი გარეთ მყოფი თანამზრახველებისაგან მიღებული მნიშვნელოვანი დახმარებით ინარჩუნებდნენ.<sup>32</sup>

<sup>27</sup> ღლონტი და ლობჟანიძე, „პროფესიონალური დანაშაული საქართველოში“, გვ. 14.

<sup>28</sup> სხვა ორი ცნოტრალური პრობლემა, რომელიც ობიექტება არის „საყოველთაო კორუფცია“ და „ნარკოტიკების აბსოლუტურად უკანტროლო, უსაზღვრო მიწოდება როგორც ცახის აღმინისტრაციის, ისევე კრძინალების მრიობა“. სოზერ სუბარი, საქართველოს სახალხო დამკველი (ომბუდსმენი). „სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“. აღმინის უფლებათა დაცვის საპარალამენტის წინაშე გაქოტებული მოსხეებია, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>29</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, საქართველოს სახალხო დამკველთან (ომბუდსმენთან). თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>30</sup> მკვლევართა ინფორმაციით, ეს პრაქტიკა კანონიერი ქურდების კანონებით არის დამკვიდრებული, რომელიც ავალიდულებს კანონიერ ქურდებს მათი კოლექტურია სიმღერის გაზრდას პატიმრებისგან და სკეპტიკიზმის მოწინავით. ასევე ეს პრაქტიკა დამკვიდრებულია ციხის არაფორმალური კანონით, რომელიც პატიმრებისგან საერთო ფონზე შემწირულების შეტანის მოითხოვს. ღლონტი და ლობჟანიძე, „პროფესიონალური საქართველოში“, გვ. 62-63 და 75; და სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამკველი (ომბუდსმენი), „სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“. აგრეთვე, ღლონტი და ლობჟანიძე, „პროფესიონალური დანაშაული საქართველოში“, გვ. 63.

<sup>31</sup> ასეთ მოვლენებში ხელისუფლება ხშირად მონაწილეობს. მაგალითად, ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა - მე-9 საყურადღის პატიმრი, ზურაბ ცინცაბაძე, საკანონი მკაფიობელი ასოციელი, რაზეც ხელისუფლება აცხადება, რომ მან თავი ჩამოიხრია. თუმცა სამხილეში იმაზე მოუთოვთბენ, რაზეც ხელისუფლება აცხადება, რომ მან მოთხოვნილი თანხა ვერ გადაიხსდა. სოზერ სუბარი, საქართველოს სახალხო დამკველი (ომბუდსმენი), „სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“. აგრეთვე, ღლონტი და ლობჟანიძე, „პროფესიონალური დანაშაული საქართველოში“, გვ. 63.

<sup>32</sup> ღლონტი და ლობჟანიძე, „პროფესიონალური დანაშაული საქართველოში“, გვ. 12.

## **ხელისუფლების ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან**

1980-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მცდელობებით დაწყებული, საქართველოს მთავრობამ არაერთხელ სცადა კანონიერი ქურდების გავლენისა და ძალაუფლების შესუსტება. 1995 წლის ეღუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო, რომელიც მთელი მისი პრეზიდენტობის პერიოდში მიმდინარეობდა. ბევრი დააპატიმრეს, ბევრი კი ითულებული იყო, საქართველო დაეტოვებინა და, უმთავრესად, რუსეთში გაქცეულიყო. ამ კამპანიაში მნიშვნელოვანი როლი მიხეილ სააკაშვილმა, როგორც იუსტიციის მინისტრმა, შეასრულა, რომელსაც ეს თანამდებობა 2000 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის სექტემბრამდე ეკავა.<sup>33</sup> 2004 წელს პრეზიდენტად არჩევისთანავე სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა გამოაცხადა.<sup>34</sup> მიუხედავად ამისა, საქართველო არ მიერთებია კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობას და მხოლოდ 2003 წლის მაისში, შევარდნაძის მმართველობის დროს, მოახდინა კორუფციის შესახებ ევროპის საბჭოს სამოქალაქო სამართლის კონვენციის რატიფიცირება.<sup>35</sup>

2005 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად ახალი კანონმდებლობა მიიღო და მთავრობამ დაიწყო პრაქტიკული თუ საკანონმდებლო ზომების გატარება კანონიერი ქურდების, პატიმრობაში მყოფთა ჩათვლით, ძალაუფლების აღმოფხვრის მიზნით. ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონზე ხელმოწერის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა: „ციხეებში კრიმინალური ავტორიტეტების თარეშს ერთხელ და სამუდამოდ მოვულებთ ბოლოს“.<sup>36</sup> ახალი პოლიტიკის გასატარებლად სააკაშვილმა დანიშნა იუსტიციის ახალი მინისტრი, გია ქავთარაძე, და

<sup>33</sup> იხ. დიმიტრი ბიტ-სულეიმანოვი, „საქართველოს ანტიკორუფციული კამპანია გადაწყვეტ ფაზაში შედის“, *EurasiaNet*, 2001 წლის 11 აპრილი,

<http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav041101.shtml> (მოძიებულა 2006 წლის 26 მაისს).

<sup>34</sup> იხალვთ, „მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში“, 2004 წლის 4 თებერვალი, <http://www.president.gov.ge/?!E&m=0&sm=3&id=151> (მოძიებულა 2006 წლის 30 ივნისი) და „პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დოკუმენტი აღლუმშე“, 2004 წლის 26 მაისა, <http://www.president.gov.ge/?!E&m=0&sm=3&id=151> (მოძიებულა 2006 წლის 30 ივნისი). გარდა ამისა, 2004 წლის ივნისში სააკაშვილი დაეთანხმა დიდი რეანის ქვეყნის, დაწყო სპეციალური ღონისძიებების გატარება კორუფციის წინააღმდეგ შეიარაღების: „ამშენებლების ხელშეწყობისა და კორუფციის დამატების შესახებ შეიანბების: დადი რვანისა და საქართველოს შეინარჩუნავის ახალი პარტნიორისა“ ფრაგმენში, <http://www.mofa.go.jp/policy/economy/summit/2004/compact-4.pdf> (მოძიებულა 2006 წლის 27 ივნის)

<sup>35</sup> გარო-ს 2003 წლის კონვენციაზე კორუფციის წინააღმდეგ საქართველოს არც ხელი მოუწერა და არც მისი რატიფიცირება მოუხდება; იხალვთ, [http://www.unodc.org/unodc/en/crime\\_signatures\\_corruption.html](http://www.unodc.org/unodc/en/crime_signatures_corruption.html). 2000 წლის დეკემბერის საქართველომ ხელი მოაწერა გაერო-ს კონვენციას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მოუხდება; იხ. <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/173.htm>. 2003 წლის მაისში საქართველომ მოახდინა კორუფციის შესახებ ევროპის საბჭოს სამოქალაქო სამართლის კონვენციის რატიფიციის რატიფიცირება, იხ.

[http://www.unodc.org/unodc/crime\\_cicp\\_convention.html](http://www.unodc.org/unodc/crime_cicp_convention.html). 1999 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენციას კორუფციის შესახებ, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მოუხდება; იხ. <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/174.htm>.

<sup>36</sup> „საქართველოს ლიდერი ხელ აწერს კანონპროექტს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ.“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ტექსტი, ტელეკომპანია „იმედი“ (ქართულ ენაზე), 2005 წლის 29 დეკემბერი.

პენიტენციური სისტემის ახალი ზელმდგანელი, ბაზო ახალია, რომელიც მანამდე ობიექტინის მოადგილე იყო. მას შემდეგ ციხეების ყველა მაღალმდინარე გაათავისუფლეს და, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლებით ჩაანაცვლეს.<sup>37</sup> 2005 წლის დეკემბრის დასაწყისში ადმინისტრაციამ ყველა სავარაუდო კანონიერი ქურდი საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, მდებარე მე-7 საპყრობილები გადაიყვანა, სავარაუდოდ, მათი გაკონტროლებისა და ძალაუფლების შემცირების მიზნით. კანონიერ ქურდებს, სავარაუდოდ, ყველა პრივილეგია ჩამოერთვათ.

---

<sup>37</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ მერი მერიუსთან, “Penal Reform International”, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშს საფუძვლად უდევს “Human Rights Watch”-ის მკვლევარების ორკვირიანი ვიზიტი საქართველოში 2006 წლის მაისში და დამატებითი ვრცელი კვლევა. იუსტიციის სამინისტრომ “Human Rights Watch”-ს მისცა შესაძლებლობა, მოწახულებინა რამდენიმე პენიტენციური დაწესებულება. მკვლევარებმა დაათვალიერეს სულ ექვსი დაწესებულება: წინასწარი პატიმრობის მე-5 და მე-7 საპყრობილებები თბილისში; ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო თბილისში; წინასწარი პატიმრობის ახალი მე-6 საპყრობილე და 1-ლი საპყრობილე რუსთავში, თბილისიდან დაახლოებით 20 კილომეტრით სამხრეთით მდგბარე ქალაქში,<sup>38</sup> და წინასწარი პატიმრობის/საერთო რეჟიმის ახალი, კომბინირებული მე-2 საპყრობილე დასავლეთი საქართველოს ქალაქ ქუთაისში. “Human Rights Watch”-ი არ ყოფილა ქალთა ციხეში ან არასრულწლოვანთა ციხეში, მაგრამ მისი მკვლევარები გაესაუბრნენ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ქალებსა და ბავშვებს ზოგიერთ იმ დაწესებულებაში, სადაც იყვნენ.

მიუხედავად არაერთი თხოვნისა, იუსტიციის სამინისტრომ უარი უთხრა “Human Rights Watch”-ის მკვლევარებს ქართულად შედგენილ წერილობით ცნობაზე, რომ მათ ჰქონდათ ციხეების მონახულების უფლება, რომელსაც ისინი წარუდგენდნენ ციხეების ადმინისტრაციას დაწესებულებაში შესვლის მცდელობისას. შედეგად ბევრ დაწესებულებაში შესვლისას დაახლოებით ერთი საათის დაყოვნებას ჰქონდა ხოლმე ადვილი. ყოველ დაწესებულებაში შესვლის საშუალების მოსაპოვებლად “Human Rights Watch”-ის მკვლევარებს უხდებოდათ დარეკვა იუსტიციის სამინისტროს ან სასკელაღსრულების დეპარტამენტის ერთ ან მეტ ოფიციალურ წარმომადგენელთან, რომელიც ციხის ადმინისტრაციას მკვლევართა დაშვებას დაავალებდა. სულ მცირე სამ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა “Human Rights Watch”-ის მკვლევარებს განუცხადეს, რომ მათი მისვლის მომენტში ციხეში მიმდინარეობდა შემოწმება ან მორიგეობა ცვლა, რაც დაყოვნების მიზეზი იყო. “Human Rights Watch”-ისთვის ნათელი არ იყო, ეს განცხადებები დროის განგებ გაწელვას ემსახურებოდა, თუ მართლა ხდებოდა შემოწმება ან მორიგეობა ცვლა იმ მომენტში. მე-2 საპყრობილეში და რუსთავის წინასწარი პატიმრობის მე-6 საპყრობილეში “Human Rights Watch”-ის მკვლევარები საქართველოში ევროპის უშიშროებისას და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისიის წარმომადგენელთან (რომელიც ახორციელებს საპატიმროების რეგულარულ მონიტორინგს) ერთად მივიღნენ.

<sup>38</sup> 2004 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა კერიკომისას დახმარებისათვის სწრაფი რეაგირების მქენიშის ფარგლებში, რათა დაესრულებინა რუსთავის მე-6 საპყრობილის შენებლობა და ჩაეტარებინა მისი მომავალი პერსონალის ტრენინგი. პროექტი გაერთ-ს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად განხორციელდა.

“Human Rights Watch”-ის მკვლევარები ცალ-ცალკე ესაუბრნენ 110 დაკავებულ პირს და ყოფილ პატიმარს. იმ პატიმრებმა, ვინც “Human Rights Watch”-ს გაესაუბრა, ეს საკუთარი ნებით და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მარტო, სხვა პატიმრების ან მცველების დაუსწრებლად გააკეთეს. ზოგმა პატიმარმა უარი თქვა “Human Rights Watch”-თან საუბარზე. ყველა დაწესებულებაში, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს გარდა, ციხის აღმინისტრაცია აქტიურად ეწინააღმდეგებოდა “Human Rights Watch”-ის მკვლევარების მცველობებს, პატიმრებს სხვების დაუსწრებლად გასაუბრებოდნენ. ეს ხდებოდა მიუხედავად აღმინისტრაციის მიმართ მკვლევარების არაერთი თხოვნისა, ნება დაერთოთ, პატიმრებს პირისპირ გასაუბრებოდნენ. ერთ-ერთ დაწესებულებაში ციხის აღმინისტრაციის წარმომადგენელი დიად დაემუქრა პატიმარს, რომელსაც სურდა “Human Rights Watch”-ის მკვლევარებთან გასაუბრება. პატიმართა გვარები და, ზოგ შემთხვევაში, ინტერვიუს ჩატარების დრო და ადგილი განგვევა არ არის მითითებული, რათა დაცული იყოს იმ პატიმართა ანონიმურობა, ვინც გაესაუბრა “Human Rights Watch”-ის მკვლევარებს. “Human Rights Watch”-ი განსაკუთრებით შეშფოთებულია პატიმართა უსაფრთხოების საკითხთ, ვინაიდან წარსულში ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, გაერკვია იმ პირთა ვინაობა, ვინც ელაპარაკა “Human Rights Watch”-ს და სხვა ორგანიზაციებს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რესპონდენტი პირები საგანგებოდ ითხოვდნენ ანონიმურობას.

“Human Rights Watch”-ის მკვლევარები გაესაუბრნენ, აგრეთვე, ციხეების აღმინისტრაციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე სახალხო დამცველს და იუსტიციის სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღასრულების დეპარტამენტის თანამდებობის პირებს.

## საქართველოს საერთაშორისო გალდებულებები

საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და ხელი აქვს მოწერილი აღამინის უფლებების სფეროში საბჭოს როგორც ძირითად რეგიონულ შეთანხმებებზე, ისე ძირითად საერთაშორისო შეთანხმებებზე. ამ შეთანხმებებს შორის არის აღამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, <sup>39</sup> წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის შესახებ ევროპული კონვენცია, <sup>40</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის წინააღმდეგ (წამების საწინააღმდეგო კონვენცია) <sup>42</sup> და ბავშვის უფლებათა კონვენცია. <sup>43</sup> ეს შეთანხმებები ითვალისწინებს ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას და, აგრეთვე, საგანგებო გარანტიებს, რომლებიც შეეხება პატიმრობის პირობებს თავისუფლებადგვეთილი პირებისათვის, მათ შორის არასრულწლოვანთათვის. ამ გარანტიებს ემატება ასევე სხვა ინსტრუმენტებიც, რომლებიც ეხება დაკავებული პირების მიმართ მოპყრობას. ამ ინსტრუმენტებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

პატიმართა და სხვა დაკავებულ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ პირებს პატიმრობაშიც უნდა ჰქონდეთ აღამინის უფლებათა სამართლით გარანტირებული ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება, გარდა თავისუფლების უფლებას. პატიმარი არ კრგავს თავის უფლებებს მხოლოდ მსჯავრდების შემდეგ დაპატიმრებული პირის სტატუსის მიღების გამო. როგორც ევროპის საბჭოს ევროპის პენიტენციურ წესებში ნათებამი, თავისუფლების აღკვეთა თავად წარმოადგენს სასჯელს. ამიტომ თავისუფლების აღკვეთის პირობებმა და ციხეში არსებულმა რეჟიმმა არ უნდა დაამძიმოს ამ სასჯელის თანმდევი ტანკვა, გარდა იმისა, როდესაც ის თან სდევს გამართლებულ იზოლაციას ან დისციპლინის დაცვის აუცილებლობას. <sup>45</sup> პატიმართა უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა

<sup>39</sup> აღამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 213 U.N.T.S. 222, ძლიაში შევიდ 1953 წლის 3 სექტემბერი, შესრურებულია № № 3, 5, 8 და 11 ოქტომბერი, რომელიც ძლაში შევიდა 1970 წლის 21 სექტემბერს, 1971 წლის 20 დეკემბერს, 1990 წლის 1 ანგურს და 1998 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს მიერ 1999 წლის 20 მაისს იქნა რატიფიცირებული.

<sup>40</sup> წამებისა და არაადამინური და ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის შესახებ ევროპული კონვენცია, E.T.S. 126, ძლიაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს, საქართველოს მიერ 2000 წლის 20 ივნისს იქნა რატიფიცირებული.

<sup>41</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მიღებული იქნა 1966 წლის 16 დეკემბერს, G.A. Res 2200A (XXI), 999 U.N.T.S. 171 (ძლიაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს), საქართველოს მიერ 1994 წლის 3 აგვისტოს ივნისს იქნა რატიფიცირებული.

<sup>42</sup> გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის წინააღმდეგ, მიღებული და ხელმისაწვდომის რატიფიცირებისა და მიზროვებისთვის გახსნილი იქნა განერალური ასამბლეის № 39/46 რეზოლუციით (ძლიაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს), საქართველოს მიერ 1994 წლის 26 ოქტომბერს იქნა რატიფიცირებული.

<sup>43</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 44/25, დანართი, 44 U.N GAOR Supp. (No. 49) ვგ. 167, U.N. Doc. A/44/49 (1989), ძლიაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს მიერ 1994 წლის 2 ივნისს იქნა რატიფიცირებული.

<sup>44</sup> იხ., მაგალითად, საქეთ პარსტი გაურთისებული სამუშაოს წინააღმდეგ (no. 2), no. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>45</sup> ევროპის პენიტენციურ წესები (ევროპის საბჭოს რეკომენდაცია № R (87)3), წესი 64. იხ., აგრეთვე, გაურო-ს პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმუმური წესები (სტანდარტული მინიმუმური წესები), მიღებული დანაშაულის პრევენციისა და დამაშვეთა მიმართ მოპყრობის შესახებ უწევაში 1955 წელს გამართულ

თავისუფლების აღკვეთის შედეგად გამართლებული უნდა იყოს, მაგალითად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, კარგად დასაბუთებული მოსაზრებებით.

პატიმართათვის უზრუნველყოფილი დაცვის ყველაზე არსებითი გარანტიაა წამების აბსოლუტური აკრძალვა. წამების აკრძალვა წარმოადგენს საერთაშორისო სამსროლის (რომელიც საქართველოზეც ვრცელდება) დამკიდრებულ ნორმას, გარდა ამისა, ის გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაშიც და ადამიანის უფლებათა რამდენიმე შეთანხმებაშიც, რომლებზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი.<sup>46</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტიც და წამების საწინააღმდეგო კონვენციაც გამონაკლისის ან გადახვევის გარეშე კრძალავს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. გარდა ამისა, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მიხედვით, „ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს, ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცნ მის პიროვნულ ღირსებას“.<sup>47</sup> წამების აბსოლუტურ აკრძალვას აწესებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.<sup>48</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანების პატიმრობა სტანდარტებთან შეუსაბამო პირობებში, ასევე პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობა დაარღვევს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას.<sup>49</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი ითვალისწინებს სახელმძღვანელო პრინციპებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვისთვის და მათი უფლებების პატივისცემისთვის. ამ ტიპის პრინციპებიდან ყველაზე სრულყოფილია გაერო-ს „პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“ (ცნობილია „სტანდარტული მინიმალური წესების“ სახელით). სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ეხება ციხეების პირობების შეფასებას, არის „დაკავებისა და პატიმრობის ნებისმიერ ფორმას დაკავებული ყველა პირის დაცვის პრინციპები“, „პატიმართა მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპები“ და, არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით, გაერო-ს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების

გაერო-ს პირველ კონგრესზე და დამტკიცებული ეკინომიკური და სიცალიური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივნისის №663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის № 2076 (LXII) რეზოლუციებით, პუნქტები 57-58.

<sup>46</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 17(2): „დაუშენებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაპუნქარი, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის შემოღების გამოყენება.“

<sup>47</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-10 მუხლი.

<sup>48</sup> „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შევრცლა“, ადამიანის უფლებათა ევროპული კინგვიცა, მე-3 მუხლი.

<sup>49</sup> ის., მაგალითად, საქე კალაშნიკოვი რუსეთის წინაღმდევ, იუ. 47095/99, 2002 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 14: „...განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი მოთავსებული იყო 17 ქვ. მეტრის ( $\text{m}^2$ ) ფართის საკანზი, სადაც იყო 8 საწოლი, მაგრამ იქ თითქმის ყოველთვის 24 პატიმარი ცხოვრიდა. მხოლოდ იმგათად კლებულდა ეს რაინდოვა 18-მდე რაღვებ თითოეულ საწოლზე სამი კაცი მოღითდა, მათ რიგივით უწევდოთ ძალა“; და პუნქტი 92: „კერძო, განმცხადებელი სასტიკი ან პატიმარი გადატკირთულიაზე და ანტისანიტარიზე, ასევე იმ პერიოდის ხანგრძლივობაზე, რომელის განმაღლებაშიც იგი ასეთ პირობებში იყო პატიმრობაში, რამც ურყოფითი ზეომებელია მთახდინ, მის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და გამოწვა მისი დამცირება და ტნჯვა“. ის., აგრეთვე, საქე არსა საქართველოს წინაღმდევ, იუ. 28524/95, 2001 წლის 19 არილის გადაწყვეტილება; საქე დუკორზი საქართველოს წინაღმდევ, იუ. 40907/98, 2001 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება; საქე მჯლნები უკრაინის წინაღმდევ, იუ. 72286/01, 2006 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება; საქე ნეკტრუსის უკრაინის წინაღმდევ, იუ. 54825/00, 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება; საქე ნოხლინი უკრაინის წინაღმდევ, იუ. 41707/98, 2003 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება; და საქე მუზუ ნადურლანდების წინაღმდევ, იუ. 24919/03, 2005 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სტანდარტული მინიმალური წესები“.<sup>50</sup> ევროპის საბჭომ შეიმუშავა ევროპის პენიტენციური წესები, რათა მის წევრ სახელმწიფოებში დაწესებინა ძირითადი მოთხოვები ციხეებში არსებული პირობებისა და პატიმართა მიმართ მოპყრობისადმი.<sup>51</sup> თავისუფლებააღკვეთილ პირთა პატიმრობის პირობებთან და მათ მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებული ნორმები წამების საწინააღმდეგო კომიტეტსაც აქვს ჩამოყალიბებული, როგორც ეს აღწერილია მის წლიურ ანგარიშებში.<sup>52</sup>

### **საქართველოს ხელისუფლების რეაგირება სასჯელადსრულების სისტემაში აღამანის უფლებათა დარღვევებზე**

საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში აღიარებდა, რომ სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პირობები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომ არსებობს სტრუქტურული ხასიათის ბევრი შეუსაბამობა.<sup>53</sup> ამ უკანასკნელ ხანს, „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ (რომელიც 2006 წლის 12 ივნისს გამოიცა) ნაწილის საზით, მთავრობამ მიუთითა რიგ რეფორმებზე, რომლებიც უნდა გატარდეს სასჯელადსრულების დეპარტამენტში მომავალი ორი წლის განმავლობაში. ამ რეფორმებს შორის დასახელებულია დეცენტრალიზაცია, ხელმძღვანელობის ტრენინგი, კომიტეტერიზაცია, საზოგადოებრივი მონიტორინგი, ანალი დაწესებულებების აშენება, პატიმართათვის საკვების გაუმჯობესება, სასჯელადსრულების სისტემაში მომუშავე პირთა მომზადება, პატიმართათვის დასაქმებისა და საგანმანათლებლო პროგრამები და საკანონმდებლო რეფორმები, მათ შორის, ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება.<sup>54</sup> ბიუჯეტი

<sup>50</sup> „დაკავებისა და პატიმრობის ნებისმიერ ფორმას დაქვემდებარებული კველა პირის დაცვის პრინციპები“, G.A. Res. 43/173, annex, 43 U.N. GAOR Supp. (No. 49), U.N. Doc. A/43/49 (1988), „პატიმართა მიმართ მოპყრობის ძარითადი პრინციპები“, G.A. Res. 45/111, annex, 45 U.N. GAOR Supp. (No. 49A), U.N. Doc. A/45/49 (1990), გაერთ-ს „არასრულწლოვნთა მართლმასჯელების აღსრულების სტანდარტული მინიმალური წესები“ („პენიტი წესები“), G.A. Res. 40/33, annex, 40 U.N. GAOR Supp. (No. 53), U.N. Doc. A/40/53 (1985).

<sup>51</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(2006) 2, წევრი სახელმწიფოებისთვის კვრიაპის პენიტენციურ წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 ანგარის მინისტრთა მოადგილების 952-ე სხდომზე).

<sup>52</sup> იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი მოხსენებების ძარითადი ნაწილები“; წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „მე-11 ზოგადი მოხსენება 2000 წლის 1 ანგარიდან 31 დეკემბრმდე პრიორიზმი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის საქმიანობის შესახებ, CPT/Inf (2001) 16; და წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „მე-2 ზოგადი მოხსენება 1991 წლის 1 ანგარიდან 31 დეკემბრმდე პრიორიზმი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის საქმიანობის შესახებ, CPT/Inf (92) 3.“

<sup>53</sup> დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმის, ტრენინგის პროგრამების, ტექნიკური დახმარების პროექტებისა და ა.შ. მტკვარიძის რეფორმებს ამ სფეროში აქტიურ დახმარებას უწევს კვრობის საბჭო, კვროკომისა და მრავალი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი.

<sup>54</sup> 2005 წლის ნოემბრში მიავრიბდ იუსტიციის სამინისტროსათვის დაარსა ტრენინგის ცენტრი სასჯელადსრულების და პრიმაციის სისტემების თანამშრომელთაოფის. შედევოს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) განზრახული აქვს 800 000 ევროს (1 030 000 აშშ დოლარი) გამოყოფა ცენტრისთვის დამსახუმად გასწორებული კველა ახდენა თანამშრომელმა სამსახურში აფანიზმ ექვსი თვის განსაღლობაში უნდა გაიაროს საფუძვლადნ ტრენინგის კურსი. 2006 წლის ოქნისამდე დაქტირაცებულება თანამშრომელებმა ტრენინგის კურსი 2008 წლის ანგარიძე უნდა გაიაროს. დღესდღეობით ტრენინგი ჩატარდათ ქუთაისის მე-2, რუსთავის მე-6, ბათუმისა და ზუგდიდის ციხეების თანამშრომელებს და სასჯელადსრულების დგარტუმენტის იმ თანამშრომელებს, რომლებიც საქართველოში და არასრულწლოვნთა პატიმრებთან უშვილ მუშობა. ეს ტრენინგები ჩატარდა უკორ-ს, კანონის უზენასიონის სფეროში საქართველოში სორვეგის მისიის (NORLAG) და სხვა ირგვანზაკების ფინანსური დამტარებით. „Human Rights Watch“-ის ინტერვიუები გვია მიქაელესონ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიადგილესთან, თბილისი, 2006 წლის 18 მაისი, და მარი მერიფისთან, „Penal Reform International“, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი. ამ პროგრამების განხორციელებამდე ცახების პერსონალის ტრენინგში მონაწილეობა არ მოუდია არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას. ზოგიერთი ტრენინგი ჩატარებს საერთაშორისო და აღვიდუსტრიფიმა არასმინისტრობითი ინგანიზაციებმა, მათ შორის, უკორ-მ. „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ გიორგი ტუღუშთან, უკორ, 2006 წლის 17 მაისი. „ნამდვილად არ არსებობს

შეივსება როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო დონორების მხრიდან, თუმცა გვემის გამოქვეყნების დროისათვის ბიუჯეტი არ იყო ბოლომდე შევსებული. <sup>55</sup> ახალი პენიტენციური კოდექსის შესაბუმავებლად მთავრობამ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან ოფიციალური პირები ხელისუფლებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენელი. <sup>56</sup> არასამთავრობო ორგანიზაციათა ბევრი წარმომადგენელი უქმაყოფილოა შესწორებების შემუშავების პროცედურითაც და თავად შესწორებებითაც და ამიტომ ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ აღტერნატიული წინადაღებების შემუშავებაზე. <sup>57</sup>

საქართველოს ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი საშუალება ახალი დაწესებულებების აშენება იქნება. <sup>58</sup> მაგრამ საერთაშორისო ექსპერტებს არ მიაჩინათ, რომ ახალი დაწესებულებების აშენება თავისთავად ეფექტურად გადაჭრის ციხეების გადატვირთულობის პრობლემას. <sup>59</sup> უსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ მთავრობა მზად არის, ააშენოს ახალი საპატიმროები, მათ შორის, 3 000 პატიმარზე გათვალისწინებული ახალი საპყრობილე გლდანში, თბილისის გარეუბანში, მე-5 და 1-ლი საპყრობილებისა და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნაცვლად. „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ ასევე ცხადყოფს ხელისუფლების მზაობას, ააშენოს ახალი პენიტენციური დაწესებულებები და ითვალისწინებს ბათუმში, ზუგდიდსა და ქახეთში ახალი ციხეების, ასევე ღია ტიპის ორი დაწესებულების – ერთის დასავლეთ საქართველოში, ხოლო მეორესი – აღმოსავლეთ საქართველოში –მშენებლობას და ექვსი არსებული დაწესებულების განახლებას 2008 წლისათვის. ამ პროექტების დირექტორი 78 მილიონი ლარი (36 მილიონი აშშ დოლარი), რაც 2006-2008

უკთხესი გარანტია თავისუფლებად კვეთილი პირის მძმრთ ცუდად მოპყრობის წინაძღვევა, კადრე პოლიციის ან ციხეების თანამშრომელების სათანხოო ტერიტორია, წამების საწინააღმდევო კომიტეტი, აშშ-2 ზოგადი მოსახლეები 1991 წლის 1 ანგრილი 31 დეკემბრამდე პერიოდში წმების საწინააღმდევო კომიტეტის საქმიანობის შესახებ“.

<sup>55</sup> „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“, 2006 წლის 12 ივნის.

<sup>56</sup> ახალი პენიტენციური კოდექსის (რომლის პარლამენტისთვის წარდგენა 2006 წლის სექტემბრისთვის არის დაგენერილი) შემუშავებისა და მიღების პროცესი მიმდინარეობდა პატიმრობის შესახებ კანონში შესატანი შესწორებების მოღების პარალელურად. ეს შესწორებები დალაში 2006 წლის 1 ივნისს შევიდა და წინამდებარე ანგარიშში ბევრად არის ციტირებული.

<sup>57</sup> მაგლილთან, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან არ უსაუბრიათ პატიმრობის შესახებ კანონის გარდამაცალ დაბულებების შეტანილ ცვლილებებზე, რომელიმ მიღებული იქნა 2006 წლის 1 ივნისს და რომელიმ შესაბამისად პარალელი რაოდენობა და ხანგრძლივობა საერთობლად შეცირდა. იხ. ქქემოთ, „ოვანის კაზიტებისა და კირსაინდენციის სიმცირე“.

<sup>58</sup> მაგალითად, 2001 წლის, საქართველოს შესახებ კვრიპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მინიტორინგის კომიტეტის მოსახლეობაზე (2001 წლის სექტემბერი) რეაგირების სახით, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „წინასწარი პატიმრობის ცენტრული გადატვირთულობა სამწუხაროა და 2 მილიონი აშშ დოლარი საკმარისი იქნება წინასაზრის პატიმრობის შენიშვილის დასასრულებლების რაც გადაწყვეტის ამ პროცედუმას“.

კერძოს საპროცესის სამართლებრივ ასამბლეა, „საქართველოს მერ ნაინი ვალდებულებებისა შესრულება“, Doc. 9191, 2001 წლის 13 სექტემბერი, პუნქტი 108,

<http://assembly.coe.int/main.asp?link=http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc01/EDOC9191.htm> (მოძიებული 2006 წლის 5 ივნის).

<sup>59</sup> „გადატვირთულობის პროცედუმის გადასაჭრელად ზოგი ქვეყნა დაადგა ციხეებში აღვიღების რაოდენობის გაზრდის გზას. თავის მხრივ, წამების საწინააღმდევო კომიტეტის ნამდვილად არ მიაჩინა, რომ მხოლოდ დამატებითი შენიშვილის უზრუნველყოფა წარმოადგნს არსებული პრობლემის გადაწყვეტის გზას. მართლაც, კერძოს რიგმ სახელმწიფოებრივი შამოიწყების ციხეების შეწერებლობის ფართო პროცედუმები და შედევრად ახალი დაწესებულებების შეწერებლობასთან ერთდ მხოლოდ ციხეში პატიმრების რაოდენობა გაიზარდა. ამის საძირისაბიროდ, ზოგ სახელმწიფოში ციხეში გაგზავნდა პატიმრობის შეზღუდვის ან რეგულირების პოლიტიკა მნიშვნელოვანი წელითი შეცირანა ციხეებში პატიმრების რაოდენობის მართვა დონეზე შენარჩუნების საქმე“. წამების საწინააღმდევო კომიტეტი, „წამების საწინააღმდევო კომიტეტის სტანარტები, წამების საწინააღმდევო კომიტეტის ზოგადი მოსახლეების მართვადი ნაწილები“, მუხლი 21, პუნქტი 14.

წლებისათვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში რეფორმებისთვის გამოყოფილი მოელი ბიუჯეტის 50 პროცენტზე მეტია.<sup>60</sup> თუმცა "Human Rights Watch"-ი აღიარებს, რომ ახალი დაწესებულებები ხელს შეუწყობს პატიმრების პირობების გაუმჯობესებას და შეიძლება გადატვირთულობის პრობლემაც ნაწილობრივ შეამსუბუქოს, ჩვენ გამოვიდეთ ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალი ფაქტი როგორც ახალ, ისე ძველ საპატიმროებში, რომლებიც შესაძლებელია დაუყოვნებლივ ან შედარებით მოკლე ვადაში, თანაც დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე, გამოსწორდეს.

---

<sup>60</sup> „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამუშაოების“ 2006 წლის 12 ივნისი.

## ციხეებში არსებული პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა

### პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

გადატვირთულობა საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებათა უძრავლესობაში, განსაკუთრებით წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, ყველაზე სერიოზული პირობებამა, რამაც შეიძლება თავისთავად გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროპის საბჭო, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი და გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მრავალი წლის განმავლობაში ახდენდნენ საპატიმროების გადატვირთულობის ფაქტების დოკუმენტირებას.<sup>62</sup> 2001 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა აღნიშნა: „ჩვენ გაოგნებული დავრჩით წინასწარი დაკავების ცენტრებში, განსაკუთრებით ზრდასრული მამაკაცებისთვის განკუთვნილ ნაწილებში, არსებული გადატვირთულობით. მნელია, ემოციების გარეშე აღწერო ის პირობები, რომლებშიც ადამიანებს უწევთ ცხოვრება. ჩვენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების აღუწერეთ სიტუაცია ... და ავუსტენით, რომ ევროკავშირში მსგავს პირობებში ღორების ყოფნაც კი არ არის დაშვებული.“<sup>63</sup> საპატიმროების გადატვირთულობის პრობლემა 2006 წლის მაისში საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვის დროს გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმაც აღნიშნა; მისი რეკომენდაციით, საქართველომ კიდევ უფრო უნდა შეამციროს წინასწარი პატიმრობის პერიოდი, დააჩქაროს სასამართლო სისტემაში არსებული ვაკანსიების შევსება და გამოიყენოს აღკვეთის აღტერნატიული ღონისძიებები ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული საზოგადოებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.“<sup>64</sup>

საქართველოში ციხეებში საკნებისათვის გათვალისწინებული ფართობი – როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში – საგრძნობლად ნაკლებია ადამიანის უფლებათა რეგიონული სტანდარტებით მოთხოვნილზე. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის განცხადებით, ციხეებში განმარტოებით პატიმრობისათვის განკუთვნილი საგნების სიგრცე უნდა იყოს „დაახლოებით 7

<sup>61</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს, რომ გადატვირთულობა ურყოფით ზეგავლენას აზდენს ციხის ცხოვრების ყველა ასპექტზე: „ყველა სამსახური და საქართველოს ციხეში განიცდის უარყოფით ზეგავლენას, თუკი ციხეს მოვთხოვება მასზე მეტი პატიმრის შესახვა, ვიდრე თავიდან იყო გათვალისწინებული; ცხოვრების ზოგადი ხარისხი დაწესებულებებში დადაბლება, შესაძლოა, მნიშვნელოვნადაც; გარდა ამას, გადატვირთულობა ცახეში ან რომელიმე მის ნაწილში შეიძლება ისეთი იყოს, რომ თავისთავად წარმოადგენდეს არაადამიანურს ან დირსების შემდახველი“.<sup>65</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი მთხოვნებების ძირითადი ნაწილები“, მუხლ 17, პუნქტი 46.

<sup>62</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-ან დაისახვა წამებისა და არაადამიანური ან დირსების შემდახველი მიაკრიბისა თუ დასჯის ერთობლივი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, და „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 28-დან 28 ივნისამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წამებისა და არაადამიანური ან დირსების შემდახველი მთხოვნებისა თუ დასჯის ერთობლივი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“.

<sup>63</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება“, პუნქტი 105.

<sup>64</sup> „კომიტეტი შეშფოთებულია ბევრ პენიტენციურ დაწესებულებებში, განსაკუთრებით რეგიონებში, პატიმრობის ცუდი პარობებით, აგრძელებით, გადატვირთულობით დრობითი დაკავების ბევრ ცენტრში, ეკრძოდ, წინასწარი დაკავების ცენტრებში,“ გვერთ სამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-19 მუხლის შესაბამისას წარმოდგენლი ანგარიშების განხილვა, დასკრები და რეკომენდაციები, საქართველოს რესპუბლიკა“, CAT/C/GEO/CO/3, 2006 წლის 10 მაისი, პუნქტი 18., <http://www.ohchr.org/english/bodies/cat/docs/AdvanceVersions/CAT.C.GEO.CO.3.pdf> (მოძიებულია 2006 წლის 22 ივნისს).

კვადრატული მეტრი – 2 მეტრი ან მეტი კედლებს შორის, 2,5 მეტრი იატაკსა და ჭერს შორის.<sup>65</sup> მის მიერ საქართველოს მთავრობისათვის 2001 წელს გაწეულ რეკომენდაციებში წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა შეამცირა ეს სტანდარტი და გრაცხადა, რომ „მიზნად უნდა იქნეს დასახული პატიმარზე 4 მ²-ის სტანდარტის მიღწევა“.<sup>66</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ მოითხოვს, რომ სასკოლადსრულების დეპარტამენტის საკუნძულო მოთავსებული თითოეული მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს ორ კვადრატულ მეტრზე ნაკლები.<sup>67</sup> თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს საკუთარი საწოლი.

### ხელისუფლების მიერ საპატიმროების ვადატვირთვის ახსნა

საქართველოს ხელისუფლებას არ განუხორციელებია ქმედითი ზომები პენიტენციურ სისტემაში გადატვირთვის საკითხის მოსაგარებლად. პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო ორი წლის განმავლობაში ციხეებში პატიმრების რაოდენობა 85 პროცენტით გაიზარდა. ახლადაშენებული ორი საპატიმროდან ერთ-ერთიმა შეცვალა წინასწარი პატიმრობის არსებული დაწესებულება, თუმცა მან დამატებითი ფართობიც შექმნა.<sup>68</sup> გარდა ამისა, „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში“ გათვალისწინებულია 2007-2009 წლებში საკვებით 13 000 პატიმრის უზრუნველყოფა, თუმცა 2006 წლის აგვისტოში ციხეებში პატიმართა რაოდენობის ამსახველი ოფიციალური მონაცემი უკვე 12 992 იყო.<sup>70</sup> ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ამტკიცებენ, რომ გადატვირთვას დღოებითი ხასიათი აქვს და იგი გამოწვეულია ძირითადად სასამართლო სისტემაში სერიოზული დაყოვნებებით, რაც იქ მიმდინარე რეფორმას უკავშირდება.<sup>71</sup> ამასთანავე, ხელისუფლება აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ამცირებს პირის მიერ წინასწარ პატიმრობაში გასატარებელ დროს, ასევე ხელს შეუწყობს ახლო მომავლში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებას.<sup>72</sup> მაგრამ გაურკვეველია, შესაძლებელი იქნება თუ არა საქმეების

<sup>65</sup> წამების საწინააღმდევო კომიტეტი, „მე-2 ზოგადი მოხსენება 1991 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში წამების საწინააღმდევო კომიტეტის საქმიანობის შესახებ“, შენქტი 43.

<sup>66</sup> წამების საწინააღმდევო კომიტეტი, „წამების საწინააღმდევო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-დან 18 მაისამდე წამებისა და არააღმანური ან ლირსების შემლახველი მოპრობისა თუ დასჯის ეპროცესი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“.

<sup>67</sup> ქართველისათვის განკუთხნილ საპატიმროში და სამედიცინო ნაწილში საცხოვრებელი ფართი არ უნდა იყოს სამ კვადრატულ მეტრზე ნაკლები, ხოლო ასასრულილოვანი პატიმრებისთვის განკუთხნილ დაწესებულებაში – 3,5 კვადრატულ მეტრზე ნაკლები. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შეწორებით, შეხლი 33, პუნქტი 2.

<sup>68</sup> პატიმართა მიმართ მოპრობის სტანდარტული მინიმალური წესები, მუხლი 19.

<sup>69</sup> ქუთაისის ახალმა მე-2 საპროცესულებელ შეცვალა ქუთაისის წინასწარი პატიმრობის ძელი ციხე, თუმცა ასევე იმყოფებიან მსჯავრდებული პატიმრები.

<sup>70</sup> „საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო კვლევა“, 2006 წლის 12 ივნისი. სტატისტიკური მონაცემები მოგვაწიდა თუსტიციის სამინისტროს საჯელდესრულების დეპარტამენტმა 2006 წლის 3 აგვისტო.

<sup>71</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ თუსტიციის მინისტრებისთვის მოადგილესთან გივი მიქანაძესთან, თბილისი, 2006 წლის 18 მაისი. გენერალური პროცესუატურის თანამშრომელის თქმით, „პრობლემებს მოსამართება შეზღუდული რაოდენობა წარმოადგენს. კამიობებასა და სასამართლოებმა დღით როდენობით დაყოვნებული საქმეები არსებობს. თითოეულ მოსამართლეს 250 საქმეზე აქვს გადაწყვეტლება გამოსატონი.“ “Human Rights Watch“-ის ინტერვიუ თამარ თომაშვილთან, გენერალური პროცესუატურის აღმარისის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>72</sup> სისხლის სამართლის მოქმედ საპროცესო კოდექსში 2006 წლის 1 იანვარს შესული ცვლილებები წინასწარი პატიმრობის სანგრძლოვანის ცხრა თვითან ოთხ თვეშედე მცირებს, ხოლო სასამართლო პროცესის განმავლობაში პატიმრობის მაქსიმალური სანგრძლივობა 30 თვითან 12 თვეშედე შეცირდა.

განხილვის ახალი ვადების დაცვა, თუ გავითვალისწინებთ სასამართლო  
სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს და მოსამართლეთა ნაკლებობას.<sup>73</sup>

გარდა ამისა, ციხებში პატიმართა რაოდენობის სწრაფად ზრდაში დიდი  
წვლილი მოუძღვის წინასწარ პატიმრობასთან, მსჯავრდებასთან, თავდებით და  
პირობით გათავისუფლებასთან დაგავშირებულ შეგნებულ პოლიტიკურ  
გადაწყვეტილებებსაც. დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის  
პოლიტიკა საფუძვლად დაედო ეჭვმიტანილთა დაპატიმრების შემთხვევათა  
რაოდენობის ზრდას და აღმგვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის  
შეფარდებას, მიუხედავად დანაშაულის სიმბიმისა. საპატიმროთა გადატვირთვაში  
თავის როლს ასრულებს მსჯავრდების აღტერნატიული საშუალების –  
თავდებით გათავისუფლების და ვადაზე ადრე პირობითი გათავისუფლების  
შეზღუდული გამოყენებაც. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2005  
წლის სექტემბერიდან 2006 წლის მარტამდე 52-დან 59 პროცენტამდე  
საქმებში სასამართლოს მოლოდინებრივ ბრალდებულები წინასწარ პატიმრობაში  
იმყოფებოდნენ.<sup>74</sup> 2005 წლის დეკემბერში ისსხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა გააუქმა წინასწარი პატიმრობის ზოგიერთი  
აღტერნატიული აღკვეთის ღონისძიება და პატიმრობის ერთადერთ  
აღტერნატივად გირაოთი და თავდებით გათავისუფლება დატოვა, რასაც  
პრაქტიკაში სასამართლეობი იშვიათად იყენებენ.<sup>75</sup> 2006 წლის თებერვალში  
ახლად დანიშნული მოსამართლეების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში  
პრეზიდენტმა სააკაშვილმაც კატეგორიულად გააკრიტიკა პირობითი სასჯელის  
გამოყენება, მცირე დნაშაულში ბრალდებულ პირთა მიმართაც კი.  
პრეზიდენტმა განაცხადი: „ადამიანები წვრილმანი დანაშაულისათვის ციხეში  
უნდა მოხვდენ... პირობითი სასჯელი უქმდება და ყველა დამნაშავე ციხეში  
წავა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოძიება ჩათვლის საჭიროდ  
ადამიანისაგან ისეთი ინფორმაცია მიიღოს, რომელიც გამოძიებას ძალზე დიდი  
და სერიოზული საქმების გახსნაში დაეხმარება...“<sup>76</sup> ადვოკატები ადასტურებენ,  
რომ პირობითი სასჯელი პრაქტიკულად არასოდეს გამოიყენება.<sup>77</sup>

<sup>73</sup> „ამჟამად მოსამართლეთა ფაკანისების 40 პროცენტზე მეტი არ არის დაკავებული. დაანგარიშებული საჭირო 400 მოსამართლისადმი დღეცენებითი მხილეზე 270 მუშაობს. მოსამართლეთა ნაკლებობის ნაწილობრივ იქნა სისხლის ახსნება, რომ უკანასკენელ ხანს 65 მოსამართლე გადადგა თანამდებობიდან ან გათავისუფლებული იქნა სისხლის სამართლის ბრალდებით, მათ შორის, მექრიამეობის გამო; [გათ წინამდებარებული განსირცილებული] დისკაბლინური ზომების გამო; ან პრინციპურ გასევის გადაწყვეტილების მიღების] გამო. უფრო მეტი, უზრავსა სასამართლიდან ხუთი მოსამართლის გათავისუფლებად ... წარმოშვა შემუშოება სამართლისათვის და სასამართლო  
სისტემის დამოუკადებლობის პრინციპთან დაგავშირებით.“ ევროპის საბჭო, „ნაციისრი გალდებულებების შერწყმა: საქართველოში არსებული სატუაკა“ პროტესტიურ სატუაკა დარეკტირატის მიერ  
მომზადებული რეგულარული მოხსენება (2006 წლის მაისი), SG/INF (2006), 2006 წლის 9 ივლისი, პრეტი 19.

<sup>74</sup> გენერალური პროკურატურა, „საქართველოს სასამართლოების მიერ სხვადასხვა აღმგვითი ღონისძიებების გამოყენება, 2005 წლის სექტემბერიდან - 2006 წლის მარტამდე“, რომელსაც „Human Rights Watch“-ი 2006 წლის 23 მაისი გუცნო.

<sup>75</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2005 წლის 16 დეკემბერს შესწორებული სახით) 152-ე მუხლის მხედვით წინასწარ პატიმრობის აღტერნატიული აღმგვითი ღონისძიებებით გრია, პირდი თავდებობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამხედრო მოსამახურის ქცევისაღმის სარღლივის მეთვალყურეობა. უწინ წინასწარი პატიმრობის კოდეკ ერთი აღტერნატივა იყო სხვა ადამიანის პირდი თავდებობა და შორისაპატიმრობა. სახალხო დამცველის სამსახურის მხერირმაციით, იგი ბევრ საჩივარს იღებს ბრალდებულებისგან იმის თაობაზე, რომ პროცესუალურა ხშირად უარს ამბობს ქინების მიღებაზე გირაოს სახით, რაც წინადადებების მოდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე ტუხის 1-ლ პუნქტთან, რომელიც გრია განსაზღვრულია, როგორც „ფულადი თანხა ან მოძრავი და უძრავი ქრება“, და მე-2 პუნქტთან, რომელიც ნათებამა, რომ ბრალდებულის ან მისი სახელით სხვა პირს შეუძლია შეიტანოს გირაოს თანხის ექვივალენტური უძრავი ან მოძრავი ქრება. „საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციას უწევს პროკურორებს დაცვან კანონის ყველა მოთხოვნა აღმგვით ღონისძიებების სახით გრიაოს გმოყენებისას, “საქართველოს სახალხო დამცველის პრეზენტით.“

<sup>76</sup> „საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის სიტყვა მოსამართლეთა ფიცის დაების ცერემონიაზე“, 2006 წლის 23 თებერვალი, <http://www.president.gov.ge/?l=E&m=0&sm=3&id=1495> (მოძიებულია 2006 წლის 6 მარტს).

<sup>77</sup> „Human Rights Watch“-ის სატელეფონო ინტერვიუ გელა ნიკოლაშვილთან, 2006 წლის 9 აგვისტო.

მოვლენათა აღნიშნული განვითარება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების მიერ გაერო-ს წამების საკითხებში საგანგებო მომხსენებლისათვის 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, „ყველა შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღკვეთის ღონისძიებებს, რომლებიც არ გულისხმობს პატიმრობას.“<sup>78</sup> წამების საკითხებში საგანგებო მომხსენებლმა შენიშნა, რომ ხელისუფლების ოფიციალური მიღვომა გულისხმობს, რომ „არ კეთდება განსხვავება წინასწარ პატიმრობასა და მსჯავრდების შეძლებ პატიმრობას შორის,“ რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმეციას და პიროვნების თავისუფლების აღკვეთის საგანგებო წესს.<sup>79</sup> წინასწარი პატიმრობის რეგულარული გამოყენება ასევე ეწინააღმდეგება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია: „სასამართლო განხილვამდე ადამიანის პატიმრობა ზოგად წესად არ უნდა იქცეს, მაგრამ მისი გათავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების გარანტიების არსებობაზე“.<sup>80</sup> გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კანონიერი, გონივრული და აუცილებელია. აუცილებლობა ვიწროდ არის განსაზღვრული: „აუცილებელია გაქცევის, ნივთმტკიცებებით მანიპულირების ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად“ ან „თუ ადამიანი წარმოადგენს აშკარა და სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებისთვის და ეს საფრთხე სხვაგვარად ვერ იქნება თავიდან აცილებული“<sup>81</sup>. ბრალდებულის დაკავების აუცილებლობის შესაფასებლად დაკავების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

საპატიმროებში არსებული სიტუაცია ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში არ ხდება ინდივიდუალური შემთხვევების შეფასება იმის დასადგნად, აუცილებელია თუ არა ადამიანის პატიმრობაში ყოფნა. საჯაელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლები ათვითცობიერებენ ამ პროცესს და არ ეთანხმებიან არსებულ პოლიტიკას. თბილისის წინასწარი პატიმრობის მე-5 საპყრობილის აღმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გამოხატა თავისი აზრი, რომ ხელისუფლების კურსი დაკავებასთან დაკავშირებით იწვევს საპყრობილის გადატვირთვას და ერთადერთი გამოსავალი ამ მიღვომის შეცვლაა. აღნიშნულმა პირმა „Human Rights Watch“-ს განუცხადა: „ჩემი აზრით, აუცილებელია დაკავებასთან დაკავშირებული ზომების შეცვლა. ყოველთვის არ არის საჭირო ადამიანების დაპატიმრება. თუ ეს მდგომარეობა

<sup>78</sup> „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მათ შორის: წამებისა და დაკავების საკითხები, წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემთხვეველი მოქმერიანის საკითხებში საგანგებო მომხსენებლის, მანფრედ ნოვაკის მოხსენება, საქართველოში განხორციელებული მისა“, ქველით 9.

<sup>79</sup> იქვე პუნქტი 51.

<sup>80</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-9 მუხლი, ახ., ავრევუ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის №8 ზოგად კომიტეტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით დაკავშირდით (მექქს სხდომა, 1982 წელი), გაერო-ს დოკ. A/40/40, „აღმგეთ ღინისძიებად წინასწარი პატიმრობის გამოყენებას გამოხატლის სასითო უნდა პქონდეს და იგი რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს.“

<sup>81</sup> პუნქტი 51. აღმგეთ ღინისძიების წინააღმდეგ (No. 305/1988) (1990 წლის 23 ივნისი), გენერალური ასამბლეის ოფიციალური დოკუმენტები, ორმოცდამესუთე სხდომა, დამტებება №40 (A/45/40), ტომი II., დანართი IX, თავი M., პუნქტი 5.8.

არ შეიცვლება, ციხეები ყოველთვის გადატვირთული იქნება. არსებობს პატიმრობის მრავალი აღტერნატივა. მაგალითად, ეკონომიკური დანაშაულების შემთხვევაში: ადამიანმა მოიპარა სიგარეტის კოლოფი. არ არის საჭირო მისი ციხეში მოთავსება. ჩვენს საპყრობილები არიან ადამიანები, რომლებიც ოთხი ბოთლი არყის მოპარვის გამო დააკავეს. ეს უაზრობაა. იმის დასადგენად, თუ რა სახის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაა საჭირო, უნდა შეფასდეს დანაშაულის სიმძიმე. არსებობენ საშიში დამნაშავეები, დამნაშავეები, რომლებიც არ წარმოადგენ საფრთხეს, დამნაშავეები, რომლებიც ითანამშრომლებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან და ა.შ. ჩვენ უნდა შეცვალოთ დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ. უნდა გავამარტივოთ სისტემა.“<sup>82</sup>

### გადატვირთულობის პირობები

თავისი განსაკუთრებული გადატვირთულობის გამო საგანგებო ფურადღება უნდა მიექცეს თბილისის წინასწარი პატიმრობის მე-5 საპყრობილეს. ამ დაწესებულებაში მრავალი წელია განსაკუთრებით მწვავედ დგას გადატვირთულობის საკითხი და დროთა განმავლობაში პრობლემა უფრო დამძიმდა. 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა: „... გადატვირთულობამ ქვეყნის წინასწარი პატიმრობის ძირითად დაწესებულებაში, თბილისის მე-5 საპყრობილები, შემაშფოთებელ დონეს მიაღწია“ და მხოლოდ ხუთი თვის მანძილზე 22 პროცენტით გაიზარდა.<sup>83</sup> 2006 წლის მაისში “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროს მე-5 საპყრობილები 3 559 პატიმარი იყო, რაც წარმოადგენს 60 პროცენტიან ზრდას კომიტეტის 2004 წლის ვიზიტთან შედარებით. საპყრობილის დირექტორმა “Human Rights Watch”-ს უთხრა, რომ დაწესებულება განკუთვნილია 1 800 პატიმრისათვის და, შესაბამისად, მუშაობს დაახლოებით ორმაგი დატვირთვით. საპყრობილის დირექტორის თქმით, დაწესებულება კვირაში 20-50 ახალ პატიმარს ღებულობს.<sup>84</sup> თუმცა 2006 წლის აპრილსა და მაისში საპყრობილები ყოველდღიურად შემოსული პატიმრების შესახებ ჩანაწერების დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ დღეში საშუალოდ 18 ახალი პატიმარი შემოდის.

გადატვირთულობის შედეგად მე-5 საპყრობილის თითქმის ყველა საკანში, რომელიც “Human Rights Watch”-მა მოინახულა, სულ მცირე ორჯერ მეტი პატიმარი იყო, ვიდრე საწოლები, და პატიმრებისთვის გამოყოფილი ფართი დამკიდრებულ ნორმებზე ბევრად ნაკლები იყო. გადატვირთულ საკნებში თითოეული პატიმრის საცხოვრებელი ფართი ერთი კვადრატული მეტრი ან

<sup>82</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე რზაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორის მოადგილე, 2006 წლის 5 მაისი. ანალიტიკური რა განაცხად რეგისტრაციაზე “Penal Reform International”-მა: „ოუკა ახლო მომავალში არ იქნება მიღებული საქანისმდებლო, სტრატეგიული და საჯარი მიურნაციის მიღვომები საქართველოში ადამიანების დაასტიტუტების სწრაფად მსარდი შემთხვევების (100 000 მოსახლეზე 250) ვასკოტროლებულ ახალ შესრბე კრ გაართმევს თავს ამ ნაკლებს და პატიმრებს მომავალი რამდენიმე წლის განმვლობაშიც არაადამიანურ პირობებში მოუწევთ ფორმა“. “Penal Reform International”, გერმ-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისთვის წარდგენილი ანგარიში, 2006 წლის 1 მაისი.

<sup>83</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „ნეგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისმდე წამებისა და არაადამიანური ან დირსების შემდაბელი მთავრობისა თუ დასჯის ექრობული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ“, პუნქტი 65.

<sup>84</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გორგი ფოლოდეშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორი, 2006 წლის 16 მაისი.

ნაკლები გამოდიოდა. მაგალითად, ერთ საკანში, რომელიც “Human Rights Watch”-მა მოინახულა, იყო 28 საწოლი, რომელებზეც 73 პატიმარს ეძინა. მეორე საკანში, 24 საწოლით, 53 ადამიანი იყო, ხოლო 25 საწოლიანში – 75 პატიმარი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მსგავსი პირობების არსებობა 2001 წელს დააფიქსირეს.<sup>85</sup> დაკავებული პირები ყვებიან, რომ საკანარისი საწოლების არარსებობის პირობებში მათ რიგორიგობით, თითო ჯერზე ოთხი-ხუთი საათი, ხშირად კი დღის განმავლობაში უწევთ ძილი.<sup>86</sup> სულ მცირე ერთ საკანში “Human Rights Watch”-მა იატაკზე მძინარე პატიმარი ნახა. ერთმა პატიმარმა, რომელიც 2006 წელს მე-5 საპურობილები რამდენიმე კვირით იყო დაკავებული, თავისი საკანი აღწერა, როგორც „ველური ადგილი. 16 საწოლიან ოთხში 54 ადამიანი ცხოვრობდა...“ ზოგიერთს საკანში საკუთარი საწოლი ჰქონდა. დანარჩენებს დღისა და დამის განმავლობაში ოთხი ცვლად გვიწევდა ძილი. ზოგჯერ საწოლში ერთდროულად სამ ადამიანს ეძინა”.<sup>87</sup> სხვა პატიმრის გადმოცემით, „მე მეოთხე სართულზე მომათავსეს. იმ საკანში 71 ადამიანი იყო და მხოლოდ 24 საწოლი. ძილი ნამდვილი პრობლემა იყო. ზოგჯერ სამი დღის განმავლობაში ვერ ვახერხებდი დამინებას.“<sup>88</sup> კიდევ ერთმა პატიმარმა გვიამბო: „ეს საშინელებაა, ერთ ჯერზე მხოლოდ ოთხი, ხუთი ან ექვსი საათი შეეგვეძლო დაგვემინა.“<sup>89</sup> გადატვირთულობა პატიმრებზე სერიოზულ ფინანსურულ ზეგავლენასაც ახდენს; ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა: „აქ იმდენი ხალხია, რომ შეიძლება გავგიჯდე.“<sup>90</sup>

გადატვირთული იყო მეორე დაწესებულებაც, რომელიც “Human Rights Watch”-მა მოინახულა – რუსთავის 1-ლი საპურობილები. საპურობილის დირექტორის მოადგილის თქმით, დაწესებულება განსაზღვრულია 1 000 პატიმრისათვის. 2006 წლის მაისში იქ 1 361 პატიმარი იყო მოთავსებული. ამ ციხეში არსებობს როგორც მკაცრი, ისე საერთო რეჟიმები პატიმრებისათვის, მათი განაჩენის მიხედვით. იქ მყოფთა უმრავლესობა მსჯავრდებული პატიმარია; ზოგიერთ მათგანს შეტანილი აქვს სააპელაციო საჩივარი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს საპურობილება განლაგებულია მიტოვებული სამრეწველო კომპლექსის გვერდით, სადაც უწინ პატიმრები მუშაობდნენ. დღის განმავლობაში პატიმრებს აქვთ შესაძლებლობა, ისეირნონ ციხის დიდ ეზოში. პატიმრები ცხოვრობენ ბარაკებში, სადაც არ არის ცალკე საკნები ან ოთახები. ვიწრო დერეფანს მიღება უსსტერი კიდია ფარდები ან ქსოვილის დიდი ნაჭრები სივრცის „ოთახებად“ გადასატიხრად. ასეთ პირობებში “Human Rights Watch”-მა ვერ მოახერხა დაედგინა, თუ რამდენი პატიმარი ცხოვრობდა იქ და რამზელა ფართი იყო მათთვის გამოყოფილი.

<sup>85</sup> „ყველა საკანში, რომელიც ჩვენ ვნახეთ წინასწარი პატიმრის ზრდასრული მამაკაცებისთვის განკუთვნილ ცნობრში, მეტი ასტიმარი იყო, ვაღრე საწოლი“. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოს მიერ ნაკირი ვალებულებების შესრულება“, ჰუნტი 105.

<sup>86</sup> “Penal Reform International”-მა ასევე აღმოაჩინა, რომ სულ მცირე ორ საპატიმროში (წინასწარი პატიმრის ახალ საპატიმროში არასრულწლოვანთავოს თბილისში და წინასწარი პატიმრობის საპატიმროში ბათუმში) არსერულწლოვანები იძულებული არაა, მორიგეობით დაიძინო. “Penal Reform International”, გაერო-ს წამების სწინააღმდეგ კომტეტისთვის წარდგენილი ახგარიშა.

<sup>87</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპურობილის ყოფილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 14 მაისი.

<sup>88</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპურობილის ყოფილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>89</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპურობილის ყოფილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>90</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპურობილის ყოფილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

ზოგადი ატმოსფერო იყო ხმაურიანი, იგრძნობოდა გადატვირთულობა, გამოყოფილ „ოთახებში“ ოთხი, შვიდა ან ათი პატიმარი იმყოფებოდა.

ეუთო-ს ინფორმაციით, გადატვირთულობის სერიოზული პრობლემა აღინიშნება დასავლეთ საქართველოშიც, ბათუმისა და ზუგდიდის ციხეებში. ბათუმის ციხე 250 კაცისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ამჟამად იქ დაახლოებით 565 პატიმარია. ზუგდიდში 305 კაცისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში 407 პატიმარია.<sup>91</sup> “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროისათვის ახალი დაწესებულებები – რუსთავის მე-6 და ქუთაისის მე-2 საპყრობილები – არ იყო გადატვირთული – ისინი რეალურ შესაძლებლობაზე ოდნავ ნაკლებად იყო დატვირთული – რუსთავის მე-6 საპყრობილები, რომელიც 728 კაცისთვის არის განკუთვნილი, 707 პატიმარი იყო, ხოლო 1500 კაცისთვის განკუთვნილ ქუთაისის მე-2 საპყრობილები – 1 423.<sup>92</sup> “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროისათვის თბილისის მე-7 საპყრობილებიც არ იყო ზოგადად გადატვირთული, მაგრამ ზოგიერთ საკანში მეტი პატიმარი იყო მოთავსებული, ვიდრე ეს დაშვებულის საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით, მაშინ, როცა სხვა საკნებში, მათ შორის გარემონტებულ საკნებში ზედა სართულზე, რომლებიც რვა პატიმარს იტევს, მხოლოდ ორი პატიმარი იყო მოთავსებული. ხელისუფლების თქმით, ეს იმიტომ ხდება, რომ არ შეიძლება პატიმართა გარკვეული კატეგორიების (მაგალითად, კანონიერი ქუდების და ყოფილი პოლიციულების) ერთად მოთავსება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებებით.<sup>93</sup> 2006 წლის აგვისტოსათვის პატიმართა რაოდენობა მე-7 საპყრობილები გაიზარდა დაახლოებით რეალურ შესაძლებლობამდე.<sup>94</sup>

### საკულადსრულების დაწესებულებათა ფიზიკური პირობები

ხალხით გადატვირთულ საკნეს ხშირად შედევად მოჰყვება ახალი პრობლემების წარმოქმნა ან უკვე არსებულის გამწვავება, მათ შორის, ანტისანიტარია, პატიმართა ჯანმრთელობის და ჰიგიენის მდგომარეობის გაუარესება და განმარტოების შეუძლებლობა. ზოგიერთ დაწესებულებაში შენობის ასაკი, ტექნიკური მომსახურების სიმწირესთან ერთად, ასევე ამბიმებს მდგომარეობას. ევროსაბჭოს „ევროპის პენიტენციური წესების“ მიხედვით:

„პატიმრებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი დასაძინებელი ადგილები უნდა იცავდეს ადამიანის ღირსებას და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, განმარტოების უფლებას და აქმაყოფილებდეს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნებს. შესაბამისი უურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით ფართს, პაერის კუბურ შემცველობას, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას.“<sup>95</sup> საქართველოს კანონი

<sup>91</sup> ერთ მომენტში ბათუმის ციხეში 607 პატიმარი იყო. “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გოორგი ტუდუშთან, ეჭვით, თბილისი, 2006 წლის 12 მაისი. 2006 წლის ანვარში სახალხო დაცველის განცხადებით, ბათუმის ციხე 250 პატიმრისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ იქ 568 პატიმრისთვის 410 საწოლია. „სახალხო დაცველის წარმომადგენლის მიერ მოუდას საქართველოში სააგრძოლოებმა არსებული სიტუაციის მონიტორინგი“, საქართველოს სახალხო დაცველის მუნიციპალიტეტი, 2006 წლის 5 იანვარი.

<sup>92</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გოორგი მეგრელიშვილთან, ქუთაისის მე-2 საპყრობილის დირექტორი, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>93</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გოორგი გიგნალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის დირექტორის მოაღილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>94</sup> “Human Rights Watch”-ის სატელეფონო ინტერვიუ გელა ნიკოლაშვილთან, 2006 წლის 9 აგვისტო.

<sup>95</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მინისტრთა კაბინეტის მე-2 რეკომენდაცია (2006) წევრი სახელმწიფოების მიმართ - „ევროპის პენიტენციური წესები“, პუნქტი 18.1. მსგავსი სტანდარტები ჩამოყალიბებულია „პატიმრების მიმართ მოპყრობის მინისტრი სტანდარტულ წესებში“, მე-10, მე-11 და მე-12 მუხლები.

ადგენს, რომ პატიმართა საცხოვრებელი ფართი უნდა შექსაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, „უნდა უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას.“<sup>96</sup> „Human Rights Watch“-ის მიერ მონაცემებით დაწესებულებების უმრავლესობა, ორი ახალი საპყრობილის გამოკლებით, არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს.

### პირობები თბილისის მე-5 საპყრობილები

თბილისის მე-5 საპყრობილე აშენებულია 1912 წელს. თავდაპირველად, მე-19 საუკუნეში, შენობაში განთავსებული იყო ქარხანა. დაწესებულება იღებს წინასწარ პატიმრებს აღმოსავლეთ საქართველოს ხუთი რაიონიდან, მათ შორის თბილისიდანაც. თბილისის მე-5 საპყრობილის შენობის დიდ ნაწილში კედლები და იატაკი დაშლილია და ასეთივე მდგომარეობაშია დატოვებული. ელექტროსადენები იზოლაციის გარეშე გაყვანილი საკნესა და დერეფნებში. საპყრობილის საკნებში იმდენი ორსართულიანი ლითონის საწოლი დგას, რამდენსაც ოთახი იტევს. „Human Rights Watch“-ის ვიზიტისას საკნებში არც მაგიდები იყო და არც სკმები. პატიმრები უნდა ისხდნენ საწოლებზე ან იატაკზე, როცა მათ არ სძინავთ. ტუალეტები საკნის სერთო ფართიდან გამოყოფილია მხოლოდ დაბალი კედლით ან რაიმე ქსოვილითა თუ საშხაპე ფარდით, რომელიც პატიმრებმა თავადვე ჩამოკიდეს. ეს განმარტოების ძალზე მცირე საშუალებას უტოვებს იმ პატიმრებს, ვინც სანიტარული საშუალებებით სარგებლობს. ხალხით გადატვირთულ საკნებში საწოლები ძალიან ხშირად ტუალეტის მახლობლადაა განლაგებული. ტუალეტები საშინელ მდოგმარეობაშია. რამდენიმე საკანში „Human Rights Watch“-მა ნაგვის გროვები ნახა კარგბთან. „Human Rights Watch“-ის აზრით, პირობები, რომლებშიც პატიმრები იმყოფებიან აღნიშნულ საპყრობილები, არღვევს მათ მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის ვალდებულებას.<sup>97</sup>

„Human Rights Watch“-ის მიერ მონაცემებულ თბილისის მე-5 საპყრობილის ყველა საკანში იდგა ადამიანის ოფლის, ექსკრემნტებისა და თამბაქოს ბოლის საშინელი სუნი. ასეთი საკნებიდან პატიმრები დღეებისა და კვირების განმავლობაში არ გაყვადათ გარეთ (იხ. ქვემოთ „ვარჯიშის ნაკლებობა“). საკნებში ასევე უსაზღვროდ ცხელოდა ხალხმრავლობისა და არასაკმარისი ვენტილაციის გამო. ბევრ პატიმარს სიცხის გამო მინიმალური ტანსაცმელი ცვა. <sup>98</sup> თუმცა საკნებში დიდი ფანჯრებია, ვენტილაცია ძალზედ ცუდია,

<sup>96</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებებით, 33-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები.

<sup>97</sup> იხ. ზემო 49-ე სტოლით

<sup>98</sup> მიუხედავად მიმართ, რომ „Human Rights Watch“-ის ვიზიტის დროს მაისის შუა რიცხვებში თბილისში თბილობა, ეს ნამდებოდა არ არის ყველაზე ცხელი პერიოდი საქართველოში. 2006 წლის ივლის-აგვისტოში, როცა პერიოდის ტემპერატურა ქლიმატი აღწევდა 140°-ს ფარენჰიტი (40° ცელსიუსით), ტემპერატურა ზოგიერთ საკანში აღწევდა 113°-ს ფარენჰიტი (45° ცელსიუსით). ამ პერიოდის განმავლობაში გარდაცვლა, სულ ცოტა, 9 პატიმარი, თუმცა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაშე უარყოფდა, რომ აღნიშნული

ფანჯრებზე აკრული ლითონის სქელი დარაბების გამო.<sup>99</sup> წამების საწინააღმდეგო ეკროპის კომიტეტი ადგენს, რომ „ბუნებრივი განათება და სუფთა ჰაერი ცხოვრების ის ძირითადი ელემნტებია, რომლის უფლებაც აქვს ყველა პატიმარს.“<sup>100</sup> მიუხედავად წამების საწინააღმდეგო კომიტეტის არაერთგზის მითითებისა, მოხსნილიყო აღნიშნული დარაბები, „Human Rights Watch“-ის ვიზიტისას მთავრობას ჯერაც არ ჰქონდა შესრულებული ეს რეკომენდაცია.<sup>101</sup> „Human Rights Watch“-მა მოგვიანებით მიიღო ინფორმაცია, რომ 2006 წლის აგვისტოში, საქართველოში დიდი სიცხების პერიოდში, მთავრობამ დაიწყო დარაბების მოხსნა.<sup>102</sup>

### პირობები თბილისის მე-7 საპყრობილები

„Human Rights Watch“-მა შეგავსი პირობები დააფიქსირა თბილისის მე-7 საპყრობილები. ეს არის წინასწარი პატიმრობის დაწესებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მდებარეობს. საპყრობილის უფროსის მოადგილის თქმით, დაწესებულება ფუნქციონირებს 2004 წლიდან და იტევს 120 პატიმარს. „Human Rights Watch“-ის ვიზიტისას დაწესებულებაში იმყოფებოდა 100 დაკავებული, მათ შორის 30 - ორგანიზებული დანაშაულის თავკაცობაში ეჭვმიტანილი. ორგორც ციხის უფროსის მოადგილემ განუცხადა „Human Rights Watch“-ს, „აյ არიან საქართველოს მთელი მაფიის თავკაცები“.<sup>103</sup> ამ დაწესებულებაში ყველა დაკავებული მხოლოდ ბრალდებულია,

სიკვდილინობა რამენაირად უკავშირდებოდა პატიმრობის პირობებს. „ადამიანის უფლებათა დამცველები: ქრისტიანული პატიმრები სიცხვანის ინიციატინი“, *Gazeta.ru*, 2006 წლის 10 აგვისტო,

<http://www.gazeta.ru/cgi-bin/newsarc.cgi?lenta=lenta&day=10&month=10&year=2006> (მოძიებულია 2006 წლის 14 აგვისტოს). თუსებულისა სამინისტროს მიაღწია გარკვეული ზომები პატიმროთა ჯანმრთელობის დასაცავად ცხელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, ზოგიერთი საპრიობილის საქნებში შეიტანა ვნებლიურების, უბრენჯელყო 24 საათის განმავლობაში წყლის მიწოდება. ეკატერინე ასალიადა „საქართველოს ციხეებში სიკვდილინობა იზრდება“, „მესტრური“, № 151 (1171), 2006 წლის 11 აგვისტო,

[http://www.messenger.com.ge/issues/1171\\_august\\_11\\_2006/n\\_1171\\_1.htm](http://www.messenger.com.ge/issues/1171_august_11_2006/n_1171_1.htm) (მოძიებულია 2006 წლის 14 აგვისტოს).

<sup>99</sup> 2001 წლის საპარლამენტო ასამბლეის ძრინიტონინი კომიტეტი აღწერა სკექტა, ორგორც „პისიმტული, არაკომურტული და კაველებული კონტილუციის გარეშე“. ეკროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოს მეურის ანაკისრო კალდებულების შესრულება“, 105-ე პუნქტი. 2001 და 2004 წლების ვიზიტების განმავლობაში წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა იგვე მდგომარეობა აღწერა თბილისის მე-5 საპრიობილები. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-დან 18 მაისამდე წამებასა და არააღმანური ან ღირსების შემდახველი მთავრობისა თუ დასჯის ეპროცედი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წამებასა და არააღმანური ან ღირსების შემდახველი მთავრობისა თუ დასჯის ეპროცედი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“.

<sup>100</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძრინიტი ნაწილები“, გვ. 25, 30-ე პუნქტი.

<sup>101</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-დან 18 მაისამდე წამებასა და არააღმანური ან ღირსების შემდახველი მთავრობისა თუ დასჯის ეპროცედი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, გვ. 25, 87-ე პუნქტი. 2004 წლის თავის ანგარიშში კომიტეტმა აღნიშნა, „ორგორც დელგაციას აცნობებს, დარბების მოხსნა ვერ განხორციელდა სახსრების უძრავისისის გამო.“ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წამების შემდახველი მთავრობისა თუ დასჯის ეპროცედი კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, 68-ე პუნქტი.

<sup>102</sup> „Human Rights Watch“-ის კომიტეტია ელ-ფოსტით გორგი ტურუშთან, ეუთო, 2006 წლის 18 აგვისტო.

<sup>103</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ვიორგი ვიგვალიძესთან, თბილისის მე-7 საყრიბილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 7 მაისი.

თუმცა ზოგიერთი მათგანი ადრე უკვე მსჯავრდებული იყო და “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროს მათთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება დამატებით ბრალდებულთან დაკავშირებით.

თბილისის მე-7 საპყრობილე შედგება საქნების სამი სართულისაგან. პირველ სართულს წარმოადგენს სარდაფის საქნები. საქნები განსხვავდება ერთმანეთისგან ზომით და ტევადობით. მათში შეიძლება განთავსდეს 1-დან 10-მდე პატიმარი. “Human Rights Watch”-მა მოინახულა სარდაფის სართულის რამდენიმე გადატვირთული საკანი, სადაც ცხელოდა, იყო ჭუჭყი და არ იყო არც ბუნებრივი განათება და არც ვენტილაცია. საქნებს ჰქონდა მხოლოდ პატარა ფანჯრები, რომლებიც დაფარული იყო ლითონის მბიმე ფურცლებით. სახალხო დამცველის მოთხოვნის შემდეგ, აღმინისტრაციამ ოთახებში მოაწყო უკეთესი ხელოვნური განათება, თუმცა ამით მთლიანად ვერ გადაწყდა ცუდი განათების პრიბლებული იყო, რომ, როცა მცველებმა კარი გააღეს, დაკავებულებმა მაშინვე მოჭუჭეს თვალები, თითქოს მზერის შეჩვევა უნდოდათ დერეფნიდან მომავალი კაშკაშა სინათლისთვის. დაკავებულები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ განათებასთან დაკავშირებით: როგორც “Human Rights Watch”-ს განუცხად ერთ-ერთმა დაკავებულმა: „განათება ახლა ოდნავ უკეთესია, თუმცა მაინც ცუდია.“<sup>104</sup> “Human Rights Watch”-ს სწამს, რომ ადამიანთა პატიმრობა ამ საქნებში არსებულ პირობებში წარმოადგენს მათ მიმართ ღირსების შემლახველ მოპყრობას.“<sup>105</sup>

ამ ბოლო პერიოდში გარემონტდა თბილისის მე-7 საპყრობილის საქნები მესამე სართულზე. მათ აქვთ დიდი ფანჯრები კარგი განათებითა და ვენტილაცია. საქნებში იყო საწოლები და ასევე მაგიდები და სკამები. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქნების შესაძლებლობა მთლიანად არ გამოიყენებოდა.

### პირობები ახალ საპყრობილებში

“Human Rights Watch”-ის დაკვირვებით, ახლად აშენებულ საპყრობილებში (რუსთავის მე-6 საპყრობილე და ჭუთაისის მე-2 საპყრობილე) საქნები ზოგადად სუფთაა და აქვთ დიდი ფანჯრებითან შემომავალი კარგი ბუნებრივი განათება. საქნები არ არის გადატვირთული. თითო საკანში, ჩვეულებრივ, მოთავსებულია 6-8 პატიმარი. თითოეულ ოთახში არის ორსართულიანი საწოლები, მაგიდა და სკამები. ტუალეტები აპსოლუტურად იზოლირებულია და მოქცეულია ცალკე სათავსოში საკნის კარის გვერდით. თუმცა ვენტილაცია

<sup>104</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), თბილის, 2006 წლის 10 მაისი. იხ., აგრეთვე, „საქართველოს ომბუდსმენის წარმომადგენელის თბილისის მე-7 საპყრობილე“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესრელიაზი, 2006 წლის 2 მარტი, და „მე-7 საპყრობილეში არსებული საცხოვრებელი პირობების შესახებ“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესრელიაზი, 2006 წლის 8 აპრილი.

<sup>105</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>106</sup> იხ. ზემოთ 49-ე სქრლით.

პირობლემას წარმოადგენს ამ საქნებშიც – ოთახებში ცხელოდა და ხშირად იდგა ადამიანის ოფლისა და თამაქის სუნი.

### პირობები საკარანტინო საქნებსა და კარცერებში

“Human Rights Watch”-მა ყველაზე შემაძრწუნებელი პირობები აღმოაჩინა თბილისის მე-5 საპყრობილის სარდაფის „საკარანტინო“ საქნებში, სადაც დაკავებულებს, სავარაუდო, სამი დღის განმავლობაში აჩერებენ ჩვეულებრივ საკანში გადაყვანამდე. “Human Rights Watch”-მა მოგვიანებით გაარკვია, რომ ერთ-ერთი პატიმარი საკარანტინო საკნში, სულ მცირე, რვა თვის განმავლობაში ჰყავდათ გაჩერებული (იხ. ქვემოთ, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიული დახმარება“). “Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებულ საქნებში არ იყო ბუნებრივი განათება ან ვენტილაცია სარდაფში მათი მდებარეობის გამო. საკნებს ჰქონდა მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა და ისიც ლითონის ფურცლებით დაფარული. ხელოვნური განათება კარის თავზე განლაგებული ძლიერი ნათურიდან მომდინარეობდა. ონგანებში არ მოდიოდა წყალი, ხოლო ერთ-ერთ საკანში იატაკზე წყლის გუბე იდგა. საწოლები მხოლოდ შიშველი რეინის ძელებისგან შედგებოდა, არ იყო არც ლეიბები და არც საბნები, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე დაგლეჯილ საბანს. როცა “Human Rights Watch”-ის წარმომადგენელმა ჰკითხა საპყრობილის უფროსის მოადგილეს, დაწესებულებაში პატიმრების უფლებებზე პასუხისმგებელ ოფციალურ პირს, რატომ არ ჰქონდათ პატიმრებს ლეიბები ან საბნები, პასუხი იყო „არ ვიცი“. “Human Rights Watch”-ის წარმომადგენელმა გამოიძახა ერთ-ერთი მცგვლი და იგივე კითხვა დაუსვა მას. მცველის სიტყვებით, „დაკავებულები ამ საქნებში მხოლოდ რამდენიმე დღეს ჩერდებიან და ამიტომ ცდილობენ ყველაფრის დაწვას ან დასველებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ აღარ ვაძლევთ მათ აღარც ლეიბებს და აღარც საბნებს. ისინი ყოველთვის აფუჭებენ მათ.“<sup>107</sup>

თბილისის მე-5 საპყრობილის ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა, რომელმაც საკარანტინო საკანში მხოლოდ 24 საათი გაატარა, “Human Rights Watch”-ს გაჭირვებით უამბო იმ საშინელი პირობების შესახებ, რომლებშიც მას მოუხდა იმ ერთი დღის გატარება. „ლაპარაკიც კი მიჭირს. საკანში ენით აუწერელი პირობები იყო. ოთახი ძალიან ძველია და მეორე სართულის კანალიზაცია პირდაპირ ამ საკანში ჩამოდის. ამ საზიზღრობის გუბე დგას იატაკზე. ჩემი იქ ყოფილისას საკნში 18 ადამიანი იყო და მხოლოდ 16 საწოლი. ყველა ჭუჭყანი იყო და ცუდად გრძნობდა თავს. სერიოზულად მეშინოდა, ტუბერკულოზი ან რამე სხვა დაავადება არ შემყროდა. დაუჯერებელიც კია, რომ გადავრჩი.“<sup>108</sup>

<sup>107</sup> როგორც “Human Rights Watch”-ს განუცხადა სტეფანე ოზაშვილმა, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილემ, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>108</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპყრობილის ყოფილ პატიმართან (ანინიშვრობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 14 მაისი.

“Human Rights Watch”-ის აზრით, ადამიანების პატიმრობა ამგვარ პირობებში შეადგენს მათდამი დაძამცირებელ მოპყრობას.<sup>109</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა და სხვა ორგანიზაციებმა არაერთგზის მოითხოვეს აღნიშნული საკნების გაუქმება. მათ 2001 წელს აღნიშნეს, რომ „საცხოვრებელი ფართი ერთი ადამიანზე იქნებოდა არაუმეტეს 1,7 კვ მ-ისა. გარდა ამისა, საკნებში ჩვეულებრივ ბნელობა, ცუდი ვენტილაცია იყო, გამეუებული იყო სიბინძურე – ზოგჯერ იდგა სხვადასხვა სახის ნაგვის გორები – და იყო ნესტი. საერთო სიძველის დონე სცილდებოდა ყოველგვარ საზღვრებს.“ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წლის ვიზიტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, სავარაუდო, შეწყვიტა მე-5 საპყრობილის სარდაფში განთავსებული საკნების გამოყენება, მათ შორის, „საკარანტინო“ ოთახებისაც. მიუხედავად ამისა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2004 წლის ვიზიტის დროისთვის საკნები კვლავ ფუნქციონირებდა, აღბათ პატიმართა დიდი რაოდენობის გამო.<sup>110</sup>

“Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებული კარცერები ხშირად ასევე ვერ აქმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს. რუსთავის 1-ლ საპყრობილები კარცერები პატარაა, ერთი ბეჭო ფაჯრებით, რომლებიც არაა საკმარისი არც ვენტილაციისთვის და არც ბუნებრივი განათებისთვის. პატიმრებს ეძინათ შიშველ საწოლებზე, ლეიბების გარეშე. ბევრი მათგანი გამოიუსადეგი იყო, ვინაიდნ მათ აკლდა ხარისხბი. ერთ-ერთ საკანში 10 პატიმარზე მხოლოდ შევიდი ვარგისი საწოლი იყო. ზოგიერთ ოთახში ტუალეტი ფუნქციონირებდა და გამოყოფილი იყო დაბალი კედლით. იმ საკნებში კი, სადაც ტუალეტი არ ფუნქციონირებდა, პატიმრებს მოეთხოვებოდათ საკნის კარზე დაბაკუნება და თხოვნა, გაეყვანათ ტუალეტში, რომელიც განლაგებული იყო ცარიელ საკანში, რომელსაც, როგორც ჩანს, იყენებდნენ საერთო ტუალეტად. რუსთავის 1-ლი საპყრობილის კარცერში მოთავსებულმა პატიმრებმა უარი განაცხადეს “Human Rights Watch”-თან საუბარზე.

“Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებულ ორ ახალ საპყრობილები კარცერები მხოლოდ ერთ პატიმარზე არის გათვლილი. რუსთავის მე-6 საპყრობილები დასჯილი პატიმრები თავსძებიან ძალიან პატარა საკნებში, სადაც არის ტუალეტი, ნიჟარა და ხის საწოლები ლეიბებისა თუ თეთრულის გარეშე. ქუთაისის მე-2 საპყრობილები “Human Rights Watch”-მა მოინახულა ორი კარცერი, სადაც იგივე პირობები აღმოაჩინა. როგორც ქუთაისის საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელობაში აღნიშნა “Human Rights Watch”-თან საუბრისას, პატიმრებს კარცერში კველაზე მეტი ათი დღით თუ აჩერებენ. ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უამბო, რომ მან რვა დღე გაატარა კარცერში ზედამხედველის შეგინებისთვის. მეორე პატიმარიც იმავე მიზეზით კარცერში ხუთი დღის განმავლობაში მჯდარა. დასჯასთან

<sup>109</sup> იხ. ზემოთ 49-ე სქილით.

<sup>110</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წამებისა და არაადმაზრით ან დირსების შემდახველი მოპყრობისა თუ დასჯის ვრცელების კომიტეტის ვიზიტის შესახვა“, 67-ე პუნქტი.

დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა აღნიშნა, რომ იგი „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იზოლირების მსგავს პირობებში პატიმრობაში მყოფ პატიმრებს (რა მიზეზითაც არ უნდა ისჯებოდნენ ისინი). პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ შენარჩუნებული იყოს წონასწორობა საქმის მოთხოვებსა და იზოლირებული პატიმრობის ტიპის რეჟიმის გამოყენებას შერის.... იზოლირებული პატიმრობის ყველა ფორმა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.“<sup>111</sup> სტანდარტული მინიმალური წესები კრძალავს იზოლირების გზით დასკავს.<sup>112</sup>

### **პივირა**

პატიმართა პიგინასთან დაკავშირებული პრაქტიკა ძალიან განსხვავდებულია სასჯელადსრულების სისტემაში. პატიმართა უმრავლესობის თქმით, შხაპის მიღებას ისინი თვეში ერთხელ ან ორჯერ თუ ახერხებდნენ, გარდა რესთავის 1-ლი საპყრობილისა და ციხის რესპუბლიკური სააგადმყოფოსი, საღაც მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ შხაპის მიღება. სტანდარტული მინიმალური წესები მოითხოვს, რომ პატიმრებს „ხელი უნდა მიუწვდებოდეთ წყალზე და ტუალეტის იმ საგნეზზე, რომლებიც აუცილებელია ჯანმრთელობისა და სისუფთავის დაცვისათვის“ და „იმისათვის, რომ პატიმრებმა შეინარჩუნონ საკუთარი ღირსების შესაბამისი კარგი გარეგნობა, დაწესებულებაში უნდა იყოს თმისა და წვერის მოვლის და რეგულარულად გაპარსვის შესაძლებლობა.“<sup>113</sup>

თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილემ განაცხადა, რომ პატიმრები „იბანენ კვირაში ერთხელ.“<sup>114</sup> მაგრამ პატიმრები აცხადებენ, რომ ისინი არ იღებენ შხაპს კვირაში ერთხელ, ვინაიდან „ამისთვის ძალიან ბევრი ხალხია.“<sup>115</sup> ქუთაისის მე-2 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „შხაპის მიღების საშუალება თვეში ერთხელ ან ორჯერ თუ გვეძლევა. ზოგჯერ ონგანის ცივი წყლით ვიბანთ ჩვენს ნიუარებში.“<sup>116</sup> თბილისის მე-5 საპყრობილის ზოგიერთ საკანში პატიმრებმა შეიძინეს შლანგები და გააკეთეს თვითნაკეთი შხაპი ტუალეტების თავზე. ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს აუხსნა: „ჩვენ ვიბანთ ჩვენივე საკუთარი ტუალეტის თავზე ამ შლანგით, რომელიც მიერთებულია ონგანთან. ჩვენ თვითონ გავაკეთეთ ეს შხაპი, თუმცა წყალი აქ არც ისე ხშირად გვაქვს.“<sup>117</sup>

<sup>111</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძარითადი ნაწილები“, გვ. 20, 56-ე პუნქტი.

<sup>112</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, 32-ე მუხლი.

<sup>113</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-15 და მე-16 მუხლები.

<sup>114</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ სტეფანე ოზაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 5 მაისი.

<sup>115</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილის მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-15 და მე-16 მუხლები.

<sup>116</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილის მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-15 და მე-16 მუხლები.

<sup>117</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილის მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-15 და მე-16 მუხლები.

მე-7 საპყრობილის რამდენიმე პატიმარმა განაცხადა, რომ ისინი შხაპს მხოლოდ სამ კვირაში ერთხელ იღებენ.<sup>118</sup> ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, „როცა ადამიანები პირველად შემოიყვანეს თბილისის მე-7 საპყრობილები, მათ არ ჰქონდათ დაბანის საშუალება ორი თვის განმავლობაში. შხაპში პატიმრებმა ერთი საპნით უნდა ისარგებლონ, სამართებლებსაც ბევრი სხვადასხვა ადამიანი იყენებს.“<sup>119</sup> მეორე ადვოკატმა კი „Human Rights Watch“-ს განუცხადა, რომ მე-7 საპყრობილები სამი თვის განმავლობაში პატიმრებს არ შეეძლოთ შხაპის მიღება და თმის შეჭრა, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ყველა პატიმარს ერთად მოპარსეს თმა და წვერი.<sup>120</sup> სახალხო დამცველის ოფისში დაადასტურა, რომ ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პატიმრებს პირადი ჰიგიენისთვის საჭირო საგნებით (საპნი, ტუალეტის ქაღალდი, სამართებლები, კბილის ჯაგრისები, კბილის პასტები და ა.შ.) და არც მათ ნათესავებს აძლევს ამ საშუალებების შეგზავნის უფლებას.<sup>121</sup> ჰიგიენასთან, ოჯახის წევრებთან პაემნების ნაკლებობასთან, ვარჯიშის მოუწვდომლობასთან და პატიმართა სხვა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის წერილობითი საჩივრების პასუხად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ განაცხადა: „მე-7 საპყრობილები არსებული საცხოვრებელი პირობები შეესაბამება საქართველოს კონიმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილ მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს.“<sup>122</sup>

პატიმართა გადმოცემით, ოჯახის წევრები ხშირად აწვდიდნენ ხოლო ლოგინს და თეთრეულს, რომლითაც საკნების გადატვირთულობის გამო სხვებთან ერთად უწევდათ სარგებლობა.<sup>123</sup> ლოგინის თეთრეული უმრავლეს შემთხვევაში იყო ბინძური და იშვიათად ირეცხებოდა.<sup>124</sup> თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრის თქმით, „თეთრეული სამი თვეა არ გამოუცვლიათ.“<sup>125</sup> საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ ხელისუფლება უზრუნველყოფდეს პატიმრებს ინდივიდუალური და „საკმარისი თეთრეულით, რომელიც უნდა იყოს სუფთა გაცემისას და ხშირად იცვლებოდეს სისუფთავის დაცვის მიზნით.“<sup>126</sup>

<sup>118</sup> 2006 წლის აგვისტოში „Human Rights Watch“-ს ერთ-ერთმა ადვოკატმა განუცხადა, რომ პატიმრები ახლა შხაპს თვეში ორჯერ იღებენ. „Human Rights Watch“-ის სატელეფონო საუარი გლეხ ნიკოლაიშვილთან, 2006 წლის 9 აგვისტო.

<sup>119</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ლალი აუცალურთან, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>120</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ გელა ნიკოლაიშვილთან, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>121</sup> „მე-7 საპყრობილები არსებული საცხოვრებელი პირობების შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, პრესრელიზმი, 2006 წლის 10 აპრილი.

<sup>122</sup> იქნ.

<sup>123</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 7 მაისი; და „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილები, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>124</sup> როგორც ერთ-ერთმა პატიმარმა თქვა, „თეთრეული ორი თვეა არ გამოუცვლიათ.“ „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ჭეთასის მე-2 საპყრობილები, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>125</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>126</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-19 მუხლი.

## ქვება

“Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებული სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების პატიმრები ჩიოდნენ საკვების ხარისხსა და რაოდენობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ დაწესებულებაში “Human Rights Watch”-ი აკვირდებოდა პატიმრებისთვის საკვების მომზადების და თვით კვების პროცესს. პატიმრები დღეში სამჯერ იკვებებოდნენ, მაგრამ საკვებს ხშირად აკლდა კალორიულობა. თითოეულ შემთხვევაში საჭმელი შედგებოდა წყალწყალა წვნიანისგან, ბოსტნეულის რმძენიმე ნაჭრით და ცოდაოდენა ხორცით. „სტანდარტული მინიმალური წესები“ ადგენს, რომ „ყოველ პატიმარს ადმინისტრაცია დადგენილ საათებში უნდა აწვდიდეს კალორიულ საკვებს, რომელიც ადეკვატურია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, აქვს მაღალი ხარისხი და კარგადაა მომზადებული.“<sup>127</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს: „სიცოცხლისთვის აუცილებელი მინიმუმის მიწოდება ყოველთვის გარანტირებული უნდა იყოს ისეთ დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო საკუთარი მეთვალყურებობის ქვეშ დაკავებული ჰყავს ადამიანები. ამ მინიმუმში ასევე იგულისხმება კვება . . .“<sup>128</sup>

თბილისის მე-5 საპყრობილები “Human Rights Watch”-მა ნახა სამზარეულოს შენობის დამპალი კედლები. წყალი პირდაპირ ესხმებოდა იატაკზე გუბეში მდგარ კვების პროცესტებით სავსე კონტეინერებს. მზარეულებმა აცნობეს “Human Rights Watch”-ს, რომ იმ დღეს პატიმრები მიიღებდნენ სუპს პამიღვრით, ხახვით, სტაფილოთი, კარტოფილით, ვერმიშელით და ქათმის ხორცით. მზარეულების თქმით, პატიმრები ასევე მიიღებდნენ მაკარონს დაკონსერვებული ხორცით, მუხუდოთი და წიწიბურის ფაფას. რუსთავის 1-ლი საპყრობილის უფროსის მოადგილემ “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ პატიმრები უმეტესად მიირთმევნ წვნიანს, ჩაის, პურსა და კარტოფილს.<sup>129</sup>

პატიმრებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებდნენ წყალწყალა ფაფას ან ასეთივე წყალწყალა წვნიანს თითქმის ყოველ ჯერზე. თბილისის მე-7 საპყრობილის ზოგიერთი პატიმარი “Human Rights Watch”-თან საუბრისას უჩიოდა საკვებს. ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, „საჭმელი გაფუჭებულია. მე მას არ ვჭამ. მე მხოლოდ პურს ვჭამ.“<sup>130</sup> მე-7 საპყრობილის მეორე პატიმარმა განაცხადა, რომ მას გუჭის პრობლემები გაუჩნდა ცუდი საჭმლის გამო მას შემდეგ, რაც ის ამ დაწესებულებაში მოხვდა. რუსთავის მე-6 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უთხრა: „აქ მალინ ცუდი საკვება. ზოგჯერ რაღაც გაუგებარი წარმოშობის ხორცსაც კი ვიღებთ ხოლმე.“<sup>131</sup> ცუდ საკვებზე

<sup>127</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მე-20 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

<sup>128</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარშების ძარითადი ნაწილები“, გვ. 53, 33-ე პუნქტი.

<sup>129</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თამაზ მელამესთან, რუსთავის მე-6 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>130</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი. საპყრობილების შემთხანილი საკვები მზადდება ახლომდგრაფე მე-5 საპყრობილები და შედეგ ხდება მისა ტრანსპორტირება მე-7 საპყრობილები.

<sup>131</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილები, 2006 წლის 17 მაისი.

ლაპარაკობდნენ ასევე ქუთაისის მე-2 საპყრობილის პატიმრებიც. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „სამხარზე ვიღებო წვნიანს ხორცის პატარა ნაჭრით. საკვები არ არის საკმარისი. ღამით ვიღებო ფაფას, მაგრამ არა ხორცს. ზოგჯერ შაქარსაც გვაძლევენ – პატარა ნატეხს. როგორც უფროსობა გვეუბნება, შაქარი რომ მოგცენ, მისგან ალკოჰოლურ სასმელს დავამზადებო.“<sup>132</sup> ზოგიერთმა სხვა პატიმარმა და ციხის თანამშრომლებმა „Human Rights Watch“-ს აცნობეს, რომ იმავე მიზეზით შაქრის მიწოდება შეზღუდულია.<sup>133</sup>

„Human Rights Watch“-ის მიერ გამოკითხული პატიმარი ბავშვები, ზოგადად, უკეთეს საკვებს იღებდნენ, მათ შორის, უფრო რეგულარულად დებულობდნენ ხორცს, თუმცა მოლაპნობაში საკვები მაინც არ იყო კარგი სარისხის. თბილისის მე-7 საპყრობილები დაკავებულმა ორმა ბავშვმა განაცხადა: „საკვები არ არის კარგი. გვაჭმევნ ფაფას, ბორშჩს, ზოგჯერ ხორცს, ზოგჯერ სოიოს.“<sup>134</sup> „Human Rights Watch“-მა ნახა შეუჭმელი საჭმლით სავსე ჯამები ბიჭების საკანში. როგორც ბავშვებმა თქვეს, მათ ვერ შეძლეს ამ საჭმლის ჭამა. ქუთაისის მე-2 საპყრობილის წინასწარი პატიმრობის საკანში მყოფმა ბავშვებმა განაცხადეს, რომ ხორცის ან თევზის კატლეტებს იღებდნენ ყოველ საღამოს. თუმცა ბიჭებს უფრო კალორიული საჭმელი მხოლოდ მას შემდეგ მისცეს, რაც პროტესტი გამოხატეს. როცა „Human Rights Watch“-ი დაინტერესდა ჭრილობებით ბიჭების ხელებზე, მათ უპასუხეს: „ჩვენ სერიოზული პრობლემა გვქონდა საჭმელთან დაკავშირებით და ამიტომ დავიჭრით ხელები. ეს ერთადერთი გზა იყო. საჭმლისგან ცუდად ვხდებოდით, მაგრამ რაც საკუთარ თავს ჭრილობები მივაყენთ, საჭმელი გაუმჯობესდა.“<sup>135</sup> მიუხდავად ამისა, ერთმა ბიჭება განაცხადა, რომ „საჭმელი არ არის ძალიან კარგი. ზოგჯერ მართლაც ვერ ვჭამთ და სულ გვშია.“<sup>136</sup>

საჭმელს ციხის რესპუბლიკურ საავადყოფოში მოთავსებული პატიმრებიც უჩიოდნენ. ერთ-ერთმა დაკავებულმა განაცხადა: „მე არ ვჭამ აქაურ საჭმელს. აქ მხოლოდ სამნაირი საჭმელია: წყალწყალა ფაფა, ბორშჩი და ისევ ფაფა საღამოს. ბორშჩში შეიძლება კარტოფილი ტივტივებდეს.“<sup>137</sup> მეორე პატიმრის თქმით, „საჭმელი აქ იმდენად ცუდია, რომ არავინ ჭამს. ჩემს ნათესავებს

<sup>132</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>133</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ სტეფანე ოზაშილათან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 20 მაისი; „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი; „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქლთა განყოფლება ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>134</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ 16 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი; „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ 17 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>135</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ 16 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>136</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ 15 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>137</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური სავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

მოაქვთ ხოლმე შეფუთული საჭმელი და ტოვებენ შემოსასვლელში.“<sup>138</sup> როცა “Human Rights Watch”-ი დაინტერესდა პაციენტების კვებით, საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა განუმარტა მას: „ჩვენ არ ვითვლით მიღებული კალორიების რაოდენობას. ჩვენ ვიყენებთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს, რამდენ პროცენტს აძლევს გარკვეული საკვები ადამიანს. ყველა ერთნაირ საკვებს იღებს. მათ ეძლევათ პური, კარტოფილი, მაკარონი, თევზი და ხორცი, თუმცა არა ყოველდღე. მიუხედავდ ამისა, ისინი პროცენტის ყოველდღიურად ღებულობენ.“<sup>139</sup>

საპყრობილის მწირი დიეტის შეესბის მიზნით პატიმრები მირითადად იკვებებოდნენ ნათესავების მიერ მოტანილი საკვებით, მაგრამ ზოგიერთ დაწესებულებაში ამ ბოლო პერიოდში სასტიკად შეიზღუდა ამანათების მიღება, ისინი ან საერთოდ ვერ იღებენ მათ, ან მხოლოდ შეზღუდული დასახელების საგნების მიღება შეუძლიათ. საქართველოს კანონმდებლობით წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს შეუძლიათ სახლიდან საკვების შემცველი ამანათების მიღება.<sup>140</sup> პრაქტიკულად, ამანათებთან დაკავშირებული წესები ყველა საპყრობილები სხვადასხვაა და არც რომელიმე ერთ საპყრობილებია ხოლმე ყოველთვის ერთნაირი. როგორც თბილისის მე-5 საპყრობილის თანამშრომლებმა განაცხადეს, პატიმრებისთვის ამანათების მიღება არ არის შეზღუდული. „ნათესავები ყოველდღე მოდიან. მათ მოაქვთ საკვები – ხილი, ბოსტნეული და ოჯახში დამზადებული კერძები. არ შეიძლება მალუუჭებადი პროცესის მოტინა.“<sup>141</sup> თბილისის მე-5 საპყრობილები და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებული პატიმრები არ ჩიოდნენ ამანათების მიღებასთან დაკავშირებულ რაიმე პრობლემაზე.<sup>142</sup>

მაგრამ სხვა დაწესებულებებში ბევრი შეზღუდვაა ამანათების მიღებასთან და მათ შეითავსთან დაკავშირებით. თბილისის მე-7, ქუთაისის მე-2 და რუსთავის მე-6 საპყრობილებებში პატიმრებს ნათესავებისგან შეუძლიათ შეზღუდული საგნების შემცველი ამანათების მიღება, ხოლო ზოგიერთ პატიმრებს საერთო

<sup>138</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმრთან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>139</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ მთავარ ექიმთან, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>140</sup> ასალი ცვლილებების მიხედვით პატიმრებს შეუძლიათ „საქუთარი სახსრებით შეიძინონ დამატებითი კვების პროცესებით თუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლომბიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღვეო ანგარიშშიწორებით.“ გაუგებარა, რიცორ უნდა განხილვიყოლენ ეს უფლება პრაქტიკულად. პატიმრებს ასევე შეუძლიათ „ანადერილებითა და ამანათებით მითოონ კვების პროცესებით ემზინიშვრაციის გზიზროლით, გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.“ ეს ცვლილება გამოიწვევს პატიმრების მიერ დასატებითი საკვების მიღებას შესაძლებლობის თვალისწილებრივ შეზღუდვას. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებით, 92-ე მუხლის 1-ლი (ა, ა) პუნქტი.

<sup>141</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე ოხაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>142</sup> როგორც მე-5 საპყრობილის ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა უთხრა “Human Rights Watch”-ს, „პირველ დღეს მე არ მიჰყავა. ამის შემდეგ ყოველთვის ჩემს საქუთარ საკვებს ვიღებდი. სულაც არ მქონა რაიმე პრობლემა ამანათების მიღებასთან დაკავშირებით.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპყრობილოს ყოფილ პატიმრთან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 14 მაისი. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმრების რეგულარული დღისწინები დღი ამანათებს, რომელიც მათთვის მიაქრინათ ნათესავებს და ტოვებდნენ საავადმყოფოს შესასვლელთან. სწორედ ეს საკვები იყო მათი ძარითადი რაციონი. “Human Rights Watch”-მა ნახა, თუ როგორ მოპქინდათ ნათესავებს ეს ამანათები. რესთავის 1-ლი საპყრობილის თანამშრომლებმა საკვებად განცხადეს, რომ ისინი იღებდნენ ნათესავებს მიერ მოგრძნდ ამანათებს საკვებით. პატიმრებმა დაადასტურეს ეს ფაქტი.

ეკრძალება რაიმეს მიღება. შეზღუდვა გარკვეულ ნივთებზე თვითნებურია. საპყრობილების თანამშრომლები აცხადებენ, რომ ისინი ზღუდვები მალფუჭებადი პროდუქტის მიღებას, მაგრამ, ამავე დროს, უკრძალავენ ნათესავებს დაბეჭდილი ან დამუშავებული პროდუქტების შემოტანასაც. მე-7 საპყრობილის უფროსის თქმით, პატიმრებს შეუძლიათ მიიღონ ამანათები, რომლებშიც არის წვენები, ხილი და სიგარეტი,<sup>143</sup> თუმცა პატიმრები აცხადებენ, რომ ისინი ყოველთვის ვერ იღებენ ნათესავების მიერ მოტანილ ამანათებს. ერთ-ერთმა ქალმა აღწერა შემთხვევა, როცა მას უნდოდა მე-7 საპყრობილები მყოფი მისი ქმრისთვის ამანათის გადაცემა. „თავიდან ჩემი ქმარი თბილისის მე-5 საპყრობილები იყო მოთავსებული. იქ რეგულარულად შემეძლო მისთვის საკვების მიწოდება. აქ კი იღებენ მხოლოდ წვენებსა და ხილს, გაზეთებს და სიგარეტებს. მთლიანობაში ოვეში მხოლოდ 30 კგ-ის მოტანის უფლება გვაქვს. ჩემმა ქმარმა ძალიან დაიკლო წონაში. ახლა ის ძალიან დასუსტებულია. ვერ ვუგზავნი მას ვიტამინებს, თაფლს, ნამცხვარს, ჩაის, მიუხდავად იმისა, რომ ეს პროდუქტი არ არის მალფუჭებადი. ციხის ხელმძღვანელობა ზოგჯერ იღებს ამანათებს, ზოგჯერ კი — არა.“<sup>144</sup>

ქუთაისის და რუსთავის საპყრობილების პატიმრები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ, რომ მათ შეუძლიათ მხოლოდ სიგარეტის, წვენების და ხილის მიღება ნათესავებისგან და რომ ეს ამ ბოლო დროს შემთხვებული წესია. ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, „უკვე აღარ გვაძლევენ საკმარისი რაოდენობით საკვების მიღების უფლებას. ახლა საპყრობილის საკვებით უნდა ვიკვებოთ. ყველაფერი ეს ერთი თვის წინ შეიცვალა. ადრე უფრო მეტი საკვების მიღების საშუალება გვქონდა.“<sup>145</sup> საპყრობილების ერთ-ერთმა ექსპერტმა ამანათებთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკა შემდეგნაირად ახსნა: „ქუთაისისა და რუსთავის ახალი საპყრობილების ხელმძღვანელობამ აკრძალა ამანათები, ვინაიდან გეგმავდა, გაეხსნა მაღაზია, როგორც ევროპაშია, სადაც პატიმრები შეიძინდნენ საკვებს, სიგარეტს და სხვა საგნებს. მაგრამ საპატიმროებში ასეთი მაღაზიები ჯერ არ გახსნილა. აქედან გამომდინარე ნებადართულია ზოგიერთი პროდუქტის გადაცემა, მარილი, ყვავა, ჩაი აკრძალულია. პატიმრები განიხილავნ ამას როგორც სასჯელს.“<sup>146</sup>

### **პატიმრების სამედიცინო მომსახურება**

“Human Rights Watch”-ის დაკვირვებით, პატიმრების სამედიცინო მომსახურება სრულიად არააღეკატურია ყველა დაწესებულებაში. პატიმრები ძალზედ უჩივიან ჯანმრთელობის პრიბლებებს და შესაბამისი ყურადღების უკმარისობას.

<sup>143</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი გიგნალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადილე, 2006 წლის 7 მაისი.

<sup>144</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმრის ცოლთან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>145</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი. მხატვალ ამისა, რუსთავის მე-6 საპყრობილის პატიმრმა განაცხადა: „შეკვიდნა რჯახებიდნო ხილის მიღება, მაგრამ ბოსტნეულისა — არა, არც შორისადის და არც კანფეტების.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>146</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ მერი მერიესთან, “Panel Reform International”, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო ვერ აქმაყოფილებს მკურნალობის ძირითად სტანდარტებს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს: „საპყრობილის სამედიცინო მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობას და მოვლას, ასევე შესაბამის დიეტებს, ფსიქოთერაპიას, რაბილიტაციასა და სხვა აუცილებელ სპეციალურ საშუალებებს ისეთივე პირობებში, როგორშიც პაციენტები საპყრობილის კედლებს გარეთ მკურნალობები.“<sup>147</sup> „სტანდარტული მინიმალური წესებიც“ ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მსგავს მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფოებს.<sup>148</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების შეუძლებლობა შეიძლება უტოლდებოდეს პატიმრების მიმართ ღირსების შემლახველ მოპყრობას, რაც, თავისთავად, იწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.“<sup>149</sup>

### ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო

„Human Rights Watch“-ი 2006 წლის 15 მაისს ესტუმრა თბილისში განთავსებულ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს. საავადმყოფო, რომელიც ემსახურება სასჯელაღსრულების მთელ სისტემას, იღებს იმ პატიმრებს, რომლებსაც აღნიშნებათ ძალიან სერიოზული სამედიცინო შემთხვევები, რომელთა მკურნალობა შეუძლებელია ცალკეული საპატიმროების სამედიცინო პუნქტებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არ იყო აშენებული როგორც საავადმყოფო და არც მისი განახლება მომხდარა საავადმყოფოს ტექნიკური სტანდარტების დაქმაყოფილების მიზნით. შენობა ოპერაციებისთვის საჭირო მხოლოდ მინიმალური ტექნიკური საშუალებებითა აღჭურვილი და ჰიგიენისა და სისუფთავის მხრივ საქართველოს სხვა საავადმყოფოებისათვის სავალდებულო არანაირ სტანდარტებს არ შეესაბამება. წამების მსხვერპლთა სარაბილიტაციო ცენტრი „ემფატიას“ (არსამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას და ახორციელებს პროგრამებს (საპყრობილებებში) ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, „ციხის საავადმყოფოში ძალიან ცუდი პირობებია. არ არსებობს სტანდარტები, ლიცენზიები, ჰიგიენასთან დაკავშირებული სერტიფიკატები, რომლებიც სავალდებულო საქართველოს ყველა სხვა საავადმყოფოში. ამ თვალსაზრისით სამედიცინო სისტემა პატიმართათვის აბსოლუტურად უკანონოდ ფუნქციონირებს.“<sup>150</sup>

ციხის მთავარმა ექიმმა, დავით ოსეთიანმა, ასევე განაცხადა: „ეს შენობა სულაც არ არის საავადმყოფოსთვის გათვლილი, თუმცა ჩვენ მას

<sup>147</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარშების ძირითადი ნაწილები“, გვ. 31, 38-ე პუნქტი.

<sup>148</sup> „როცა დაწესებულებაში არის საავადმყოფო, მისი აღჭურვილობა, ავეჯი და ფარმაცევტული მარავი უნდა შეესაბამებოდეს ავადმყოფი პატიმრებისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობას. საავადმყოფო ასევე დაკამატებებული უნდა იყოს შესაბამისი პერსონალით.“ „პატიმრების მკურნალობის სტანდარტული მონიმალური წესები“, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>149</sup> იხ. საქეთებულებების უკრაინის წინამდებარებული, № 72286/01, 2006 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.

<sup>150</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ გიორგი ბერულავასთან, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს უფროსის მოადგილე, 2006 წლის 15 მაისი.

საავადმყოფოდ ვიყენებთ . . . თავიდან ის ციხე იყო. ჩვენ არა გვაქვს ნორმალური საავადმყოფო განყოფილებები ან პუნქტები.“<sup>151</sup> მან დასძინა, „ჩვენ არც საკმარისი სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტები გვაქვს.“<sup>152</sup> მთავარი ექიმის დ. ოსეთიანის მიერ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებული 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, საავადმყოფო საშუალოდ იღებს 0,30 ლარს (0,14 აშშ ლოლარი) დღეში თითო პაციენტზე მედიკამენტებისთვის.<sup>153</sup> პატიმრები წამლებს ხშირად ნათესავებისგან ღებულობენ, თუმცა ადმინისტრაციამ ესეც შეზღუდა. ერთ-ერთმა პაციენტმა, რომელსაც აწუხებს როული ხანგრძლივი დაავადებები, გვითხრა: „მხოლოდ ქრთამით თუ მიიღებ წამალს.“<sup>154</sup>

ციხის საავადმყოფოს და სასჯელაღსრულების ჩვეულებრივი დაწესებულების სამედიცინო პუნქტებს ტექნიკურად აქვთ შესაძლებლობა, ქალაქის საავადმყოფოებში გადაიყვანონ ის პაციენტები, რომლებსაც უფრო სერიოზული მკურნალობა ესაჭიროებათ. დავით ოსეთიანმა „Human Rights Watch“-ს უთხრა: „როცა ჩვენ აქ აღარ შეგვიძლია პაციენტების მკურნალობა, მათი უმრავლესობის გადაგზავნა შეგვიძლია ქალაქის საავადმყოფოში, მაგრამ არა ყველასი.“<sup>155</sup> მაგრამ როგორც „Human Rights Watch“-ს განუცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ანგარიშების გადაუხდელობის გამო, ქალაქის საავადმყოფოები აღარ იღებენ ციხის საავადმყოფოს პაციენტებს. ხშირად პატიმრები თავად იხდიან ქალაქის საავადმყოფოებში საკუთარი მკურნალობის ხარჯებს.<sup>156</sup>

თუსტიციის სამინისტრო გეგმავს 2006 წლის სექტემბრიდან სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურებაზე პასუხისმგებლობის გადაცემას შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთვის. დავით ოსეთიანის აზრით, ამან შეიძლება არ გადაწყვიტოს სისტემის პრობლემები, რადგან შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს არა აქვს გამოყოფილი შესაბამისი თანხები 2006 წლის ბიუჯეტიდან. მისი აზრით, უკეთესია ამგვარი გადაცემა 2007 წლის დასაწყისში მოხდეს, ახალი ბიუჯეტის პირობებში.<sup>157</sup> საქართველოს სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემა ასევე

<sup>151</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ დავით ოსეთიანთან, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>152</sup> იქვე.

<sup>153</sup> ანგარიში ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებით, რომელიც „Human Rights Watch“-ს მიაწოდა დავით ოსეთიანმა, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>154</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>155</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ დავით ოსეთიანთან, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>156</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ირინა ცინცაძესთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილი, 2006 წლის 22 მაისი.

<sup>157</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ დავით ოსეთიანთან, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, 2006 წლის 15 მაისი.

ცდილობს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას, თუმცა მას არც აღეკვატური საშუალებები აქვს და არც რესურსები.

“Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროს ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში, რომელიც 300 ადამიანს იტევს, მოთავსებული იყო 284 პაციენტი.<sup>158</sup> ბევრი პრობლემა, რომელსაც რეგულარულად ვხვდებით სასჯელადსრულების დაწესებულებებში, ასევე ადგილი აქვს ციხის სააგადმყოფოშიც. სააგადმყოფოს შემოვლისას “Human Rights Watch”-მა აღმოაჩინა ბევრი დიდი ოთახი, რომლებშიც მოთავსებული იყო 12 ადამიანი. ოთახების უმრავლესობაში იდგა მხოლოდ ერთმანეთთან ახლოს მიწყობილი რკინის ნარები. ზოგიერთ ოთახში ტელევიზორიც იყო. ოთახებში ცხელოდა, უსუფთაობა სუფეცდა და იდგა ადამიანის ოფლისა და თამბაქოს ბოლის სუნი, თუმცა განათება დამაკმაყოფილებელი იყო და ფანჯრებიც იძლეოდა ვენტილაციის საშუალებას. პაციენტები იღებდნენ თეთრულს, საკვებს და აუცილებელ მედიკამენტებს ოჯახის წევრებისგან, რომლებსაც მოჰკონდათ ამანათები. ამანათების მიღება, ერთი შეხედვით, არ იზღუდებოდა. ზოგიერთ ოთახში “Human Rights Watch”-მა აღმოაჩინა გაურეცხავი და სისხლის ლაქებიანი თეთრული. საერთო სარგებლობის ტუალეტები, რომლებიც განთავსებულია დერეფნებში, იყო ნესტიანი და იქ ადამიანის ექსკრემენტების საშინელი სუნი იდგა. “Human Rights Watch”-ისთვის გასაოცარი იყო ზოგიერთი ისეთი პატიმრის აღმოჩენა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ, უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვები. “Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებულ ერთ-ერთ ოთახში ორ პაციენტს ჰქონდა სავარძლები, დივანი, ორადგილიანი საწოლი და ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი. პატიმრებმა განაცხადეს, რომ ეს ნივთები მათ ნათესავებმა მოუტანეს სააგადმყოფოს ხელმძღვანელობის თანხმობით.

### საპყრობილის სამედიცინო პუნქტები

“Human Rights Watch”-ის მიერ მონახულებულ თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს ცალკე სამედიცინო პუნქტი და პყვს სამედიცინო პერსონალი. იუსტიციის სამინისტროს ექვსი ექიმისგან შემდგარი კომისია ამოწმებს დაწესებულებას კვირაში ერთხელ ან ორჯერ. როგორც ამ კომისიის წევრმა უთხრა “Human Rights Watch”-ს, „საჩივრები მოგვდის პატიმრებისგან, გამომძიებლებისა თუ პატიმართა ოჯახების წევრებისგან. ჩვენ ასევე ვამოწმებთ საკანებს.“<sup>159</sup> ზოგიერთი საპყრობილის გადატვირთვის გამო სამედიცინო პუნქტებს არ შეუძლიათ ბევრი პატიმრისთვის სამედიცინო მომსახურების

<sup>158</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ მიზერ გვიჩინთან, ციხის რესპუბლიკური სააგადმყოფოს უფროსის მოადგილე, 2006 წლის 15 მაისი, დაწესებულების რეალური ტემატიკა გაურკვევდება. საქართველოს სახალხო დამცველის თქმით (2005 წლის 28 დეკემბერი), მას მოასესებს, რომ სააგადმყოფო იტევდა 250 პატიმარს და, იმ დროისთვის, იქ 290 ადამიანი იყო მოთავსებული „საქართველოს სახალხო დამცველი ეჭვია მე-5 საპყრობილებს“, საქართველოს სახალხო დამცველის პრესურენტის, 2005 წლის 30 დეკემბერი. 2001 წელს წამბის საწინააღმდეგო კომიტეტი აცხადებდა, რომ „სააგადმყოფოს ოფციალური ტეგალობაა 320 საწილი.“ წამბის საწინააღმდეგო კომიტეტი, წამბის საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-დან 18 მაისმდე წამბისა და არადამაზური ან ღირსების შემდახველი მოპყრობისა თუ დასჯის ურთელი კომიტეტის ვაზიტის შესახებ “.

<sup>159</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო კომისიის წარმომადგენელთან, თბილისის მე-5 საპყრობილე, 2006 წლის 16 მაისი.

გაწევა. გარდა ამისა, თვით ოთახებში არსებული პირობები არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. თბილისის მე-5 საპყრობილის სამედიცინო პუნქტი, ისევე, როგორც თვით საპყრობილე, გადატვირთული იყო. იქ 72 ადამიანის ნაცვლად მოთავსებული იყო 88 პატიმარი. ერთ-ერთ ოთახში ცხრა პატიმარი ინაწილებდა რვა საწოლს. სხვა დაწესებულების ერთ-ერთმა ექთანდა “Human Rights Watch”-ს უთხრა: „სამედიცინო პუნქტში 17 პატიმარი გვყავს. მეტი ადგილი აღარ არის. პუნქტი გადატვირთულია. უადგილობის გამო ვერ ვიღებთ ზოგიერთ ისეთ პატიმარს, რომელსაც ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროება.“<sup>160</sup>

სამედიცინო პუნქტების პირობები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. თბილისის მე-5 საპყრობილის სამედიცინო პუნქტის ერთ-ერთ ოთახში “Human Rights Watch”-მა ნახა თხი საწოლი, ოთახი კარგად იყო განათებული, განიავებული და გასუფთავებული. იმავე დაწესებულების უფრო დიდ ოთახში იდგა რვა საწოლი, ოთახი იყო ჭუჭყიანი და იდგა ადამიანის ოფლისა და თამბაქოს ბოლის ძლიერი სუნი. “Human Rights Watch”-მა იგივე უთანასწორობა აღმოაჩინა პაციენტებისთვის განკუთვნილ ოთახებში რუსთავის 1-ლ საპყრობილებიც. მხოლოდ ქუთაისის მე-2 და რუსთავის მე-6 ახალი საპყრობილების სამედიცინო პუნქტების ოთახები იყო სუფთა, კარგად განათებული, კარგად განიავებული და არც ხალხის რაოდნობა იყო გადაჭარბებული.

საპყრობილები ასევე განიცდიან რესურსების მწვავე ნაკლებობას, მათ შორის, იმ მედიკამენტებისა, რომლებიც საჭიროა პაციენტებისთვის შესაბამისი მომსახურების გასაწევად. მედიცინის ერთ-ერთი მუშაკის თქმით, „წამლების მოწოდება ძალიან ცუდია. ჩენ 100 ლარის (45,50 აშშ დოლარი) მედიკამენტებს ვიღებთ თვეში. ძალიან ცოტა გვაქვს სამედიცინო აღჭურვილობა – მხოლოდ პირველადი სასწრაფო დახმარების საშუალებები.“<sup>161</sup> ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უთხრა, რომ ის ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში იმყოფებოდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო გადაიყენეს საპყრობილის ჩვეულებრივ სამედიცინო პუნქტში. იქ მას აღარ შეეძლო აუცილებელი მკურნალობის მიღება თავის ტრავმის სამკურნალოდ, რომელიც მას მრავალი წლის განმავლობაში აწუხებს. მისი თქმით, „ციხის სააგადმყოფოში მე უკეთესი მკურნალობა მქონდა . . . იქ მიტარდებოდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. აქ ამისათვის საჭირო დანადგარი არ არის. წამლები ნათესავებს მოაქვთ, რადგან აქ არაფერი აქვთ.“<sup>162</sup> ქუთაისის მე-2 საპყრობილები შიდს-ით ინფიცირებულმა ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „მე არ ვიღებ წამლებს. სხვებისთვის წამლები ნათესავებს მოაქვთ, მაგრამ ჩემს ოჯახს არა აქვს

<sup>160</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სასჯელადსრულების სისტემის ექთანთან (ანონიმურობა დაცულია).

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილები, 2006 წლის 17 მაისი.

ჩემთვის საჭირო წამლების ყიდვის საშუალება.“<sup>163</sup> იმავე დაწესებულების მთავარი ექიმი შეეცადა სიტუაციის გამარტივებას: „ოჯახებს შეუძლიათ წამლების მოტანა. ჩვენ გავცემთ რეცეპტს, ხოლო შემდეგ ოჯახის წევრებს მოაქვთ მედიკამენტები. მათ უხდებათ მხოლოდ იმ წამლების მოტანა, რომლებიც ჩვენ არ გვაქვს. საერთოდ საკონარის წამლები გვაქვს. პაციენტების მკურნალობა შეგვიძლია ისე, როგორც საჭიროა.“<sup>164</sup>

“Human Rights Watch”-მა საკნებში ასევე ნახა მთელი რიგი პატიმრებისა, რომლებიც უჩიოდნენ მკურნალობის ნაკლებობას ან ნამდვილად განიცდიდნენ მას. თბილისის მე-7 საპყრობილები “Human Rights Watch”-ი ესაუბრა ერთ პატიმარს, რომელსაც ზელი გადახვეული ჰქონდა. როდესაც ამ პატიმრის შესახებ ციხის მთავარ ექიმს ჰქოთხა, ამ უკანასკნელმა განუმარტა: „პატიმარი ამტკიცებს, რომ იგი საწოლიდან გაღმოვარდა, ზედა ადგილიდან. მე, რა თქმა უნდა, მჯერა მისა. მეტი რა ვქნა? მე უბრალოდ უვჯერებ მათ. აბა, როგორ გავიგო სიმართლე?“ დაშავებული პატიმრის მკურნალობასთან დაკავშირებით ექიმმა თქვა: „ჩვენ რენტგენი მოვითხოვთ ერთი კვირის წინ. თუსტიციის სამინისტროს კომისია მოვიდა და ასევე მოითხოვა რენტგენი. შეიძლება პატიმრის რენტგენზე გატარება მომავალ კვირას მოვახდეოთ.“<sup>165</sup> ზოგიერთმა პატიმარმა განაცხადა, რომ ზედამხედველები მათ უარს ეუბნებიან სამედიცინო დახმარების მიღებაში ხელშეწყობაზე. „ერთ-ერთ ჩვენგანს საშინლად სტკიოდა კბილი. სამი დღის განმავლობაში ვითხოვდით ექიმის გამოძახებას. ზედამხედველი გვუუბნებოდა, რომ იგი მიხედავდა ამ საქმეს, მაგრამ არაფერს აკეთებდა ავადმყოფის დასახმარებლად. იგივე თხოვნით მივმართეთ ახალ ცელას. მათაც იგივე გვიპასუხეს. ისინი არაუერზე გვეუბნებიან უარს. როცა პასუხს სთხოვთ, გეუბნებიან – დამავიწყდა, მოკეტე, თორუმ პრობლემები გექნება.“<sup>166</sup> მეორე პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უამბო, რომ მან იცოდა, რომ განვრენა ჰქონდა ორივე ფეხზე, მაგრამ სამედიცინო სამსახური არ უწევდა არავითარ მკურნალობას.<sup>167</sup> თბილისის მე-5 საპყრობილის აღმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, „ძალიან ბევრი პატიმარი გვყავს. არ შეგვიძლია ყველა მათგანის გასინჯვა. ზოგიერთები საჩივრებს წერენ. შეიძლება ისინი სათანადო არ გასინჯეს ექიმებმა.“<sup>168</sup> პატიმრები დაეთახმნენ ამ განცხადებას.<sup>169</sup>

<sup>163</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ჭეთაისის მე-2 საპყრობილება, 2006 წლის 2 მაისი.

<sup>164</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ჭეთაისის მე-2 საპყრობილის მთავარ ექიმთან, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>165</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-7 საპყრობილის მთავარ ექიმთან, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>166</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილება, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>167</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილება, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>168</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე ზოაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის მოადგილი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>169</sup> მე-5 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „ექიმები არ მოღიან ჩვენს გასასინჯად. კვაძლევენ რაღაც წამლებს, მაგრამ ეს ის წამლები არაა, რომელიც გვესჭიროება.“ „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილება, 2006 წლის 16 მაისი.

თბილისის მე-5 საპყრობილის რამდენიმე პატიმარმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ მათ შეში ჰქონდათ, რომ საკანში მყოფი რამდენიმე პატიმრის მძიმე ხველება ტუბერკულოზის ნიშანი იყო, მაგრამ მათ არ მკურნალობენ მიუხედავად ზედამხედველების და სამედიცინო პერსონალისთვის არაერთგზის თხოვნისა. საპყრობილები არსებობს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისთვის გამოყოფილი ნაწილი, რომელიც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ერთობლივი პროგრამის ნაწილია.<sup>170</sup> წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და საქართველოს ხელისუფლება 1998 წლიდან ახორციელებს ტუბერკულოზის თავიდან აცილებისა და მკურნალობის პროგრამებს. 16-დან 14 სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მათ განახორციელეს შემოწმების პროგრამა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული უშუალო მკურნალობის მოკლე კურსი. ამჟამად 250 პატიმარს უტარდება უშუალო მკურნალობის მოკლე კურსი.<sup>171</sup> ამდენად, საქართველოში მკურნალობა გაიარა ტუბერკულოზით დაავადებულმა 3 000 პატიმარმა, ხოლო ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა პროცენტულმა მაჩვენებელმა 1998 წლის 6,5 პროცენტიდან 2005 წელს 3,85 პროცენტამდე იკლო.<sup>172</sup>

მიუხედავად ამისა, ტუბერკულოზი კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმის გავრცელება რეალურ საფრთხეს წარმოადგენს განსაკუთრებით საპატიმროებში, სადაც შესატყვისი ჰიგიენის, აღეკვატური სამედიცინო საშუალებების ნაკლებობა, მედიცინის მუშაკთა უქმარისობა, განსაკუთრებით კი ხალხმრავლობა. ტუბერკულოზით დაავადებულთა იზოლირებული დაწესებულებებიც ასევე გადაიტვირთა და მდგომარეობა გართულდა, ვინაიდან გაიზარდა საპატიმროებში მოთავსებული ადამიანების რაოდენობა; აღნიშნულის შედეგად არსებული დაწესებულებები შეიძლება აღარ იყოს საკმარისი ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტის დანარჩენი პატიმრებისგან იზოლირებისთვის. ტუბერკულოზის ეპიდემის ზრდა საპატიმროთა სისტემაში ასევე დიდ საფრთხეს წარმოქმნის საზოგადოებისთვის, ვინაიდან დაავადება შეიძლება მარტივად გადაედოთ ციხის თანამშრომლებს, პატიმრების ოჯახების წევრებს და სხვა ადამიანებს

<sup>170</sup> ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების ქწის საპყრობილები განკუთვნილია მხოლოდ მსჯავრდებულთათვის. მხოლოდ შეიძლებას, სადაც წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები არიან მოთავსებულნი, აქეს გამოყოფილი ცალკე ტერიტორია ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

<sup>171</sup> „ტუბერკულოზის მონიტორინგი იწყება საპყრობილებში“, საგენტო „პრამნიტის“, თბილისი, 2006 წლის 1 მაისი; და „Human Rights Watch“-ის კომუნიკაცია ელ-ფოსტით იუსტიციის სამინისტროსთვის სასჯელადსრულების ტუბერკულოზის კინტროლთან დაკავშირებით, 2006 წლის 14 აგვისტო.

<sup>172</sup> წითელი ჯვრის საერთაშორისოს კომიტეტი, „ტუბერკულოზი: მიზწებული მკლელი“, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვებგვერდი, 2006 წლის 23 მარტი, <http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/iwpList292/F8A65ECD736571E7C125713A003A0649> (მოძებულია 2006 წლის 19 ივნისს); და „Human Rights Watch“-ის კომუნიკაცია ელ-ფოსტით იუსტიციის სამინისტროსთვის პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის კინტროლთან დაკავშირებით, 2006 წლის 14 აგვისტო.

პატიმართა გათავისუფლების შემდეგ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რეგიონში არსებობს შიდს-ის და ტუბერკულოზის ეპიდემიის გავრცელების დიდი რისკი.<sup>173</sup>

### ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიული მკურნალობა

ფსიქიატრიული პაციენტების სიტუაცია სასჯელაღსრულების სისტემაში ძალიან სერიოზულია. „სტანდარტული მინიმალური წესები“ მოითხოვს, რომ „დაწესებულების სამედიცინო მომსახურება უნდა ცდილობდეს ნებისმიერი იმ ფიზიკური და ფსიქიკური დაავადების ან დეფექტის აღმოჩენას და მკურნალობას, რომელიც შეიძლება ხელს უშლიდეს პატიმრის რეაბილიტაციას. ამ მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა აუცილებელი სამედიცინო, ქირურგული და ფსიქიატრიული მომსახურება.“<sup>174</sup> ამ კატეგორიის ადამიანებს დიდ ყურადღებას აქცევს წამების საწინააღმდეგო კომიტეტიც.<sup>175</sup> ისევე, როგორც ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სხვა ნაწილებში, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პაციენტების პატიმრობის პირობებიც არ შეესაბამებოდა სტანდარტებს, ხოლო ბევრი პატიმარი, რომელსაც მკურნალობა სჭირდებოდა როგორც საავადმყოფოში, ასევე საპყრობილის სამედიცინო პუნქტში, აშკარად ვერ იღებდა აუცილებელ დახმარებას.

ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების ოთახებში სხვადასხვა პირობები აღინიშნებოდა სისუფთავისა და მოვლის თვალსაზრისით, მაგრამ მათი უმრავლესობა იყო გადატვირთული, ჭუჭყაინი და გაუღენთილი ადამიანის ოფლისა და თამაჯოს სუნით. ბევრ ოთახში უმრავი პაციენტი იყო შეყრილი ერთად; სულ ცოტა ერთ შემთხვევაში 15 კაცი ერთად ცხოვრობდა ერთ დიდ ოთახში. იქვე იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საწოლებზე პირდაპირ დერეფნებში ეძინათ. საპყრობილის ხელმძღვანელობამ განუცხადა “Human Rights Watch”-ს, რომ ამ ადამიანებმა თავად ითხოვეს მათი ამ ადგილას მოთავსება მათი ფსიქოლოგიური პრობლემების გამო. “Penal Reform International”-მა ყურადღება მიაქცია, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც მედიკოსები ფსიქიკური პრობლემების მქონეებად მოიხსენიებდნენ, ხშირად ათავსებდნენ კარცერებში. ბათუმის საპყრობილებში ბოლოდროინდელი ვიზიტისას “Penal Reform International”-მა ნახა სამი პატიმარი, რომლებიც გააცნეს, როგორც ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტები და რომლებიც მოთავსებულები იყვნენ საკანში (და არა კარცერში), სადაც არ იყო განათება და არც ჰაერი, გარდა იმ ჰაერისა, რომელიც აღწევდა კარის გისოსებში.<sup>176</sup>

საპატიმროს ხელმძღვანელებმა სხვადასხვა დაწესებულებაში აღიარეს, რომ მათ საპყრობილებში იყვნენ პატიმრები, რომლებსაც ჰქონდათ საგარაულო ან უკვე დამტკიცებული ფსიქიკური დაავადებები, თუმცა ეს ადამიანები არ გადაყავდათ

<sup>173</sup> დრობნივებსკი ფ.ა. და სხვები, „დათვის ხაფანგი“: ტუბერკულოზისა და შიდს-ის ეპიდემიების დამთხვევა რუსეთში”, სქსობისავით ვზოთ განამდები დაავადებებისა და შიდს-ის საერთაშორისო უკრნალი, 15 (10), 2004 წლის თებერვალი, გვ. 641-646.

<sup>174</sup> „პატიმრების მკურნალობის სტანდარტული მინიმალური წესები“, 62-ე მუხლი; იხ. ასევე 82-83-ე მუხლები.

<sup>175</sup> იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძირითადი ნაწილები“, გვ. 51-52, პუნქტები 25-58.

<sup>176</sup> “Penal Reform International”, „ანგარიში გაერო-ს წანების საწინააღმდეგო კომიტეტისთვის.“

ჩვეულებრივი საპატიმროებიდან და არც საპატიმროების სამკურნალო პუნქტებში მკურნალობდნენ. გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებათა ბევრმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საპატიმროებში არსებული პირობები არ იძლევა საგანგებო მკურნალობის გარანტის. რუსთავის 1-ლი საპყრობილის უფროსის მოადგილემ ასე აღწერა ერთ-ერთი ის პატიმარი, რომელმაც თავისი საწოლი დერეფანში გამოიტანა: „ზოგჯერ ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტებს თავიანთი საწოლები გარეთ გამოაქვთ. უმეტესად ისინი ნორმალურები არიან, თუმცა ახასიათებთ უცნაური ჩვევები.“<sup>177</sup> ირინა ცინცაძემ, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, აღწერა ერთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი პატიმარი რვა თვე იმყოფებოდა თბილისის მე-5 საპყრობილის საკარანტინო ნაწილში. დაკავებულს ესაჭიროებოდა ფსიქიატრიული გამოკვლევა, მაგრამ ექიმები უარს აცხადებდნენ მის გამოკვლევაზე, რადგან ამ ადამიანს ტილები ჰყავდა დასუული:

„[არსებობს ადამიანი, რომელიც] მე-5 საპყრობილის საკარანტინო საკანში რვა თვის განმავლობაში იყო მოთავსებული. გადავწყვიტეთ, რომ მას უნდა გაევლო ფსიქიატრიული გამოკვლევა, მაგრამ როგორ უნდა გაეგო მისთვის ვინმეს? მას ჰქონდა ქართული გვარი, მაგრამ ქართულად არ ლაპარაკობდა. ეს კაცი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იმყოფებოდეს. ჩვენ ვთხოვთ სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო შეფასების დეპარტამენტს, დაედგინა, იყო თუ არა ეს კაცი სულიერად დაავადებული, რაზეც გვიპასუხეს, რომ შეუძლებელი იყო ამის გაქოთება. კაცს ტილები ჰყავდა. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მისი ტილების მკურნლობა ნიშავდა ადამიანის მთლიანად მკურნალობას. ასე რომ ფსიქიატრებმა არ წაიყვანეს პატიმარი ტილების ქონის მიზეზით. [მის] საკანში კიდევ რვა პატიმარია. ამ კაცს არ უნდა ოთახიდან გასვლა, თუმცა არ არის აგრესიული. იქნებ ის სულაც მიეჩვა ამას.“<sup>178</sup>

ერთ-ერთმა ადვოკატმა აღწერა თავისი კლიენტის შემთხვევა. მან “Human Rights Watch”-ს უამბო: „ჩემი კლიენტი ძალიან ავადმყოფი ადამიანია. რამდენიმე წლის წინ მას დაუსვეს ფსიქიკური დაავადების დიაგნოზი, რომელიც აღენს, რომ ამ ადამიანს არ შეუძლია პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. ჩვენ ვითხოვთ მისი გადაყვანა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში – ეს აბსოლუტური მინიმუმია. მაგრამ ამის უფლება არ ძოგვცეს.“ ადვოკატის სიტყვებით, ამ ადამიანს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მხოლოდ იმიტომ აძლევენ, რომ იგი საკუთარ თავს კანონიერ ქურდს უწოდებს, თუმცა მის წინააღმდეგ არ არსებობს რაიმე სამხილი. 2005 წლის დეკემბერში მიღებული ახალი კანონი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კანონიერ ქურდად

<sup>177</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გორგი გოგავასთან, რუსთავის 1-ლი საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 1 მაისი.

<sup>178</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ირინა ცინცაძესთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 22 მაისი.

მხოლოდ ყოფნასაც კი საქმარის საფუძვლად მიიჩნევს სისხლის სამართალში მიცემისთვის.<sup>179</sup>

### განერჩების შესაძლებლობა

საქართველოს კანონმდებლობა პატიმრებს ანიჭებს დღეში ერთი საათი გასეირნების უფლებას.<sup>180</sup> მიუწედავად იმისა, რომ ზოგიერთი პატიმარი აცხადებდა, რომ მას პქნდა ყოველდღიურად ერთი საათით ჰაერზე გასვლის უფლება, ეს უფლება ერთნაირად არ იყო გარანტირებული ყველა დაწესებულებაში და თვით ერთ დაწესებულებაშიც კი სხვადასხვა წესები მოქმედებდა. თითქმის ყველა შემთხვევაში გასასეირნებლი ადგილები პატარაა, მავთულზღართიანი მაღალი კედლებით შემოვლებული ტერიტორია ვერ უზრუნველყოფს საქმარის ფართობს გასეირნებისთვის. “Human Rights Watch”-ის ვიზიტის პერიოდში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრებს ჰქონდათ, 2005 წლის დეკემბრის შემდეგ ისინი ჰაერზე არ გაეყავათ. ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „ჩვენ არ ვსეირნობთ. ხუთი თვეა გარეთ არ გავსულვარ.“<sup>181</sup> მეორეს თქმით, „აქ იანვრიდან ვარ და ჯერ ჰაერზე არ გავსულვარ.“<sup>182</sup> მე-7 საპყრობილები მოთავსებულმა პატიმარმა ბავშვებმა “Human Rights Watch”-ს უთხრეს: „ჩვენ არ გავყავართ გარეთ.“<sup>183</sup> უფროსის მოადგილემ უარყო, თითქოს სულ არ გაჰყავდათ პატიმრები ჰაერზე, მან განაცხადა: „ჩვენ მხოლოდ მცირე ადგილი გვაქვს გასასეირნებლად. წესების მიხედვით, ადამიანებმა ერთი ან ორი საათი უნდა დაჰყონ გარეთ, მაგრამ ახლა ამისთვის უფრო მცირე დროა გამოყოფილი.“<sup>184</sup> 2006 წლის აგვისტოში ერთ-ერთმა ადგოყატმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ თბილისის მე-7 საპყრობილები პატიმრებმა მიიღეს დღეში 30 წუთი გასეირნების უფლება.<sup>185</sup>

გასეირნების უგმარისობაზე თბილისის მე-5 საპყრობილები მოთავსებული პატიმრებიც ჩიოდნენ. ერთ-ერთი ყოფილი პატიმრის სიტყვებით, „როცა მე-5 საპყრობილები ვიმყოფებოდი, თვეში ერთხელ გვასეირნებდნენ 30-40 წუთის განმავლობაში.“<sup>186</sup> ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უთხრა: „სამ

<sup>179</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეპ ბექელაშვილი, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი. ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ახალი განონის მხედვეთ აღამანი, რომელიც აცხადებს, რომ იგი კანონიერი ქურდია, შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის ასუხისგაბაში.

<sup>180</sup> „მსჯავრდებულს, რომელიც რეჟიმის ან სხვა გარემოებათა გრძი არ შეიძლება რეგულარულად გამოყენილ იქნეს გასასეირნებლად, უნდა მოეცეს ჰაერზე ყოფნის წინა დღეში არაა კლება ერთი საათისა“. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებით, 43-ე მუხლი.

<sup>181</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>182</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>183</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ 16 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>184</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გორგი გიგალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>185</sup> “Human Rights Watch”-ის სატელეფონო საუბარი ველა ნიკოლაძესთან, 2006 წლის 9 აგვისტო.

<sup>186</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპყრობილის ყოფილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 14 მაისი.

თვეში ერთხელ გვეძლეოდა გარეთ გასვლის შესაძლებლობა.<sup>“187”</sup> ციხის უფროსის მოადგილემ განაცხადა, რომ პატიმარებს არა აქვთ იმდენი გასეირნების შესაძლებლობა, რამდენის უფლებასაც აძლევს მათ კანონი, „გასასეირნებლად ადამიანებს უნდა ეძლეოდეთ ერთი საათი, მაგრამ აქ იმდენი ხალხია, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებთ ყველას გარეთ გაყვანას.“<sup>“188”</sup>

ქუთაისის მე-2 საპყრობილის ზოგიერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უხერა, რომ მათ არარეგულარულად ეძლეოდათ გასეირნების შესაძლებლობა. „ერთი კვირაა, გარეთ არ ყოფილვართ. ზოგჯერ ყოველდღე გავყავართ, ზოგჯერ სულ ვერ ვხვდებით გარეთ. არ ვიცი, რატომ არ გავყავართ ჰაერზე,“ - თქვა ერთ-ერთმა პატიმარმა<sup>“189”</sup> მეორემ დაადასტურა: „ერთი კვირაა, არ გავუყვანივართ გასასეირნებლად. როგორც გვეუბნებიან, რაღაც კარანტინის გამო.“<sup>“190”</sup> იმავე დაწესებულებაში მყოფ ქალებსა და ბავშვებს არ გამოუთქვამთ პრეტენზია გასეირნების ნაკლებობასთან დაკავშირებით.

რუსთავის მე-6 საპყრობილები ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა, რომ გასეირნების უფლება გარკვეულად შეზღუდულია. მისი თქმით, დღეში მხოლოდ 30 წუთი შეეძლო ესეირა.<sup>“191”</sup> ციხის უფროსის მოადგილემ განუცხადა “Human Rights Watch”-ს, რომ „არსებობს 12 სასეირნო ეზო. ყველას ეძლევა ერთი საათი გასასეირნებლად. თუ პატიმრები არ მოწევნ, მათ გარეთ ყოფნის კიდევ 20 წუთს უმატებენ.“<sup>“192”</sup>

გასეირნების ზემოთ აღწერილი შეზღუდვები არღვევს „სტანდარტულ მინიმალურ წესებს“, რომელიც მოითხოვს, რომ „თითოეულმა პატიმარმა, რომელიც არ არის დაკავებული ჰაერზე მუშაობით, დღეში ერთი საათი მაინც უნდა დაპყოს გარეთ, თუ ამის საშუალებას იძლევა ამინდი.“<sup>“193”</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ეთანხმება ამ მოთხოვნას, როგორც ძირითად გარანტიას, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა პატიმარს, გამონაკლისის გარეშე (მათ შორის, კარცერში მოთავსებულებს), უნდა ჰქონდეს ჰაერზე ყოველდღიურად გასეირნების შესაძლებლობა.“<sup>“194”</sup> წამების საწინააღმდეგო

<sup>“187”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-5 საპყრობილე, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>“188”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე ოზაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>“189”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>“190”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>“191”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>“192”</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ირაკლი გელაშვილთან, რუსთავის მე-6 საპყრობილის უფროსის მოადგილე სოფიალურ საკითხებში, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>“193”</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>“194”</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძირითადი ნაწილები“, გვ. 18, 48-ე პუნქტი.

კომიტეტს არაერთგზის აღუნიშნავს თავის დოკუმენტებში, რომ საქართველოს მთავრობა არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.<sup>195</sup>

### ოჯახის წევრებთან შეხვედრისა და მთავარ მიმოწერის შეზღუდვები

“Human Rights Watch”-ის მიერ მონაცემებული ცველა დაწესებულების პატიმრები ჩიოდნენ ნათესავებთან კავშირის უკმარისობაზე. პატიმრობის შესახებ კანონის ახალ შესწორებებში შემცირებულია პაემნების სტანდარტული რაოდენობა და მათი ხანგრძლივობა მსჯავრდებული პატიმრებისთვის; ხელისუფლებამ დაამატა, აგრეთვე, დებულება ამ უფლების შემდგომი შეზღუდვის შესაძლებლობაზე „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.“<sup>196</sup> პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრმა, რომელიც აქტიურად მონაცილეობდა შესწორებების შეტანის პროცესში, დაასაბუთა აღნიშნული შესწორებები და განაცხადა პრესასთან საუბრობის: „სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადაწყვიტა, რომ [ოჯახის წევრებთან პაემნების] ეს შეზღუდვები პირველი აუცილებელი ნაბიჯია სისტემის რეფორმირებისკენ.“<sup>197</sup>

საკანონმდებლო ცვლილებებმა მსჯავრდებულებთან ოჯახის წევრების პაემნების დრო ერთ ჯერზე ერთ საათამდე დაიყვანა.<sup>198</sup> შეხვედრების რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულებაში არსებული რეჟიმის სიმკაცრით. მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიან, ნათესავებთან შეხვედრა თვეში ორჯერ შეუძლიათ, როცა ადრე მათ ჰქონდათ თვეში ხუთი ხანმოკლე პაემნის უფლება და ხუთი ხანგრძლივისა – წელიწადში.<sup>199</sup> მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიან, აქვთ თვეში მხოლოდ ერთი შეხვედრის უფლება, ხოლო რეციდივისტებს – ერთი შეხვედრისა ყოველ ორ თვეში. ადრე ასეთ პატიმრებს ჰქონდათ ოთხი ხანმოკლე პაემნის უფლება თვეში და სამი ხანგრძლივისა – წელიწადში.<sup>200</sup> მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს საერთო რეჟიმის საპყრობილები იხდიან, აქვთ მხოლოდ სამი პაემნის უფლება წელიწადში, ხოლო იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს მკაცრი რეჟიმის საპყრობილები იხდიან – მხოლოდ ორი პაემნისა წელიწადში

<sup>195</sup> წამების საწინააღმდევო კომიტეტი, „წამების საწინააღმდევო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრმდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისმდე წამებისა და არაადმინისტრი ან დირსების შემთხვევით მოპყრობისა თუ დასკის ცვრიპული კომიტეტის ვაზიტის შესახებ“; და წამების საწინააღმდევო კომიტეტი, „წამების საწინააღმდევო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2001 წლის 6-დან 18 მაისმდე წამებისა და არაადმინისტრი ან დირსების შემთხვევით თუ დასკის ცვრიპულ კომიტეტის ვაზიტის შესახებ“.

<sup>196</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებით, 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>197</sup> ინტერვიუ ნიკა გვარაძისათან, პარლამენტის წევრთან, „მზადება თუ არა აჯანცება ციხეებში? რა კანონი მიიღო უზუმრად საქართველოს პარლამენტმა“, „ალია“, №68/1900, 2006 წლის 15-16 ივნისი, გვ. 4

<sup>198</sup> იქვე.

<sup>199</sup> ხანმოკლე პაემნებით თითქმის სამ საათს გრძელდებოდა. ხანგრძლივი პაემნებისთვის ერთიდან სამ დღემდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალურად გამოიყოფელი საცხოვრებელი. ამ შევეცრებს არ ესწრებოდა ადმინისტრაცია. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის ცვლილების შესვლამდე, 73-ე მუხლის 1-3 პუნქტები.

<sup>200</sup> იქვე, 74-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ.<sup>201</sup> წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს თვეში არაუმეტეს ორი პარმის უფლება აქვთ. პარმის უფლებას გასცემს გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე.<sup>202</sup>

ოჯახის წევრებთან პარმების ეს ახალი შეზღუდვები ზედმეტად მკაცრია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ კონტაქტს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის განცხადებით, „პატიმრებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შეძლებისდაგვარად კარგი კონტაქტის შენარჩუნება გარე სამყაროსთან. უფრო მეტიც, პატიმარის უნდა ჰქონდეს თავის ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობის გარანტია. სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა...“<sup>203</sup> საქართველოს შესახებ 2004 წლის ანგარიშში წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებას „უნდა გაეზარდა მამაკაცი პატიმრებისთვის ოფიციალური პარმების უფლება ისე, რომ ყოველ პატიმარს ჰქონოდა, სულ მცირე, ერთი ხანმოკლე ან ერთი ხანგრძლივი პარმანი თვეში.“<sup>204</sup> წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მოუწოდა მთავრობას, „უზრუნველყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის ახლობლებთან შეხვედრა, როგორც პრინციპის საკითხი,“ პროკურორის, გამომძიებლის ან მოსამართლის ნებართვის გარეშე; პარმების შეზღუდვა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის „სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული გამოძიების საჭიროებიდან გამომდინარე, დამტკიცებული უნდა იყოს ისეთი უწყების მიერ, რომელიც არ არის საქმის წარმოებით დაინტერესებული, და უნდა მოქმედებდეს დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.“<sup>205</sup>

<sup>201</sup> იქვე, 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>202</sup> იქვე, 89-ე მუხლი.

<sup>203</sup> ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხოების გამოძიებისას საჭიროებას. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „სტანდარტები, ზოგჯიდ ანგარიშების ძარისადი ნაწილები“, გვ. 18, 51-ე პუნქტი. მსგავსად ამისა, „სტანდარტული მინიმალური წესები“ მითხოვას, რომ პატიმრების უნდა ჰქონდეთ შესაბამის მიღვალეულობის ქვეშ, რვახანან და მეგობრების რეგულარული ინტერვალების ურთიერთობის უფლება, როგორც მიმღერით, ასევე პარმების ძმინით მოაყრინოს სტანდარტული მინიმალური წესები“, 37-ე მუხლა. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანები ასეთივე მოაყრინას უნდა იღებდნენ, მხოლოდ იმ აკრძალვებითა და ზედამხედველობით, რომელიც უცილებელია მართლმარტინის აღმოჩეულების ინტერესებისა და დაწესებულების უსაფრთხოებისთვის.“, „პატიმრების მიმართ მოკრიბის სტანდარტული მინიმალური წესები“, 92-ე მუხლი.

<sup>204</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წმებისა და არაადამიანური ან ღირსების შემძლევაზე კოპრობისათვის თუ დასკის ევროპული კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, 135-ე პუნქტი. გრძელა ამისა, 1994 წლის უნგრეთის მთავრობისთვის წარდგენილ ანგარიშში წამების საწინააღმდეგო აღნიშვნა და პატიმრების მიერ თავის რეგისტრაცია და მეცნიერებისათვის შექვედრის უფლება თვეში და ჩათვალებას ეს „არასაკმრისად პატიმრის მიერ თავის რეგისტრაცია და მეცნიერებისათვის შენარჩუნების თვალსაზრისით“, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში უნგრეთის მთავრობისთვის 1994 წლის 1-დან 14 ნოემბრამდე წმებისა და არაადამიანური ან ღირსების შეძლებელი მოკრიბისათვის თუ დასკის ევროპული კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, 128-ე პუნქტი. მოგვიანებით წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ურჩია უნგრეთის მთავრობას, მიეცა წინასწარ პატიმრობაში მყოფი ფრიველი პარისევის რეაქტორ, სულ მცირე კიორნი ერთხულ შეხვედრის უფლება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში უნგრეთის მთავრობისთვის 2003 წლის 30 მარტიდან 8 აპრილამდე წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შეძლებელი მოკრიბისათვის თუ დასკის ევროპული კომიტეტის ვიზიტის შესახებ“, 37-ე პუნქტი.

<sup>205</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრამდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისამდე წმებისა და

პატიმრებმა “Human Rights Watch”-ს უთხრეს, რომ აღნიშნული შესწორებების ძალაში შესვლამდეც კი მათ რამდენიმე თვე არ მიეღოთ პატიმრის უფლება. ურთიერთობის უქმარისობამ სასოწარგვეთილებაში ჩაგდო ბევრი პატიმრი და მათი ოჯახები. თბილისის მე-7 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა მაისში განაცხადა, რომ იანვრიდან არ ჰყავდა ნანახი თავისი ოჯახის წევრები.<sup>206</sup> მეორეს თქმით, „ხუთი თვეა, ჩემები არ მინახავს. არაფერი ვიცი მათი.“<sup>207</sup> ერთი ქალის სიტყვებით, რომლის ქმარიც მოთავსებულია მე-7 საპყრობილები, „არ მაქვს შეხვედრები ჩემს ქმართან. ხუთი თვეა არ მინახავს, დეკემბრის შემდეგ. სასამართლომ მომცა მასთან შეხვედრის ნებართვა, მაგრამ, როცა მოვედი [ციხეში], არ შემიშვეს.“<sup>208</sup> მეორე ქალმა განაცხადა: „მხოლოდ დიდი ნაცნობობის გამონახვის შემდეგ მოვახერხე ჩემს ქმართან 30 წუთით შეხვედრა.“<sup>209</sup> ადვოკატებმა დაადასტურეს, რომ თბილისის მე-7 საპყრობილები მოთავსებული მათი კლიენტებისთვის სასტიკადაა შეზღუდული ოჯახებთან შეხვედრები. ერთ-ერთმა ადვოკატმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა: „ჩემი კლიენტის ცოლმა მიიღო ნებართვა, მოვიდა ქმართან შესახვედრად, მაგრამ მე-7 საპყრობილის აღმინისტრაციამ არ მისცა მას ამის უფლება.“<sup>210</sup>

ციხის უფროსის მოადგილემ “Human Rights Watch”-ს განუმარტა, რომ ოჯახის წევრებთან პატიმები ეწყობა და „ჩვენ ახლა პატიმებისთვის განკუთვნილ ოთახებს ვაშენებთ, თუმცა ადამიანებს ახლაც შეუძლიათ ერთმანეთის ნახვა. ოჯახის წევრებს მოაქვთ მოსამართლის ნებართვა და ჩვენც ვახვედრებთ მათ ნათესავებს.“<sup>211</sup> ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებული ზოგიერთი პატიმარი ასევე ჩივის, რომ ისინი ვერ წვდებიან ნათესავებს, თუმცა იქ მოთავსებულ სხვა პატიმრებს ეძლევათ ამის საშუალება. ერთი პაციენტის თქმით: „მე ვერ ვხვდები ჩემს ნათესავებს. ისინი უბრალოდ მოდიან და მიტოვებუნ საკვებს შესახვლელთან.“<sup>212</sup>

არაადამიანური ან დაირსების შემდახველი მოპყრობისა თუ დასჯის ეპროპული კომიტეტის ვაზიტის შესახებ“, 134-ე პუნქტი.

<sup>206</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>207</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილები, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>208</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრის ნათესავთან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 19 მაისი. ოჯახის წევრებმა მიმართეს საქართველოს სახალხო დაცველის პატიმების სიმირესთან დაკავშირდებით, კერძოდ კი იმის შესახებ, რომ მე-7 საპყრობილის აღმინისტრაცია არ აძლევს ციხეში ახლად გადმოცემას პატიმრებს ნათესავებთმ შეხვედრის უფლებას. იხ. „სასჯელაღსტრულების დეარტმენტმა დაარცვა საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს სახალხო დაცველი, პრესულიზმი.

<sup>209</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრის ნათესავთან (ანონიმურობა დაცულია), თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>210</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>211</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი გიგნალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>212</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

სხვა საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრები ხვდებოდნენ ოჯახის წევრებს კანონის შესაბამისად, თუმცა პატიმრები, რომლებიც სახლებიდან დიდ მანძილზე განლაგებულ საპყრობილებებში იყვნენ მოთავსებულნი, ჩიოდნენ, რომ ვერ ხვდებოდნენ საყვარელ ადამიანებს. ერთ-ერთი პატიმრის სიტყვებით, რომელიც ამ ბოლო დროს გადმოყენილი იქნა დასავლეთ საქართველოდან ქუთაისის ახალ მე-2 საპყრობილები, „მე ვერ ვხვდები ჩემი ოჯახის წევრებს, ვინაიდან მათ არა აქვთ ქუთაისში ჩამოსასვლელი ფული.“<sup>213</sup> ერთ-ერთმა პატიმარმა პროტესტის ნიშანად შიმშილობა გამოაცხადა. მან “Human Rights Watch”-ს განცხადა: „ვშიმშილობ, რადგან არ შემიძლია ჩემს ოჯახთან შეხვედრა. მე ამ საპყრობილები გადმომიყვანეს, ჩემები კი ძალიან შორს ცხოვრობენ. მათ არა აქვთ ამ სიშორეს მგზავრობის ფული. უკვე მესამე დღეა ვშიმშილობ, არ ვიღებს საკვებს და ორი დღეა არც წყალს ვსვამ.“<sup>214</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხაზგასმით აღნიშავს, რომ რაღაც მოქნილი მექანიზმი უნდა არსებობდეს იმ შემთხვევებისთვის, როცა პატიმრების ოჯახები შორს ცხოვრობენ. პატიმრებს უნდა შეეძლოთ პატიმრების დღოის დაგროვება და/ან უფრო ხშირად შეეძლოთ ოჯახთან ტელეფონით დაკავშირება.<sup>215</sup>

ორ ახალ ციხეში და მე-7 საპყრობილები სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაამონტაჟა მინით გამოყოფილი მცირე სათავსოები, სადაც პატიმრებს შეუძლიათ ოჯახის წევრებთან შეხვედრა. სათავსოებში უნდა იყოს ტელეფონები, რომლებითაც პატიმრები და მათი ოჯახის წევრები ერთმანეთს დაელაპარაკებიან. მიუხედავად ამისა, “Human Rights Watch”-ის ვიზიტის პერიოდში ტელეფონები ჯერაც არ იყო დადგმული, თუმცა შეხვედრები მაინც ამ ოთახებში ეწყობოდა. ამის გამო პატიმრები და მათი ნათესავები იძულებული იყვნენ, ეყვირათ, რომ გაეგონათ ერთმანეთის. ერთ-ერთი პატიმრის სიტყვებით, ეს ძალიან დამატებირებელია. „არის შეხვედრის ადგილი, მაგრამ ახლა აქ შეშის ბარიერებია მოწყობილი. საშინელებაა. უნდა იღრიალო ისე, რომ ყველას ესმოდეს მთელს ციხეში.“<sup>216</sup>

საქართველოს კანონი პატიმრებს მიმოწერის და ტელეფონის რეგულარული გამოყენების უფლებას აძლევს, მაგრამ ბევრ საპყრობილებში შეზღუდულია ნათესავებთან მიმოწერა.<sup>217</sup> უფრო მეტიც, კანონი აწესებს არააუცილებელ, ზოგად შეზღუდვებს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთათვის ნათესავებთან ან მეგობრებთან მიმოწერასა და ტელეფონით ლაპარაკზე და ამის უფლებას მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით და თავად

<sup>213</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილები, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>214</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილები, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>215</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძირითადი ნაწილები“, კვ. 18, 51-ე პუნქტი.

<sup>216</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავტომოურო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>217</sup> პატიმარს უფლება აქვს, „შეზღუდულავი რაოდნობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები, დადგენილი წესით და სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმნისტრაციის კონტროლით ისარგებლოს საერთო სარგებლობის ტელეფონით, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებას ამის ტექნიკური შესალებლობა გააჩნია“. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებებით, 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

პატიმრის ხარჯზე აძლევს.<sup>218</sup> „სტანდარტული მინიმალური წესების“ მოთხოვნების მიხედვით „პუბლიკას, რომლის საქმეც ჯერ არ მოსმენილა, . . . უნდა ჰქონდეს ყველა გონივრული საშუალება ოჯახთან და მეგობრებთან მიმოწერისა და შეხვედრისთვის; შესაძლებელია ამ წესის შეზღუდვა და მეთვალყურეობის დაწესება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების აღსრულებისთვის და დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და სიმშვიდის ინტერესებიდან გამომდინარე.“<sup>219</sup>

წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბევრი პირი აღწერდა იზოლაციის შეგრძნებას, რომელსაც განიცდიდა ნათესავებთან და მეგობრებთან მიმოწერის ან ტელეფონით საუბრის უფლების უქონლობის გამო. რუსთავის მე-6 საპყრობილის ერთი-ერთი პატიმრის თქმით: „ჩენ არ გვაქვს სადმე დარეკვის უფლება. არავითარი კავშირი არ გვაქვს გარე სამყაროსთან.“<sup>220</sup> თბილისის მე-7 საპყრობილის პატიმრის სიტყვებით კი: „არ შემიძლია წერილის გაგზავნა ოჯახისთვის. არც კალმისტრები გვაქვს და არც ქალალდი. არავითარი საშუალება არ არის წერილის დაწერისა.“<sup>221</sup> ქუთაისის მე-2 საპყრობილები წინასწარ პატიმრობაში მყოფმა ქალმა „Human Rights Watch“-ს უთხრა: „ამ დღეებში მოვიდა სოციალური დეპარტამენტის თანამშრომელი გოგონა და გვითხრა, რომ მიიღეს ახალი კანონი: ამიერიდან ჩენ აღარ გვეძლევა ოჯახიდან წერილებისა თუ ბარათების მიღების შესაძლებლობა.“<sup>222</sup> ქუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსის მოადგილემ განაცხადა, რომ პატიმრებს აქვთ ოჯახებთან ურთიერთობის უფლება: „ტელეფონზე დასარეკად მათ წერილით უნდა მიმართონ ადმინისტრაციას და ამის შემდეგ შეუძლიათ ტელეფონით სარგებლობა. როცა აქ გადოპყავთ პატიმრები, თითოეულ მათგანს აქვს ერთი სატელეფონო ზარის უფლება.“<sup>223</sup> მაუსედავად ამისა, „Human Rights Watch“-მა ნახა, რომ პატიმრებს არ ეძღვოდათ საწერი საშუალებები ამ მიზნით. რუსთავის 1-ლი საპყრობილის უფროსის მოადგილემ განაცხადა: „აქ არც ერთი ტელეფონი არ მუშაობს, რომლითაც პატიმრები შეძლებდნენ დარეკვას.“<sup>224</sup>

### **ადვოკატებთან ურთიერთობის უფლება**

სასჯელადსრულების ყველა დაწესებულებაში, თბილისის მე-7 საპყრობილის გარდა, პატიმრებსა და ადვოკატებს ჰქონდათ რეგულარული შეხვედრების შესაძლებლობა. საქართველოს კანონი აღვნის, რომ მსჯავრდებულებს აქვთ

<sup>218</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესრულებით, 92-ე მუხლის 1-ლი (3) პუნქტი.

<sup>219</sup> „პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, 92-ე მუხლი.

<sup>220</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილების წლის 17 მაისი.

<sup>221</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილების წლის 19 მაისი.

<sup>222</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილების წლის 20 მაისი.

<sup>223</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ შმაგი ფანჯავიძესთან, ქუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>224</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ გორგი გოგავასთან, რუსთავის 1-ლი საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 17 მაისი.

ადვოკატებთან „შეუზღუდავი შეხვედრების“ უფლება.<sup>225</sup> საერთაშორისო სტანდარტები ასევე მოითხოვს, რომ პატიმრებს ჰქონდეთ თავიანთ ადვოკატებთან კონფიდენციალური შეხვედრების უფლება.<sup>226</sup> მიუხედავად ამისა, თბილისის მე-7 საპყრობილების რამდენიმე ადვოკატმა „Human Rights Watch“-ს აღუწერა სულ უფრო მზარდი შეხვედრების პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწყდებოდნენ თავიანთ კლიენტებთან შეხვედრის მცდელობისას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2005 წლის დეკემბრიდან გამწვავდა ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ადვოკატის, რომელსაც რამდენიმე კლიენტი ჰყავდა თბილისის მე-7 საპყრობილები, თქმით, „2005 წლის 25 დეკემბრის შემდეგ დაიწყო საინფორმაციო ბლოკადა. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ვერც ერთმა ადვოკატმა ვერ შეძლო ციხეში შეღწევა.“ ადვოკატების ნელ-ნელა შეშვება ხელისუფლებამ დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩივილი დაიწყეს ელექტ თევზორაქემ (ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე) და სოზარ სუბარმა (სახალხო დამცველი). ანალოგიური შეზღუდვები შეიმჩნეოდა რამდენიმე დღის განმავლობაში თებერვალსა და შემდეგ მარტში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გაკეთდა პატიმრების იზოლირების და დაშინების მიზნით.<sup>227</sup> მეორე ადვოკატმა განაცხადა: „მე-7 საპყრობილები 25 დეკემბერს მივედი და ვითხოვე ჩემს კლიენტთან დალაპარაკების ნებართვა, ხოლო წერილობით ვითხოვდი ჩემთან ერთად ექიმის დაშვებას. ისინი არ უშვებდნენ შიგნით ექიმებს. არავითარი ადვოკატები და ექიმები 14 დღის განმავლობაში. ადვოკატებს პრობლემები კვლავ გაუჩნდათ 25-26 აპრილს და ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით 27 მარტიდან.“<sup>228</sup>

ადვოკატების თქმით, „არააფერს გპასუხობენ, როდესაც ვკითხულობთ, თუ რატომ [არ გვიშვებენ შეხვედრებზე]. დარაჯები უბრალოდ გვეუბნებიან, რომ მათ ასეთი მითითება აქვთ მიღებული.“<sup>229</sup> ერთ-ერთმა ადვოკატმა „Human Rights Watch“-ს უთხრა: „მე ვჩიოდი პროკურორთან და გამომძიებელთან, თუმცა პასუხად ყოველთვის ვიღებდი, რომ ეს დაგეგმილი ინსპექტირება ან შემოწმება იყო.“<sup>230</sup>

თბილისის მე-7 საპყრობილები არსებული ამ ბარიერების გარდა ადვოკატები ასევე აცხადებდნენ, რომ სირთულეებს აწყდებოდნენ თავიანთ კლიენტებთან რეგულარულად შეხვედრის თვალსაზრისით. თბილისის მე-7 საპყრობილები 2006 წლის იანვარში შემოტანილი წესებით ადვოკატებს ციხეში შემოსვლა შეუძლიათ მხოლოდ რამდენიმე საათით ერთ ჯერზე დღის განმავლობაში.

<sup>225</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, შესწორებული 2006 წლის 1 ივნისს, 26-ე მუხლის 1-ლი („ა“ და „ბ“) პუნქტი.

<sup>226</sup> „სტანდარტული მინიმალური წესები“, 93-ე მუხლი.

<sup>227</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ეკა ბესკლიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი. სახალხო დამცველის სამსახურმა განაცხადა, რომ ადვოკატებმა მიმართეს მას კლიენტებით დაკავშირების პრობლემების თანაბრტყელი. „თბილისის მე-7 საპყრობილები შეზღუდულია დაცვის უფლება“, საქართველოს სახალხო დამცველი, პრესრელიზი, 2006 წლის 27 აპრილი.

<sup>228</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ლალი აუცილებლივ, თბილისი, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>229</sup> იქვე.

<sup>230</sup> იქვე.

გარდა ამისა, ვინათდან დაწესებულებას მხოლოდ ორი ოთახი აქვს ადვოკატებისა და მთი კლიენტების შეზედრებისთვის და ოთახში ერთდღროულად მხოლოდ ერთ ადვოკატს შეუძლია ყოფნა, ძალიან ცოტა ადვოკატს შეუძლია ამ ოთახში მოხვედრა რომელიმე მოცემულ დღეს. ერთ-ერთი ადვოკატი ასე აღწერს სიტუაციას: „დილის 6 საათიდან ადმინისტრაცია იწყებს ადვოკატებისგან შეშვებაზე თხოვნების მიღებას და ადგენს შესაბამის სიას. ციხეში მხოლოდ დღის ბოლოს გიშვებენ. შეზედრებისთვის მხოლოდ ორი ოთახია და ამ ოთხებშიც თითო-თითოდ შევყართ.“<sup>231</sup> მეორე ადვოკატმაც იგივე დაადასტურა: „ნათესავები მოდიან დილის 6 საათზე იმისათვის, რომ პირველები იყვნენ რიგში, მაგრამ შესვლას მხოლოდ მესამე დღის 16:45 სთ-ზე ახერხებენ.“<sup>232</sup> შემდეგ მან განაცრძო: „როცა უნდა გაეღოთ დილის 11 ან 12 საათზე, ისინი აღებდნენ მხოლოდ 13:00 ან 14:00 საათზე, შესვენება, რომელიც 14-დან 15 საათამდეა, ჩვეულებრივ, 15:30 ან 16 საათამდე გრძელდებოდა, ამგვარად, დღის ბოლოსთვის მხოლოდ 3-4 ადვოკატი თუ მოახერხებდა თავის კლიენტთან შეზედრას. ეს იყო ფაქტობრივი უარი საპყრობილები შეშვებაზე“.<sup>233</sup> მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე არ დაეთანხმა ციხეში რაიმე შეზღუდვების არსებობას და “Human Rights Watch”-ს განუცხადა: „არ არსებობს რაიმე შეზღუდვა. ადვოკატების შეშვება ხდება კვირის ნებისმიერ დღეს და შაბათ-კვირასაც კი, თუ ეს საჭიროა.“<sup>234</sup>

ორივე ოთახში, რომლებიც მე-7 საპყრობილები ადვოკატისა და კლიენტის შეზედრებისთვის არის განკუთხნილი, დამონტაჟულია კამერები. საქართველოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომელმა შეატყობინა “Human Rights Watch”-ს, რომ საელჩომ დახმარება აღმოუჩინა ციხეს კამერების, როგორც წამების წინააღმდეგ მიმართული საშუალების, დაეყნებაში. ეს იძლევა დაკითხვის დროს დაკავებულების მიმართ პოლიციელებისა და გამომძიებლების მოპყრობის მონიტორინგის საშუალებას. კამერების მიზანს არ წარმოადგენს ადვოკატისა და კლიენტის შეზედრების კონტროლი. ადვოკატების აზრით, ეს კამერები არღვევს შეზედრების კონფიდენციალურობას. ერთ-ერთი ადვოკატის სიტყვებით, „ოთახებში კამერებია, ყველაფერი ჩანს და ისმინება.“<sup>235</sup> სხვა ადვოკატმა კი “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ იგი დარწმუნებულია, რომ კამერებს აუდიოჩამწერი საშუალებაც ახლავს. ამის დასტურია მისი შეზედრა ერთ-ერთ კლიენტთან, როცა დაცვა მაშინვე შემოვიდა ოთახში, როცა ადვოკატმა და მისმა კლიენტმა ნაწერების გამოყენება დაიწყებს – ამის კონტროლი ხომ უკვე აღარ შეიძლებოდა მოსმენით!<sup>236</sup> მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე არ დაეთანხმა იმას, თითქოს საპყრობილები ადგილი

<sup>231</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>232</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გელა ნიკოლაიშვილთან, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>233</sup> იქვე.

<sup>234</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი გიგნალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>235</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>236</sup> ადვოკატმა აღწერა ერთ-ერთი თავისი შეზედრა კლიენტთან 2006 წლის ასვარში. „სანამ ვლაპარაკობდით, არავის შევუწებებივარი. მაგრამ დავიწყე თუ არა სავარულო დანაშაულთან დაკავშირებული რუკის ხაზვა, დაცვა შეტოვარდა ოთახში და მოითხოვა მეოქვე, თუ რას ვწერიდ.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გელა ნიკოლაიშვილთან, თბილისი, 2006 წლის 24 თებერვალი.

ჰქონდა კონფიდენციალურობის დარღვევას. მან განაცხადა: „კამერები უსაფრთხოების მიზნით გატაქს, ასე რომ არაფერი გადაიცემა. კამერებს არა აქვს აუდიოსაშუალება.“<sup>237</sup> 2006 წლის ივლისში სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უარი განუცხადა სახალხო დამცველს კამერების მოხსნაზე.<sup>238</sup>

ადვოკატები საუბრობდნენ სხვა შეზღუდვებსა და კონფიდენციალურობის დარღვევებზე. „კლიენტებისთვის არც კი შეძებლო საქმის მასალების გადაცემა . . . სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრი დგას ოთახში და ხედავს და უსმენს ყველაფერს. ისინი ყველაფერს ამოწმებენ, რასაც ვწერთ. ვერ დაარწმუნებ, რომ დაგტოვონ. არაფერია კონფიდენციალური,“ – განუცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა “Human Rights Watch”-ს.<sup>239</sup> მეორე ადვოკატოს თქმით კი, „როცა შედიან ადვოკატები, მათ ყველა ქაღალდს უსინჯავენ, ჩხრეკენ კიდეც. ფეხსაცმელიც კი იჩხრიკება. ეს დღესაც ხდება.“<sup>240</sup> „სტანდარტული მინიმალური წესები“ მოითხოვს, რომ „ბრალდებულ პატიმარს დაცვის მიზნით უნდა ჰქონდეს უფლება, შეხვდეს თურიდიულ მრჩეველს, რომელიც დაიცავს მას, მოამზადებს კონფიდენციალურ ინსტრუქციებს და გადასცემს მას. საუბარი პატიმარსა და მის იურიდიულ მრჩეველს შორის შეიძლება წარიმართოს პოლიციის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მეთვალყურეობით, მაგრამ მათ არ უნდა ესმოდეთ ეს საუბარი.“<sup>241</sup>

### ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის მისაწვდომობა სასჯელაღსრულების სისტემაში ძალზე შეზღუდულია, მაგრამ ეს არათანმიმდევრულად ხორციელდება. საქართველოს კანონის თანახმად, „მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გაცნობის შესაძლებლობა“ და სასჯელაღსრულების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაციას.<sup>242</sup> წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს ციხის ადმინისტრაციის ნებართვით შეუძლიათ გაეცნო პრესის, უურნალებს, იქონიონ რადიო და ტელევიზორი.<sup>243</sup> მიუხედავად ამისა, “Human Rights Watch”-მა ტელევიზორები აღმოაჩინა დათვალიერებული დაწესებულებების შხოლოდ რამდენიმე საკანში და ქუთაისის მე-2 საპყრობილის „ლია რეჟიმის“ ნაწილის ერთ საერთო ოთახში. თბილისის წინასწარი პატიმრობის მე-5 დაწესებულების პატიმრები აცხადებდნენ, რომ 27 მარტის არეულობამდე მათ ჰქონდათ ტელევიზორები, რომლებიც ან ტყვიებით დაცრილეს სპეციალური დანიშნულების რაზმელებმა არეულობის დროს, ან გაიტანეს დასჯის მიზნით არეულობის შემდეგ. “Human Rights Watch”-მა ვერც

<sup>237</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი გიგნალიძესთან, თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>238</sup> „პრესკონფერენცია სახალხო დამცველის ოფისში”, საქართველოს სახალხო დამცველი, პრესრელიზი, 2006 წლის 18 ივნისი.

<sup>239</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>240</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ლალი აუცაურთან, თბილისი, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>241</sup> „პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები”, 93-ე მუხლი.

<sup>242</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, შესწორებული 2006 წლის 1 ივნისს, 51-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>243</sup> იქვე, 92-ე მუხლის 1-ლი (დ) პუნქტი.

რადიოს მიაგნო სადმე. ზოგიერთ პატიმარს საკანში ჰქონდა უურნალები ან გაზეთები, რომლებსაც მათ ოჯახის წევრები აწვდიდნენ, ზოგჯერ ადმინისტრაცია უკრძალავდა პატიმრებს უურნალ-გაზეთების მიღებას ნათესავებისგან; ამ შეზღუდვის მიზეზი გაუგებარია. ქუთაისის მე-2 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა ასე აღწერა გარე სამყაროსთან კავშირის უქმარისობა: „ჩვენ არც ტელევიზორი გვაქვს და არც რადიო. არაფერი საქმე არ გვაქვს. ალბათ გავგიუდები აქ, ისეთი მოწყვნილობაა. გაზეთებს ოჯახიდან ვიღებთ.“<sup>244</sup> აღნიშნული დაწესებულების ბევრმა სხვა პატიმარმაც იგივე განაცხადა და შემოგვივლა, რომ ბოლო დროს დაიწყო ინფორმაციის შეზღუდვა.<sup>245</sup>

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ირინა ცინცაძის სიტყვებით, „ჩვენ ვცდილობთ, უფრო მეტი ტელევიზორი მივაწოდოთ მათ. რამდენადაც მე ვიცი, მოვახერხებთ მათ შემოტანას. ტელევიზორები არ არის აკრძალული. ყველავერი დამოკიდებულია პატიმრების შესაძლებლობებზე. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეს შეძნა, მაგრამ არა ყველას. თბილისის მე-5 საპყრობილები ბევრი ტელევიზორია. მე იქ რამდენიმე დღის წინ ვიყავი . . . შეიძლება რამდენიმე ტელევიზორი გაიტანეს კიდეც 27 მარტის არეულობის შემდეგ, მაგრამ იქ კვლავ ბევრი ტელევიზორია. მე ვნახე ისინი მესამე და მეოთხე სართულებზე და ასევე საკარანტინო განყოფილებაში.“<sup>246</sup> როცა „Human Rights Watch“-ის წარმომადგენლებმა უთხრეს ქ-ნ ცინცაძეს, რომ საპყრობილები ერთი კვირის წინ იყვნენ და იქ ვერც ერთი ტელევიზორი ვერ ნახეს, ირინა ცინცაძემ დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ტელევიზორები საკნებში მისი მისვლისთვის განგებ შეეტანათ.<sup>247</sup>

### **შინაარსიანი საქმიანობის უქმარისობა**

„Human Rights Watch“-ის მიერ დათვალიერებულ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში პატიმრები უჩიოდნენ ნებისმიერი სახის საქმიანობის არარსებობას. პატიმრები უბრალოდ სხედან საკანებში 24 საათის განმავლობაში, ხშირად ისინი გარეთაც არ გაჰყავთ, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ციხის წესები იძლევა სამაგიდო თამაშებით (როგორიც არის, მაგალითად, ჭადრაკი) სარგებლობის ნებართვას, 2006 წლის დასწუყისში პატიმრებს არ ჰქონდათ ბანქოს, სხვა თამაშებისა და რაიმე სხვა საქმიანობის უფლება. „Human Rights Watch“-ის მიერ მონახულებული არც ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრებს არ ჰქონდათ მუშაობის ან სწავლის საშუალება. ეს სერიოზულ ფსიქოლოგიურ საფრთხეს უქმნის ადამიანებს. ქუთაისის მე-2 საპყრობილის ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „აქ

<sup>244</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანინიშვრობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილების 2006 წლის 20 მაისი. ქუთაისის მე-2 საპყრობილის აღმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვითხოვდეს, რომ ციხეს აქვს ბაბლიოოთები და პატიმრების ერთი კვირით შეუძლია იქდან წიგნების გამოტანა. „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ შმაგი ფანჯავძესთან, ქუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსის მოადგილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>245</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმრებთან (ანინიშვრობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილების 2006 წლის 20 მაისი.

<sup>246</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ირინა ცინცაძესთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 2006 წლის 22 მაისი.

<sup>247</sup> იქვე.

ისეთი მოწყენილობაა, შეიძლება გაგიუდეს ადამიანი.“<sup>248</sup> მეორეს თქმით, „24 საათის განმავლობაში უსაქმოდ ჯდომა ანგრევს ჩვენს ნერვულ სისტემას.“<sup>249</sup> რუსთავის მე-6 საპყრობილები, რომელიც ამჟამად წინასწარი პატიმრობის დაწესებულებას წარმოადგენს, არის სპორტული დარბაზი, საღაც ერთ ბოლოში დგას კალათბურთის ფარი, ხოლო მეორეში ეკრანი და სკომები ფილმების საყურებლად. თუმცა, დაწესებულების უფროსის მოადგილის თქმით, „აქ ფილმებს მხოლოდ მსჯავრდებული პატიმრები [რომლებიც მუშაობენ ციხეში] უფურებენ. ეს ციხე თავიდანვე გათვლილი იყო მსჯავრდებულებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ ამ საშუალებებით სარგებლობა. წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს არ შეუძლიათ მათი გამოყენება.“<sup>250</sup>

“Human Rights Watch”-ის მიერ გამოკითხული არასრულწლოვანი პატიმრები ერთხმად აცხადებდნენ, რომ არავითარი განათლება აღარ მიუღიათ დაკავების შემდეგ, მიუხდავად იმისა, რომ ისინი უკვე სასჯელს იხდიდნენ ან მათი წინასწრი პატიმრობა უკვე რამდენიმე თვე, შეიძლება წელიწადზე მეტიც, გრძელდებოდა.<sup>251</sup> ერთმა ბიჭი უთხრა “Human Rights Watch”-ს: „ჩვენ არ გვიტარდება გაკვეთილები. სიამოვნებით დავესწრებოდი მათ. ისეთი მოწყენილობაა, არაფერს ვაკეთებთ. ზოგჯერ დარაჯებს მოაქვთ ჩვენთვის რაღაც ძველი წიგნები და ჩვენც ვკითხულობთ მათ. ნათესავებს ზოგჯერ გაზეთები მოაქვთ.“<sup>252</sup> მეორეს თქმით: „არ გვიტარდება გაკვეთილები. ბოლოს სკოლაში ერთი წლის წინ ვყავი. გაკვეთილები არც ბაგშვა კოლონიაში ტარდებოდა. თუ შენი საქმე გამოიძიებაშია, გაკვეთილებზე არ დადიხარ. მხოლოდ მსჯავრდებულები სწავლობენ.“<sup>253</sup> მისმა თანამოსაკნემ კი თქვა, რომ სხვა საშუალებების უქონლიბის პირობებში მათ თვითონვე წამოიწყეს რაღაც საგანმანათლებლო ღონისძიებები: „ადმინისტრაციისგან ვთხოვეთ წიგნი. მათ ერთი ქართული და ერთი რუსული წიგნი მოგვცეს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რუსული და გადაწყვიტეთ, ჩვენით გვესწავლა.“<sup>254</sup>

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზელმძღვანელობამ განუმარტა “Human Rights Watch”-ს, რომ განათლება ვერ მიეწოდება წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანებს. ქუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსის მოადგილე

<sup>248</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>249</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>250</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ირაკლი გელაშვილთან, რუსთავის მე-6 საპყრობილის უფროსის მოადგილე სოციალურ საკონსერვაციის, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>251</sup> ერთ საკანში ორმა ბავშვმა განაცხადა, რომ ისინი უკვე წელიწადი და რვა თვე და ორი წელი და ორი თვე იყვნენ პატიმრობაში. წინასწარ პატიმრობაში მყოფმა სამშა ბაგშვმა თქვა, რომ ისინი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ ოთხი თვე, რვა თვე და ერთი წელი, შესაბამისად. “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმრებთან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>252</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ 16 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>253</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ 17 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>254</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ 16 წლის პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

აღნიშნა: „არასრულწლოვანი პატიმრები აქ მხოლოდ მოკლე პერიოდით არიან და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მათივის განათლების პროცესის ორგანიზება. პატიმარს, რომლის საქმის გამოძიებაც მიმდინარეობს, შეუძლია მხოლოდ ადვოკატთან ან თავისი ოჯახის წევრებთან შეხვედრა, აქ მასწავლებლის მოყვანა შეუძლებელია.“<sup>255</sup> სასჯელადსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა: „საშინელებაა, რომ არასრულწლოვანი წინასწარ პატიმრობაში ექვს თვეს ან ზოგჯერ წელიწადსაც კი ატარებს, მაგრამ ამის შეცვლა ერთბაშად შეუძლებელია. არც ერთ მასწავლებელს არ უნდა ციხეში მუშაობა; ზელფასები ძალიან დაბალია.“<sup>256</sup> ბავშვებისთვის განათლების შესაძლებლობის არარსებობა არღვევს გაერო-ს „არასრულწლოვანთა მართლმასჯულების აღსრულების მინიმალურ წესებს“, რომლებიც მოითხოვს სახელმწიფოებისგან, „უზრუნველყონ აღეკვატური აკადემიური ან, საჭიროების მიხედვით, პროფესიული განათლება დაწესებულებებში მოხვედრილი არასრულწლოვნებისთვის, რათა დაწესებულების დატოვებისას მათ არ ჰქონდეთ განათლების დეფიციტი.“<sup>257</sup>

საქართველოს ციხეში მსჯავრდებული პატიმრებისთვის და წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის შინაარსიანი საქმიანობის ნაკლებობა არღვევს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია „სტანდარტულ მინიმალურ წესებში“, აგრეთვე, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.<sup>258</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აცხადებს: „საქმიანობის (მუშაობა, განათლება, სპორტი და ა.შ.) დამაკმაყოფილებელ პროგრამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პატიმართა კეთილდღეობისთვის. ეს ჰეშმარიტებაა ყველანაირი დაწესებულებისთვის, იქნება ეს მსჯავრდებულთათვის თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფიათვის განკუთვნილი დაწესებულებები . . . არ შეიძლება პატიმრების უსაქმოდ დატოვება საკნებში კვირების და ზოგჯერ თვეების განმავლობაში . . . წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში ადამიანებს უნდა შეეძლოთ დღის მნიშვნელოვანი ნაწილის (8 საათი ან მეტი) საკის გარეთ გატარება და მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის შინაარსიან საქმიანობაში. რა თქმა უნდა, რეჟიმები მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში კიდევ უფრო მოხერხებული უნდა იყოს.“<sup>259</sup>

საქართველოს კანონი ადგენს, რომ სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია „ვალდებულია, შექმნას პირობები, რათა მსვავრდებულებმა

<sup>255</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ შპაგი ფანჯავიძესთან, ჭუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსის მოადგილი, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>256</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ირინა ცინცაძესთან, სასჯელადსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილი, 2006 წლის 22 მაისი.

<sup>257</sup> გაერო-ს „არასრულწლოვანთა მართლმასჯულების აღსრულების სტანდარტული მინიმალური წესები“, მუხლი 26.6.

<sup>258</sup> „სტანდარტული მინიმალური წესები“ აღგენს, რომ მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ „საქმარისი სასარგებლო სამუშაო, რასა ისინი აქტუალურ აუქნინ ჩაბორი საშამიანობაში სამუშაო დღის განსაკუთრებაში. რამდენადც ეს შესაძლებელია, სამუშაო ისრით უნდა იყოს, რომ პატიმარმა შეინარჩუნოს ან გაზარდოს კეთილისწილისური შროიძით შემოსავლის შეინიშვნით თვეით შესაძლებლობებიც ციხიდნ გათვალისწილების შემდეგ.“ „პატიმრების მიმართ მოკრიობის მინიმალური სტანდარტული წესები“, 71-ე მუხლი, მე-3 და მე-4 პუნქტები.

<sup>259</sup> წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „სტანდარტული, ზოგადი ანგარიშების მირითადი ნაწილები“, გვ. 17, 47-ე პუნქტი.

მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება“ და რომ შსჯავრდებულები უნდა მუშაობდნენ და იღებდნენ სათანადო ანაზღაურებას.<sup>260</sup> საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ სამუშაო პროგრამების დანერგვა სასჯელადსრულების დაწესებულებებში პრიორიტეტული საკითხია. თუმცა თუსტიციის მინისტრის მოადგილემ ამ ახალი პროექტების მხოლოდ სამი მაგალითი მოგვაწოდა: „სტილისტთა ტრენინგი ქალთა კოლონიაში, სათბური გეგუთში (წყალტუბოს მკაცრი რეჟიმის მე-8 საპყრობილები) და ფეხსაცმლის ფაბრიკა ქუთაისის ახალ საპყრობილები“.<sup>261</sup> ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია („ემფატია“) დახმარებას უწევს სხვადასხვა ხელობის შესწავლასთან დაკავშირებულ პროექტებს ქალთა კოლონიებში. არ არსებობს გეგმები წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის საქმიანობის ნაკლებობის პრობლემის მოსაგვარებლად. 2006 წლის 1 მაისის ანგარიშში გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისადმი “Penal Reform International”-მა აღნიშნა, რომ „იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებაზე, რომ შინაარსიანი საქმიანობის ხელშეწყობისგან მიმართულ მცირე გრანტების პროგრამაში ჩართულიყვნენ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები“.<sup>262</sup>

### საჩივრის შეტანის მექანიზმები

საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ პატიმრებს შეეძლოთ ისარგებლონ საჩივრის კონფიდენციალურად შეტანის პროცედურით, რომლის საფუძველზეც ისინი კონფიდენციალურად მიმართავენ აღმინისტრაციას, სასამართლო ორგანოს ან სხვა უწყებას.<sup>263</sup> საქართველოს კანონით პატიმრებს

<sup>260</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებით, 44-ე, 53-56-ე მუხლები.

<sup>261</sup> “Human Rights Watch”-ის გასაუბრება ვიყო მიქანაქსთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თბილისი, 2005 წლის 18 მაისი. იხ., აგრეთვე, „იწყება პატიმრობა დასაქმების პროცესი“, „პრაიომისია“, 2006 წლის 8 მაისი. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს, რომ „თავისუფლებადაკეთილ ქალებს უნდა შეეძლოთ მინტენდებობის მქონე საქმიანობაში (მუშაობა, ტრენინგი, განთლება, სპორტი და ა.შ.) ჩართო . . . წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრები შევერდა შეტანის პროცესით აღმიარ ქალებს სთავაზობდნენ მათთვის „შესაუბრის“ საქმიანობებს (კერა ან ხელიაქე), როცა მასაკაც პატიმრებს უციო პროფესიულ განათლებას აძლევს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, მგარად დასკრიმინაციული მიღვრამ მხოლოდ განმტკიცებს ქალებთან დაკავშრებულ ჭრელ სტერიტეიტებს. უფრო მეტიც, გარემონდნენ გამომდინარე, ქალებისთვის ზოგიერთი საქმიანობის მოწვდომელია შეიძლება განხილული იქნეს. როგორც მათ მიმართ დიარქების შემდაცევლი მოპრობა, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების ძრითადი წარდგენი“, გვ. 70, 25-ე პუნქტი.

<sup>262</sup> “Penal Reform International”, „გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისთვის წარდგნილი ანგარიში“.

<sup>263</sup> „სტანდარტულ მინიმალურ წესებზე“ ნათქვამა: „ყოველ პატიმრას უნდა პერიდეს შესაძლებლობა, ციხის ცენტრალურ აღმინისტრაციას, სასამართლო ორგანოს ან სხვა სათანადო უწყებას მიღებული ვზებით წარუდინობა განაცხადი ან საჩივრი, შინაარსით მიმართ მოპრობის აღნიშნავის სტანდარტული კონფიდენციალურად შეტანაზე და რეამბენდაციაზე გაუწია მთავრობას, მიეღო ზომები, რათა უზრუნველყოფა სტანდარტის კონფიდენციალურ გადაცემ (ასეთ ზომების მაგალითებია პატიმრებისთვის კონფიდენციას მიწოდება, საჩივრებისთვის განკუთხილი ჩატარების დაგვამტკიცება). წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარაში საქართველოს მთავრობისთვის 2003 წლის 18-დან 28 ნოემბრიდე და 2004 წლის 7-დან 14 მაისმდე წამებისა და ასაკმარისური ან დიარქების შემთხვევლი მოპრობისათვის თუ დასკაცის უციოული კომიტეტის ვაზის შესახებ“. აღმანის უფლებათა ურთისულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობა გარეკველი ტიას კორესპონდენციას კონტროლი არღვევდა მე-8 მუხლით გარანტირებულ კორესპონდენციას უფლებას. იხ. საქმე სიღვერი და სხვები კაურთან ციხესიმაგრე, 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია A, №61. იხ., აგრეთვე, 269-ე სქილით ციხესიმაგრე საჩივრების მიმერის და მათზე რეაგირების უფლებამოსილებას მქონე დამუჟკოდებელი უწყების ვაზის შესტეტანა დაკავშირებით.

აქვთ უფლება, შეიტანონ საჩივრები საპატიმროს აღმინისტრაციის, საპატიმროს პერსონალის, სხვა სახელმწიფო უწყებების წინააღმდეგ ან ქვემოთ აღწერილ საპატიმროების საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიებში. მიუხედავად ამისა, “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროისათვის პატიმროთა მიერ სახელმწიფო უწყებებისათვის მიწურილ მთელ კორესპონდენციას საპატიმროს დირექტორი კითხულობდა. საჯელადსრულების დეპარტამენტის სოციალური განყოფილების უფროსის თქმით, „პატიმრებს შეუძლიათ დაწერონ წერილი და ეს წერილი წავა ციხის კანცელარიაში. დირექტორი ან დირექტორის მოადგილე წაიკითხავს ყოველ წერილს და თან დაურთავს მას თანმხლებ წერილს... შემდეგ კანცელარია აგზანის წერილებს ადრესატებთან. პასუხი მოსდის დირექტორის და შემდეგ გადაეცემა პატიმარს“.<sup>264</sup>

ერთ-ერთი საპატიმროს თანამშრომლის თქმით, საჩივრის შეტანის პროცედურასთან დაკავშირებულ პრობლემებს არა აქვს არსებითი ხასიათი, ვინაიდნ „არ არსებობს საჩივრები ციხის აღმინისტრაციის წინააღმდეგ – საჩივრები მხოლოდ გამოძიებას ან პროკურატურას ეხება“.<sup>265</sup> პატიმრების თქმით, მათ არასოდეს წარუდგენიათ საჩივრები, რადგან არ აძლევენ კალმისტრებს და ქაღალდს წერილის დასაწერად, ამასთანავე, არ აქვთ ამ მექანიზმის ეფექტურობის რწმენა. “Penal Reform International”-მა დააფიქსირა, რომ საპატიმროთა თანამშრომლები არ უზრუნველყოფენ პატიმრებს აუცილებელი საშუალებებით საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიებში საჩივრების წარსაღვენად. მაგალითად, ქუთაისის მე-2 საპურობილები 2006 წლის აპრილში განხორციელებული ვიზიტის დროს “Penal Reform International”-ს პატიმრებთან არ უნახავს არც კალმისტრები და ქაღალდი, არც ჩაკეტილი ყუთები კონფიდენციალური საჩივრებისთვის. პატიმრებისთვის არც საჩივრის შეტანის ამ მექანიზმის თაობაზე მიუწოდებიათ ინფორმაცია.<sup>266</sup>

2006 წლის მაისში იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად გამოსწორდა საჩივრების შეტანის პროცედურაში კონფიდენციალურობის არარსებობის საკითხი. მაგრამ იუსტიციის მინისტრის №620 ბრძანებაში ჩამოყალიბებული ახალი წესები ურთიერთსაწინააღმდევოა: ბრძანების მე-8 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციას არარ აქვს უფლება, შეამოწმოს პატიმრების მიერ სასამართლოსთვის, საჯელადსრულების დეპარტამენტისთვის, ომბუდსმენისთვის, ადვოკატისა თუ პროკურორისთვის გაგზავნილი წერილები. აღმინისტრაციას არც ამ წერილების გაგზავნის დაბრკოლება შეუძლია. თუმცა ბრძანების მე-16 პუნქტი მოითხოვს, რომ „სახელმწიფო უწყებებისთვის, საზოგადოებრივი ასოციაციებისა და ოფიციალური უწყებებისთვის“ გაგზავნილ პატიმრის საჩივარს თან უნდა

<sup>264</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ანტონ ქელბაქანთან, საჯელადსრულების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთან დეპარტამენტის უფროსისა, თბილის, 2006 წლის 18 მაისი.

<sup>265</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე ოზაშვილთან, თბილისის მე-5 საპურობილის მოადგილე, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>266</sup> “Penal Reform International”, „გაერო-ს წამების საწინააღმდევო კომიტეტისთვის წარდგენილი ანგარიში”.

დაერთოს თანმხლები წერილი ადმინისტრაციისგან, რომელშიც მოკლედ იქნება აღწერილი ადმინისტრაციის პოზიცია საკითხის მიმართ.<sup>267</sup>

### საპატიმროთა მონიტორინგი

საქართველოში საპატიმროთა მონიტორინგის რამდენიმე მექანიზმი არსებობს.<sup>268</sup> კანონის მიხედვით პრეზიდენტს, პარლამენტსა და ობუდსმენს, აგრეთვე მათ მიერ დანიშნულ პირებს აქვთ უფლება, შევიდნენ სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე.<sup>269</sup> ობუდსმენის სამსახურის წარმომადგენლები, მათ შორის რეგიონებში მყოფი დამკირვებლები, პერიოდულად ახორციელებენ დაკავების ადგილების მონიტორინგს. ობუდსმენის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საპატიმროს ადმინისტრაციის მხრიდან მისი წარმომადგენლისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისას ხელის შემლის მცდელობას.<sup>270</sup>

2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა სააკაშვილმა დააარსა საპრეზიდენტო მონიტორინგის საბჭო, რომელიც 21 წევრისაგან შედგება და ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. როგორც პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პირებს, საბჭოს წევრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეუზღუდავად შესვლის ოფიციალური უფლება აქვთ.<sup>271</sup> რამდენიმე ადამიანმა, რომელთაც “Human Rights Watch”-ი

<sup>267</sup> თუსტიციის მინისტრის 2006 წლის 26 ივლისის ბრძანება №620, „სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრითის, პერსონალის, სასჯელაღსრულების დეპრტამენტის ან სხვა სახლმწიფო დაწესებულების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების გასაჩინოება მსჯავრდებულებისა და პატიმრების მიერ და საჩივრების განხილვის თაობაზე მოთხოვების დამტკიცების შესახებ“.

<sup>268</sup> საპატიმროების მონიტორინგის არსებულ მექანიზმებთან დაკაშორებით გაერო-ს საგანგებო მომსხენებელმა წამების საკითხებში 2005 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ აღნიშნა: „მართალია, ამ მექანიზმებს გარკვეული როლის შემსრულება შეუძლიათ წამებისა და ცუდად მოპერობის თავიდან აცილებაში, მაგრამ მათი აქამდენდება ცალკეული რიც ნაკლოვებებისა, უპირველეს ფოლიისა მგაფოდ განსხვავებულ მანდატებს, მათ შორის ზოგადი კორორდანაციას არასემბობას, ვაზიტობის რეგულარული და სისტემატიური პროგრამის, მათ შორის, რეგულარულ განხილვის გამოიყენების უფლებამოსილების არასემბობას, სთანადო რესტრსების ნაკლებობას და დამოუკიდებლობის უქმინისაბაზისა.“ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მათ შორის წამებისა და პატიმრობის საკითხები, წამებისა და სხვა სასტიკია, არადამატინურია ან ღირსების შემდახვევლი მოპერობისა თუ დაჯინის საკითხებში საგანგებო მომსხენებლის, მანგრედ ნივარებს, ანგარიში, საქართველოში განვითარებულ მისამართის წამების სწინააღმდეგო კომიტეტი აინიშნავს, რომ ცაზებში საჩივრების მიმწინავს და მათზე რეაგირების უფლებამოსის ქმედებულები უწყების რეგულარული ვაზიტობის მნიშვნელოვან როლს თამაშის ციხის აღმინისტრაციასა და პატიმრების შორის წარმოშობილ უთანხმეულათა მუგვარუებაში. წამების საწინააღმდეგო ფორმულით, „სტანდარტები, ზოგად აგარიშების ძირითადი ნაწილები“, გვ. 19, 54-ე პუნქტი.

<sup>269</sup> საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებებით, 52-ე მუხლი. 1996 წლის კანონი სახალხო დამცველის შესახებ ასევე ანგარიშის სახალხო დამცველის (იმბუდსმენის) დაკავების ფერად ადგილა — როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ისე პოლიციის დაკავების ცენტრებში — დაუბრკოლებლად შესვლის უფლებას.

<sup>270</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, სახალხო დამცველი (იმბუდსმენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>271</sup> 2005 წლის თუსტიციის მინისტრმა გოლე გერმანიული დადგენილება, განაცხადა რა, რომ მონიტორინგის საბჭო არ შეესაბამება ასებულ კონინდებლობის. მაგრამ თუსტიციის მინისტრის არა აქვს პრეზიდენტის დადგენილების გაუქმების უფლებამოსილება და მონიტორინგის საბჭო დღესაც არსებობს. მონიტორინგის საბჭოს რვა წევრი აღარ მონაწილეობს საჭირო საქმისამაბაზი, ვინაოდნ მათ გარკვეული თანადევებობის დაკავები მოვინობაში, რაც ავტომატურად ართოვს მათ საბჭოს წევრინის უფლებამოსილებას, ზოგიერთი წევრი სხვა მაზრებით გადადგა. მონიტორინგის საბჭოს ერთ-ერთი წევრის თქმით, შოლომ 13 წევრს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობაში, მაგრამ ამ წევრთაგან ფერად აქტიური არ

გაესაუბრა, რომ თუმცა საბჭოს ცალკეული წევრები ამჟამად ციხეებში აწარმოებენ მონიტორინგს, საბჭო არ ახორციელებს რაიმე კოლექტიურ ქმედებებს საცუთარი მანდატის ფარგლებში, როგორიც არის, მაგალითად, ხელისუფლებისთვის მოხსენებებისა თუ რეკომენდაციების წარდგენა.<sup>272</sup> საბჭოს სულ მცირე ორ წევრს პრობლემები შეხვდა, როდესაც ისინი ცდილობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლას 2006 წლის იანვარსა და მარტში.<sup>273</sup>

კანონში პატიმრობის შესახებ ასევე ნათქვამია, რომ თითოეულ დაწესებულებას სასჯელაღსრულების სისტემაში უნდა ჰყავდეს მონიტორინგის კომისია.<sup>274</sup> 2000 წელს შექმნილმა კომისიებმა 2004 წელს, საკავშიროს არჩევის შემდეგ, შეწყვიტეს მოქმედება, მაგრამ ცოტა წნის წინ იუსტიციის სამინისტრომ განაახლა მათი მუშაობა.<sup>275</sup> რეგულარული მონიტორინგის საფუძველზე კომისიები მოამზადებენ მოხსენებებსა და რეკომენდაციებს იუსტიციის სამინისტროსთვის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის. 2006 წლის ივნისისთვის კველა კომისია უკვე შექმნილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ დოკუმენტის მომზადების დროს კომისიები მოქმედებდნენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში – ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის საპრობილებებში.<sup>276</sup> ამ სამი კომისიისთვის კანდიდატები იუსტიციის სამინისტროში შეარჩიეს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის, გივი მიქანაძის, თქმით, მომავალში საბჭოების შემადგენლობა განისაზღვრება საჯარო კონკურსის მეშვეობით, თუმცა შერჩევის კრიტერიუმები და პროცესი ჯერ არ არის დადგენილი. მიქანაძემ განაცხადა, რომ საბჭოს წარმომადგენელთა 80 პროცენტი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იქნება, ხოლო დანარჩენები იქნებიან რელიგიური ლიდერები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

არის. "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ ანა დოლომესთან, საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>272</sup> "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ თამუნა ქალადნთან, კანონის უზნაესობის პროგრამის კოორდინატორი, ფონდი „და სახოგალოება – საქართველო“, თბილისი, 2006 წლის 10 მაისი; და "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ მერი მერფისთან, "Penal Reform International", თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>273</sup> "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ თუ თუმცრიმესთან, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2006 წლის 11 მაისი (თუმცრიმესთავაგანგბილ აღნიშვა 2006 წლის 27 მარტს თბილისის მე-7 საპრობილებიში პატიმრობიან გასაუძრების პრინციპები); და "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ ანა დოლომესთან, საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>274</sup> "Human Rights Watch"-ის ინტერვიუ მერი მერფისთან, "Penal Reform International", თბილისი, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>275</sup> იქნ. 2000 წელს იუსტიციის სამინისტრომ დაარსეს კომისიები სასჯელაღსრულების ფორმა დაწესებულებაში. კომისიებში შედიონება დავილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა ცნობილი ადამიანები იმ ქალაქებიდან, სადაც ციხეებია განლაგებული. საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ერთ-ერთი ესაბამისობის ფორმა, კომისიების ფერება წევრის არც კი იცოდა კომისიაში თავისი დანიშვნის შესახებ და ამიტომ სარგებლობაც არ მოუტანა.

<sup>276</sup> სასჯელაღსრულების დაწესებულებების ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, თავდაპირველად ეს კომისიები სისულეებს აწყვებონენ საატიმროთა შეფასებასას და აატიმრებთან პარიპარი შეხვედრისას. მაგრამ 2006 წლის მაისში მათ შეეძლოთ რეგულარული მონიტორინგის წარმოება და მოხსენებების მომზადება. "Human Rights Watch"-ის სტელეფონორ ინტერვიუ მერი მერფისთან, "Penal Reform International", 2006 წლის 18 აგვისტო.

მინისტრის მოადგილემ, გივი მიქანაძემ, „Human Rights Watch”-თან საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ ამ კომისიათა ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო განლაგებული იქნება იუსტიციის სამინისტროში და მას დაეკისრება კომისიების წევრობაზე კანდიდატების შერჩევის და ამ კომისიათა საქმიანობისთვის თანხების განაწილების პასუხისმგებლობა.<sup>277</sup> მიქანაძის თქმით, „მონიტორინგის ახალი ცენტრალური საბჭო სრულიად დამოუკიდებელი იქნება. ის სამინისტროში განლაგდება, მაგრამ მასში არ შევლენ სამინისტროს წარმომადგენლები და ის არც დაფინანსებას მიიღებს სამინისტროდან.“<sup>278</sup> ამ დოკუმენტის მომზადების დროისათვის ცენტრალური საბჭო არ იყო შექმნილი და არც საჯარო ინფორმაცია არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიქმნება და იმუშავებს საბჭო. არსებული კომისიები არ აკმაყოფილებენ მონიტორინგის მექანიზმების დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ეროვნულ დაწესებულებათა სტატუსთან დაკავშირებულ გაერო-ს პრინციპებში („პარიზის პრინციპები“) და წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატურ ოქმი.<sup>279</sup>

<sup>277</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გივი მიქანაძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თბილისი, 2005 წლის 18 მაისი.

<sup>278</sup> იქვე.

<sup>279</sup> „Human Rights Watch”-ის სატელეფონო ინტერვიუ მერი მერფისთან, „Penal Reform International”, 2006 წლის 18 ავგისტო, ეროვნულ დაწესებულებათა სტატუსთან დაკავშირებულ გაერო-ს პრინციპების („პარიზის პრინციპები“) მიხედვით, „ეროვნულ დაწესებულებას უნდა მოენიჭოს ადამიანის უფლებების დაუცველების დაცვისა და ხელშეწყობის უფლებების დაუცველების უნდა მის წევრია დანიშნუა, არჩევისა თუ სხვა გზით განისაზღვრობა იმგვარ პრიცედურის საფუძვლზე, რომელიც იძლევა კველ აუკილებელ გარანტიას ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაში მონაწილე საზოგადოებრივ ძალთა (სამოქალაქო საზოგადოების) პლაზარალიტული წარმომადგრნლობას უზრუნველყოფისთვის... ეროვნულ დაწესებულებას უნდა პქინებეს ინფრასტრუქტურა, რომელიც შეუძლია საქართველოს შეუფეხბელ წამოებას, კრძოლ, უნდა პქინებეს სათანადო დაფინანსება. ამ დაფინანსების მაზარი უნდა იყოს დაწესებულებისთვის შესაძლებლობის მიცემა, ჰყავდეს საკუთარი პერსონალი და შენობები, რათა იყოს სხლისუფლებისგან დამოუკიდებელი...“ ეროვნულ დაწესებულებათა სტატუსთან დაკავშირებულ გაერო-ს პრინციპები („პარიზის პრინციპები“), მოლეულია განრიცალური ასამბლეის №48/134 რეზოლუციის საფუძვლზე, 1993 წლის 20 დეკემბერი. წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატურ ოქმის ნათებამა: „წინამდებარე იქმის ძალაში შესვლიდან ან მისი რატეფუცირებიდან ან მასთან უცველესობით ერთ წლისას თითოეული წევრის გრიფი დამკვირდოს, დანაშნის ან ჩამარყილისას ერთ ან ამდენიმე გრიფი პრეცედულ მექანიზმი წამების თავიდან ასაცილებლად ადგილობრივ დოკუმენტზე, შესაძლებელია დაცემტრადიზაბელი უწყებების მიერ შექნილი მექანიზმების გამოყენება ეროვნული პრეცედულ მექანიზმების სახით წინამდებარე იქმის მაზებისათვის, თუკი ისინი შეესაბამება იქმის დეცულებებს... ძონაწილე სახლმშიწყობის უზრუნველყოფის ეროვნული პრეცედული მექანიზმებისა და მათი თანამრომლების დამოუკიდებლობას... მონაწილე სახლმშიწყობი კისრულობენ კალდებულებას, გამოყონ ეროვნულ პრეცედული მექანიზმების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რესურსები. ეროვნულ პრეცენციული მექანიზმებს დასახელისას სამოწილე სახლმშიწყობის სათხაოლ გათივალსწინებენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნულ დაწესებულებათა სტატუსთან დაკავშირებულ გაერო-ს პრინციპებს („პარიზის პრინციპები“). წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემდახველი მოპროტესის თუ დაჯინ საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატურ იქმის გენერალური სამბლეის რეზოლუცია №A/RES/57/1999, 2002 წლის 18 დეკემბერი, ძალაში შევიდ 2006 წლის 22 ივნისს საქართველო წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატურ იქმის 2005 წლის 8 ივლისს მოუკრთდა.

## ზელისუფლების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ძალის გამოყენება

სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში მრავალმა პატიმარმა უამბო “Human Rights Watch”-ის წარმომადგენლებს მათ მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ 2006 წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში ზელისუფლება ძალადობას იყენებდა საპატიმროებში არეულობის ჩასახმობად. ამ არეულობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანის, თბილისის მე-5 საპატიმროში 2006 წლის 27 მარტის არეულობის, შედეგად დაიღუპა სულ მცირე შვიდი პატიმარი და დაიჭრა სულ მცირე 17, ზიანი მიადგა, აგრეთვე, მინიმუმ 10 ძალოვნებს. ზელისუფლება შეეცადა, გაემართლებინა ძალის გამოყენება აღნიშნულ არეულობათა (რომელთაც ის ამბოხებებს ან ამბოხებათა მცდელობებს უწოდებს) ჩასმობის აუცილებლობით. მაგრამ რჩება სერიოზული კითხვები ამ არეულობებზე რეაგირების პროცესიულობასა და ძალის გამოყენების კანონირებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 27 მარტის ინციდენტთან მიმართებაში. “Human Rights Watch”-მა მოიპოვა დოკუმენტური დადასტურება რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც ჩანს, რომ 27 მარტის ოპერაციის დროს გადამეტებული ძალა იქნა გამოყენებული. სხვა შემთხვევებში გამოყენებული იყო უკანონო ქმედებები, მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარები და სასტიკი ცემა დასვეის სახით, საგარაულოდ იმ კონკრეტული პატიმრების დასაშინებლად, ვისაც ზელისუფლება საფრთხედ აღიქვამს, როგორიცაა კანონირი ქურდები. ამგვარი ცემა, განსაკუთრებით როდესაც დასჯის მიზნით ხდება, აშკარად არღვევს არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი ის ისეთი სასტიკი და ხშირი იყო, ანდა არაადამიანურ და ლირსების შემლახველ სხვა მოპყრობასთან ერთად გამოიყენებოდა, რომ წამებას უტოლდებოდა.

### 27 მარტის არეულობა მე-5 საპყრობილები

თბილისის მე-5 საპყრობილები მომხდარი არეულობის ზუსტ ხასიათთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები არსებობს. დაზუსტებით არის ცნობილი, რომ 27 მარტის დამე ზელისუფლების წარმომადგენლები ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში ექვსი სავარაუდო კრიმინალური ავტორიტეტის თბილისის მე-7 საპყრობილები გადასაყვანად მივიღნენ; ზელისუფლება ამტკიცებს, რომ ისინი ციხებში ამბოხების მოწყობას აპირებდნენ. როგორც “Human Rights Watch”-ის მიერ გამოკითხული ადამიანები, ისე სხვები აცხადებენ, რომ გადაყვანის ოპერაციის დროს ეს ექვსი ადამიანი ცემეს; ზელისუფლება ამას უარყოფს. ციხის სავადმყოფოდან მათი გამოვანის დროს სხვა პატიმრები ახმაურდნენ და ზეწრებსა და სხვადასხვა ნივთებს ცეცხლი წაუკიდეს. არეულობა სწრაფად მოედო შორიახლო მდებარე თბილისის 1-ლ და მე-5 საპყრობილებს, სადაც ბევრმა პატიმარმა ხმაური ატეხა, თეთრეულს ცეცხლი წაუკიდა, საკნებიდან გამოვიდა და ციხის კარები ჩახერგა. მე-5 საპყრობილები არეულობის ჩასახმობად იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ჯარებმა სპეციალურაცია ჩაატარეს, რის შედეგადაც 7 ადამიანი დაიღუპა და მრავალი დაშავდა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით,

მინიმუმ ათი სამართალდამცავიც დაშავდა. თბილისის 1-ლ საპყრობილების ამბოხება შეირაღებული ჩარევის გარეშე დასრულდა.

თბილისის მე-5 საპყრობილები არეულობის დაწყების მიზეზებზე საუბრისას ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა, მალხაზ ზედელაშვილმა, რომელიც კანონიერ ქურდად ითვლება, სხვებთან ერთად ციხეებში ამბოხების გეგმა შეიძუშავა. ეს ამბოხება პენიტენციურ სისტემაში მიმღინარე იმ რეფორმის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მიზნად ციხეებში კანონიერი ქურდების ძალაუფლების აღმოფხვრას ისახავდა.<sup>280</sup> მთავრობის ინფორმაციით, ამ გეგმის განსახორციელებლად ზედელაშვილმა, ორ კრიმინალურ ავტორიტეტთან ერთად, სამი სხვა კრიმინალიც შემოირთა. გეგმის მიხედვით ისინი ერთმანეთს და სხვა თანამოაზრებს დაზიანებებს მიაყენებდნენ და შემდეგ განაცხადებდნენ, რომ დაზიანებები მათ საჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა ციხეებში არეულობის გამოსაწვევად მიაყენა.<sup>281</sup> ხელისუფლება ამბობს, რომ ამ გეგმის შესახებ ინფორმაცია 25 მარტს მიიღო და ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში, სადაც ექვსივე პატიმარი იმყოფებოდა, ფარული ვიდეო და აუდიოჩამწერი საშუალები დააყენა.<sup>282</sup>

26 მარტს ციხის სააგადმყოფოს უფროსმა საჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინონსხებს აცნობა, რომ ექვსი პატიმარი „მასობრივი არეულობების ორგანიზებას აპირებდა“ და პენიტენციური სისტემის აღმინისტრაციას სთხოვა, სათონადო ზომები მიეღო. შემდეგ საჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი და კრიმინალური გამოძიების განყოფილების თანამშრომლები ციხის სააგადმყოფოში მივიდნენ, რათა სავარაუდო მეამბოხები სხვა საპატიმროში გადაეცვანათ. ხელისუფლების ინფორმაციით, „სიტუაციის გართულების თავიდან ასაკილებლად გადაწყდა, რომ ოპერაცია ჩატარებულიყო დამის საათებში,“ ანუ 27 მარტის 00 საათსა და 45 წუთზე.<sup>283</sup>

<sup>280</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საპყრობილებსა და ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში 2006 წლის 27 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ,“ საქართველოს საკონსაკერო-ს წარმომადგენლობის სამსახურის 2006 წლის 1-19 მაისის საკომიტეტო კონსილიური კომიტეტის 2006 წლის 27 მაისის 24 მაისის შესახებ და მე-5 საპყრობილების განხილვაზე საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, ომელიც „Human Rights Watch“-ს ოსტატიის მინისტრის მოადგილის, გივა მიქანაძის ასისტენტიმა, ნათა სირაქებ, 2006 წლის 25 მაისს ელექტრონული ფასტით გაუცეხა.

<sup>281</sup> ხელისუფლების ინფორმაციით, ზედელაშვილის გარდა კიდევ სხვა ხუთი სავარაუდო მეამბოხება პლატონ მამარდაშვილი, ნიკოლოზ მახარაძე, გორგაონი ავალიანი, ზურაბ ვაძლიანი და ლევან ცინდელიანი. „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საპყრობილებსა და ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში 2006 წლის 27 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ“.

<sup>282</sup> „სახალხო დამცველი თბილისის ციხის ინციდენტის ახალ დეტალებზე საუბრობს“, *Civil Georgia*, 2006 წლის 6 ივნისი. მთავრობა ასევე ატეკციებს, რომ აქვს პატკიცები, რომ უკრაინაში მცხოვრები ქართველი კანონიერი ქურდი დაბმარებას უწევდა ამბოხების ორგანიზებას და პატიმრებს აქტებზე, დაწერით ამბოხება. იგი ურანიზან 2006 წლის 24 მაისს იქნა ესტერადირებული. „უკაიისპ ეჭემტანილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის ეჭსტრუდიცია მოახდინა“, ქართული ტელეკომპანია „მდევის“ რეპრეტიული ტექსტის ნაწყვეტები, 2006 წლის 24 მაისი, „ბი-ბი-სი მონიტორინგის“ ინგლისური თარგმანი, 2006 წლის 24 მაისი.

<sup>283</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საპყრობილებსა და ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში 2006 წლის 27 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ“.

## **სავარაუდო მემკონებების დაკავება და არეულობა ციხის რესპუბლიკურ საკადმიუნიტოში**

სელისუფლების განცხადებით, ექვსმა სავარაუდო მემკონებ ბადრაგირებისას ფიზიკური წინაღმდევობა გაუწია სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს; მათ სავადმყოფოში მყოფ სხვა პატიმრებს გასძინეს, „დაეწყოთ მასობრივი არეულობა“.<sup>284</sup> ამის შემდეგ სავადმყოფოში მყოფმა პატიმრებმა „დაუმორჩილებლობა და მასობრივი არეულობა დაიწყეს, კერძოდ, ატებეს ხმაური, გინება, ყვირილი, დაიწყეს ნივთების დაწვა, ფანჯრის მინების მსხვრევა და სხვ.“<sup>285</sup>

“Human Rights Watch”-ის მიერ გამოკითხული დაზარალებულებისა და თვითმხილვების მიერ აღწერილი სამართალდამცევლების ქმედებები, რომლებიც ექვსი სავარაუდო მემკონების გადასაყანად ციხის რესპუბლიკურ საკადმყოფოში შევიდნენ, მთავრობის ვერსიისგან განსხვავდება. “Human Rights Watch”-მა შეამოწმა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ექვსიდან, სულ ცოტა, ოთხი დაკავებული ციხის სავადმყოფოდან მე-7 საპყრობილები გადაყვანის დროს შესაძლეოა სასტიკად ცემეს. ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უამბო:

„27 მარტს... მებინა. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ოთახიდან გამომიყვანა. დაბლა ჩამიყვანეს და ცემა დამიწყეს. ცემა შიგნით დაიწყეს და გააგრძელეს გარეთ, სადაც გონება დავკარგე... ქირურგიული ფრთიდან გამიყვანეს. არ ვიცი, ვინ მცემდა. ეს ლამთო მოხდა. ნიღბიანი ადამიანები იყვნენ. ეზოში გამიყვანეს, რკინის და ხის ჯოხებით მცემდნენ და წიხლებს მირტყამდნენ“.<sup>286</sup>

ამის შემდეგ ეს დაზარალებული მე-7 საპყრობილები წაიყვანეს. ცემის შედეგად მან მძიმე ტრავმები მიიღო. “Human Rights Watch”-მა ნახა, თუ რამდენად მძიმე იყო მისი ძლიობარება და ექიმმაც დაადასტურა, რომ იგი სერიოზულ მკურნალობას საჭიროებდა.

ომბუდსმენმა და ექიმმა მოინახულეს სამი სხვა სავარაუდო მემკონე, რომლებიც 27 მარტს, ციხის რესპუბლიკური სავადმყოფოდან გადაყვანის დროს, სავარაუდო, ცემეს. ექსპერტმა მედიკოსმა დაადასტურა, რომ თითოეულ პატიმარს ცემის შედეგად მრავალრიცხოვნი დაზიანება ჰქონდა მიღებული. ერთ-ერთმა პატიმარმა თქვა, რომ ოთახიდან გაიყვანეს და „[ხელკეტებით] ცემეს [სავადმყოფოს] დირექტორის ოთახის წინ“. ექსპერტმა დაადასტურა, რომ პატიმარი მუცლის, ზურგის და თავის არეში იყო ნაცემი, რის შედეგადაც მას თირკმელები სტკილდა, თავბრუ ეხვეოდა, წონასწორობას ვერ იცავდა და კოშმარები და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები სტანჯავდა. ომბუდსმენმა და ექიმმა დაადასტურეს, რომ ორ სხვა სავარაუდო მემკონეს

<sup>284</sup> იქვე.

<sup>285</sup> იქვე.

<sup>286</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია).

ისეთი დაზიანებები ჰქონდა, რასაც ცემა იწვევს და რასაც სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვება. ომშედსმენმა გადაიღო ერთ-ერთი პატიმრის ტრავმების ფოტოები, რომლებიც “Human Rights Watch”-ს აჩვენა.<sup>287</sup>

“Human Rights Watch”-ის მიერ გამოკითხულმა რამდენიმე თვითმხილველმაც დაადასტურა, რომ 27 მარტის დამე ციხის სავადმყოფოს რამდენიმე პატიმარი ცემეს. ერთ-ერთმა პატიმარმა მოგვითხრო:

„27 მარტს ეს ამბავი მეორე სართულზე დაიწყო. სპეცრაზმი სავადმყოფოს ქირურგიულ ფრთაში შემოვიდა... სამი ადამიანი ჩვენს თვალწინ წაიყვანეს. ისინი ჯერ ჩვენს სართულზე ცემეს, შემდეგ ეზოში გაიყვანეს. ამას დაუმალავად აკეთებდნენ. მათ თოფის კონდახებით და ხელკეტებით ცემდნენ. ხალხი აყვირდა. ეს სამი ადამიანი სხვადასხვა ოთახებიდან იყო. ერთ-ერთ მათგანს ეპილეფსია ჰქონდა. ისინი სავადმყოფოდან გაიყვანეს... იქ 40, 50 ან 60 სპეცრაზმელი იყო. ჯერ ერთი ჯაუში შემოვიდა, მერე მეორე. ნიღბები ეკეთათ და ფორმები ეცვათ.“<sup>288</sup>

მეორე თვითმხილველმა გვიამბო: „დავინა ჯერ, რომ სპეცრაზმელები ქირურგიულ განყოფილებაში შემოვიდნენ. ჯერ 20 [კაცი], მერე კიდევ 20“.<sup>289</sup> მესამე თვითმხილველის გადმოცემით: „დამის 1 საათი იყო. მემინა. არაადამიანურმა ყვირილმა გამაღვიძა. საძილე წამლებს ვღებულობ, მაგრამ მაინც გამეღვიძა. ყვირილი ოჯავერ შემომესმა. ეზოში ნიღბიანი ადამიანები დავინა ჯერ ისინი ორ ადამიანს ცემდნენ. შემდეგ მესამე გაიყვანეს... ასეთი ყვირილი ცხოვრებაში არ მსმენია.“<sup>290</sup>

ციხის სავადმყოფოში მყოფი თვითმხილვების თქმით, სავადმყოფოს სხვა პატიმრებმა ასეთი მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტი ხმაურით გამოხატეს. „ხალხი სავადმყოფოს ფუნქციებიდან ყვიროდა... დიდი ხმაური ატყდა. ადამიანებს ეშინოდათ, რომ მათაც სცემდნენ. ერთ-ერთ პატიმარს, რომელსაც ურტყამდნენ, ეპილეფსია აქვს. ხალხი ყვიროდა: „ნუ ურტყამ, ეპილეფსია

<sup>287</sup> ციხის ადმინისტრაცია, ასევე, ჩშმრად აჭრიდა თმს ა ატიმარ მამრდაშვილს, სავარაუდოდ, მისი დამცირების მიზნით. „საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სასკოლადსრულების დეპარტამენტის მე-7 საპერიოდოები 2006 წლის 7 აპრილს ჩატარებული სამდიცინო მოხატორნების ანგარიში“; „საქართველოს იმპუსტის თბილისის მე-7 საპერიოდოების ეწევა“, „საქართველოს იმპუსტის პრესრელიზი, 2006 წლის 28 მარტი; 2006 წლის 6 ივნისს, საქართველოს ომშედასტენის პრესცენტრის მიერ გავრცელებული „ინფორმაცია 2006 წლის 27 მარტის მოვლენების შესახებ“; და „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ სოჭარ სუბართან, საქართველოს სხალხი დაბკველი (ომშედასტენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>288</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური სავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>289</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური სავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>290</sup> Human Rights Watch-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური სავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

აქვს!“, – მოუთხრო ერთ-ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს.<sup>291</sup> მეორე პატიმრის გადმოცემით, „პატიმებმა ყვირილი დაიწყეს... ზოგმა ზეწრებსა და ბალიშებს ცეცხლი წაუკიდა და ფანჯრებიდან გადმოყარა.“<sup>292</sup>

### არეულობა მე-5 და 1-ლ საპყრობილებებს მოედო

თვითმხილვების თქმით, ციხის საავადმყოფოში დაწყებულ არეულობას 50 მეტრში ძრებარე მე-5 და 1-ლი საპყრობილების პატიმრებიც აპყვნენ. ციხის საავადმყოფოს ერთ-ერთმა პატიმარმა მოგვითხრო: „მე-5 საპყრობილე ჩვენს საავადმყოფოს უყვრებს. ისინი ყველაფერს ხედავენ. მათ ჯამების ბრაზუნი დაიწყეს და ახმაურდნენ, ყვიროდნენ. ყურადღების მიპყრობა სურდათ.“<sup>293</sup> „მე-5 საპყრობილიდან პატიმრები იძებდნენ: „რა ხდება?“, ისინი აქაურ პატიმრებზე მეტად ხმაურობდნენ. მე-5 საპყრობილე 50 მეტრშია და ლამით, სიჩუმეში, ხმა მართლაც კარგად ისმის,“ – უამბო მეორე პატიმარმა “Human Rights Watch”-ს.<sup>294</sup>

1-ლი და მე-5 საპყრობილების პატიმრები ყვიროდნენ და ჯამებსა და სხვა ნივთებს აბრახენებდნენ. მათ ცეცხლიც წაუკიდეს ზეწრებსა და სხვა ნივთებს და ფანჯრებიდან გადმოყარეს. დაინახა რა, რომ ციხის საავადმყოფოს არეულობა 1-ლ და მე-5 საპყრობილებსაც მოედო, მე-5 საპყრობილის დირექტორმა, გიორგი ფოლოდაშვილმა, როგორც ეს “Human Rights Watch”-ს უთხრა, გადაწყვიტა, უსაფრთხოების მიზნით შენობიდან მთელი პერსონალი გაეყვანა და შენობა დაეკეტა.<sup>295</sup> საბოლოოდ, ხელისუფლებამ 1-ლ საპყრობილეში არეულობის ჩახშობა სპეცოპერაციისა და ძალის გამოყენების გარეშე შეძლო. თუმცა ზუსტად არ არის ცნობილი, რა მოხდა მე-5 საპყრობილეში მას შემდეგ, რაც ციხის პერსონალმა შენობა დატოვა; თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებენ.

ხელისუფლების განცხადებით, 1-ლი და მე-5 საპყრობილების მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე პატიმრებმა კარები გაამტკრიეს და საქნებიდან გამოვიდნენ. მე-5 საპყრობილის დირექტორის გადმოცემით, „კარები პატიმრებმა დაამტკრიეს. აბსოლუტურად ყველა კარი გატეხილი იყო. კარები ძალიან ძველია, ამიტომაც ადვილად გატყდა. პატიმრებმა ოთახის საწოლები გამოიყენეს: საწოლის გამოსატანად და კარების ჩასახერგავად სულ 10 კაცია საჭირო.“<sup>296</sup> მე-5 საპყრობილის პატიმარმა, რომელიც 27 მარტს მეოთხე

<sup>291</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>292</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>293</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>294</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>295</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი ფოლოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>296</sup> იქვე.

სართულზე იყო, “Human Rights Watch”-ს უთხრა, რომ მართლაც შეძლეს საქნის კარის გატეხვა.<sup>297</sup> ეს ინფორმაცია სხვა პატიმრებმაც დაადასტურეს.<sup>298</sup>

არსებული მონაცემებით არ დასტურდება, რომ პატიმრებმა კარები მასიურად გამოამტვრიეს. ზოგი პატიმრის გადმოცემით, მათ მოახერხეს საქნიდან გამოსვლა და მერე გააღეს სხვა საკნების კარგი.<sup>299</sup> სხვები კი იმასაც ამბობენ, რომ კარები არც გაუტეხავთ და არც გაუღიათ და, საერთოდ, საქნებიდან არ გამოსულან.<sup>300</sup> იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით „პატიმრებმა ყველა საქნის კარი გატეხეს და პატიმართა უმეტესობა გარეთ გამოვიდა. ზოგი პატიმარი სახურავზე ავიდა და ციხეს ცეცხლი წაუკიდა.“<sup>301</sup> საჯელალსრულების დეპარტამენტის სპეციალის უფროსმა, კახა მორგოშიამ, “Human Rights Watch”-ს ისიც კი უთხრა, რომ „პატიმრები წვავდნენ ტანსაცმელს, საბეჭებს და ფანჯრებიდან ყრიდნენ. ზოგი სახურავზე ავიდა. ისინი ნივთებს სახურავიდან ისროლენ. ვერავინ შეძლო შენობასთან ახლოს მისვლა.“<sup>302</sup> თუმცა “Human Rights Watch”-მა ციხის დირექტორ ფოლოდაშვილს რომ პკითხა სახურავზე ასული პატიმრების შესახებ, მან გაიკვირვა და თქვა: „რა? არავინ ასულა სახურავზე.“<sup>303</sup>

ფოლოდაშვილმა “Human Rights Watch”-ს მოუთხრო, რომ დაახლოებით დამის 2 საათზე დაურეგა სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის, რომელიც ციხეში მოვიდა და 15 წუთის შემდეგ ციხესთან სპეციაზმიც გამოჩნდა; სპეციაზმა დაწესებულებას აღყა შემოარტყა, რითაც ძალის დემონსტრირება მოახდინა.<sup>304</sup> ომბუდსმენის, სოზარ სუბარის, თქმით, რომელიც ოპერაციის დროს იქ იმყოფებოდა, ციხეში დაახლოებით 150-300 სპეციაზმელი იყო.<sup>305</sup> თკითმზილველთა გადმოცემით, ეზოში ორი ჯავშანტრანსპორტიორი თუ სხვა ტიპის მძიმე სამხედრო ტექნიკა შემოიყვნეს.

არეულობის დაწყების შემდეგ რამდენიმე პატიმარმა ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის

<sup>297</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილება, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>298</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილება, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>299</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილება, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>300</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილება, 2006 წლის 17 მაისი, და “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ციხის რესპუბლიკური სააგარეშოვი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>301</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საჟრიისილებსა და ციხის რესპუბლიკურ სააგარეშოვიში 2006 წლის 27 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ“.

<sup>302</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სასჯელალსრულების დეპარტამენტის სპეციაზმის უფროსთან, კახა მორგოშიამ, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>303</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, საქართველოს სასალხო დამცველი (ომბუდსმენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>304</sup> იქვე.

<sup>305</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, საქართველოს სასალხო დამცველი (ომბუდსმენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს დაურეკა და ისიც სასწრაფოდ მოვიდა ციხეში.<sup>306</sup> თევდორაძემ “Human Rights Watch”-ს მოუთხრო: „პატიმრებმა მითხრეს: „ციხეზე კონტროლი ჩვენ ავიღეთ, გვეშინია, არ გვესროლონ. თუ შეიძლება, სასწრაფოდ მობრძანდით, რომ დაგვეხმაროთ.“ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩემთან მოლაპარაკება სურდათ.“ მისი თქმით: „ციხეში მისვლისთანავე შინაგან საქმეთა მინისტრს ომბუდსმენთან ერთად ციხეში შეშვება ვთხოვე, რათა პატიმრები დამერწმუნებინა, დაბრუნებულიყვნენ საკნებში. ციხის კარი გააღეს, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩემი შეშვება გადაიფიქრა. მან მითხრა, რომ შესვლა ძალიან სახიფათო იყო, ვინაიდან პატიმრები მძევლად თუ ამიყვანდნენ, ვერაფრით დამეხმარებოდა. ამის ნაცვლად მომცეს მეგაფონი და პატიმრებს მეგაფონით მივმართე.“ თევდორაძე აცხადებს, რომ ციხეში შესვლის არ ეშინოდა და მიაჩნია, რომ პატიმრებთან უშუალო კონტაქტით შესაძლებელი იყო სიტუაციის განმუხტვა: „რომ შევსულიყავი, ვფიქრობ, მძევლად არ ამიყვანდნენ.“<sup>307</sup>

### სპეცოპერაცია არეულობის ჩასახშობად

თევდორაძე, სუბარი და სხვა მაღალჩინოსნები პატიმრებს ციხის ეზოდან მეგაფონით მიმართავდნენ და სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. ხელისუფლება აცხადებს, რომ პატიმრებს ერთი საათის მანძილზე აფრთხილებდა, რომ „ძალას გამოიყენებდა, თუ ისინი წესრიგს არ დაიცავდნენ“, და მხოლოდ ამ გაფრთხილებების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, შენობაში სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები და სპეცრაზმელები შეეშვა. თუმცა სოხარ სუბარი ამბობს: „რამდენიმე პატიმარმა მობილურ ტელეფონზე დამირეკა. მათ რაღაცაზე მოლაპარაკება სურდათ, თუმცა კონკრეტული მოთხოვნები არ ჰქონიათ. მაგრამ მოლაპარაკება უნდოდათ... სპეცრაზმელები გაუფრთხილებლად შევიდნენ. მოლაპარაკება არც უცდიათ. [ოპერაციის შესახებ] მხოლოდ ერთი განცხადება გაეყოდა რადიოთი,“<sup>308</sup> რომელიც პატიმრებს, როგორც ისინი ამტკიცებენ, დიდი ხმაურის გამო არ გაუგიათ.<sup>309</sup>

თავად სპეცოპერაციის დაწყების ირგვლივაც ბევრი შეუსაბამობაა. ფოლოდაშვილი, რომელიც პირველ ჯგუფს ციხეში შეუძლვა, ამბობს, რომ სასჯელადსრულების დეპარტამენტიდან თავის ორ კოლეგასთან და სპეცრაზმელთა ჯგუფთან ერთად ციხის მთავარი კარიდან ვერ შევიდა, ვინაიდან იგი შიგნიდან იყო ჩახერგილი. ამიტომ გვერდითა კარის მეშვეობით მეოთხე სართულზე ავიდნენ და ჩახერგილი კარის გაღებას შეუდგნენ. იგი

<sup>306</sup> თუმცა სასჯელადსრულების დეპარტამენტის წესების მიხედვით ოფიციალურად არ არის წებადარიული, ბევრ პატიმარს მოაილური ტელეფონი ტქონდა, განსაკუთრებით 2005 წლის დეკმბერში რეფორმების დაწყებამდე.

<sup>307</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ელენე თევდორაძესთან, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერაციის სააროლამეტო კომიტეტის თვალშემსრულებლივ, თბილისი, 2006 წლის 22 მაისი.

<sup>308</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოხარ სუბართან, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>309</sup> „რანაირი გაფრთხილება არ გამიგონა. დიდი ხმაური იყო. არაფერი გვესმოდა.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც 27 მარტს მე-5 საპრიბილეში დაჭრა (დაცულია ვინობის ანონიმურობა და დეტალები). „შენობა, პრაქტიკულად, ხმაურისგან ზანზარებდა.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც 27 მარტს მე-5 საპრიბილეში დაიჭრა (დაცულია ვინობის ანონიმურობა და დეტალები).

ამტკიცებს, რომ ყვირილი და სროლა ესმოდა. ფოლოდაშვილმა ეს მოვლენა “Human Rights Watch”-ს ასე აღუწერა:

„დეპარტამენტის ორ თანამშრომელს ესროლეს. სროლის შემდეგ ისინი დერუფილან უსაფრთხო ადგილას გავიყვანე. პატიმართა დასაშინებლად სპეცრაზმელები ფანჯრებსა და ჭერში რეზინის ტყვიებს ისროლნენ. შემდეგ სპეცრაზმელები მეოთხე სართულზე შევიდნენ. ბნელოდა. პატიმრებმა ნათურები დააშვრიეს. სროლის ხმა კიდევ შემოგვესმა და სპეცრაზმელებმაც [ავტომატური იარაღიდან] დაიწყეს სროლა. ეს მეოთხე სართულზე, ჩვენგან რაღაც მანძილის დაშორებით, ხდებოდა.“<sup>310</sup>

თუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით მოვლენები სხვაგვარად ვითარდებოდა. მაშინ, როდესაც მე-5 საპყრობილის დირექტორი ამტკიცებს, რომ მას და მის კოლეგებს ესროლეს და მისი ორი თანამშრომელი მეოთხე სართულზე შესვლის დროს დაიჭრა, სამინისტრო აცხადებს, რომ სროლა დაიწყო ხელისუფლებამ რეზინის ტყვიებით. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს პატიმრებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით სროლა. გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისთვის წარდგენილ ანგარიშში სამინისტრო წერს:

„შენობის ჩახერგილი კარის გაღების შემდეგ მე-5 საპყრობილის დირექტორი რამდენიმე სპეცრაზმელთან ერთად შენობაში შევიდა და კიდევ ერთხელ მოუწოდა პატიმრებს სიმშვიდისაკენ, რასაც უკურვაქცია მოჰყვა და პატიმრები აღმინისტრაციის წარმომადგენლებისკენ წამოვიდნენ; ამიტომ სპეცრაზმელებმა რეზინის ტყვიები გამოიყენეს; პატიმრებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლით უპასუხეს, რის შედეგადაც [სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორი თანამშრომელი] დაიჭრა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების დაჭრისთანავე მიღებული იქნა საპასუხო ცეცხლის გახსნის გადაწყვეტილება.“<sup>311</sup>

დღეს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ციხეში ექვსი ცეცხლსასროლი იარაღი და ათეულობით დანა აღმოაჩინა.<sup>312</sup> თუმცა ინფორმაცია ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავია. ინციდენტის დასრულებისთანავე გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა

<sup>310</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გორგი ფოლოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>311</sup> როგორც თარგმანის დედანშია მოთხოვილი, რომელიც “Human Rights Watch”-ს მაწოდებს, და რომელსაც მეტი სიცადისოფების ფრჩხლებით განიატებული აქვს დაითვლია. „ზოგჯერ ინფორმაცია თბილისის I-ლ და მე-5 საპყრობილებისა და ციხის რესპუბლიკურ სასამართლოში 2006 წლის 27 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ“. ისინი, ვინც, სავარაუდო, დაჭრენენ, არიან: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმის უფროსი კახა მორგოშა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სპეცსამსახურის უფროსი მამუკა შაბანაძე.

<sup>312</sup> იქვე.

მედიას აცნობა, რომ 5 ცეცხლსასროლი იარაღი იქნა ამოღებული.<sup>313</sup> ომბუდსმენმა “Human Rights Watch”-ს უთხრა, რომ სპეციაზმელების მიერ ოპერაციის დასრულებისთანავე ციხეში შესვლისას, მან ირი ცეცხლსასროლი იარაღი დაინახა, რომლებიდანაც, სავარაუდოდ, პატიმრები ამბოხების დროს ისროლენ.<sup>314</sup> “Human Rights Watch”-მა ვერ შეძლო დაზუსტება, პერნდათ თუ არა პატიმრებს იარაღი და თუ პერნდათ, რამდენი და როგორ შეძლეს მათი ციხეში მოპოვება და შენახვა.<sup>315</sup> “Human Rights Watch”-ის კითხვას, როგორ მოხვდა თავდაპირველად იარაღი ციხეში, ციხის დირექტორმა ფოლოდაშვილმა უპასუხა: „არ ვიცი. ჩემს დროს ეს არ მომხდარა.“<sup>316</sup>

### ძალის გამოყენება სპეციალურაციის დროს

ხელისუფლება არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა ციხეში სპეციაზმელების შესვლის შემდეგ; იგი ამბობს მხოლოდ, რომ „ზემოხსენებულის შემდეგ სიტუაცია კონტროლს დაექვემდებარა, პატიმრები საკნებში შებრუნვნენ და წინააღმდეგობა შეწყვიტეს.“<sup>317</sup> ხელისუფლებაც და პატიმრებიც აცხადებენ, რომ ამბოხების ჩახშობის არაძლადობითი საშუალებები და აღტერნატიული მეთოდები, როგორიც ცრემლსადენი გაზი ან წყლის ჭავლია, გამოყენებული არ ყოფილა; ერთადერთი გამოყენებული საშუალება რეზინის და საბრძოლო ტყვიები იყო, რაც 7 პატიმრის სიკვდილითა და, სულ მცირე, 17 პატიმრის დაჭრით დასრულდა. „სტანდარტული მინიმალური წესები“ მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ არ „გამოიყენოს ძალა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს თავდაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის და კანონიერი წესრიგის აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით კეთდება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებსაც ძალის გამოყენების უფლება აქვთ, ძალა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს უნდა გამოიყენონ...“<sup>318</sup>

<sup>313</sup> „საფრთხის აცილება მსხვერპლის ხარჯზე“, 24 საათი, 2006 წლის 28 მარტი (ქართულ ენაზე), რომელიც “Human Rights Watch”-ს ხელთ აქვს.

<sup>314</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სოზარ სუბართან, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), თბილისი, 2006 წლის 10 მაისი.

<sup>315</sup> “Human Rights Watch”-ი გაესაუბრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, სავარაუდო, პატიმრებმა ესროლეს. “Human Rights Watch”-მა ვერ შეძლო დაედგონა, ნამდვილად ცეცხლსასროლი არადის მიერკბელი თუ არა პატარა ჭრილობა შედავზე, რომელიც, ერთ-ერთი თანამშრომლის მტკცებით, ტყვიის შედეგა. “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საეკრაზმის უფროსთან, ქარა მორგიშვილთან, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>316</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი ფილოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპფრობილის დირექტორი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>317</sup> როგორც თარგმანის დედამშია მოთხოვილი, რომელიც “Human Rights Watch”-ს მაწოდებს. „ზოგადი ინფორმაცია თბილის 1-და და მე-5 საპრობილებსა და ციხის რესპექტურ საკადმუფლიში 2006 წლის 27 მარტს განვთარებული მოვლენების შესახებ“.

<sup>318</sup> „პატიმართა მიმართ მოპროცესი მინიმალური სტანდარტული წესები“, 54-ე მუხლი. ანალიგოურად, წმების საწინააღმდეგო კომიტეტი აღნიშნავს: „იგნოს პერსონალის მოძალაულ პატიმრების გასაკონტროლებლების ზოგ შემთხვევაში ძალა გამოიყენოს... ასეთ შემთხვევებს, ცხადია, მაღალი რისკის აზრავს, ვინაიდნ საქმე პატიმართა მიმართ ცუდად მოპროცეს ეხება და, შესაბამისად, დაცის საგანგებო საშუალებებს მოითხოვს.“ წარეთის საწინააღმდეგო კომიტეტი, „წმების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტის, ზოგადი ანგარიშების ძირითადი ნაწილები“, გვ. 19, პუნქტი 53.

რაც შეეხება იარაღის გამოყენებას, გაერო-ს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ მოითხოვს, რომ მთავრობამ უზრუნველყოს ისეთი აღჭურვილობა, რომელიც ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის დიფერენცირებული გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რათა „მაქსიმალურად შეზღუდოს ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებითაც შესაძლებელია ადამიანის მოკვლა ან დაშავება“; ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თავდაცვითი აღჭურვილობაც, „რათა შემცირდეს ნებისმიერი სახის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობის შესაძლებლობა“.<sup>319</sup> ძალის გამოყენების ძირითადი პრინციპები ასევე მოითხოვს, რომ „მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე მაქსიმალურად გამოიყენონ არაძალადობრივი საშუალებები. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ სხვა საშუალებები არაეფექტური აღმოჩნდა ან სასურველი შედეგის მიღწევის ყველა სწვა შესაძლებლობა ამოიწურა“<sup>320</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა სტანდარტები, რომლებითაც ხელისუფლებამ ძალის გამოყენების დროს უნდა იხელმძღვანელოს. სიკოცხლის უფლების დაცვა მოითხოვს, რომ ძალის ნებისმიერი გამოყენება იყოს „უკიდურესად აუცილებელი“ მაშინაც კი, როდესაც კანონიერი მიზნებისთვის გამოიყენება: იგი მისაღწევი მიზნის ზედმიწევნით პროპორციული უნდა იყოს.<sup>321</sup>

“Human Rights Watch”-ი გაესაუბრა მრავალ პატიმარს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი სპეცრაზმა ციხეში შესვლისთანავე გამოიყენა. “Human Rights Watch”-ი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების მქონე შვიდ პატიმარს ესაუბრა. არეულობის დროს მე-5 საპყრობილებით მყოფი, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი პატიმრები ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლებმაც აღბეჭდეს. ამ ექსპერტებმა 11 სხვადასხვა ადამიანს რეზინის ტყვიებით მიყენებული ჭრილობები აღმოუჩინეს ბარძაყზე, ღუნდულებზე, თავის და გულმკერდის არეში, კოჭზე და მუხლზე.<sup>322</sup>

<sup>319</sup> ძირითადი პრინციპები, ასევე, მოითხოვს, რომ „მთავრობამ და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უზრუნველყონ საშუალებების რაც შეიძლება ფართო სკექტრი და აღჭურვინ სამართალდამცავით სხვადასხვა ტაბის არაღითა და ტყვია-წამლით, რომლებიც ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის დიფერენცირებული გამოყენების საშუალებას იძლევა. ამაში შეიძლება საგანგირო სიტყაციაში განვიტრალების არასასკვდილო იარაღის უზრუნველყოფა, რათა „მაქსიმალურად შეიზრდოს ისეთი საშუალებები გამოყენება, რომლებითაც შესაძლებელია ადამიანის მოკვლა ან დაშავება“: ამავე მიზნისთვის შესაძლებელი უნდა იყოს სამართალდამცავების აღჭურვა თავდაცვითი საშუალებებით, როგორებულა ფარგები, ჩაჩქები, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ტრანსპორტის ჯავშიანი საშუალებები, რათა შეცირებას ნებისმიერი სახის იარაღის გამოიყენების აუცილებლობა.“ გაერო-ს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, მიღებულია დანაშაულის კრევნიცასა და დამნაშაულის მოჰკრობის საკითხებზე გაერო-ს მცხრე კრიგერსზე, ჰავასა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტო-7 სექტემბერი.

<sup>320</sup> იქვე.

<sup>321</sup> მაგალითად, იხილე, საქმები აკუმ და სხვები თურქითი წინააღმდევ, № 21894/93, 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება; ნაჩირა და სხვები ბუღალტერის წინააღმდევ, № 43577/98 და № 43579/98, 2004 წლის 26 თურქელის გადაწყვეტილება; მაკშენი გაურთიანებული საქვეულის წინააღმდევ, № 43290/98, 2002 წლის 28 მისის გადაწყვეტილება; გაულუკი თურქითი წინააღმდევ, 1998 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, მოსსნებები 1998-ძ; ანდონეცუ და კონსტანტინე კავარისის წინააღმდევ, 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოსსნებები 1997-ძ.

<sup>322</sup> ლუვან ლაბაური, უქმი, „წერილი საქართველოს ომბუდსმენს, სოხარ სუბარს, 2006 წლის 6 აპრილს რუსთავის შე-6 საპრობილის მინიტორინგის შესახებ, რომელიც ჩატარდა ასტომართა ჯანმრთელობის მდგომარეობის და მათი ჭრილობების შესავლის და გაწეული მკურნალობის აღეკატურობის დადგენის და

“Human Rights Watch”-ი გაესაუბრა ორ ადამიანს, რომლებიც რეზინის ტყვიებით დაიჭრნენ. ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს მოუთხრო: „მარჯვენა ბარძაფზე რეზინის ორი ტყვია მომხვდა.“<sup>323</sup>

ზოგი პატიმრის მონათხრობით, ხელისუფლება ციხის მთავარ შენობას სხვა შენობების სახურავებიდან ესროდა და ტყვიები ფანჯრებში ცვიოდა. ოპერაციის მიმდინარეობის რაღაც მომენტში შენობის გარედან ტყვიებს საკნებში ისროდნენ. სხვები ამბობენ, რომ ამ ტყვიებით დაიჭრნენ. მეოთხე სართულზე საკანში მყოფმა ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა: „ჩემს ოთახში ვიყავი და გვერდში დავიჭრო. ისინი ჩვენი მოპირდაპირე [დამოინისტრაციული შენობის] სახურავიდან და ასწლეულმა ტყვიამ დამჭრა.“<sup>324</sup> მეხუთე სართულზე მყოფმა პატიმარმა გვიამბო: „ეზოში ისროდნენ. შეგვეშინდა და საკიდან გამოვედით და დერევანში დავდექით. ჩვენი კარი გარედან გააღეს. საკეტი გატეხეს და ისე გააღეს. ჩვენ ტელევიზორით ვუყურებდით იმას, რაც ჩვენთან ხდებოდა. ისროდნენ გარედან. ჩვენს შენობას სახურავებიდან ესროდნენ. შემდეგ ჩვენს ოთახში შევედით და ველოდებოდით. გვერდით საკანში სროლის ხმა გავიგონეთ. იქ ადამიანებს ესროლეს. ერთი დაიჭრა, მეორე კი მოკვდა.“<sup>325</sup> კიდევ ერთმა პატიმარმა, რომელიც ორი ტყვიით დაიჭრა და შემდეგ გონება დაკარგა, მოგვითხრო: „საკნებში დიდი ფანჯრები გვქონდა. ვფიქრობ, ტყვიები ფანჯრებიდან შემოცვიდა. საწოლიდან ავდექი. არ ვიცი, ვინ მესროლა. ყველა შეშინებული იყო“. <sup>326</sup> მე-5 საპყრობილების დროს “Human Rights Watch”-მა ბევრი საკის ფანჯრის დარაბებში დააფიქსირა ნახვრეტები, რომლებიც ნასროლი ტყვიისას ჰგავდა, თუმცა საჭიროა კრიმინალური ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს ამ ნახვრეტების ზუსტი წარმომავლობა.

სხვადასხვა თვითმხილველი ადასტურებს, რომ ოპერაციის დროს ხელისუფლება ციხის ეზოში ისროდა, ციხის საავადმყოფოსა და ქუჩის მიმართულებითაც კი, სადაც ათობით უერნალისტმა, პატიმართა ნათესავმა, ადამინის უფლებათა დამცელმა და სხვებმა მოიყარეს თავი. თავითმხილველების ნამბობით, მათ „მანათობელი ტყვიები“ დაინახეს; სავარაუდო, ისინი მგეზველ ტყვიებს გულისხმობდნენ, რომლებიც ფრენის

კვების განყოფილების შემოწმებისა და მისი მოქმედ სამედიცინო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.“

<sup>323</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>324</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>325</sup> მეორე პატიმარმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა: „მერე სროლა დაიწყო. შეგნიდანაც ისროდნენ და გარედნენ. საქაში ტყვიები ფანჯრიდან ცვიოდა. მაგრამ ოთახში ტყვა გარედან არავის მოხვდორია. გვერდით ოთახიდან ხმაური შემოგვება და გავიგონეთ, ვიღაცმ როგორ თქვა, მესროლესი.“ “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილე, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>326</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც მე-5 საპყრობილეზე 27 მარტს დაჭრა (დაცულია კინაობის ანონიმურობა და დეტალები).

დროს კაშკაშებს და მსროლელს საშუალებას აძლევს, ტყვიის ტრაექტორიას მიადგენის თვალი.<sup>327</sup>

### გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხი

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს შეუსაბამობები სხვადასხვა მონათხრობში თბილისის მე-5 საპყრობილები მომხდარი ამბოხების ჩასახშობად ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ, თვით ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორისაც. თუმცა გასაგებია, რომ პატიმრებმა გაურკვეველი წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ცდილობდნენ კონტროლის აღდგენას ციხეზე, და სპეციალური დანიშნულების რაზმებმა გამოიყენეს მომაკვდინებელი ძალა და სხვა ძალისმიერი საშუალებები წინააღმდეგობის ჩასახშობად, ამ ძალის ზუსტი ხასიათი და შესატყვისობა საფრთხესთან გაურკვეველი რჩება. ამ გარემოებებში ძნელია დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, იყო თუ არა ზემოაღნიშნული სროლა გადაჭარბებული, და ერთადერთი საშუალება კონკრეტული დასკვნების გამოსატანად არის ჩამოიყენდებული ორგანოს მიერ წარმოებული საგულდაგულო გამოძიება. თუმცა “Human Rights Watch”-მა შეძლო ძალის ჭარბი და უკანონო გამოყენების კონკრეტული კერძო შემთხვევების დაფიქსირება. აღვილი პქონდა პატიმრებისათვის სროლის სულ ცოტა ორ შემთხვევას ოპერაციის ჩატარებისას და მათი ცემის რამდენიმე ფაქტს ოპერაციის დასრულების შემდეგ.

“Human Rights Watch”-მა შეძლო დაეფიქსირებინა სპეცრაზმელების მიერ აშკარა სროლის ორი შემთხვევა იმ პატიმრებისათვის, რომლებიც არ უქმნიდნენ ციხის მცველებს უშუალო საფრთხეს, წინასწარი გაფრთხილების ან პატიმრების დამორჩილების სხვა საშუალებების გამოყენების გარეშე. ხუთი ტყვიით დაჭრილმა ერთ-ერთმა პატიმარმა გვიამბო:

„მეშინოდა სროლის. ჩვენს საკანში პანიკა ატყდა ... მეშინოდა, რომ მოქლავდნენ. ყველას გვეშინოდა. ზოგი ამბობდა: „ნუ გეშინიათ, დამშვიდდით, არ მოგვკლავენ“. ჩვენი საკნის კარი დაკეტილი იყო. ოთახში შემოვიდა ნიღბიანი ახალგაზრდა კაცი ავტომატით. დაგვიწყო გინება. იდგა კარებში, ხოლო მის უკან სხვებიც იყვნენ. მან გვითხრა: „მაშ ფერადი ტელევიზორი მოგინდათ, არა, თქვე ნაბიჭვრებო!“. შემდეგ დაგვიწყო სროლა. მე ყველაზე ახლოს ვიყავი მასთან, ზუსტად მის წინ, ამიტომ პირველი ტყვიები მე მომხვდა. ეს ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა. იგი შემოვიდა, შეგვაგინა და დაგვიწყო სროლა. არც გაგვაფრთხილა, რომ გვესვრის. მე დაგვარგე გონება. საქმე ის

<sup>327</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლოტბატიმრები აღმანის უფლებებისფიქტი“, დარექტორი, , თბილისი, 2006 წლის 10 მაისი. “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ანა დოლიძესთან, საქართველოს ახალგაზრდა ორგანიზაციას თავმჯდომარე, თბილისი, 2006 წლის 19 მაისი; “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ელენე თევდორაძესთან, აღმანის უფლებათ და სმოქლეული ინტეგრაციის საპრდამწირო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისი, 2006 წლის 22 მაისი; “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმარიან (ანონიმურობა დაუუდი), ციხის რესუბლიკური სავალმყოფო, 2006 წლის 15 მაისი.

არის, რომ საკანში ტელევიზორი გვქონდა, ამ ამბებამდე  
რამდენიმე დღით ადრე კი მისი გატანა მოინდომეს. ჩვენ არ  
გავატანეთ.“<sup>328</sup>

როგორც ირკვევა, სპეცრაზმელებმა ესროლეს კიდევ ერთ პატიმარს, რადგან  
მან საკმარისად სწრაფად არ შეასრულა მათი ბრძანება, დაწოლილიყო  
იატაკზე. ამ პატიმარმა, რომელსაც მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა  
ცეცხლსასროლი იარაღით, “Human Rights Watch”-ს უამბო:

„სპეცრაზმელები მოუახლოვდნენ ჩვენს დერეფანს. მესმოდა,  
როგორ ისროდნენ დერეფანში. რაზმელები ყვიროდნენ „მირს“ და  
თან ისროდნენ. ჩემს საკანში ყველა, ვინც იდგა, იატაკზე დაწვა.  
მე ვერ დავწერი – ზოგი ჩვენგანი ზემო საწოლებზე ვიყავით. ჩვენ  
არ შეგვეძლო ზედა საწოლებიდან ჩამოსვლა იატაკზე  
დასაწოლად, რადგან საკანი სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც  
იატაკზე იწვენ. ერთი სპეცრაზმელი შემოვიდა საკანში და  
დაიყვირა: „დაწერი, შე ნაბიჭვარო!“... ჩამოვედი ჩემი საწოლიდან  
და დავინახე ერთი ადგილი საწოლთან, კუთხესთან. იმ  
ადგილისკენ რომ გავემართე, სპეცრაზმელმა მესროლა. როდესაც  
სხვა საკნებში მყოფმა პატიმრებმა გაიგონეს სროლა, შემოვიდნენ  
ჩვენს საკანში. ძალიან შემეშინდა. მე მხოლოდ ვუფურებდი  
კარებს და ველოდებოდი, რა მოხდებოდა.“<sup>329</sup>

კიდევ ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უამბო, რომ როდესაც  
სპეცრაზმელმა ფეხში ესროლა, იგი დაეცა. „შემდეგ რაზმელი მომიახლოვდა  
და ორი ტყვია მომახალა საჯდომზე, პირდაპირ უკანა ჯიბეებზე“.<sup>330</sup>

ციხეზე კონტროლის აღდგენისთანავე ბევრმა სპეცრაზმელმა პატიმრებს  
დაუწყო ცემა, როგორც ჩანს, მათი დასჯისა და დამორჩილების მიზნით. ერთ-  
ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს უამბო, რომ, როგორც კი  
დასრულდა ოპერაცია, „ისინი გვისწორდებოდნენ ზელკეტებით, წითლებს  
გვირტყამდნენ ... [გვცემდნენ] როგორც ძაღლებს“.<sup>331</sup> მეორე პატიმრის თქმით,  
ოპერაცია რომ დაიწყო, „ვისხედით ჩვენს საკანში და არ ვინძრეოდით. მაგრამ  
თუ ვინმე გავიდოდა საკნიდან სხვა საკანში, მათ სცემდნენ. მესმოდა, როგორ  
ურტყამდნენ ადამიანებს. ისინი ყვიროდნენ ტკივილისაგან.“<sup>332</sup> პატიმარმა მეოთხე  
სართულიდან განაცხადა, რომ ოპერაციის შემდეგ „მოცვივდნენ“

<sup>328</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა 27 მარტს თბილისის მე-5  
საპერობილები (ანონიმურობა დაცულია).

<sup>329</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა თბილისი მე-5 საპერობილები 27 მარტს  
(პატიმრის ანონიმურობა დაცულია).

<sup>330</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა თბილისის მე-5 საპერობილები 27  
მარტს (პატიმრის ანონიმურობა დაცულია).

<sup>331</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია).

<sup>332</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან, რუსთავის მე-6 საპერობილე, 2006 წლის 17 მაისი  
(პატიმრის ანონიმურობა დაცულია).

[სპეციაზმელები], ცალ-ცალკე გამოვყავდით დერეფანში და ისე გვირტყამდნენ, რომ პატიტიკულად სიკვდილის პირამდე მივწავდით. ერთი კვირა ვიწექი გაუნძრევლად“<sup>333</sup> მეორე პატიმარმა გვიამბო: „გამოვყავდით საენებიდან და სამაგალითოდ გვისწორდებოდნენ.“<sup>334</sup> კიდევ ერთმა პატიმარმა გვიამბო, რომ იგი მაშინაც სცემეს, როდესაც გადაყავდით მე-5 საპყრობილიდნ. „აუტომატს მირტყამდნენ თავში საკანშიც და გზაშიც, როდესაც აქ გადმოვყავდი [რუსთავის მე-6 საპყრობილეში]“<sup>335</sup> ოპერაციის შემდეგ სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებთან გასაუბრების საფუძველზე წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრ „ემფატიას“ მედიკოსების შეფასებით მე-5 საპყრობილის 100-ზე მეტი პატიმარი ნაცემი იყო ოპერაციის დროს ან მისი დამთავრებისთანავე.<sup>336</sup>

მიუხედავად იმისა, რომ “Human Rights Watch”-ი ვერ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ გამოკითხული დაჭრილი პატიმრებიდან ერთი ან მეტი შესაძლოა გარეულწილად გარეული ყოფილიყო სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, მაინც ძალის გამოყენების ის საშუალებები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზემოხსენებულ შემთხვევებში, და ცემა დასჯის მიზნით წარმოადგენს საქართველოს მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათ დაცვის ვალდებულებების აშკარა სერიოზულ დარღვევას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. იმ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, რომლებიც საქართველოზეც ვრცელდება, ფიზიკური ძალის გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამის აბსოლუტური აუცილებლობა პატიმართა ქმედებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ცუდად მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევას.<sup>337</sup> საქართველო ვალდებულია, გამოიძიოს ყველა ცალკეული შემთხვევა დანაშაულის ჩამდენების გამოვლენის, გასამართლებისა და დასჯის მიზნით. მსხვერპლთ უნდა მიეცეთ კომპენსაცია მათი უფლებების დარღვევის გამო.

**ძალის გამოყენების მიზეზების ახსნა ხელისუფლების მიერ**  
ხელისუფლების მტკიცებით, მან განახორციელა სპეციალური ოპერაცია, რათა თავიდან აეცილებინა „დაახლოებით 3 500 პატიმრის გაქცევის საშიშროება“, რაც, ოპერატორი ინფორმაციის თანახმად, გამოიწვევდა მასობრივ გაქცევებს „ყველა სხვა პენიტენციური დაწესებულებიდნ“<sup>338</sup> და „საყოველთაო

<sup>333</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილები, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>334</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილები, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>335</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), რუსთავის მე-6 საპყრობილები, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>336</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ მარიამ ჯიშკარიანთან, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემფატიას“ აღმასრულებელი დირექტორი, 2006 წლის 12 მაისი.

<sup>337</sup> ის., მაგალითად, ადმიანის უფლებათა უროპული სასამართლოს გადაწყვეტილები: გადაწყვეტილება საქმეზე ტექნიკური მუშაობის წინააღმდეგ, 1998 წლის 9 ივნისი, მოხსენებები: 1998-IV; და გადაწყვეტილება საქმეზე ასენტით და სხვები ბუღარეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბერი; მოხსენებები: 1998-VIII.

<sup>338</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საპყრობილებებში და ციხის საკადმიულოში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტის შესახებ“.

დესტაბილიზაციას“ ქვეყანაში.<sup>339</sup> მომხდარი არეულობის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას მიაჩნდა, რომ „გასულ ღამეს 4 000 საშიშ, თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედს შეეძლო გამოსულიყო ქუჩებში, რასაც მოჰყვებოდა ასობით მანქანის გატაცება, ასობით ადამიანის გაძარცვა, ასობით სახლის დაფარაღება, ასობით მკვლელობა და ბევრი სხვა უბედურება და უწესრიგობა.“<sup>340</sup> ამასთან ერთად, ხელისუფლებამ დაადასტურა ისიც, რომ ციხის შიგნით პატიმრებმა მოაწევს მრავალი ბარიკადა, ჩახერგეს მთავარი კარები და ყველა სართულის კარები, რათა გაერთულებინათ შენობაში შეღწევა ციხის ადმინისტრაციისთვის და სხვებისთვის.<sup>341</sup> გაურკვეველი რჩება, როგორ აპირებდნენ პატიმრები გაქცევას, თუკი თვითონ ჩაიკეტნენ ციხეში. არც ერთი პატიმრისთვის არ უსვრიათ ციხის ეზოში ან ციხიდან გაქცევის მცდელობისას.

ომბუდსმენის მიერ 2006 წლის ივნისში გამოქვეყნებული კიდევ ერთი ინფორმაცია მეორე შეთქმულების შესახებ, რომლის ცენტრში ასევე ფიგურირებდა ზოგიერთი იგივე კანონიერი ქურდი, ციხის პერსონალის წარმომადგენლების თანამონაწილეობით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოვლენების განვითარების ხელისუფლებისეულ ვერსიას.<sup>342</sup> ომბუდსმენმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სავარაუდო შეთქმულების მონაწილეების საუბრების ჩანაწერები არ შეიცავს არანაირ მითითებას დაგეგმილ ამბოხებაზე,<sup>343</sup> და იგი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ციხის საგარაუდო ამბოხების

<sup>339</sup> პარლამენტის სპეციალური ნინო ბურჯანაძე, ციტირებული სტატიაში „დესტაბილიზაციის შეთქმულების შესაძლებლობა ციხის ამბოხების უკან.“ *Civil Georgia*, თბილისი, 2006 წლის 27 მარტი.

<http://www.civil.ge/eng/article.php?id=12186> (მოძიებულია 2006 წლის 7 ივნისს).

<sup>340</sup> „სააკაშვილი საუბრობს ციხის აჯანყების შესახებ, მიესალმება პოლიციას,“ *Civil Georgia*, 2006 წლის 27 მარტი, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12191> (მოძიებულია 2006 წლის 7 ივნისს).

<sup>341</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ და მე-5 საპროტოლებული და ციხის სააკადმიუნივერსიტეტი 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტის შესახებ“ და „Human Rights Watch“-ის ინტერვუუ თბილისის მე-5 საპროტოლის დაირექტორთან გორგი უოლოდაშვილთან, 2006 წლის 16 მაისი. მიუწდია მისა, რომ აღნიშნული წყრილები შეიცავს ონგვ წინაძლიერებრივ ინფორმაციას, ნათელა, რომ ციხეში არსებობდა სერიული ბარიკადები.

<sup>342</sup> 2006 წლის 6 ივნისს ომბუდსმენის სამსახურშა გამოაქვეყნა პლატონ მამარდაშვილისაგან, კანონიერი ქურდისა და ციხის ამბოხების შეთქმულების ერთ-ერთი საგარაუდო მოძიებული ინფორმაცია. მან განაცხადა, რომ თანამდებობის ციხის აღმინისტრაციასთან იმ ინციდენტის თემაზე რეგისტრირდა, რომლის მიზნი იყო საჯელადსრულების დეპარტამენტის უფროსის ბაზო ახალიას მიმართ ნორის აღდგენა. მას უკანასკნელი თვეების განმვლობაში საჯაროდ აღნაშაულებით პატიმრებისადმი ცუდად მოჰკორაში. მამარდაშვილის თქმით, მან უკარ განაცხად კანონიერ ქურდის რანგზე და თანამშრომლობდა აღმინისტრაციასთან ციხიდან გადაზე აღრე გათავისუფლების პირობის სანაცვლოდ. მამარდაშვილის თქმით გეგმის თანახმად მას და დანამაულებრივი სამყაროს რამდენიმე სხვა თავაკცის უნდა მიეცნებონთა საკუთარი თავისთვის და ერთმანეთისთვის ჭრილობები და ასამ სასჯელადსრულების დეპარტამენტის უფროსის სუბილი ჩანწერდა მათ სუბირებს, გამოიყენება გამოიყენებრივ სატყორის ხმის ჩანწერებს, როგორაც ისინი გეგმაზენტ აღნიშნულ ინციდენტს, მთავრობას მიეცემოდა საშუალება, ქვეყნისა, თუ როგორ აწყობდნენ კანონიერი ქურდები სასჯელადსრულების დეპარტამენტის უფროსის დასკრეიიტების გამნიას, რც იქნებოდა მისა მტკიცებულება, რომ ახალიას დაღანაშაულება პატიმრებისადმი ცუდად მოჰკორაში არ იყო დამაჯერებელი. მამარდაშვილის მტკიცებით, მან ომბუდსმენს მატოდა ინფორმაცია ამ გეგმის შესახებ მისი ჩამდის და 27 მარტის მოვლენების განვითარების შემდეგ მამარდაშვილი დამატებით დადანაშაულეს იმში, რომ მან დაგვევმ არ ეცნობოდა ციხეში. „საქართველის ომბუდსმენს სოზარ სეიარს, ციხის სამედიცინო პუნქტში მოთავსებული პატიმრისის პლატონ მამარდაშვილის ასსა-გამარტების ჩანწერი (27 მარტის ინციდენტთან დაკავშირებით)“, 2006 წლის 5 ივნისი, გაურცელებული საქართველოს ომბუდსმენის პრესცენტრის მიერ, და „ინფორმაცია 27 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით“.

<sup>343</sup> „სახალხო დაცულები აშშარავებს ახალ დეტალებს თბილისის ციხეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით“ და „თავისუფლების ინსტიტუტი კლავ არიტერებს მოცემების“, *Civil Georgia*, 2006 წლის 7 ივნისს; „საქართველოს ომბუდსმენს სოზარ სეიარს, ციხის სამედიცინო პუნქტის პატიმრისის პლატონ მამარდაშვილის ასსა-გამარტების ჩანწერი (27 მარტის ინციდენტთან დაკავშირებით)“, 2006 წლის 5 ივნისი, გაურცელებული საქართველოს ომბუდსმენის პრესცენტრის მიერ, და „ინფორმაცია 27 მარტის მოვლენების შესახებ“.

მთავრობის ეულ ვერსიას, მიუთითებს რა, რომ ვინაიდან საგარაუდო შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე – პლატონ მამარდაშვილი – გავლენიან კანონიერ ქურდად ითვლება და იგი იზოლირებული იყო სხვა პატიმრებისაგან, მას არ შეეძლო უკანასკნელებთან, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის სხვა სავარაუდო თავკაცებთან, შეხვედრა ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების უშუალო თანხმობის გარეშე.<sup>344</sup>

### **დაჭრილთა მკურნალობა**

დაჭრილთათვის ოპერაციის შემდეგ აღმოჩენლი სამედიცინო დახმარება იყო სრულიად არადეკვატური.<sup>345</sup> პატიმრებმა, რომლებიც გამოიყვანეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან და გადაიყვანეს თბილისის მე-7 საპყრობილები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განაცხადეს, რომ მათ არ აღმოჩინეს დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარება ცემის შედეგად მიყებული ჭრილობების დასაშუალებლად და ისინი წარწყონენ სირთულეებს სათანადო დახმარების მიღების საქმეში. გადაიყვანილი პატიმრის გიორგი ავალიანის ადვოკატმა კახა კვიციანმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ მის კლიენტს უარი უთხრეს 27 მარტს მიყნებული ჭრილობების მკურნალობაზე.<sup>346</sup> ექიმს პატიმრების მონახულების საშუალება მხოლოდ 28 მარტს, ომბუდსმენის ჩარევის შემდეგ მიეცა.

7 აპრილს ომბუდსმენის სამსახურის წარმომადგენლებმა ასევე დააფიქსირეს, რომ, მიუხედავად მუდმივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გართულებებისა, რომლებიც დაკავშირებულია 27 მარტის ცემის ფაქტებთან, პატიმრებს არ ჩაუტარდათ სასამართლო ექსპერტიზა, მათ არ აძლევდნენ ექიმებთან რეგულარული ურთიერთობის საშუალებას და არ უტარდებოდათ რაიმე სერიოზული მკურნალობა. ერთ-ერთი პატიმრის თქმით, მას ეშინოდა ეთხოვა, რომ მოსულიყო ექიმი, რადგან შეშობდა, რომ ციხის აღმინისტრაციისაგან მიიღებდა დამატებით სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. პატიმრებს არ უშევებდნენ გარეთ, მათ არ შეეძლოთ სათანადო ჰიგიენის დაცვა: ვერ იპარსავდნენ და ჰქონდათ დაბანის შეხდულეული შესაძლებლობები. აღმინისტრაცია არ აწარმოებდა არანაირ სამედიცინო ჩანაწერებს ციხეში მყოფ პატიმრებთან დაკავშირებით.<sup>347</sup>

მათ, ვინც თბილისის მე-5 საპყრობილები ჩატარებული ოპერაციის დროს დაიჭრა, განაცხადეს, აგრეთვე, რომ არასათანადო სამედიცინო დახმარებას ღებულობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში სასწრავო დახმარებას ბევრი

<sup>344</sup> „სახალხო დამცველი ააშკარავებს ახალ დეტალებს თბილისის ციხეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით“.

<sup>345</sup> პატიმარი, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იქნა ნებისმიერი სახის ძალა, უნდა სარგებლობდეს ექიმის მიერ გასინჯვის და, თუ საჭიროა, მკურნალობის უფლებით. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წამების სწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტები, ზოგადი ანგარიშების მირთადა არსებითი ნაწილები“, გვ. 19, პუნქტი 53.

<sup>346</sup> ლიზ ფელერი, „არეულობა თბილისის ციხეში“, RFE/RL, 2006 წლის 29 მარტი

<http://www.rferl.org/featuresarticle/2006/03/9c5f4d3d-ab4a-4aed-95f2-1eea60a24919.html> (მოძიებულია 2006 წლის 13 ივნისს).

<sup>347</sup> „საქართველოს თუსტიციის სამინისტროს პნიტენციური სისტემის თბილისის მე-7 საპყრობილები 2006 წლის 7 აპრილს ჩატარებული სამედიცინო მონიტორინგის ანგარიში“.

მანქანა იყო მისული, ყველა პატიმარს არ მიუღია სასწრაფო დახმარება კვალიფიციური სამდიცინო პერსონალისაგან, ხოლო “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროისთვის ბევრს იმ პატიმართაგან, რომელთაც ესაჭიროებოდათ ქირურგიული დახმარება, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ იგი მიღებული.

ერთი პატიმარი, რომელსაც მიყენებული ჰქონდა არაერთი ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით, იმყოფებოდა კრიტიკულ მდგომარეობაში და იგი წაიყვნეს ქალაქის სააგადმყოფოში, სადაც არ მიიღეს და გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში, იქიდან კი ისევ ქალაქის სააგადმყოფოში დააბრუნეს. მან “Human Rights Watch”-ს მოუთხრო:

„როდესაც გონჩე მოვედი, ვიწექი მიწაზე ეზოში, ციხის წინ, გუბეში. წვიმდა და მახსოვს, როგორ გავიფიქრე: „ო, რა სასიამოვნოა წყალი“. მომათავსეს მანქანაში სხვა დაჭრილებთან და ორ მიცვალებულთან ერთად. ეს სასწრაფო დახმარების მანქანა კი არ იყო, არმედ ბადრაგის მანქანა. წაგვიყვანეს ქალაქის სააგადმყოფოში, მაგრამ იქ რომ მივედით, დაგვტოვეს მანქანაში. ვიღაცამ დარეკა და მათ მოაბრუნეს მანქანა და წაგვიყვანეს [ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში]. როგორც აღმოჩნდა, მე მართლა კრიტიკულ მდგომარეობაში ვყოფილვარ, ამიტომ ისევ წამიყვნეს ქალაქის სააგადმყოფოში, სადაც გამიკეთეს წამალი და ოპერაცია.“<sup>348</sup>

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობის მქონე კიდევ ერთმა პატიმარმა, რომელმაც იმგზავრა იმავე ავტომანქანით, რაც ზემოხსენებულმა პატიმარმა და რომელსაც “Human Rights Watch”-ის ვიზიტის დროს კვლავ ესაჭიროებოდა ქირურგიული დახმარება, ასე აღწერა მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩნის პროცესი:

„რამდენიმე პატიმარმა გამახვია საბანში და დამაწვინა მიწაზე [გარეთ]. არ ვიცი, რამდენი კაცი იწვა და რამდენ ხანს იწვნენ ისინი მიწაზე. შემდეგ მომათავსეს ბადრაგის მანქანაში. ჩემთან ერთად იყო კიდევ რვა ან ცხრა ადამიანი ... მანქანაში იყო აგრეთვე ორი მიცვალებული. ჩვენ წაგვიყვანეს ქალაქის სააგადმყოფოში, მაგრამ იქიდან უკან დაგვაბრუნეს [ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში]. მე გამიკეთეს გამაყუჩებელი წამლები, დამადეს არტახები, მაგრამ ოპერაცია არ გაუკეთებიათ. მაქვს რთული მოტეხილობა და მესაჭიროება ფეხის ძვლების გასწორება. ტკივილი მაწუხებს. არაფერი ვიცი ჩემი ჭრილობების შესახებ. არც ის ვიცი, გამიკეთებენ თუ არა ოპერაციას.“<sup>349</sup>

<sup>348</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპფრობილები 27 მარტს დაჭრილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია).

<sup>349</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ თბილისის მე-5 საპფრობილები 27 მარტს დაჭრილ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია).

თბილისის მე-5 საპყრობილის ერთმა პატიმარმა, რომელსაც ჯერვერობით არ მიუღია საჭირო ქირურგიული დახმარება, განაცხადა: „მესროლეს ზურგის ქვედა ნაწილში და დავკარგე გონება. გადამიღეს რენტგენი [ქალაქის საავადმყოფოში], შემდეგ წამიყვანეს ციხის საავადმყოფოში. მესაჭიროება ოპერაცია ტყვიის ამოსალებად, მაგრამ მეუბნებიან, რომ ჯერ სუსტად ვარ. საავადმყოფო მაძლევს რაღაც წამალს, მაგრამ უფრო ძირად ირგვეული წამლები ჩემმა ოჯახმა უნდა შეიძინოს.“<sup>350</sup> 2006 წლის მაისში, ინციდენტიდან თითქმის ორი თვის შემდეგ, სულ ცოტა სამმა პატიმარმა „უთხრა “Human Rights Watch”-ს, რომ მათ არ ჩატარებიათ ოპერაცია სხულიდან ტყვიების ამოსალებად.<sup>351</sup> ერთ-ერთმა პატიმარმა „Human Rights Watch“-ს უთხრა: „მე არ გამიკეთებ არანაირი ოპერაცია, [არ ამოუღიათ ფეხებიდან ორი ტყვია] ... ფეხები მუდმივად მტკივად მტკივად“<sup>352</sup>

კიდევ ერთმა მსხვერპლმა „Human Rights Watch“-ს უამბო, რომ იგი დაჭრეს, მაგრამ არ ჩაუტარეს საჭირო მკურნალობა საავადმყოფოში. „მე გვერდში დამჭრეს. ისინი ისროდნენ ჩვენს პირდაპირ მდებარე შენობის სახურავიდან და ტყვია რიკოშეტით მომზედა. შემდეგ სამი სპეციალისტები შემოვიდა ჩვენს საკაში და არაფერი უთქვამთ, ისე დაიწყეს სროლა. კარებიდან საღლაც სამი მეტრის მოშორებით ვიდექი, როდესაც ისინი შემოვიდნენ. მე იმწამსვე დავწექი იატაკზე. შემდეგ მათ იკითხეს: „ვინ არის დაჭრილი?“ გამიყვანეს და აქ მომიყვანეს [რუსთავის მე-6 საპყრობილები]. [ჭრილობიდან] მომდიოდა სისხლი და ძალიან მტკიოდა. გამსინჯვეს და დამადეს სახვევი. ტკივილი არ წყდებოდა ერთი კვირის ან 10 დღის განმავლობაში“, - თქვა მან.<sup>353</sup> სხვა პატიმრებმა, რომლებიც დაიჭრნენ რეზინის ტყვიებით, განაცხადეს, რომ ისინი წაიყვანეს რუსთავის მე-6 საპყრობილები და არ აღმოუჩინეს არავითარი სამედიცინო დახმარება.<sup>354</sup>

ომბუდსმენის სამსახურის მოთხოვნით მოქმედმა ექსპერტმა გამოავლინა, აგრეთვე, რუსთავის მე-6 საპყრობილები რამდენიმე პაციენტი, რომლებსაც 27 მარტის ინციდენტის დროს მიღებული ჭრილობების გამო რამდენიმე კვირა იყო, რაც ესაჭიროებოდათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ერთ-ერთს ამ პატიმართაგან ჰქონდა მრავლობითი ჭრილობა, რომელთაგან, როგორც ჩანს, ზოგიერთში ინფექცია შეიჭრა და გამოიწვია მაღალი ტემპერატურა. ექსპერტის დასკვნით, სხვა პატიმრებს ჰქონდათ ერთვერადი ნატევიარები,, რომლებსაც ესაჭიროებოდა ქირურგიული ჩარევა და სხვა სახის სერიოზული მკურნალობა. გულ-მერდის არები დაჭრილი ერთი პატიმრისთვის არ გადაუღიათ რენტგენი

<sup>350</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა 27 მარტს თბილისის მე-5 საპყრობილები (ანონიმურობა დაცულია).

<sup>351</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ სამ პატიმართან, რომლებიც დაიჭრნენ 27 მარტს თბილისის მე-5 საპყრობილები (ანონიმურობა დაცულია).

<sup>352</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა 27 მარტს თბილისის მე-5 საპყრობილები (ანონიმურობა დაცულია).

<sup>353</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან, რომელიც დაიჭრა 27 მარტს თბილისის მე-5 საპყრობილები, (ანონიმურობა დაცულია).

<sup>354</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმრებთან, რომლებიც დაშავდნენ 27 მარტის თბილისის მე-5 საპყრობილები, (ანონიმურობა დაცულია).

და იგი არ გაუსინჯავს სპეციალისტს. ექსპერტის თქმით, ციხეში არ აწარმოებდნენ ჟურნალს პატიმრების ჭრილობების რეგისტრაციისათვის და არ ინახებოდა აკადმიუმუფი ან დაშავებული პატიმრების აკადმიუმოფობის ისტორიები.<sup>355</sup>

**შეუსაბამობა მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობებში**

თუსტიციის სამინისტროს მოხსენების თანახმად, ოპერაციის დროს დაიჭრა ორი და დაშავდა 10 სპეციალისტები. მოხსენებაში არ არის დაკონკრეტებული ჭრილობებისა და დაშავების სახეობები, არ არის განმარტებული, თუ რა განსხვავება ჭრილობებსა და დაშავებებს შორის. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორი წევრი ოპერაციის დასაწყისში დაიჭრა ცეცხლსასროლი იარაღით.<sup>356</sup> არ არის გასაგები, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის მიყენებული ჭრილობები ცალკეა დაფიქსირებული თუ დაჭრილ და დაშავებულ ხელისუფლების წარმომადგენელთა საერთო რაოდენობაშია ჩათვლილი.

ოპერაციის დროს მოკლულ და დაჭრილ პატიმართა საერთო რაოდენობა კვლავ გაურკეველია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ “Human Rights Watch”-ისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოკლულია შვიდი პატიმარი, თუმცა საწყისი ანგარიშები მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია ყოფილიყ მეტი შესხვაპლი, ვიდრე ეს ოფიციალურადა გაცხადებული, და ერთ შემთხვევაში მაინც სხვა მიზეზებით ახსნილი სიკვდილი სინამდვილეში სპეციალისტების შედეგი იყო. მე-5 საპყრობილის პატიმრის მამუკა ღვინიაშვილის ოჯახი აღნიშნავს, რომ როდესაც შვილის ცხვდარი გადასცეს, მათ აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში მიყენებული ჭრილობა და დაზიანებები, რომლებიც ნაცემს შეესატყვისებოდა. მაგრამ ხელისუფლების განცხადებით, სიკვდილის მიზეზი იყო ღვიძლის დაავადების გართულებები და, როგორც მთავრობა ირწმუნება, ღვინიაშვილი ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში გარდაიცვალა. ღვინიაშვილის დედა ამას უარყოფს. მისი თქმით, მან მოინახულა შვილი მე-5 საპყრობილები და არა ციხის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში ამბოხებამდე ერთი დღით ადრე და იგი მაშინ არ უჩიოდა ჯანმრთელობას.<sup>357</sup>

უფრო დიდი აზრთა სხვადასხვაობაა დაჭრილთა რაოდენობასთან დაკავშირებით. წინააღმდეგობრივ ინფორმაციას თვით ხელისუფლება იძლევა. “Human Rights Watch”-ისთვის 2006 წლის მაისში წარმოდგენილ სტატისტიკაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ასახელებს 17 დაჭრილი პატიმრის

<sup>355</sup> ლევან ლაბაური, მედიცინის დოქტორი, „წერილი საქართველოს ომბუდსმენს სოზარ სუსავის მე-6 საპყრობილის 2006 წლის 6 აპრილის მონიტორინგის ანგარიში“. იხ. აგრეთვე „მე-6 საპყრობილე“, საქართველოს ომბუდსმენის 2006 წლის 10 აპრილის პრესრელიზი.

<sup>356</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ, მე-5 საპყრობილებში და ციხის სააგადმყოფოში 2006 წლის 27 მარტს მომზადარი ინციდენტის შესახებ“.

<sup>357</sup> „სატელევიზიო სიუსტეზე კითხვის ნიშის ქვეშ აქტებს ციხეში მომხდარი არეულობის შედეგად დაღუპულთა ოფიციალურად გამოცხადებულ რაოდენობას“, Civil Georgia, 2006 წლის 30 მარტი.

<http://www.civil.ge/eng/article.php?id=12222> (მოძიებულია 2006 წლის 7 ივნისს) და „საქართველოს ოუსტაციის სამინისტრო უაღიანეს ციხეში დაღუპულ პატიმრთა რაოდენობის დფარვას“, საგნტო „პრაიმიუს“, თბილისი, 2006 წლის 30 მარტი.

გვარებს. ამის საპირისპიროდ, გაერო-ს წამების საწინააღმდევო კომიტეტისთვის წარდგენილ, 2006 წლის მაისის ანგარიშში იუსტიციის სამინისტრო მიუთითებს, რომ „ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა შეიდი პატიმარი, ხოლო 22-მა პატიმარმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის ჭრილობა“.<sup>358</sup> ომბუდსმენის სამსახურის წარმომადგენლებმა, მათ შორის ერთმა უქიმმა, მოინახულეს რუსთავის მე-6 საპყრობილის პატიმრები, რომლებიც იქ თბილისის მე-5 საპყრობილიდან 27 მარტის ოპერაციის შეძლევ გადაიყვანეს. თავიდან რუსთავის მე-6 საპყრობილის ჟერსონალმა ომბუდსმენის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სულ რვა პატიმარი იყო გაღმოყვანილი, რომლებიც 27 მარტის ოპერაციის დროს დაშავდნენ. მაგრამ ომბუდსმენის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს 27 მარტის ოპერაციის დროს დაჭრილი, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღით, 15 პატიმარი. ომბუდსმენის წარმომადგენლების სიტყვებით, „დროის უქონლობის გამო ვერ შევძელით ყველა საკის დათვალიერება, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ [დაჭრილი] პატიმრების რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.“<sup>359</sup>

გარდა ამისა, „Human Rights Watch“-ი გაესაუბრა კიდევ 14 ადამიანს, რომლებიც დაიჭრნენ 27 მარტის ოპერაციის დროს. მათ შორის იყო შვიდი კაცი, რომლებსაც ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები, და ორი კაცი, რომლებიც დაიჭრნენ რეზინის ტყვიებით. იყო აგრეთვე ხუთი პატიმარი, რომლებიც დაშავდნენ ცემის შედეგად. ზოგადად, „Human Rights Watch“-ის და ომბუდსმენის სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაჭრილთა ფაქტორი რაოდენობა ხელისუფლების მიერ გაცხადებულზე მეტია.

### სპეციალურაციის დაგეგმვა

ძალზე მწირია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კანონით მოთხოვნილი რა ტიპის გეგმები იქნა შემუშავებული იმ სახის არეულობის საპასუხოდ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-5 საპყრობილები, და როგორ იქნა განხორციელებული ეს გეგმები.<sup>360</sup> გაუგებარია, აგრეთვე, აკმაყოფილებდა თუ არა ეს გეგმები ევროპის პენიტენციურ წესებში<sup>361</sup> ჩამოყალიბებულ

<sup>358</sup> „ზეგად ინფორმაცია თბილისი 1-ლ და მე-5 საპყრობილებში და ციხის სავალიფიციაში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტის შესახებ“. იხ., აგრეთვე, „საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეატყობინა უცხოელ დაბლობატების ორგანატოს მომხდარი ამონტების შესახებ“. საგანტო, „პარამონიუსი“, 2006 წლის 28 მარტი. ციხის რესპუბლიკური სავალმყოფოს დირექტორის „Human Rights Watch“-ს განუცხადა, რომ ინციდენტის შემდეგ სავალმყოფოში მიიყვანეს 22 დაჭრილი პაციენტი. „Human Rights Watch“-ის ინტერვუ ციხის რესპუბლიკური სავალმყოფოს მთავრი ექიმთან დავით ისეტიანათან, 2006 წლის 15 მაისი.

<sup>359</sup> ლევან დაბაური, მეცინინის დოქტორი, „წერილი საქართველოს ომბუდსმენს სიახლ სუბარს, რუსთავის მე-6 საპყრობილის 2006 წლის 6 აპრილს განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში“. იხ., აგრეთვე, „მე-6 საპყრობილ“, საქართველოს ომბუდსმენის 2006 წლის 10 აპრილის პრესკრიტი.

<sup>360</sup> პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, „სასჯელადსრულების დაწესებულებაში მასობრივი არყოფნის შემთხვევაში საკანგრძო ან საიმართო მდგრამრივის გამოყენებისას სასჯელადსრულების დეპარტამენტი თავდასხმის, გაქცევისა და სხვა სამართლდარღვევათა აღკვეთის მაზნით შეიმუშავებს უშიშროების დასატებითი ღრინისძიების გვემს, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი საქართველოს შინაგან საქმთა სამინისტროსთან შეთანხებით.“ საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შეწორებით, მუხლი 96.

<sup>361</sup> ევროპის პენიტენციური წესების შესაბამისად, ძალის გამოყენება თოვალისწინებს დაწესებულებით პროცედურას, რომელიც მოიყავს შემდეგს: ა. დასაშვები ძალის გამოყენების სხვადასხვა ტიპები; ბ. გარემოებები, რომლებმაც დამტკიცებულია მას თუ მი ტიპის ძალის გამოყენება; გ. პენიტენციის წევრები, რომლებსაც გამნიათ სხვადასხვა ტიპის ძალის გამოყენების უფლებამოსილება; დ. მა უფლებამოსილების მასშტაბი, რომელიც საჭიროა წებისმიერი

მოთხოვნებს ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის,<sup>362</sup> როგორც მას განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.<sup>363</sup>

თუსტიციის სამინისტროს განცხადებით, სპეციალური ოპერაცია „ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობისა და პენიტენციური წესების სრული დაცვით“, მაგრამ სამინისტროს არ განუმარტავს, რამდენად შეესაბამებოდა ოპერაცია საერთაშორისო ვალდებულებებს და არ წარმოუდგენია აღნიშნული ოპერაციის დაგეგმვის მტკიცებულება.<sup>364</sup> “Human Rights Watch”-ის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ბადებს ეჭვს, არსებობდა კი საერთოდ ოპერაციის გეგმა. ციხის დირექტორმა ფოლოდაშვილმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა: „რა თქმა უნდა, არსებობს წესი და ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვიმოქმედოთ სხვადასხვა სიტუაციაში. გარდა ამისა, მოვლენების განვითარებისას წყვეტი, როგორ იმოქმედო“.<sup>365</sup> დირექტორის მოადგილემ სტეფანე ოზაშვილმა დაამატა: „ეს იგივეა, რომ გინდოდეს ტუალეტში წასვლა – იქვე მოიფიქრებ, როგორ უნდა გააქეთო, და აკეთებ“. <sup>366</sup> თუმცა გასაგებია, რომ ოპერაცია ჩატარდა იუსტიციის სამინისტროს სპეციალური ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალების მიერ, “Human Rights Watch”-ის მიერ გამოკითხული ადამიანების უმრავლესობამ არ იცოდა, ვინ იყო პასუხისმგებელი ოპერაციის ჩატარებაზე. თვით ციხის დირექტორმა ფოლოდაშვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოპერაციაში, განაცხადა: „არ ვიცი, ვინ მართავდა ოპერაციის; არც ის ვიცი, ვინ აკონტროლებდა სპეციალურ ძალებს. ყველა სპეციალურ ძალებს ერთნაირი ფორმა და ნიღაბი აქვთ. ვერ გეტყვით, საიდან იყვნენ ისინი.“<sup>367</sup>

ოპერაციის დაგეგმვასთან დაკავშირებით ელენე თევდორაძემ “Human Rights Watch”-ს მოუთხრო: „შინაგან საქმეთა მინისტრი დამპირდა, რომ გამოყენების მხოლოდ რეზინის ტყვიებს. მაჩვენეს სპეციალური იარაღი, რომლიდანაც ისერიან რეზინის ტყვიებით. მათ თქვეს, რომ ყველა ღონეს

---

ძალის გამოყენებამდე; და ე. ძალის გამოყენებისანაც სავალდებული ანგარიშების შედეგან. ერთობს საბჭოს მინისტრთა კამიტეტი, მინისტრთა კამიტეტის რეკომენტიცა №(2006)2 წევრი სახელმწიფომისათვის ერთობის პენიტენციურ წესებთან დაკავშირებით, პენტეტი.

<sup>362</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი თვალისწინებს შემდეგს: „(1) ყოველი ადამიანის სეიოცხლის უფლება კანონთ არის დაცული ... და (2) სიცოცხლის ხელყოფა ან ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩაღილობ ქმედდება, თუ ის შედეგად მოკვეთა ძალის გამოყენებას, რომელიც ასოლუტურ აუცილებელობას წირმოადგენდა: (ა) ნებისმიერი პირის დასურავად არმარილზომიერი ძალადიბისავან; (ბ) კანონიერი დაკავშირისათვის ან კანონიერი დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვთად; (გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბობების ჩასაშობად.“

<sup>363</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ დაადგინა, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს მკაცრად პროპორციული მე-2 მუხლის მე-2 პენტეტში მითთებულ შესაბამისი მტხინისა და პოლიციის მიერ ჩასატარებელი თვალისწინების დაკავშირი და კანტენტის გენერაციების შესაძლებელია, „მინიტემპი უნდა დაიფარის სასიკვდილო ძალის გამოყენების მიხდავ ყოფნა და ოპერაციასთან დაკავშირებული აღადგინების სიცოცლისთვის სიყროთხის შექმნა.“ საქმე მუკანი კურისტიკული საქმეს წინაღდევებ, №. 18984/91, 1995 წლის 27 სექტემბრის გვარაწყვეტილება, პუნქტი 161.

<sup>364</sup> „ზოგადი ინფორმაცია თბილისის 1-ლ, მე-5 საპერიოდულებში და ციხის სააგადმყოფოში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტის შესახებ“.

<sup>365</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი ფოლოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპერიოდის დირექტორ, 2006 წლის 16 მაის.

<sup>366</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფან ოზაშვილთან, თბილისის მე-5 საპერიოდის დირექტორის მოადგილობრივი, 2006 წლის 16 მაის.

<sup>367</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გიორგი ფოლოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპერიოდის დირექტორი, 2006 წლის 16 მაის.

იხმარენ, რათა თავიდან აიცილონ მსხვერპლი. მაგრამ სპეციალურმა ძალებმა დაიწყეს [ოპერაცია] და უკვე ისროდნენ ნამდვილი ტყვიებით ... მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იყო ცეცხლის გახსნისა და მსხვერპლის თავიდან აცილება.“<sup>368</sup>

**თბილისის მე-5 საპყრობილების 27 მარტს მომხდარი ინციდენტის გამოძიება**  
გენერალური პროკურატურის მიერ “Human Rights Watch”-ისთვის  
მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2006 წლის 25 მარტს იუსტიციის  
სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო პენიტენციურ სისტემაში  
სავარაუდო ამბოხების შეთქმულების გამოძიება და გააგრძელა ეს გამოძიება  
27 მარტის არეულობის შემდგა <sup>369</sup> 27 მარტის შემდგომ გამოძიების სფერო  
გაფართოვდა და უკვე კრიმინალური სამყაროს წევრობაში ბრალდებებზეც  
გავრცელდა,<sup>370</sup> მაგრამ ყურადღება არ გამახვილებულა სისხლის სამართლის  
კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებიც უკავშირდება შეიძი პატიმრის დაღუპვას  
ან სამართლდამცავი ორგანოების ქმედებს ოპერაციის დროს.  
ხელისუფლების ორგანოების განცხადებით, 27 მარტის მოვლენების  
შეფასებისას გამოძიება ისედაც შეისწავლიდა სამართლდამცავი ორგანოების  
ქმედებებს.

13 აპრილს პლატონ მამარდაშვილს წაუყენეს ბრალდება, რომ იგი კანონიერი  
ქურდია და ხელს უშლის და აფერხებს სასჯელადსრულების დეპარტამენტის  
საქმიანობას.<sup>371</sup> ბრალდება ამბოხების შესაძლო ორგანიზებაში წაუყენეს მალხაზ  
ზედელაშვილს, ნიკოლოზ მახარაძეს, გიორგი ავალიანს, ზურაბ ვიბლიანს და  
ლევან ცინდელიანს.<sup>372</sup> 19 მაისს გენერალური პროკურორის მოაღვილის  
გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმე გადაეცა გენერალურ  
პროკურატურას, კანონის შესაბამისად და „იმისათვის, რომ  
უზრუნველყოფილიყო ობიექტური და მიუკრძობელი გამოძიება“.<sup>373</sup>

<sup>368</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამართლებრივი კომიტეტის თავმჯდომარებობის ელენ თევდორაქისთვის, 2006 წლის 22 მაისი.

<sup>369</sup> გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად: „წინასწარი პატიმრობის ან სასჯელადსრულების დაწესებულების საქმიანობასთვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია“, სისხლის სამართლის მე-19 მუხლით - „დანაშაულის ჩადენის მცდელობა“ – დაკავშირებით.

<sup>370</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup> მუხლის - „დანაშაულებრივი სამყაროს წევრობა: კანონიერი ქურდობა.“

<sup>371</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი - „კანონიერი ქურდობა“. დანაშაული ისევება ხუთიდნ ან წლიძებ თავისუფლების გადაეცა, კარიბის კანონიერი ქართველის 378-ე მუხლის მე-1 პუნქტი: „წინასწარი პატიმრობის ან სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ დაწესებულების საქმიანობასთვის სხვაგარე ხელის შეშლა, ანუ ამ საქმიანობას დეზორგანიზაცია ისკება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლიძე“; პუნქტი 3: „წინასწარი პატიმრობის ან სასჯელადსრულების დაწესებულების აღმინისტრაციაზე თავდასხმა ანდა ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაკავშირებაში აქტიური მინაწილების ისევება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდნ ათ წლიძე“; და პუნქტი 5: არისშელი მუხლის მე-3 მუწლით გათვალისწიებული ქმედება, ჩაღენილი მძიე ან განსაკუთრებით მძიე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ ისევება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოფიციალური წლამდე“.

<sup>372</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 378-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები.

<sup>373</sup> „ინფორმაციი საკითხებზე, რომელებიც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებებში დეზორგანიზაციის შეტანის მცდელობათან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეს“ - ინფორმაცია, მოწოდებული კლექტრონული ფოსტი 2006 წლის 11 ივნისს “Human Rights Watch”-ის თხოვით თამარ თომაშვილის მიერ, გენერალური პროკურატურის აღმანის უფლებათა დეპარტამენტი. ამ დოკუმენტისთვის თანახმად, „საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ქვეპრეზე აროგორი უფლებამისილია, ჩაბიროს გამომმიებლისაგან ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე და გადასცეს სხვას, გამოძიების სფეროში

27 მარტის ინციდენტიდან ოთხი დღის შემდეგ უფორ-ს მოქმედია თავმჯდომარებ კარელ დე გუპტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს, დაეწყოთ დამოუკიდებელი გამოძიება, აღნიშნა რა, რომ 27 მარტის ინციდენტის შემდეგ „არსებობს გარკვეული გაუგებრობა“ და „მიზანშეწონილია დამოუკიდებელი და საჯარო გამოძიების დაწყება ამ მოვლენების, მათ შორის იმ მტკიცებების გამოსაძიებლად, რომლებიც შეეხება სახელისუფლებო ჯარების მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენებას, რასაც მოჰყვა დიდი რაოდენობით მსხვერპლი.“<sup>374</sup> ხელისუფლებამ უარი თქვა ამაზე იმ მოტივით, რომ ვინაიდან უკვე მიმდინარეობდა გამოძიება ამბოხების მიზეზების დასაღენად, დამოუკიდებელი გამოძიება აღარ იყო საჭირო. თუმცა იმ დროს მმართველი ნაციონალური მმმრაობის პარტიის წევრებიც კი არ იყვნენ გარკვეული იმაში, თუ ზუსტად რისი გამოძიება მიმდინარეობდა, აცხადებდნენ რა, რომ გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გადამეტებული ძალის გამოყენების შესაძლებლობის გამოძიება, მაშინ, როგორსაც გამოძიება დაიწყო იუსტიციის სამინისტრომ და მხოლოდ იმ ფაქტებისა, რომლებიც უკავშირდება შესაძლო ამბოხების ორგანიზებას, როგორც ამაზე მიუთითებს თვით გენერალური პროკურატურა.<sup>375</sup>

მთავრობამ საჯაროდ ცალსახად განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოები მოქმედებდნენ კანონიერების ფარგლებში. სააკაშვილი მიესალმა იუსტიციის სამინისტროს პერსონალს და საქართველოს პოლიციას, რომლებიც, მისი თქმით, „მოქმედებდნენ უაღრესად პრივეტისონალურად“.<sup>376</sup> პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, შეაქო რა პოლიცია, განაცხადა, რომ მათ მიერ გამოყენებული იქნა „აღეკვატური ძალა“ პატიმრების ციხიდან გაქცევის თავიდან ასაცილებლად.<sup>377</sup>

სუბორდინაციაზე დაყრდნობით. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, ჩაიბაროს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე, მოქმედვაზე სუბორდინაციისა გამოძიების სფეროში, და გადასცეს იგი პროკურატურის ან სხვა საგამოძიებო ორგანიზებას.“

<sup>374</sup> „ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე შეშვითებულია ძალადობის შემთხვევებით საქართველოს ციხეში“, ვეროპის უსაფრთხოებისა და თანამდებობის ორგანიზაციის პრესრელიზი, 2006 წლის 31 მარტი, [http://www.osce.org/cio/item\\_1\\_18578.htm](http://www.osce.org/cio/item_1_18578.htm) (მოძებულია 2006 წლის 18 ივნისს). საგარეო საქმია სამინისტრომ უპასუხა შემდგრა განცხადებით: „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მოქმედებდნენ კანონის სრული დაცვით და ინციდენტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდების პრიცესით იყო სრულად გამჭვირვალე“ და გუპტის განცხადება სამინისტრომ მიმო ახსნა, რომ ეუთო-ს მისის წევრები საქართველოში არ ესწრებონ იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 28 მარტის ბიუროების აღნიშულ ინციდენტთან დაკავშირებით. „საქართველოს საგარეო საქმია სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის კონტრარი ეუთო-ს თავმჯდომარის კარელ დე გუპტის განცხადებაზე თბილისის მუ-5 სამყრობილებში 27 მარტს მომხდრ ინციდენტთან დაკავშირებით,“ [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=35&info\\_id=1314](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=35&info_id=1314) (მოძებულია 2006 წლის 18 ივნისს).

<sup>375</sup> პარლამენტის იურიდიულ საკითხოს კომიტეტის წევრმა ნიკა გვარამაძა აღნიშნა: „არ ვიცი, რისთვის არის საჭირო დამოუკიდებელ გამოძიება მათთვის, როგორსაც გენერალური პროკურატურა უკვე ითხობს, იყო თუ არა გამოყენებული გადამეტებული ძალა ციხის ამბოხების დროს.“ ციტატა სტატიიდან: „ციხის ინციდენტთან დაკაშირებული ბუღოვანება“, Civil Georgia, 2006 წლის 2 აპრილი, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12244> (მოძებულია 2006 წლის 5 ივნისს); იხ., აგრეთვე, „პარლამენტი უარს ამბობს ციხის ამბოხების გამოძიებაზე“, Civil Georgia, 2006 წლის 28 მარტი, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12196> (მოძებულია 2006 წლის 7 ივნისს).

<sup>376</sup> „სააკაშვილი საუბრობს ციხის ამბოხების შესახებ, მიესალმება პოლიციას“, Civil Georgia.

<sup>377</sup> „ციხის ამბოხების მიღმა დესტაბილიზაციის შიში იმაღება“, Civil Georgia.

როდესაც გენერალური პროკურორის მოადგილეს მიმართეს კითხვით, რატომ არ დაიწყო დაუყოვნებელი გამოძიება შვიდი პატიმრის გარდაცვალებასთან და იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ძალა აბსოლუტურად აუცილებელი, მან განუცხადა “Human Rights Watch”-ს, რომ ეს ფაქტები განხილული იქნება 25 მარტს დაწყებული ამბობების დაგეგმვის გამოძიების პროცესში.<sup>378</sup> გარდა ამისა, გენერალური პროკურორის მოადგილის თქმით, პატიმრების მიერ ციხის დაზიანების მტკიცებულება საკმარისი იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობის ასახსნელად. მან განაცხადა: „თავიდანვე დაშვებულია, რომ ძალის გამოყენება გამართლებული იყო, რაღაც ყველა მტკიცებულება მიუთითებდა იმაზე, რომ საქმე გვქონდა აშკარა წინააღმდეგობასთან. მთელი ციხე განადგურებული იყო. ეს ცხადზე ცხადი იყო, რადგან ყველაფერი გაფუჭებული და გადამწვარი იყო. არც ერთი კარი არ დარჩა მთელი.“<sup>379</sup>

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და მე-5 საპყრობილებში მომზდარი ინციდენტებიდან თითქმის სამი თვის შემდეგ ხელისუფლების ორგანოებმა ბოლოს და ბოლოს წამოიწყეს სამართალდამცავი ორგანოების ქმედების საგანგებო გამოძიება. გენერალური პროკურატურის ცნობით, 2006 წლის 21 ივნისს არსბატი საქმიდან გამოყოფილი იქნა სისხლის სამართლის საქმე №74068237 და გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333(1) მუხლის (უფლებამისილების გადამტებება) შესაბამისად იმსთან დაკავშირებით, გამოიყენეს თუ არა სამართალდამცავმა ორგანოებმა ძალა კანონის ფარგლებში მე-5 საპყრობილებში 27 მარტს ჩატარებული ოქერაციის დროს.<sup>380</sup>

მიუხედავად პატიმრების მიერ სავარაუდოდ გაწეული წინააღმდეგობის ხარისხისა, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, სასწრაფოდ და ეფექტურად გამოიძიონ პატიმრობაში მყოფ პირთა დაღუპვისა და სერიოზული დაშავების თითოეული შემთხვევა. ეს ვალდებულება ეფუძნება სიცოცლის უფლებისა და სხეულის ხელშეუხებლობის დაცვის მოთხოვნებს, განსაკუთრებით პატიმრობაში მყოფ პირებთან მიმართებაში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცლის უფლება) ხელისუფლებებს აკისრებს პროაქტიულ ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ კანონმა სათანადოდ დაიცვას სიცოცლის უფლება, და მეცნ მოთხოვნებს უყენებს სასიკვდილო შემთხვევების გამოძიებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი განიხილება მე-13 მუხლთან – „სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება“ – ერთად. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იგივე შეეხება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს (ცუდად მოპყრობის აკრძალვას), როდესაც პატიმარს გააჩნია „დასაბუთებული პრეტენზია, რომ

<sup>378</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ნონა წომისათვალის გენერალური პროკურორის მოადგილე, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი. თუმცა როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქნაძემ განუცხადა “Human Rights Watch”-ს, „არ ტარდება ხელისუფლების ორგანოების ქმედებების გამოძიება“. “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გივი მიქნაძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თბილისი, 2006 წლის 18 მაისი.

<sup>379</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ნონა წომისათვალის გენერალური პროკურორის მოადგილე, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>380</sup> მიმოწერა ელექტრონული ფოსტით “Human Rights Watch”-სა და თამარ თომაშვილის შორის, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, 2006 წლის 11 ივნისი.

მას ძალზე ცუდად მოეპყრო პოლიცია ან ხელისუფლების სხვა ორგანოს წარმომადგენელი.<sup>381</sup>

საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის ეკროპული კონვენციის შესაბამისად აგრეთვე მოითხოვს ეფექტური ოფიციალური გამოძიების ჩატარებას მაშინ, როდესაც ადამიანი მოკლული იქნა ძალის გამოყენების ან სხვა ფატალური შემთხვევის შედეგად,<sup>382</sup> და „იმ შემთხვევებში, რომლებშიც გარეული არიან სახელმწიფო ორგანიზაციები და უწყებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი ანგარიშვალდებულება სიკვდილის იმ შემთხვევებზე, რომლებზე პასუხისმგებლობაც მათ აკისრიათ.“<sup>383</sup> ეგროპული სასამართლოს განმარტებით, მე-2 მუხლი უზრუნველყოფს „ხელისუფლების ორგანოების ანგარიშვალდებულებას მათ მიერ მომაკვდინებელი ძალის გამოყენებისას, აძლევს რა საზოგადოებას საშუალებას, დამოუკიდებლად განიხილოს მათი ქმედებები და გამოიტანოს დასკვნა, იყო თუ არა ძალის გამოყენება გამართლებული კონკრეტულ შემთხვევებში.“<sup>384</sup> ამასთან, თუ ადამიანი დაიღუპა პატიმრობაში ყოფნის დროს, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, წარმომადგინოს პატიმრის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება.<sup>385</sup>

რაც შეეხება ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩადენილი პოტენციურად უკანონო მკვლელობების გამოძიებებს, იმისათვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, ის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, აწარმოონ გამოძიება, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ყველა იმ ადამიანისგან, ვინც გარეულია ამ მოვლენებში, რაც გულისხმობს არა მარტო იერარქიული ან ორგანიზიული კავშირების არარსებობას, არამედ აგრეთვე პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.<sup>386</sup> იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული საკუთარი თანამშრომლების ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ქმედებების გამოძიება არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ დამოუკიდებლობის სტანდარტს.

<sup>381</sup> ეგროპული სასამართლოს დასკვნება, რომლიც უშუალო უკავშირდება მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევების ეფექტურ გამოძიებას, იხ. საქმეში ასენცია და სხვები ბუღარეთის წინააღმდეგ, № 24760/94, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 102; და საქმე საყვარე და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, № 31866/96, 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 62.

<sup>382</sup> საქმე მცხანი გაურთანხმდებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 18984/91, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 161.

<sup>383</sup> საქმე ნაჩივა და სხვები ბუღარეთის წინააღმდეგ, პუნქტი 117; იხ., აგრეთვე, საქმე იღვანი თურქეთის წინააღმდეგ, № 22277/93, ECHR 2000-VII; და საქმე ანგლოვა ბუღარეთის წინააღმდეგ, № 38361/97, ECHR 2002-IV).

<sup>384</sup> საქმე კაა თურქეთის წინააღმდეგ, № 158/1996/777/978, 1998 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, პუნქტი 87.

<sup>385</sup> საქმე კულიარვა ბუღარეთის წინააღმდეგ, № 41488/98, 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 70; საქმე საღმარ თურქეთის წინააღმდეგ, № 21986/93, 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტები 99 და 100; საქმე ტანლი თურქეთის წინააღმდეგ, № 26129/95, 2001 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, პუნქტი 141; და საქმე ორკი თურქეთის წინააღმდეგ, № 31889/96, 2002 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>386</sup> საქმე ნაჩივა და სხვები ბუღარეთის წინააღმდეგ, პუნქტი 118; იხ. აგრეთვე საქმე გიულგარ თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, მოხსენების 1998-IV; საქმე თურქი თურქეთის წინააღმდეგ, № 21954/93, ECHR 1999-III; საქმე ური თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, მოხსენების 1998-IV; და საქმე პუ ჯორდანი გაურთანხმდებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 24746/94, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტი 106.

უფრო მეტიც, იმისათვის, რომ გამოძიებამ დააკმაყოფილოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 ან მე-13 მუხლების მოთხოვნები, მას უნდა შესწევდეს ჩადენილი მქონელობისთვის ან დაზიანებებისთვის პასუხისმგებლობის დადგენის და ზემოაღნიშნულზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და დასჯის უნარი. გამოძიების განმახორციელებელი უწყება უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, დაადგინოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. ნებისმიერი ნაკლი, მაგალითად, წინასწარი განწყობა, არ იქნეს გათვალისწინებული უშიშროების ძალების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დარღვევა, ძირს უთხრის გამოძიების განმახორციელებელი უწყების უნარს, მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხებთან დაკავშირებით და არღვევს მოთხოვნილ სტანდარტს. იუსტიციის სამინისტროს მიერ 25 მარტს დაწყებული წინასწარი გამოძიება, რომლის დროსაც არ იქნა განხილული სპეციალური ოპერაციის დაგეგმვის ან მომაკვდინებელი ძალის თუ ისეთი ფიზიკური ძალის გამოყენების ფაქტები, რომლის შედეგად დაიჭრნენ პატიმრები, არ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. უფრო მეტიც, გენერალური პროცერატურის დაშვება, რომ ძალის გამოყენება იყო კანონიერი, თავისთავად ძირს უთხრის როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი გამოძიების ეფექტურობას და მიუთითებს იმაზე, რომ გამოძიებას არ შესწევს უნარი, იყოს მიუკერძოებელი და ეფექტური.<sup>387</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, აგრეთვე, რომ გამოძიება ჩატარდეს მიზანშეწონილების ფარგლებში სწრაფად, რადგან მიაჩნია, რომ „ხელისუფლების მიერ სწრაფი რეაგირება მომაკვდინებელი ძალის გამოყენების ფაქტის გამოძიებისას შეიძლება არსებითად მნიშვნელოვანი იყოს იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეინარჩუნოს რწმენა იმისა, რომ ხელისუფლება იცავს კანონის უზენაესობის პრინციპს, აგრეთვე, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული უგანონო ქმედებებთან დაკავშირებით შეთქმულების ან ამგვარი ქმედებების მიმართ ტოლერანტულობის არსებობის თაობაზე.“<sup>388</sup> სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენების გამოძიება, წამოწყებული გენერალური პროცერატურის მიერ მომხდარი ინციდენტიდან და შვიდი პატიმრის დაღუპვიდან თითქმის სამი თვის შემდეგ, არ აკმაყოფილებს სწრაფი რეაგირების მითხოვნას.

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ეფექტური გამოძიება უნდა გულისხმობებს საზოგადოების მიერ საქმის განხილვის საქმარის ელემენტს და უახლოესი ნათესავების რაც შეიძლება ფართო ჩარევას.<sup>389</sup> საზოგადოების მიერ გამოძიების ან მისი შედეგების განხილვა აუცილებელია ანგარიშვალდებულების

<sup>387</sup> ი. საქმე კიბიკი თურქთას წინააღმდეგ, 2000 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, მოხსენებები და გადაწყვეტილებები 2000-III; ფინუკინი გაურთიანებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 29178/95, 2003 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება; და ჯორჯანი გაურთიანებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 24746/94, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>388</sup> საქმე ლაშ თურქთას წინააღმდეგ, № 63/1997/847/1054, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, პუნქტები 102-104; ცავიჩ თურქთას წინააღმდეგ, № 23657/94, პუნქტები 80, 87 and 106; და მაშუალ კას თურქთას წინააღმდეგ, № 22535/93, პუნქტები 106-107.

<sup>389</sup> ი. საქმე პირ ჯორჯანი გაურთიანებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 24746/94, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, პუნქტები 106-109.

უზრუნველსაყოფად, როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად, რათა საზოგადოებამ შეინარჩუნის რწმენა იმისა, რომ ხელისუფლება იცავს კანონის უზნაესობის პრინციპს, აგრეთვე, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეჭვები უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით შეთქმულების ან ამგვარი ქმედებების მიმართ ტოლერანტულობის არსებობის თაობაზე.<sup>390</sup> გაურკვეველა, დააკმაყოფილა თუ არა რომელიმე გამოძიებამ ეს მოთხოვნა.

### **სასჯელადსრულების სისტემაში ძალის გამოყენების სხვა ინციდენტები**

27 მარტის ინციდენტის გარდა, 2005 წლის დეკემბრის შემდეგ კიდევ მოხდა სხვა სერიოზული შემთხვევები, როცა სასჯელაღსრულების სისტემაში ხელისუფლებამ ძალას მიმართა. როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ამ ინციდენტებს შედეგად მოჰყვა მრავალი სახის დაშავება და ერთი პატიმრის სიკვდილი. ცემის ზოგიერთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა პატიმრების ბადრაგირებისას სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში, ზოგ შემთხვევაში კი ბადრაგირების შემდეგაც, როგორც ჩანს, პატიმრებისთვის ხელისუფლების მხრიდან ძალის დემონსტრირების მიზნით. სპეცრაზმელები ასევე მიმართავდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას სავარაუდო არეულობების ჩასახშობად ან პატიმრების დასასჯელად არეულობებში სავარაუდო მონაწილეობისთვის. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სპეცრაზმელები, რომლებიც თბილისის მე-7 საპყრობილები 2006 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში მცველებად მუშაობდნენ, სისტემატურად სცემდნენ პატიმრებს და უტარებდნენ პირად ჩხრეკას გაშიშვლებით. ზოგიერთ შემთხვევაში მე-7 საპყრობილის პატიმრების მიმართ მოაწყობა წამებას უტოლდებოდა. წამების საწინაღმდეგო კონვენციის თანახმად, წევრმა სახელმწიფომ უნდა აღკვეთოს წამება და ასევე სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოაწყობა ან დასჯა და უნდა ჩატაროს დაუყოვნებელი და მიუკერძოებელი გამოძიება ყოველთვის, როცა არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოაწყობას ან დასჯას.<sup>391</sup> როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც კრძალავს წამებას, ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს, ჩატარონ პატიმრების მიმართ ყველა სერიოზული ცუდად მოაწყობის მტკიცების ეფექტური გამოძიება, რასაც შეიძლება მოჰყვეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა.<sup>392</sup>

ძალის გამოყენება პატიმრების მიმართ ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში არეულობა ქუთაისის ახალ, მე-2 საპყრობილები 2005 წლის 21 დეკემბერს მას შემდეგ დაიწყო, რაც 100 პატიმარი მიიყვანეს იქ ქუთაისის ძველი 1-ლი საპყრობილიდან. პატიმრები წვავდნენ თეორეულს, აბრახუნებდნენ კარებსა და

<sup>390</sup> ნაჩივა და სხვები ბულვარეთის წინააღმდეგ, პუნქტი 119; იხ., აგრეთვე, მაკერი გაერთიანებული სამუშაოს წინააღმდეგ, № 28883/95, ECHR 2001-III.

<sup>391</sup> წამების საწინაღმდეგო კონვენციის 1-ლი, მე-12 და მე-16 მუხლები.

<sup>392</sup> მოთხოვნები, რათა გამოძიება უფლებელი ჩათვალის, იგივეა რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლში (იხ. ზემოთ, „მე-5 საპყრობილები 27 მარტს მომხდარი ინციდენტის გამოძიება“). ევროპული სასამართლოს მერ აღმოჩნდით ფაქტები განსაკუთრებით უკავშირდებოდა მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის გამოძიებას, იხ. 381-ე სქრილით ზემოთ.

კედლებზე, ხოლო ზოგიერთ საკანში კარების ჩამოგლეჯაც კი სცადეს.<sup>393</sup> ზოგიერთი წყაროს მიხედვით, პატიმრები აპოლონიუსტების ახალ დაწესებულებაში ჯერ ჩაურთველი წყლის, ელექტროენერგიის და გათბობის უქონლობას.<sup>394</sup> სხვა წყარო იტყობინება, რომ კანონიერი ქურდების მხარდამჭერებმა წამოიწყეს არეულობა, დანარჩენი პატიმრები კი აჰყვნენ მათ სოლიდარობის ნიშნად.<sup>395</sup> შინაგან საქმეთა და ოუსტიციის სამინისტროების სპეციალური დანიშნულების რაზმებმა ჩაატარეს სპეციალური ოპერაცია არეულობისთვის ბოლოს მოღების მიზნით, რასაც შედეგად მოპყვა 29 პატიმრის და სპეციალური დანიშნულების რაზმის სამი წევრის<sup>396</sup> დაშავება და ერთი პატიმრის სიკვდილი ქუთაისის კლინიკურ სააგადმყოფოში თავის არეში ბლაგვი საგნით მიყნებული ტრავმის შედეგად.<sup>397</sup> ომბუდსმენის სამსახურის განცხადებით, სპეციაზმელები ცემდნენ ყველას ციხის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, იღებდა თუ არა პატიმარი მონაწილეობას არეულობაში.<sup>398</sup>

მომდევნო დღეებში დამატებითი პატიმრების ქუთაისის მე-2 საპყრობილები ბადრაგირებისას და ბადრაგირების შეძლევ სპეციაზმებმა კვლავ გამოიყენეს ძალა პატიმრების წინააღმდეგ,<sup>399</sup> რის შედეგადაც „დაკავებულთა დიდ ნაწილს აღენიშნებოდა სხვადასხვა სიმიმის ჭრილობები.“<sup>400</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის

<sup>393</sup> სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოთმეული სიტყვა. ინ. ასევე „არეულობა ქუთაისის ციხეში“, *Civil Georgia*, 2006 წლის 21 დეკემბერი, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11384> (მოიხსელია 2006 წლის 25 მარტს).

<sup>394</sup> „არეულობისას თბილისი ციხეში პატიმრები დაღუპნენ“, *Civil Georgia*, 2006 წლის 27 მარტი. გათხობისა და წყლის მიწოდება აღდგა ერთი დღის შემდეგ.

<sup>395</sup> ქუთაისის 1-ლი საპყრობილის დაწურვა და პატიმრების ქუთაისის მე-2 საპყრობილები და სასჯელადსრულების სხვა დაწესებულებებში გადავინა, როგორც ჩნდს, იყო კანონიერი ქურდების ავტორიტეტის აღმოფხვრის გვგმის ერთი ნაწილი – მათ გადაიყვანდნენ ახალ საპყრობილებში, რომელსაც აპსილუტურად აქონტროლებს ციხის აღმინსტრუაცია და საღაც პატიმრები ვეღარ მიღებულინ კონტრაბაზდას და შეზღუდული ენერგოდა ერთმნეობათ კავშირი. ომბუდსმენის მიერ ქუთაისის მე-2 საპყრობილის მონაცემებს დროს ზოგიერთმა პატიმარმა განცხადა: „კვახარია, რომ ბოლოს და ბოლოს გაფავისუფლებით კრიმინალური ავტორიტეტის შევავლენასგან.“ „საქართველოს ომბუდსმენი თვლის, რომ წესრიგის დამყარება სასჯელადსრულების სისტემაში მთავრობის გალა“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესრელიზი, 2005 წლის 26 დეკემბერი.

<sup>396</sup> ასევე, აგრეთვე „ომბუდსმენის რეგიონული წარმომადგენლები ამოწმებენ ციხეებს“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესრელიზი, 2006 წლის 11 იანვარი.

<sup>397</sup> მაღაზა ხ ხევიანავა, დაბადებული 1978 წელს, გარდაიცალა 2005 წლის 24 დეკემბერს. „გოჩა მეგრელიშვილის, ქუთაისის მეური რეემის დაწესებულების და მე-2 ინდალტორის დირექტორის, წერილი ირკლ ბერძელის, სასჯელადსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანაყოფის უფროსსადმი.“ „Human Rights Watch“-ის მერ მოთხოვნილი ონფორმაცია პატიმრობისას სიკვდილინობის შესახებ. წერილი ინახება „Human Rights Watch“-ის მასალებში.

<sup>398</sup> სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოთმეული სიტყვა.

<sup>399</sup> „ომბუდსმენის რეგიონული წარმომადგენლები ამოწმებენ ციხეებს“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესრელიზი.

<sup>400</sup> სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოთმეული სიტყვა. თუსტიციის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმებისაგან განსხვავდოთ, რომელიც გაწვრთნილია არან ციხეებში თარიღის გადაცემის ჩასატარებელდა, შენაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური დაცვის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმები „ასუს აგბენ დამნაშველის ნეიტრალიზაციური, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ა.შ.“ და არ არან გაწვრთნილები ციხეებში ჩასატარებელი ტერორაციული სივრცისთვის. სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“.

სპეციალური დანიშნულების რაზმები საგანგებოდ გამოიძახეს პატიმართა ბადრაგირებაში დახმარების მიზნით.<sup>401</sup> ციხის დირექტორის მოადგილის, შმაგი ფანჯავიძის, სიტყვებით, „სპეცრაზმელებს პატიმრები სხვადასხვა ციხეებიდან გადმოყავდათ ამ ციხეში. ეს არ არის ტიპიური ღონისძიება, მაგრამ გადმოსაყვანი ხალხის რაოდენობის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ მათ დახმარება ვთხოვთ.“<sup>402</sup> პატიმრებმა ასევე მოუთხრეს “Human Rights Watch”-ს, რომ მათ 2006 წლის 26 იანვარსა და 26 ოქტომბერს ჩატარებული სპეციალური ოპერაციის დროსაც სცემეს. შეურაცხოფის სამიზნები განსაკუთრებით ახლად ჩამოყვანილი პატიმრები გახდნენ. ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა:

„როცა დეკემბერში მოგვიყვანეს ქუთაისის მე-2 საპყრობილები, აქ საშინლად ციონდა. არ გვინდოდა აქ ყოფნა. ზოგიერთმა პატიმარმა დაიწყო ხმაური. მოვიდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმელები და გვცემეს. არც ვიცი, რამდენი იყვნენ. ყველა დერეფანში გაგვრევეს და გვცემეს. მე ხელკეტს მირტყმდნენ თავში, თირკმელებში, ფეხებში... მას შემდეგ ეს რეგულარულად ხდებოდა ერთი თვის ან თვენახევრის განმავლობაში. სპეციალური დანიშნულების რაზმელები გვცემდნენ. ბოლო სამი თვის განმავლობაში მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოსწორდა. ჩემს საკანში არავინ უცემიათ“.<sup>403</sup>

მეორე პატიმარმა აღწერა 2006 წლის აპრილში მისი ცემის ფაქტი:

„გაყავხართ დერეფანში, გამწკრივებენ და გცემენ მანამ, სანამ გაუძლებ. მათ ელექტრომოკინი ხელკეტები აქვთ. ისინი არა მარტო ნიღბებს ატარებენ, ზოგიერთს ჩაფხუტიც კი ახურავს. საკანში შემოდიან რაღაც ფურცლით ხელში, ვითომ და აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვიღაცას უნდა გაქცევა ან რაიმე ამდაგვარი. ამას სისტემატურად აკეთებენ, ერთ ჯერზე ერთი საკანი, რიგ-რიგობით, ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე. გაყავხართ საკნიდან, დაგამუშავებენ და დაგაბრუნებენ. შემდეგ მეორე გაყავთ. გახდილები. დიახ, ჩვენ შიშვლები ვიყავთ“.<sup>404</sup>

აი, რა მოუთხრო კიდევ ერთმა პატიმარმა “Human Rights Watch”-ს:

<sup>401</sup> სოხარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელადსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოქმული სიტყვა.

<sup>402</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ შმაგი ფანჯავიძესთან, ქუთაისის მე-2 საპყრობილის დირექტორის მოადგილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>403</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>404</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილე, 2006 წლის 20 მაისი.

„როცა ისინი მოდიან მოულოდნელი შემოწმებისთვის, რეიდზე, მოდიან ხელკეტებით და ნიღბებით ღამე და გაიძულებენ გაიხადო. ყველას სცემენ ციხეში შემოსვლის პირველივე ღამეს. მე კიდევ შემომრჩა სისხლჩაქცევა რამდენიმე თვის წინანდელი ცემისგან. როცა მოდიან, აღებენ კარს, გვიძრმანებენ გახდას და გაყავართ დერეფანში. გვისვამენ რალაც კითხვებს და თუ არ მოეწონებათ პასუხი, გვცემენ. გვეკითხებიან, რისთვის ვზივართ. მე ჰეროინისთვის ვზივარ. ამისათვის მცემეს. მკლავზე სვირინგი მაქს. ამისათვისაც მცემეს. თუ არ გაიხდი საცვალს, ამისთვისაც გცემენ. ეს მათი ჩვეულებრივი სტილია. აკეთებენ ამას და იციან, რომ არავითარი პრობლემა არ ექნებათ ჩვენი მხრიდან“.<sup>405</sup>

დეპემბრის ინციდენტის შემდეგ ერთ კვირაზე მეტი წნის განმავლობაში ადვოკატებს არ უშეებდნენ თავიანთ კლიენტებთან ქუთაისის მე-2 საპყრობილებში. პატიმრები ვერ იღებდნენ ამანათებს – ეს იყო სასჯელი არეულობაში მონაწილეობისთვის.<sup>406</sup> ქუთაისის ინციდენტების შემდეგ სასჯელაღსრულების სისტემის ათასობით პატიმარმა გამოაცხადა შიმშილობა დახმოურებით ცხრა დღის განმავლობაში. ზოგიერთ სტატიაში ეს აქცია აღიწერებოდა, როგორც პროტესტი უდიერი მოპყრობის და პატიმრობის ცუდი პირობების წინააღმდეგ.<sup>407</sup> როგორც ზოგიერთმა პატიმარმა საქართველოს ომბუდსმენის სამსახურს მოახსენა, კანონიერმა ქურდებმა და მათმა მხარდამჭერებმა ისინი აიძულეს, ეშიმშილათ.<sup>408</sup> იუსტიციის სამინისტრომ ჩაატარა გამოძიება არეულობის დაგეგმვასთან დაკავშირებით და რამდენიმე პატიმარს ბრალდება წაუყენა. საქმე ამჟამად სასამართლოში განიხილება. მიუხდავად ამისა, არც იუსტიციის სამინისტროს და არც გენერალურ პროგრამურას არ აღუძრავთ საქმე სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ ძალის გამოყენებასთან ან მალხაზ სიჭინავას დაღუპვასთან დაკავშირებით.<sup>409</sup>

ამ პერიოდის განმავლობაში ასევე ადგილი ჰქონდა ძალის გამოყენების შემთხვევებს ბათუმისა და რუსთავის ციხეებში. 2006 წლის 24 იანვარს ბათუმის ციხეში ადმინისტრაციამ პატიმრების ჩხრეკა ჩაატარა და აიძულა

<sup>405</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ პატიმართან (ანთონიმურობა დაცულია), ქუთაისის მე-2 საპყრობილები, 2006 წლის 20 მაისი.

<sup>406</sup> „საქართველოს ომბუდსმენი აგრძელებს ციხეების მონიტორინგს“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესცენტი, 2006 წლის 3 იანვრი, სოზარ სუარი, საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადმანის უფლებათა დაცვის საარალმენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოთქმული სიტყვა.

<sup>407</sup> მაგალითად, შორენა კოწოდაშვილი, „შვადი ათასი პატიმრის სიცოცხლე საფრთხის ქვეშა“ „ახალი თაობა“ № 2, 2006 წლის 1 აპრილი.

<sup>408</sup> სოზარ სუარი, საქართველოს სახალხო დაცველი (ომბუდსმენი), „სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები და მონიტორინგის შედეგები“, ადმანის უფლებათა დაცვის საარალმენტო კომიტეტის წინაშე 2006 წლის 19 მაისს წარმოთქმული სიტყვა; „საქართველოს ომბუდსმენი შეხვდა პატიმრების ნათესავებს“, საქართველოს ომბუდსმენი, პრესცენტი, 2006 წლის 4 იანვრი.

<sup>409</sup> „Human Rights Watch“-ის კომუნიკაცია ელ. ფოსტით თეა ჯალიაშვილთან, ინფორმაციისა და პოლიტიკის დეპარტამენტი, ომბუდსმენის სამსახური, 2006 წლის 21 ივნისა, ინფორმაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია ადმანის უფლებათთ ერთპელ კონვენცის მოთხოვნასთან, გამოიყენებული იქნას ძალის გამოიყენების შედეგად საკდილის ნებისმიერ შემთხვევა, და მთავრობის განსაკუთრებულ ვალიდურებულებასთან, უზრუნველყოს პატიმრობაში სიკვდილის ნებისმიერი შემთხვევას აღეკატური ასსა-განმარტება, ის. ზემოთ „მე-5 საპყრობილები 27 მარტის ინციდენტის გმოიბის“. ის. აგროვკ 381-ე სქოლით, რომელიც ეხება მე-3 მუხლის მოთხოვნის ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

ისინი, რამდენიმე საათის განმავლობაში მდგარიყვნენ გარეთ ძალიან ცივ და თოვლიან ამინდში. მათ არც შესაბამისად ჩატომის საშუალება მისცეს. პატიმრების წინააღმდეგ გამოყენებული იყო ძალა და შეურაცხმყოფელი გამოთქმები. 29 იანვარს სპეციალური დანიშნულების რაზმი და პატიმრები შეეჯახნენ ერთმანეთს რუსთავის მე-2 საპყრობილებში, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი პატიმრის და ერთი სპეციაზმელის დაშავება.<sup>410</sup>

**პატიმრების წინააღმდეგ ძალის გამოყენება თბილისის მე-7 საპყრობილების ხელისუფლებამ თბილისის მე-7 საპყრობილე გამოყო კანონიერი ქურდების დასაკავებლად. მათ შორის არიან აღრე სხვა საპყრობილებში მოთავსებული და ახლად დაპატიმრებული ქურდები. ამ საპყრობილებში ასევე მოთავსებულია პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებული ზოგიერთი პატიმარი.<sup>411</sup> მე-7 საპყრობილის პატიმრები აცხადებენ, რომ დეპებბრის აქეთ მათ ხშირად სცემენ და დამამცირებლად ეპყრობიან, რაც, ჩვეულებრივ, ხორციელდება საკნების ყოველდღიური ჩხრეკისას. ჩხრეკისას პატიმრები გაჰყავთ ციხის დერეფანში, აყენებენ პირით კედლისკენ და აიძულებენ რამდენჯერმე გახდა-ჩაცმას სავარაუდო კონტრაბანდის აღმოჩენის მიზნით. პატიმრების გადმოცემით, მათ ამ დროსაც სცემენ. “Human Rights Watch”-ის აზრით, თუ გავითვალისწინებთ ცემის სიხშირესა და სისახტიკეს, ღირსების შეღახვას, პატიმრობის საშინელ პირობებთან და უფლებების ფართოდ გავრცელებულ შეზღუდვასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ პატიმრების მიმართ მოპყრობა მე-7 საპყრობილების წამებას უტოლდება.**

პატიმრებმა “Human Rights Watch”-ს აღუწერეს ინსპექტირების პროცესი და ამ პროცესში მათ მიმართ მოპყრობის ფორმა. „ინსპექტირებისას პირით კედლისკენ გვაყენებენ და ხელებს თავს ზემოთ კედლზე გვაყრდნობინებენ. ხშირად გვცემენ. თუმცა მე ყოველდღე არ მცემენ, არიან პატიმრები, რომელსაც ყოველდღე უწევთ ეს,“ - თქვა ერთ-ერთმა პატიმარმა.<sup>412</sup> მეორემ განაცხადა: „თუ ჩხრეკისას ჩნდება რაიმე პრობლემა, მაშინ მცემენ გვაიძულებენ, რამდენჯერმე გავიხადოთ და ჩავიცვათ. ეს შეიძლება დღეში ხუთჯერ, ხან ათჯერაც მოხდეს.“<sup>413</sup> კიდევ ერთმა კი მორჩილად თქვა: „ბოლოს მე სერიოზულად (და არა რამდენიმეჯერ წამორტყმით) მცემეს 20 დღის წინ. ზედამხედველებმა მითხრეს: „გაიხადე ტანსაცმლი, ჩაიკუზე. კარგი, ადექტი, ჩაიცვი.“ შემდეგ ისევ: „გაიხადე, ჩაიკუზე“ და ა.შ. ისევ და ისევ. ბოლოს

<sup>410</sup> „პატიმარი და პოლიციელი დაშავნენ არეულობისას ციხეში“, *Civil Georgia*, თბილისი, 2006 წლის 30 იანვრი.

<sup>411</sup> მაგალითად, ვლადიმერ არუთენანი, რომელსაც მისჯილი აქვს სამუდამი პატიმრობა 2005 წლის მაისში აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, მკლელობის მცდელობისთვის, მთავარისტულის მე-7 საყრიძოების იზოლირებულ საკაშო. პოლიციელები, რომელსაც ბრალად დღისათ სანდრო გირგვლანის, გაერთიანებული ქართული ბანკის სერთოშორისი უზიერთობების დეპარტამენტის უფროსის, 2006 წლის თბერივალში შეკვლეულია ძღვიან წინააღმდეგობრივ გარემოებებში, სასამრთლოს მოლოდიში ასევე მთავარებული არიან თბილისის მე-7 საპყრობილების. ამ საჭირო ინფრასტრუქტურის მისაღებად ის. პოლ რიმფლი, „საქართველო: მევლელობის შემთხვევასთან დაკავშირებით გამოტოვილი ვერდიქტი წინააღმდეგობრივია“, *EurasiaNet*, 2006 წლის 7 ივლისი.

<sup>412</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილების 2006 წლის 19 მაისი.

<sup>413</sup> „Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილების 2006 წლის 19 მაისი.

ვუთხარი, თუ გინდათ ჩემი ცემა, მცემეთ-მეთქი. მათ უბრალოდ ჩვენი დამცირება და პროვოკაციის გამოწვევა უნდათ. გვცემენ, როცა კი გაუხარდებათ. არა აქვს მნიშვნელობა, თქვენთან ვილაპარაკებთ თუ არა.“<sup>414</sup>

პატიმრების სიტყვებით, მათ განსაკუთრებით სასტიკი მოპერობა განიცადეს რამდენიმე თვის წინ. ერთმა თქვა: „სამი თვეა, აქ ვარ და ყოველდღე მცემებ. ხელკეტებს მირტყამენ. ბოლო ორი თვის მანძილზე არ ვუცემივარ. სიამოვნებით გვცემდნენ ყველას დღეში ორჯერ ან სამჯერაც კი.“<sup>415</sup> მეორემ “Human Rights Watch”-ს მოუთხრო: „ადრე უარესად ვიყავი. ამ თვეში არა მიშავს. ადრე ყოველდღე მცემდნენ. კინაღამ მოვკვდი. ცემის ხმები მეზობელი საკიდანაც ყოველ დღით ისმის.“<sup>416</sup> მან განაგრძო: „ორი თვის წინ გამიყვანეს ამ საკიდან და სასტიკად მცემეს. ისინი ნიღბებში იყვნენ. არ ვიცი, რატომ. მათ არაფერი უთქვამთ, უბრალოდ მირტყამდნენ. ათნი იყვნენ. მერე უქიმის კაბინეტში ამიყვანეს. მე უავე დაკარგული მქონდა გონება.“<sup>417</sup> ერთ-ერთმა ადვოკატმა “Human Rights Watch”-ს განუცხადა, რომ მის კლიენტს რეგლარულად სცემდნენ. კლიენტს ადვოკატისთვის უთქვამს: „მე-7 საპყრობილები დამით მცემდნენ ხოლმე. ზოგჯერ ჩემსავე საკანში. თებერვალში ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მირტყამდნენ.“<sup>418</sup>

როგორც სხვებმა განაცხადეს, ელემტნტარულ თხოვნებს ციხის საპყრობილის თანამშრომელთა საპასუხო მოქმედებები მოჰყვება ხოლმე. „თუ მოითხოვ წამალს, ადვოკატს, აუცილებლად გცემენ,“ – უთხრა ერთმა დაკავებულმა “Human Rights Watch”-ს.<sup>419</sup> ერთ-ერთმა ადვოკატმა იგივე განაცხადა. მისი კლიენტის სიტყვებით, „ძალიან ხშირად გვცემენ. ეს ხდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით გარკვეული პერიოდების განმავლობაში. ამის საფუძველი ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს. შეიძლება ვიღაც ავად გახდეს და თხოვოს ექიმის დახმარება, ან ვინმებ მოითხოვოს წამალი – ყველაფერი ეს შეიძლება ცემის საბაზი გახდეს.“<sup>420</sup> მეორე ადვოკატმა “Human Rights Watch”-ს უთხრა, რომ მისი ერთ-ერთი კლიენტის სიტყვებით, „პატიმრები ითხოვენ ექიმს ან წამლებს და ზედამხედველებისგან აასუხად იღებენ: „მე ვარ შენი ექიმი, შენი წამალიც მე ვარ,“ – და სცემენ მათ.“<sup>421</sup>

<sup>414</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>415</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>416</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>417</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>418</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გელა ნიკოლაშვილთან, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

<sup>419</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ პატიმართან (ანონიმურობა დაცულია), თბილისის მე-7 საპყრობილე, 2006 წლის 19 მაისი.

<sup>420</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>421</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გელა ნიკოლაშვილთან, თბილისი, 2006 წლის 23 მაისი.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, მათ უნახავთ ამგვარი მოპყრობის ნაკვალევი თავიანთ კლიენტებთან მე-7 საყრობილეში შეხვედრისას. „ერთ ჩემს კლიენტზე ვნახე სერიოზული ნაკვალევი ყურის არეში. ეს იყო რაღაც მუქი ყვითელი წრე. ვფიქრობ, რომ ეს სისხლჩაქცევა იყო.“<sup>422</sup> მეორე ადვოკატმაც დაადასტურა: „მე შეგმოწმებ ჩემი კლიენტები. ერთის სხეულზე დიდი სისხლჩაქცევები აღმოვაჩინე.“<sup>423</sup> მისი სიტყვებით, ერთხელ მასთან შეხვედრაზე ნაცემი პატიმარი მოიყვანეს. მან ასე აღუწერა ინციდენტი „Human Rights Watch“-ს:

„ჩემს თვალწინ სცემეს მე-7 საპყრობილეში. შევედი შენობაში და ყვირილის ხმა მომესმა. ეს მოხდა 15 იანვარს. მათ პატიმარი ჩემთან შესახვედრად უნდა მოეყვანათ. ის დერეფანში იყო. ციხის ორი ნიღბადან თანამშრომელი სცემდა მას. საქმე ის არის, რომ პატიმრის ადვოკატთან მიყვანამდე მას ჩხრეკენ და ახდევინებენ ტანსაცმელს. პატიმარი აბსოლუტურად შიშველია. ეს დამამცირებელია. შეხვედრის შემდეგ მას კვლავ ახდევინებენ ტანსაცმელს. ჩემმა კლიენტმა პროტესტი გამოთქვა გაშიშვლებასთან დაკავშირებით და იმიტომაც მოხვდა ამდენი მუშტი.“<sup>424</sup>

**ციხის თანამშრომლებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების წევრთა დაუსჯელობა პატიმართა უფლებების დარღვევისთვის**  
 მრავალი დაბრკოლება არსებობს პატიმრების მიმართ შეურაცხმყოფელი მოქმედების ეფექტური გამოძიებისა და დარღვევათა ჩამდენების სამართალში მიცემისთვის; ამ დაბრკოლებებს შორის არის საპატიმროთა ადამინისტრაციის უშუალო ჩარევა და ის ფაქტი, რომ ციხის თანამშრომლები და სპეციალური დანიშნულების რაზმების წევრები არ ატარებენ საიდენტიფიკაციო ნიშნებს. ადვოკატებმა სცადეს სამართლებრივი საშუალებების გამოყენება, რათა დახმარებოლენენ მე-7 საპყრობილეში მოთავსებულ თავიანთ კლიენტებს, რომლებიც ცუდი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ. ერთ-ერთმა ადვოკატმა „Human Rights Watch“-ს მოუთხრო: „მე შევიტანე საჩივარი და მოვითხოვე გამოძიება. ამის შემდეგ ჩატარდა რაღაც ჩხრეკის მაგვარი, ხოლო შემდეგ ჩემმა კლიენტებმა მითხრეს, რომ ციხის ადმინისტრაციის რომელიდაც წარმომადგენელს გაუფრთხილება ისნი: „თუ ვინმეს ეტყვით რაიმეს, უარესი დაგემართებათ.“ საქმე ჩემი კლიენტების სახელით აღვარი – ფაქტი არ დადასტურდა. მივიღე პასუხი: „ჩვენ შევამოწმეთ და პატიმრებს არა აქვთ არავითარი პრეტენზია ციხის ადმინისტრაციის მიმართ.“ სხვა პატიმრებმა მოითხოვეს სასამართლო ექსპერტიზა. ერთ-ერთი სასამართლო ექსპერტი არ შეუშვეს ციხეში. ვერც ერთმა ადვოკატმა ვერ მოახერხა სასამართლო

<sup>422</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>423</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ლალი აუციაურთან, თბილისი, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>424</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ლალი აუციაურთან, თბილისი, 2006 წლის 17 მაისი.

ექსპერტიზის ჩატარების ნებართვის მიღება, მიუხედავად მოთხოვნისა.“<sup>425</sup>  
მეორე ადვოკატმაც იგივე დაადასტურა: „ვითხოვდი სასამართლო  
ექსპერტიზას, მაგრამ ექსპერტებს არ უშვებენ ციხეში.“<sup>426</sup>

მნიშვნელოვან ბარიერს ზემოთ აღწერილი შეურაცხმყოფელი ქმედებების გამოძიებისთვის ქმნის სპეციაზმელებში ვიზუალური ამოსაცნობი ნიშნების უქონლობა, რაც შეუძლებელს ხდის დარღვევის ჩამდენის დადგენას. 2005 წლის დეკემბრიდან ზედამხედველობას თბილისის მე-7 საპყრობილები ძირითადად სპეციაზმელები ახორციელებენ. როგორც წესი, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები ატარებენ ნიღბებს და ფორმებზე არა აქვთ დატანლი არც გვარები და არც ამოსაცნობი ნომრები. სპეციაზმელების ვინაობა ისეა გასაიდუმლობული, რომ მთავრობის წარმომადგენლებიც კი საგანგებოდ აღნიშნავენ მათ აბსოლუტურ ანონიმურობას. მე-5 საპყრობილის დირექტორმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა 27 მარტის მოვლენებში, განუცხადა “Human Rights Watch”-ს: „ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ორგანოების სპეციალური დანიშნულების რაზმები. ყველას ნიღბაზე ეკეთა. შეუძლებელი იყო დადგენა, რომელ ორგანოს ეკუთხნოდნენ ისინი.“<sup>427</sup> მისმა მოაღვილემ, რომელიც ასევე იღებდა მონაწილეობას ოპერაციაში, გვითხრა: „სპეციალური დანიშნულების რაზმების ყველა წევრს ერთნაირი ფორმა აცვია და ნიღბაზე უკეთია. მე ვერ ვიტყვი, რომელ უწყებას ეკუთვნიან ისინი.“<sup>428</sup> კანონი არ მოითხოვს არც სპეციაზმელებისგან და არც ციხის ჩვეულებრივი დაცვისგან ამოსაცნობი ნიშნების ტარებას.<sup>429</sup>

საპატიმროებში გამოძიების წარმოების და შეურაცხმყოფელი ქმედებებისთვის სამართალში მიცემის სირთულე უფრო ფართო პრობლემის ნაწილს წარმოადგენს. ეს პრობლემა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, კერძოდ, პოლიციელების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების დაუსჯელობაა, აღნიშნავენ “Human Rights Watch”-ი, „საერთაშორისო ამნისტია“ და სხვა ორგანიზაციები.<sup>430</sup> საქართველოს

<sup>425</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ეკა ბესელიასთან, თბილისი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>426</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ ლალი აუციაურთან, თბილისი, 2006 წლის 17 მაისი.

<sup>427</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ გორგი ფოლოდაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსი, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>428</sup> “Human Rights Watch”-ის ინტერვიუ სტეფანე ოზაშვილთან, თბილისის მე-5 საპყრობილის უფროსის მოაღვილე, 2006 წლის 16 მაისი.

<sup>429</sup> ციხის დაცვის ფორმასთან დაკავშირებით: „სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოსამსახურე ატრიქს სამსახურებრივ ფორმას; მოსამსახურის სამსახურებრივი ფორმის ატრიქტულიყას ატტაქტებს საქართველოს პრეზიდენტი“ საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, 2006 წლის 1 ივნისის შესწორებებით, მე-14 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>430</sup> იხ. “Human Rights Watch”-ი, „საქართველო: წამების გაურკვევლი რეფორმა,“ “Human Rights Watch”-ის პრიფიგი, 2005 წლის 12 აპრილი, <http://hrw.org/backgrounder/eca/georgia0405/>; „რეფორმის დღის წერივი: ადამიანის უფლებათ დაცვის პრიორიტეტები ქართული რევოლუციის შემდეგ,“ “Human Rights Watch”-ის პრიფიგი, 2004 წლის 24 ოქტომბერი, <http://hrw.org/english/docs/2004/02/24/georgi7650.htm> და „საერთაშორისო ამნისტია“, „წამება და ცუდად მოცერობა. კლავ პრობლემაა ვარდების რევოლუციის შემდეგ,“ AI ინდექსი: 56/001/2005, 2005 წლის 23 ნოემბერი, <http://web.amnesty.org/library/index/engueur560012005>. გენერალური პროცერატურის მიერ 2006 წლის მაისში “Human Rights Watch”-ისთვის მოწოდებული

ხელისუფლება ხშირად არ აღიარებდა ამ კრიტიკას, ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი იქამდე მივიდა, რომ არასწორი განცხადება გააკეთა, თითქოსდა “Human Rights Watch”-ი აღარ მიიჩნევდა წამებას ან დაუსჯელობას პრობლემად საქართველოში. 2005 წლის ნოემბრის გამოსვლაში პრეზიდენტმა განაცხადა: „საქართველოში იყო შექმნილი სტერეოტიპი, რომ აქ ხალხს აწამებენ, მაგრამ დღეს უკვე არსებობს „საერთაშორისო ამნისტიისა“ და “Human Rights Watch”-ის გამოკვლევები, რომლებშიც ნათქვამია, რომ საქართველოში წამების არც ერთი ფაქტი აღარ ფიქსირდება. „<sup>431</sup> 2006 წლის მაისში საქართველოში არსებული მდგომარეობის განხილვის დროს გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა რამდენჯერმე გამოთქვა თავისი აზრი დაუსჯელობის არსებულ პრობლემაზე: „კომიტეტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ, სერიოზული საკანონმდებლო რეფორმების მიუხედავად, წევრ სახელმწიფოში კვლავაც არსებობს დაუსჯელობა და დაშინება, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ გადამეტებული ძალის, მათ შორის წამებისა და ცუდად მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დაპატიმრებამდე და დაპატიმრების პროცესში, ციხეებში მომზდარი არეულობებისას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.“<sup>432</sup> კომიტეტმა ასევე გამოხატა თავისი შეშფოთება „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელებზე სავარაუდო წამების და სხვა სასტიკი და არაადამიანური თუ დირსების შემლახველი მოპყრობისთვის მსჯავრდებებისა და დისციპლინარული ზომების შედარებით დაბალი მაჩვენებლის გამო, ისევე, როგორც ამგვარი შემთხვევების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის

ინფორმაციას თანახმად, 2004-2005 წლებში გენერალურმა პროკურატურამ წამოიწყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადებით წამებისა და ცუდად მოპყრობის საკარაულო დანაშაულის 156 შემთხვევის გამოიძება. სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია იქნა მნილობრივ 23 საქეზე. პირველი განჩქინი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელის მიართ, რომელიც დაკავშირებული იყო პატიმრის წამებისა და ცუდად მოპყრობასთან გამოტნილი იქნა. 2005 წლის ნოემბერში, მძიმდ სამრთლელმატაფი ინგრედიენტის 14 თანამშრომელი იხდის სასჯელის წამებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. საქართველოს გენერალური პროკურატურა, „ანგარიში საქართველოში აღამანის უფლებების შესახებ“ წამება და ცუდად მოპყრობა, რელიგიის თავისუფლება და ტრუფიკიგა“. <sup>433</sup>

<sup>431</sup> „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო ფორუმი „ევროპის გათავისუფლების ახალი ტალღა, დემოკრატია და ტრანსფორმაცია“ გახსნა,“ 2005 წლის 22 ნოემბრი, <http://www.president.gov.ge/?!-E&m=0&sm=3&id=1037> (მოძიებულია 2006 წლის 6 მარტს).

<sup>432</sup> კომიტეტის რეკომენდაცია: „სახელმწიფოთ უფრო მეტი პრიორიტეტი უნდა მანიფიროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ცოდნის გავრცელებას და უზრუნველყოს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შეუშავება და განხილურებების პოლიტიკის იქრანქის კვლა დანებზე და ასევე სასკოლას სრულებრივი დაწესებულებების თანამშრომლების შორის. მგებარი პოლიტიკა გამოიყვანის პრიორებში, ჩართავების ქცევის ქვედა თანამშრომლებისთვის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის წინამდებარების მდგრადი მოძრაობისთვის, და დამკიცდების რეალურულ მონიტორინგს დამოუკიდებელი მაკიტროლებული ორგანოს მნილობრივი ანგარიშების განხილვა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკნები და რეკომენდაციები, საქართველოს რესპუბლიკა“, მე-9 პუნქტი.

ნაკლებობა,“<sup>433</sup> და მიუთითა განსაკუთრებულ პრობლემაზე – სპეციალური დანიშნულების რაზმების წევრთა ამოცნობის შეუძლებლობაზე.<sup>434</sup>

2005 წლის შუა პერიოდში ხელისუფლებამ განახორციელა საკანონმდებლო რეფორმები, როგორც ჩანს, საერთაშორისო კრიტიკის საპასუხოდ და წამებისა და დაუსჯელობის საწინააღმდევო ზომების მისაღებად. ამ რეფორმებში შედიოდა მონიტორინგის სისტემა პოლიციის განყოფილებებისთვის ომბუდსმენის სამსახურის ფარგლებში, მოთხოვნა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ატარონ საიდენტიფიკაციო ნიშნები და მოთხოვნა, რომ საპროცესო გარიგების დამტკიცებამდე სასამართლო დარწმუნდეს, რომ შეთანხმება მიღწეულია საკუთარი წებით, ძალადობის და ძალდატანების გარეშე, და რომ პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ბრალდებულის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა. მიუხედავად ამისა, ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ გამოძიების ხარისხი კვლავაც დაბალია. ლევან რამიშვილის („თავისუფლების ინსტიტუტი“) სიტყვებით: „რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა საქმეების გამოძიებას და მათ დასჯას, ზოგჯერ მათ მსჯავრს სდებენ, მაგრამ უფრო ხშირად პროკურატურა აცხადებს, რომ წარმოებს გამოძიება, და ეს გამოძიება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მიმდინარეობს.“<sup>435</sup> 2006 წლის დასაწყისში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ გამოწვეული სიკვდილის, დაშავების და სხვა ცუდად მოპყრობისა და შესაძლო წამების შემთხვევების გამოძიების ნაკლებობა ასევე მიგვითოთებს, რომ ხელისუფლება სრულად არ კისრულობს ვალდებულებას მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და დაუსჯელობის კლიმატის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

<sup>433</sup> კომიტეტის რეკომენდაცია: „მინაწილე სახელმწიფომ უნდა განვითაროს გამოძიების შესაძლებლობები, მათ შორის გენტალურ პროცესუაში, რათა სწრაფად და საუფექლიანად გამოიყენოს წამებისა და ცუდად მოპყრობის შესახებ ცველა საჩივარი; მონაცემები სასკოლებსა და დისკაბლინურ ზომებზე რეგულარულად უნდა ქვემდებოდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოაღლოებისთვის.“ გაერთ-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წვრილი სახელმწიფოების მიერ კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, წამების საწინააღმდევო კომიტეტის დასკრინიზაციის და რეკომენდაციები, საქართველოს რესპუბლიკა,“ მე-9 პუნქტი.

<sup>434</sup> „კომიტეტი შემუშავებული პატიმრებისგან მიღებული საჩივარების დღიდ რაოდნებით და ასევე ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი ატარებენ ნიღებს რედების დროს და არა აქვთ საიდენტიფიკაციო სამკერდე ნიშნები, რაც შეუძლებელს ხდის მათ ამოცნობას, თუ პატიმრი საჩივარს შეიტანს წამებისა თუ ცველად მოჰყორის შესახებ. წევრის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ცველა თანამშრომელსა და სპეციალური დანიშნულების ძალების ცველა წარმომადგენელს მუდმივად გაეთია სადენტიფიკაციო სამკერდე ნიშნები, რაც მაზნად ისახავს პატიმრების დაცვას კონვენციის დაზღვევად შესაცხელი მოქმედებისგან.“ გაერთ-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „წვრილი სახელმწიფოების მიერ კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, წამების საწინააღმდევო კომიტეტის დასკრინიზაციები, საქართველოს რესპუბლიკა,“ მე-16 პუნქტი.

<sup>435</sup> „Human Rights Watch“-ის ინტერვიუ ლევან რამიშვილთან, თავისუფლების ინსტიტუტი აღმასრულებელ დირექტორი, თბილისი, 2005 წლის II მაისი.

## რეკომენდაციები

### საქართველოს ხელისუფლებას

- განხორციელდეს გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია კომიტეტის 2006 წლის 10 მაისის „დასკვნებსა და რეკომენდაციებში“.
- განხორციელდეს წამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილ, 2003 წლის 18-28 ნოემბრისა და 2004 წლის 7-14 მაისის ვიზიტების შემდეგ მომზადებულ ანგარიშში.
- დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს მთავრობის პასუხი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშზე, რომელიც კომიტეტის 2003 წლის 18-28 ნოემბერსა და 2004 წლის 7-14 მაისს საქართველოში ვიზიტების შემდეგ მომზადდა.
- შესრულდეს წამების საკითხებში გაერო-ს საგანგებო მომხსენებლის 2005 წლის სექტემბრის ანგარიშში (რომელიც საქართველოში 2005 წლის მაისში მისი ვიზიტის შემდეგ გამოქვეყნდა) მოცემული რეკომენდაციები.
- აქტიურად დაინერგოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის № (2006) 2 რეკომენდაციის შესაბამისად გადასინჯული ევროპის პენიტენციური წესები.
- ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა, მათ შორის პრეზიდენტმა მიხეილ საპატარიშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ საჯაროდ გამოაცხადონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან წამებისა და ძალადობრივი მოპყრობისადმი სრული შეურიგებლობის პოლიტიკა.
- შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოიძებო უწყება თბილისის მე-5 საპყრობილები 27 მარტის ინციდენტში ძალის გადაჭარბებული გამოყენების ბრალდებების შესასწავლად. საგამოიძებო უწყება უნდა იყოს დამოუკიდებელი და აღჭურვილი უფლებამოსილებით, ძოითხოვოს თანამშრომლობა ყველა იმ უწყებისგან, რომელიც ამ ინციდენტის აღმოფხვრაში მონაწილეობდა; მან, აგრეთვე, უნდა შეამოწმოს, დაგეგმილი იყო თუ არა ოპერაცია სასიკვდილო და სხვა გადამეტებული ფიზიკური ძალის მინიმუმამდე შესამცირებლად.
- მიღებული იქნეს კანონი, რომელიც დაავალდებულებს ყველა სამართალდამცავს, მათ შორის სპეციალურებსა და ციხის დაცვის სამსახურის თანამშრომლებს, ეკეთოს საიდენტიფიკაციო ნიშანი; სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომელს მიეცეს ფორმები და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნები.
- უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო ჩანაწერების წარმოება, რათა მოხერხდეს სწრაფად დადგენა იმისა, თუ რომელი თანამშრომლები მორიგეობენ ციხეებში და რომლები მონაწილეობენ დაკითხვებში, გამოძიებასა თუ უსაფრთხოების ოპერაციებში.

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრობის შესახებ ახალი კანონი, რომელიც პარლამენტს 2006 წლის ნოემბერში წარედგინება, ითვალისწინებდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის უფლებას, რეგულარულად ჰქონდეს პატიმრის კონტაქტს გარე სამყაროსთან, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს. გაუქმდეს გამომძიებლისგან, პროცესორისა თუ მოსამართლისგან ასეთ პაემანზე ნებართვის აღების ნებისმიერი მოთხოვნა.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრობის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებდეს პატიმრებთან ოჯახის წევრების რეგულარულ პაემნებს, ხანგრძლივი პაემნების ჩათვლით, გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობის სახელმძღვანელო პრინციპის შესაბამისად; ოჯახთან პაემნების რაოდენობა განისაზღვროს ინდივიდუალური მიღების და არა რეჟიმის საფუძველზე. შეზღუდვები უნდა წესდებოდეს მხოლოდ უსაფრთხოების მპაციი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრობის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის უფლებას, იმუშაოს, მიიღოს განათლება ან ჩაერთოს სხვა სასარგებლო საქმიანობაში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრობის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებდეს პატიმრის უფლებას, წარადგინოს კონფიდენციალური საჩივარი; ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ციხის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა იცოდეს ამ უფლების შესახებ და არ შეუშალოს ხელი ასეთი საჩივრის წარდგენას.
- ახალი ციხეების მშენებლობა არ უნდა გახდეს პატიმართა არსებული პრობლემების უგულებელყოფის მიზეზი.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნეს ცვლილებები, რათა გათვალისწინებული იყოს წინასწარი პატიმრობის სხვა აღტერნატიული აღმკეთი ღონისძიებები. უზრუნველყოფილი იქნეს, რომ გენერალურმა პროცესურამ აღმკეთის ღონისძიების სახით წინასწარ პატიმრობას მიმართოს როგორც გამონაკლის ზომას და არა როგორც ნორმას. წინასწარი პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარა საფრთხე ემუქრება უსაფრთხოების დაცვას და მართლმაჯულების აღსრულებას.
- მიღებული იქნეს კანონი ციხეებში ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაერთ-ს ძირითად პრინციპებთან; საჯელალსრულების დეპარტამენტის, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს ჩაუტარდეს ტრენინგი ციხეებში ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ევროპის საბჭოს, სხვა საერთაშორისო ექსპერტების, ადვილიბრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციებს პატიმრობის შესახებ კანონში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, პრობაციის შესახებ კანონსა და სხვა შესაბამის კანონებში ცვლილებებთან დაკავშირებით.

- საჯაროდ ხელი შეეწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების და ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლების ციხებში რეგულარულ ვიზიტებს იქ არსებული პირობებისა და პატიმრებისადმი მოპყრობის მონიტორინგის მიზნით.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღიჭურვოს საკმარისი რესურსებით, რათა 2006 წლის სექტემბერში პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციის იუსტიციის სამინისტროდან მის დაქვემდებარებაში გადასვლამ უარყოფითად არ იმოქმედოს პატიმართა სამედიცინო მომსახურებაზე.
- დახმარება გაეწიოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელადსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტებს, რათა განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული რეკომენდაციები.

### **გენერალურ პროკურატურას**

- დაწყებული იქნეს 2006 წლის 27 მარტს სპეცრაზმის მიერ მე-5 საპყრობილები ძალის გამოყენების შედეგად შვიდი პატიმრის დაღუპვის ფაქტის გამოძიება, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს.
- დაწყებული იქნეს 2005 წლის 24 დეკემბერს სპეცრაზმის მიერ ქუთაისის მე-2 საპყრობილები ძალის გამოყენების შედეგად მალხაზ სირგინაგას დაღუპვის ფაქტის გამოძიება, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს.
- დაწყებული იქნეს 2005 წლის დეკემბერსა და მომდევნო თვეებში ქუთაისის მე-2 საპყრობილები და თბილისის მე-7 საპყრობილები ცუდად მოპყრობის ბრალდებების გამოძიება, როგორც ამას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს.
- წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდეს მსუბუქ დანაშაულები ეჭმიტანილი ყველა პირი და უზრუნველყოფილი იქნეს ეფექტური და ხელმისაწვდომი არასაპატიმრო აღტერნატიული აღკვეთის ღონისძიებანი სასამართლოს მომქმნელი ბრალდებულთათვის; წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებაზე უარი უნდა ითქვას ისეთი ფაქტორების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, როგორებიცაა გაქცევის რისკი, მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შექმლა ან საზოგადოებრივი წესრიგისა თუ უსაფრთხოებისთვის რაიმე სხვა კონკრეტული საფრთხის არსებობა. წინასწარი პატიმრობის ყველა შემთხვევა რაც შეიძლება მოკლე ვადით უნდა განისაზღვროს და მისი გადასინჯვა რეგულარულად უნდა ხდებოდეს.
- გათავისუფლდეს ყველა ბაგში წინასწარი პატიმრობიდან და არასრულწლოვანის წინასწარი პატიმრობა მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით იქნეს გამოყენებული.

### **იუსტიციის სამინისტროს**

- დაკონკრეტული იუსტიციის მინისტრის № 620 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები პატიმართა მიერ საჩივრების შეტანის მქანიზმებთან დაკავშირებით, რათა პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო

უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის კონფიდენციალური საჩივრის წარდგენის უფლება.

- უზრუნველყოფილი იქნეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტებს შორის კოორდინაცია, რათა რეგულარულად მოხდეს პატიმრების ვადამდე პირობითი გათავისუფლება.

#### **პენიტენციური სისტემის მონიტორინგი**

• უზრუნველყოფილი იქნეს მონიტორინგის ისეთი ეროვნული სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს წამების და სხვა სასტიკა, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპერობისა თუ დასჯის გაერო-ს კონვენციის ჟაკულტატური ოქმის მოთხოვნებს.

- უზრუნველყოფილი იქნეს მონიტორინგის კომისიების შექმნა პენიტენციური სისტემის თექვსმეტივე დაწესებულებაში.

• უზრუნველყოფილი იქნეს მონიტორინგის ეროვნულ უწყებაში და თითოეული პენიტენციური დაწესებულებისთვის შექმნილ მონიტორინგის კომისიებში დამკვირვებლების შერჩევის გამჭვირვალე პროცესი მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

• ყველა დამკვირვებელს მიეცეს უფლება, ნებისმიერ დროს გაუფრთხილებლად შევიდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნებისმიერ დაწესებულებაში და პირადად შეხვდეს პატიმარს.

• სწრაფად და თანმიმდევრულად იქნეს გათვალისწინებული მონიტორინგის უწყებების რეკომენდაციები.

• სათანადო დროის განმავლობაში წერილობით გაეცეს პასუხი მონიტორინგის უწყებების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

#### **იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა მიღება**

• უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრებმა წერილობითი ფორმით შეიტყონ მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და ჰქონდეთ ამ დოკუმენტის ასლის შენახვის უფლება.

• დაწესდეს პატიმართა მიღების საერთო პროცედურა და დოკუმენტები, რომლებიც გამოყენებული იქნება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში.

• უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებამ აღრიცხოს შემოსული პატიმრის ტრავმები და სათანადო რეაგირება მოახდინოს ძალადობის ყველა საეჭვო შემთხვევაზე.

• უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პენიტენციური სისტემის ყველა დაწესებულებას ჰქონდეს ცენტრალიზებულ კომპიუტერულ სისტემასთან მიერთებული კომპიუტერი და შეიქმნას პატიმრების მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა.

- უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისა და მსჯავრდებული პატიმრების ცალ-ცალკე მოთავსება.

#### **გადატვირთულობა**

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმართა რაოდენობა არ აღემატებოდეს დაწესებულებაში ადგილების ოფიციალურ რაოდენობას.
- საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად ჩატარდეს პენიტენციური სისტემის მოცულობის სრულფასოვანი შემოწება, რათა დადგინდეს ადგილთა ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება სივრცის, განათებისა და განაცხების საერთაშორისო სტანდარტებს.
- გადატვირთული დაწესებულებებიდან პატიმრები გადაყვანილნი იქნენ ნაკლებად გადატვირთულ დაწესებულებებში და, ამავდროულად, გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აღვოკატთან, ოჯახთან და სასამართლოსთან სიახლოებები.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ყველა პატიმარს, გამონაკლისის გარეშე, ჰქონდეს საკუთარი საწოლი.

#### **ადვოკატთან ურთიერთობა**

- უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრის უფლება, შეხვდეს თავის ადვოკატს და ჰქონდეს მასთან კონფიდენციალური მიმოწერა; ადვოკატთან პატიმრის შეხვედრის დროს არც დაცვის სამსახურის, არც სხვა თანამშრომელი არ უნდა იმყოფებოდეს ისეთ მანძილზე, რომ შეეძლოს მათი საუბრის მოსმენა.

#### **პატიმარი ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან**

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ოჯახის წევრებმა და ახლო მეგობრებმა პატიმარი მოინახულონ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას კანონი ითვალისწინებს.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმარს შეეძლოს ოჯახთან კომუნიკაცია, მიეწოდოს მას ქაღალდი და საწერი საშუალებები და წელი არ შეეშალოს წერილის გაგზავნაში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან პატიმართა მიმოწერის საფოსტო ხარჯები გადაიხადოს სასჯელადსრულების დეპარტამენტმა, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ პატიმრები მიიღებენ შემოსავალს სამუშაო პროგრამების მეშვეობით.

#### **გასეირნების უზრუნველყოფა**

- სასწრაფოდ გაუქმდეს მე-7 საპყრობილის პატიმრების გასეირნებაზე დაწესებული აქრძალვა.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ყველა პატიმარს, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, ჰქონდეს დღეში, სულ მცირე, ერთსაათიანი გასეირნების უფლება, როდესაც ამინდი ამის საშუალებას იძლევა; ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, მათ შორის დასჯის მიზნითაც.

### **პერანგი**

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ციხის ადმინისტრაციამ თითოეულ პატიმარს მისცეს საკმარისი წყალი და სათანადო თვისებებისა და კალორიულობის საკვები.
- სანამ ციხის ადმინისტრაცია ასეთი საკვებით უზრუნველყოფას შეძლებს, პატიმრებს მიეცეთ წება, მიიღონ სხვადასხვა არამაღლუჭქებადი საკვების შემცველი ამანათები.

### **პივიენა**

- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა პატიმარი პივიენის მირითადი საგნებით, მათ შორის საბნით, კბილის ჯაგრისით, კბილის პასტით, სავარცხლით, საპარსით და სხვა საგნებით; არასდროს ჩამოერთვათ ეს ნივთები დასჯის მიზნით.
- მიეცეთ პატიმრებს შხაპის მიღების შესაძლებლობა მინიმუმ კვირაში ერთხელ.
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა პატიმარი, მათ შორის კარცერში ან იზოლატორში მყოფი, სუფთა ლეიიბით, თეთრულით და საბნით.

### **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

- მიეცეთ პატიმრებს, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, ინფორმაციის რეგულარულად მიღების საშუალება გაზეთების და, როცა შესაძლებელია, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით.

### **სასარგებლო საქმიანობა**

- პატიმრობის უმთავრესი ამოცანა პატიმართა გამოსწორება და სოციალური ადაპტაცია გახდეს. მიეცეთ პატიმრებს, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, სასარგებლო საქმიანობით, მათ შორის შრომითა და განათლებით, დაკავშირებით.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ქალებს მიეცეთ დასაქმებისა და განათლების თანაბარი შესაძლებლობები და არ შეიზღუდონ ისეთი საქმიანობით, რომელიც „ქალისათვის შესაფერის საქმიანობად“ ითვლება.
- სასწრაფოდ განხორციელდეს განათლების პროგრამა წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანებისთვის.

### **საჩივრის შეტანის მუქანიზმი**

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრებმა შეძლონ კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნა სახელმწიფო უწყებებისთვის და სხვა ორგანიზაციებისთვის; მიეწოდოთ მათ ქაღალდი და საწერი საშუალებები და არ შეეშალოთ ხელი წერილის გაგზავნაში.

### **თბილისის მე-5 საპყრობილება**

- დაუყოვნებლივ შეწყდეს თბილისის მე-5 საპყრობილები სარდაფებში მოთავსებული საკარანტინო საკნების გამოყენება.
- დაუყოვნებლივ მოსცილდეს თბილისის მე-5 საპყრობილის ფანჯრებს დარაბები, რათა პატიმრებს ჰქონდეთ ბუნებრივი განათება და სუფთა პაერი.

#### **პერსონალი**

- დაწყებული იქნეს ციხის ახალი თანამშრომლების დაქირავება, რათა ყველა დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს სათანადო რაოდენობის პერსონალით, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურის პერსონალით, სოციალური მუშაკებით, ექიმებით, ფსიქოლოგებით და ა.შ.
  - ამ მიზნის მისაღწევად გაიზარდოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ხელფასები იმ ოდენობამდე მანიც, რამდენსაც მსგავსი მოვალეობების შემსრულებელი სხვა სამართლდამცავები იღებენ.
  - უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ყველა არსებულმა და ახალმა თანამშრომელმა რაც შეიძლება სწრაფად გაიაროს ტრენინგი, ყველაზე გვიან 2008 წლის იანვრამდე, თუსტიციის სამინისტროს მიერ დადგნილი მოთხოვნის შესაბამისად.
  - უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ციხის დაცვის თანამშრომელთა ტრენინგი, მათ შორის დაწესებითი და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები, მოიცავდეს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს.
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის**
- უზრუნველყოფილი იქნეს ყველა პატიმრის სათანადო მოვლა.
  - დაქმაყოფილდეს, გამონაკლისის გარეშე, ნებისმიერი პატიმრის თხოვნა ექიმთან შეხვედრის თაობაზე.
  - უზრუნველყოფილი იქნეს მძიმედ დაავადებულთა მოთავსება სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში.
  - უზრუნველყოფილი იქნეს ფსიქიატრად დაავადებული ყველა პატიმარი სათანადო მკურნალობით.
  - მსჯავრდებულები, რომლებიც მძიმედ არიან დაავადებულნი, აქვთ სასიკვდილო სხეულების ბოლო სტადია ან ისეთი დაავადება, რომელიც მუდმივი, მაღალკვალიფიციური მეცნალობას საჭიროებს, სათანადო დაკვირვების ქვეშ უნდა იყენენ. ვინაიდან პატიმრობის პირობები ისეთია, რომ ასეთი დაუცველი ადამიანები შეიძლება არაადამიანურ და ლირსების შემდახველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, დაპატიმრება გამოყენებული უნდა იყოს, როგორც უკიდურესი ზომა და საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ამჟამად პატიმრობაში მყოფი ამგვარი ადამიანების გათავისუფლებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მათთვის აღტერნატიული სანქციების დაწესებისთვის.
  - მკაცრად იქნეს დაცული სამედიცინო მონაცემების კონფიდენციალურობა.

- ჩატარდეს სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში შესული ყველა პატიმრის სისტემატური რენტგენოლოგიური გამოკვლევა ტუბერკულოზზე.
- დაუყოვნებლივ იქნეს გამოკვლეული ნებისმიერი პატიმარი, რომელიც უჩივის, ან რომლის თანამედროვე ამბობს, რომ მას ტუბერკულოზის აქტიური ფორმის სიმპტომები აქვს.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ტუბერკულოზის კონტროლის მსოფლიოში მიღებული სტრატეგია, უშუალო მეცნალობის მოკლე კურსი, ეფექტურად გამოიყენებოდეს და ყველა დაწესებულება რეგულარულად მარაგდებოდეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საკმარისი რაოდენობის მედიკამენტებით, ხოლო სამედიცინო პერსონალს უტარდებოდეს ტრენინგი უშუალო მკურნალობის მოკლე კურსში.
- უზრუნველყოფილი იქნეს კეგბის ისეთი პირობები და ფიზიკური პირობები, რომლებიც ხელს უწყობს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის გამოჯანმრთელებას.
- სასწრაფოდ მოხდეს შეთანხმება პატიმართა ჯანდაცვაზე პასუხისმგებლობის სათანადოდ გადაცემის პროცესის პრიორიტეტებსა და განრიგზე.

## **ევროკავშირს**

### **ევროკომისიას**

- ევროპის სამეცნობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სტრატეგიაში განისაზღვროს კონკრეტული ამოცანები და მათი შესრულების კონკრეტული ვადები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიიღოს ეფექტური ზომები სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და იმსტიტუციური ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
- უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროპის სამეცნობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულების უწყვეტი და მკაცრი მონიტორინგი.
- საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობის გაღრმავების პირობად წაუყენეთ სამოქმედო გეგმის განხორციელების სტრატეგიაში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების შესრულება.
- საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობის გაღრმავების პირობად წაუყენეთ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების შესრულება.
- მოქმედოთ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, იურისტებსა და სხვა დამოუკიდებელ ექსპერტებს, მონაწილეობა მიიღონ ევროპის სამეცნობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგში და მიღებული იქნეს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგისა და რეფორმირებისთვის გამოყოფილი დაფინანსება

მიეწოდებოდეს ამ სამუშაოს შესასრულებლად კვალიფიციურ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს.

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებისთვის გამოყოფილი დაფინანსება ვრცელდებოდეს ისეთი პროექტების ხელშეწყობაზე, რომელთა მიზანია სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრა.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ევროკავშირის წამების თავიდან აცილების სახელმძღვანელო პრინციპების განსახორციელებად; ამ სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებაზე მონიტორინგი იქცეს ევროპის სამეცნიერო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე საერთო მონიტორინგის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად.

#### კვროკავშირის მინისტრთა საბჭოს

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული დარღვევები და მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული ზომების მიღების მოთხოვნა იქცეს საქართველოს ხელისუფლებასთან ადამიანის უფლებების პრობლემებზე ორმხრივი დიალოგის შემადგენელ კომპონენტად.
- მოუწოდეთ საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს ის პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს პატიმართა უფლებებს;
- საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობის გაღრმავების პირობად წაუყენეთ სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრის საქმეში მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრესის მიღწევა.
- დაევალოს ევროკავშირის სპეციალურ წარმიმადგენელს სამხრეთ კავკასიაში, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დარღვევები აქციოს საქართველოსთან თანამშრომლობის ცენტრალურ საკითხად, და ეთხოვოს, დააკვირდეს საქართველოს ხელისუფლების წინსკლას ამ დარღვევების აღმოფხვრის საქმეში და მოახსენოს საბჭოს ამ დაკვირვების შედეგები.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ყველა საჭირო ზომა ევროკავშირის წამების სახელმძღვანელო პრინციპების განსახორციელებლად.

#### კვროკარლამერტს

- დანიშნული იქნეს მომხსენებელი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ადამიანის უფლებების დაცვაში საქართველოს წინსკლას, მათ შორის სასჯელაღსრულების სისტემაში დარღვევების აღმოფხვრის საქმეში მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწეულ პროგრესს, და ევროპის სამეცნიერო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულებას.
- გამოყენებული იქნეს ევროკავშირის წამების თავიდან აცილების სახელმძღვანელო პრინციპებზე ევროპარლამენტის მომავალი ანგარიში, რათა განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგიული რეკომენდაციები საქართველოსთან ევროკავშირის თანამშრომლობისთვის, მათ შორის რეკომენდაცია, რომ

საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავება დამოკიდებულია სასჯელაღსრულების სისტემაში დარღვევების აღმოფხვრაში მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწეულ პროგრესზე.

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ და ევროკომისიამ სათანადო ყურადღება მიაქციონ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას და გამოიყენონ ევროპის სამეზობლო პოლიტიკით გათვალისწინებული ბერკტები ზეწოლისათვის პოზიტიური ცვლილებების განხორციელების მიზნით.

### ევროპის საბჭოს

- საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრის, ვალდებულებებისა და პირობების შესრულების მომავალ შეფასებაში საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა ცენტრალური აღგილი დაუთმოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებს და შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.
- ადამიანის უფლებათა კომისარმა მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი მომავალი ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ და სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დარღვევები გამოყოს, როგორც შეშფოთების მთავარი საგანი, და შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.
- გაფართოვდეს ტრენინგის არსებული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის როგორც ძველი, ისე ახალი თანამშრომლების განათლებას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ამ საკითხებზე ევროსაბჭოს მიერჩატარებულ ყველა ტრენინგსა და სხვა ღონისძიებაში ცენტრალური აღგილი დაუთმოს კონსულტაციებს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგსა და/ან რეფორმირებაში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პატიმრობის შესახებ ახალ კანონთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე ანგარიშში შესული მონაცემები და რეკომენდაციები.
- შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების, მათ შორის კანონში პატიმრობის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპარლამენტო კოდექსში ცვლილებების, განხილვის პროცესში გაიმართოს კონსულტაციები ქართველ და საერთაშორისო იურისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

- წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებელმა გაითვალისწინოს წინამდებარე ანგარიშის მონაცემები შემდგომი მონიტორინგის განხორციელებისას და საქართველოს ხელისუფლების მიერ 2005 წლის ანგარიშში განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შეფასების მოხსენების მოზადებისას.

- ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა მხარი დაუჭიროს სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმის გატარების მოთხოვნას და საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ხაზი გაუსვას წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის რეკომენდაციების განხორციელების მნიშვნელობას.
- მოუწოდეთ საქართველოს ხელისუფლებას, გაერო-ს შეთანხმებათა მონიტორინგის უწყებებისთვის ანგარიშების მომზადებისას გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაცია.

### **კვრიპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას**

- გაგრძელდეს პენიტენციური ტრენინგის ცენტრის მხარდაჭერა და ტრენინგის პროგრამების, მათ შორის დამწეული თანამშრომლებისთვის დაწყებითი ტრენინგის პროგრამებისა და არსებული თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება როგორც ახალაშენებულ, ასევე ძველ ციხეებში.
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ტრენინგის ყველა პროგრამა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს.
- გაგრძელდეს სასჯელაღსრულების სისტემის რეგულარული მონიტორინგი.

### **ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას**

- სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დარღვევები და მათ აღმოსაფხრელად კონკრეტული ზომების მიღების მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებასთან ადამიანის უფლებების დაცვაზე ორმხრივი დიალოგის განუყოფელ ნაწილად იქცეს. საქართველოს მთავრობას ურთიერთობის გაღმავების პირობად წაუყენეთ არსებული დარღვევების აღმოფხვრაში წინსვლა.
- დახმარება გაეწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობენ საპატიმროების მონიტორინგსა და სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებულ ისეთ სხვა პროექტებში, როგორიც სამუშაო და განათლების პროგრამების შექმნაა.

### **საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს**

- თავიანთ სტრატეგიაში საქართველოსთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და მსოფლიო ბანკმა ყურადღება გაამახვილონ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებზე, როგორც სერიოზული შეშფოთების სფეროზე, და მოუწოდონ ხელისუფლებას მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული ზომების მიღებისკენ.

## მადლობები

წინამდებარე ანგარიში მოამზადა ჯეინ ბიუქანანმა, "Human Rights Watch"-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების მკვლევარმა. ანგარიშს საფუძვლად უდევს ჯეინ ბიუქანანისა და ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების კონსულტანტის, კაროლინ მაკრეგორის, კვლევა. რედაქტირება შეასრულეს ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა, პოლი კარტნერმა, ამავე განყოფილების დირექტორის მოადგილემ, რეიჩელ დენბერმა, უფროსმა ოურიდიულმა კონსულტანტმა, ეისლინგ რეიდიმ, და "Human Rights Watch"-ის პროგრამების ოფისის წარმომადგენელმა, იან გორგინმა. ანგარიშის მომზადებაში დახმარება გაგვიწიეს ინარა გულპე-ლეგანოვსკამ, ანდრეა პოლიმ, გრეის ჩოიმ და ფიცროი ჰეპკინსმა. ანგარიში ქართულად თარგმნა ანა გეგეჭორმა, ხოლო რედაქტირება გიორგი გოგიამ გაუკეთა.

კვლევასა და ანგარიშის მომზადებაში ფასდაუდებელი დახმარება აღმოგვიჩინა მრავალმა ადამიანმა. განსაკუთრებული მადლობა გვინდა მოვახსენოთ არჩილ ჩოჩიას, რომელიც თბილისში "Human Rights Watch"-ის მკვლევარებს თარჯიმიბასა და მბლოლობას უწევდა. "Human Rights Watch"-ი ასევე მადლიერია იმ გამოცდილებისა და ხელშეწყობისთვის, რომლებიც გაგვიწიეს გიორგი გოგიამ საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის თბილისის ოფისიდან და აირის მუთმა და გიორგი ტულუშმა საქართველოში ეუთო-ს მისიდან.

"Human Rights Watch"-ი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ანგარიშისთვის ინტერვიუზე დათანხმდა. განსაკუთრებით მადლიერები ვართ ყველა იმ პატიმრისა, რომლებსაც შევხვდით და გავესაუბრეთ. მათმა მზადყოფნამ, გაეზიარებინათ ინფორმაცია და განცდილი, შეგვაძლებინა ამ ანგარიშის მომზადება.